

1955/3

საქართველოს
საგარეო საზღვარი

საგარეო საზღვარი

გნათობი

117

2

თბილისი



1955

გნათობი

ყოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს საბჭოთა მფარეზების კავშირის ორგანო

წელიწადი ოცდამეთორმეტე

2

★

თებერვალი

19

სახელგამი
თბილისი

55



8069

მთავარი რედაქტორი
ალიო მირცხულავა

სარედაქციო კოლეგია

ნიკოლოზ აბიაშვილი, დიმიტრი ბანაშვილი, ნიკო კაცოშვილი,
სანდრო ზანდიაშვილი, სერგი შილაია, ოთარ ჩხეიძე.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 3/111-55 წ. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 10. უშ 01334.
შეკვ. № 79. ტირაჟი 6,000.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მთავარბოლოგრაფიამომცემ-
ლობის ბეჭდვითი სიტყვის კომპინატი. თბილისი მარჯანიშვილის ქ. № 5.

Комбинат печати Главполиграфиздата Министерства Культуры
Грузинской ССР. Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.

რუსულ რუხა

ღ ე ნ ი ნ ი

ნაწყვეთები პოეზიადან



რუს ხალხს დიდება

მიძღვნა

ყველა ვარსკვლავს აქვს
 მალა, ცაში თავის ადგილი
 და დიდ ლურჯ ზღვებში
 წყალი არის ყველა მდინარის,
 ყველა ხალხსა ჰყავს
 ბუმბერაზი, გმირი ნამდვილი,
 მაგრამ რუს ხალხზე უძლეველი
 არაფერ არი.
 ჩვენს უფროს ძმას და უსაყვარლეს
 რუს ხალხს დიდება!
 იგი პირველი შეებრძოლა
 უსამართლობას.
 ჩვენ მას გავყევით დიდ ბრძოლებში,
 იმ შევბნეულ დროში,
 დავამხეთ ხალხთა საპყრობილე
 მისი სარდლობით
 და გავიმარჯვეთ
 უძლეველი ოქტომბრის დროშით.
 ჩვენს დიდ მზრუნველს და მოამაგეს —
 რუს ხალხს დიდება!
 მან ტაიგებში ქალაქები
 აშენა ვრცელი,

სტეპებს ჩააცვა მწვანე ფერის
 ტანს ფარჩეული,
 ის, როგორც მტრების შემმუსრაფი
 და ხალხთა მხსნელი,
 დიდმა სტალინმა ადლეგრძელა
 გამარჯვებული.
 ჩვენს გადამრჩენელს,
 ჩვენს მეგობარს
 რუს ხალხს დიდება!
 მის ბრწყინვალე გზას
 კომუნიზმის შუქი ჰფენია.
 თავისუფლებას უდგას იგი
 ერთგულ დარაჯად,
 კაცობრიობას მან ლენინის
 მისცა გენია
 და ხალხთა ძმობას,
 ურღვევ ძმობას
 იცავს მარადიამ.
 ჩვენი მგზნებარე ჰიმნი,
 სიმღერა,
 რუს ხალხს, —
 დიდება!!

შესავალი

მე შთაგონებას მოვუხმობ ისევ,
 როგორც მეგობარს:
 — მომხედე, მიხსენ,
 მოდი, წამყიდე მგზნებარე აღი,
 თორემ აღარ მაქვს მოთმენის ძალი.
 ვით მონადირე ველად გაჭრილი,
 თავს ველარ ვიჭერ ცხენზე, დადლილი.

ვეარდები ძირს და კვალს ვერ მივყვები,
 შორს გამირბიან განზე სიტყვები.
 გარბიან სწრაფად, როგორც ირმები,
 რაც უფრო შორს ვსდევ,
 უფრო ვცოლდები.
 არ დამეკარგვია მაინც იმედი,
 ვეძებ რითმებს და ეგებრძვი გოლიათს,

და შთაგონების წამი მცირედი
მარადისობის ტოლი მგონია.
მე ჩემივე გულის მაყრუებს ძეგრა,
როგორ გამოვთქვა გამოსათქმელი!
სიტყვა საჭირო ვერ ვპოვე ჯერაც,
და ჯავრით ვღნები, როგორც სანთელი.
დავექროდი ცაში, ვით შევარდენი,
ზღვას დავეყურებდი დაბლა ღრუბლიდან,
დარდი უთქმელი ლექსის რამდენის
გულს ტალღასავით გადაუვლიდა,
და დედაენის უჩირო ზღვაში
ბევრჯერ ჩავსულვარ ბნელ ღამეშიაც,
ფერადი სიტყვის უთვალავ ქვაში
მარგალიტები რომ ამერჩია.

მე სიტყვის ეშში მიზიდავს აგრე,
სიტყვაში თვითონ სიცოცხლეს ვხედავ.
და რომ არ მოსწყდეს ჩემი ხმა ადრე,
მე დავესესხე მომავლის დღეთა.
მოხვედრა როდი არის ერთბაში,
სიმღერა მოდის სხვადსხვაგვარად,
ლექსთან ჰიდილიში,

სიტყვის ძებნაში
გამომერია თმაში ქალარა.
რად ვიღებ კალამს თრთოლვით და
შიშით,
თვითონ არ ვიცი, ასე რად არი!..
ამ პოემაზე დღედაღამ ფიქრში
უკვე გავიდა ათი ზამთარი.
ლენინი!

ხალხთა დიდი ბელადი!
მე ამას ვფიქრობ ღამით და დღისით,
სად ვპოვო სიტყვა ფერადფერადი,
ხალხის გენიის დიდების ღირსი.
ლენინი!

სიღრმით—გულწრფელად მეგერა—
ზღვაზე მეტია ეს ექვსი ბგერა.
ლენინის შუბლი დიდი და ფართო,
სულ თვალწინ მიდგას, არა მშორდება,

მისი სიცოცხლის ერთი დღე მართლ-
ჩვენს ას წელიწადს გაუტოლდება.
მე ვკითხულობდი უთვალავ წიგნებს,
რომ ერთი წვეთი მეპოვა იქნებ,
იმ უდიდესი ზღვის ერთი წვეთი,
რომელსაც ჰქვია ლენინი დიდი,
რომ დამენახა ის შუქის სვეტი,
რომელმაც ქვეყნად დაამხო ბინდი.
დაველე,

მრავალი ქვეყანა ენახე,
ბარად გაშლილი,
მთას შეფენილი,
მე გავიცანი მრავალი ხალხი
და ყველგან ხალხთან ენახე ლენინი.
მშრომელი ხალხის წელგამართველი
ის ყველგან იყო, როგორც ნათელი.
მისი ნათელი თვალეზში ედგათ,
ბედნიერების გამომსახველი,
თავისუფლებას ნიშნავდა ყველგან
გამარჯვებული მისი სახელი.
ეს მომავალი თვით მან გვახარა,
ცეცხლს ჰგავდა მისი თვალთა გუგანი,
ლენინის სიბრძნით იქცა ბალნარად
ჩვენი ფერგანი, ჩვენი მუღანი.
მარტო უდაბნო ველებს კი არა,
სად არ ანათებს ზალხთა გენია,
მისი ვარსკვლავის შუქი ბრიალა
განგსა და ნილოსს გადასწყდენია.
და უძლურია სიტყვა პოეტის,
სიტყვა — დიდების გამომსახველი.
ის ჩვენთან არის და საბჭოეთის
დროშად ქცეულა მისი სახელი.
ის ცოცხლობს ისევ,

კვლავ სიბრძნის დიდ ზღვად.
კვლავ ჩვენი წინსვლით ხარობს ლენინი—
სტალინის საქმედ,

სტალინის სიტყვად
ჩვენს ცხოვრებაში გამოვლენილი.

მთის არწივი

გრძელია ზამთრის ღამე საერთოდ,
ციმბირში იგი უფრო გრძელდება,
დღე და ღამე თოვს,

დღე და ღამე თოვს,
თოვს ისევ თეთრი თოვლი ედება.

არაფერი. ჩანს, სითეთრის გარდა,
მოდის და მოდის თოვლის ფანტელი,
პურგაა,

ქროლვა არ დგება ქართა,
ტრიალებს თოვლის კორიანტელი.

კვალი არ რჩება თოვლში გავლილთა,
ზეეტავს ქარი და რაღა უშველის!
მარტოდენ კვალი ბორკილგაყრილთა
თეთრ თოვლზე შავად ჩანს წაუშლელი.

ასე გგონია,
ირგვლივ ბინდია,
ყველგან თოვლია,
ბილიყიც ძლივს ჩანს,
და თოვლში ჩამსხდარ ხეებს ჰკიდია
ყინვის ალმასთა ურიცხვი გირჩა.

თუ კაცი მოხვდა აქ,
ამ მხარეში,
გზას გაღულობავს ქართა თარეში,
ყინვა ჩაუჭრობს სიცოცხლის იმედს,
ძირს დაეცემა ქვასავით მძიმედ,
და გაყინული დარჩება თოვლში,
გაცივებული ყინვით და თოშით.

არა,
სიცივე კაცთ დამლუპველი

ყველგან როდი გდევს ციმბირში
ჩრდილად,
იქაც ანთია თბილი ღუმელი
და გაჩაღებულ კერებთან თბილა.
მაგრამ ღუმელი სულს რას უშველის,
თუ ჩაგისახლდა სულში ზამთარი,
თუ გულში რწმენა არ გაქვს უცვლელი,
თუ გულის ცეცხლით არ ხარ გამთბარი.
გწამდეს,

წამების ბოლო რომ არის,
მომავალს რწმენით უნდა უცქირო,
უნდა გჯეროდეს დიდი მომავლის,
თორემ წაგაქცევს სევდა უძირო,
დაგფარავს დარდის შავი ღრუბლები,
თუ გამარჯვება შენი არ გჯერა,
გაიყინები,

დაიღუპები,
ველარ გიშველის ცეცხლი და კერა.

• • •

შორი ციმბირი,
ახალი უდა—

ადგილი კობას გადასახლების,
ხმა არსად ისმის გადაძახების,
გარშემო მეფობს დუმილი მუდამ.
ტრიად მინდორზე მარტო გამდგარა
ვით თეთრი სოკო, თოვლში მოსული,
თოვლივით თეთრი, ქოხი პატარა,
თოვლით და ყინვით გარემოცული.
თოვლთან სითეთრით შეერთებული,
ვერც შეენიშნა იქნება ყველას,
რუსეთში გლეხებს, შეთეთრებული,
ასეთი ჰქონდათ ქოხები ძველად.
ქოხში ანათებს ცეცხლი ბრაილით,
ელის ლანდების კედლებზე შეხლით,
და ვით ღროშები ცეცხლის ფრთიანი,
სარკმელში მოჩანს ენები ცეცხლის.
სარკმელს გაკრული ყინულის ხელით
ვერცხლის ფოთლები, თუ ტოტები,

შორიდან მოჩანს, თითქოს ეს ცეცხლი
ამ სიცივეში მათ მოსდებია.

ცეცხლთან კაცი ზის,
დაბლა კერაზე
გაუჭრობელი ღვივის ლაღარი,
სიდიადე ჩანს კაცის მზერაში,
კავკასიონის მთების მაგვარი.
კვამლი მოშორდა, კარგად გამოჩნდა:
ხელთ ბარათი აქვს

ცეცხლთან ჩამომჯდარს.
იგი მეგობრის ბარათი არი,
სულს რომ ანათებს, როგორც მნათობი,
შორს მოფენილა ათასფრთიანი,
ცივ ყინულებში გულის გამთბობი.
დიდხანს ელოდა ამ წერილს იგი,
აქ, სადაც მეფობს ყინვა და თოვლი,
მასზე ფიქრობდა და ცხრა მთას იქით
მას მოელოდა ციმბირში თრთოლვით.

• • •

თითქოს ჭერმა აიწია!
ყინვის ხუნდის დასამტკრევად,
ცივ ციმბირში გაზაფხული
შემოვიდა ნაადრევად.

გაღნა სარკმლის ყინულები,
ჩუქურთმებად დაბატული
და თოვლის ქვეშ
გზაგახსნილი

არაკრავდა ნაკადული.

ირგვლივ უცებ ისე დათბა,
მზე ამალდა ცაზე თითქოს,
იმოდენა სითბო ახლავს
გადაკითხულ ყველა სტრიქონს.
თითქოს თოვლის ადნობს,

ზამთარს სძლეეს
მზე, ცაზე ამოწვერილი,
ეს მზე კი არა,

შუქსა ჰქვდეს
კობას ლენინის წერილი.
მისი ყოველი სტრიქონი,
მაღალი აზრით მდიდარი,
პირდაპირ ხედება მიზანში,
ვით გატყორცნილი ისარი.
კითხვაში,
ფიქრში დრო მიჰქრის
სულ ფრენით, განა ტაბით,
წამს წამი მისდევს, წუთი წუთს,
და საათს გაჰყვება საათი.
ბარათი აზრის სინათლით
და სიღრმით გასაოცარი
კობას ლენინთან მიაფრენს,
თუმცა ლენინი შორს არი.
რა დიდი არი ლენინი,

კობა, კვლავ ფიქრში წასული,
ჩასტყვერს წერილის სტრიქონებს,
თავის ყრმობაში მრავალჯერ
ნახულ სურათებს იგონებს:
აი, დგას კავკასიონი,
როგორც სალი კლდე მაგარი,
მთებზე გადადის ქუხილი,
ხეობებს გააქვს დგანდგარი,
კლდეზე აწყვეტილ ღელეებს
ხევში გაუდის ხრიალი,
მერისხანე კავკასიონი
ზანზარებს ქარიშხლიანი.
ცას სერავს ელვის ხანჯლები,

ლენინიც,

მთის არწივით
გარს რომ გრიგალი არტყია,
ჯერ გზებით გაუკვლევლით

რა სიბრძნეგანუზომელი!
ქვეყნად არ უყვარს არავის
მასავით ხალხი მშრომელთა
როგორ სწამს ხალხის ძალ-ღონე,
და ხალხის პატიონება,
მის ბრძნულ აზრებში ზორცს ისხამს
ჩაგრული ხალხის ოცნება.
რომ გამარჯვებით დასრულდეს
ხალხის შეტევა ძლიერი,
თვითონ მიუძღვის ჩაგრულთა
მილიონების იერიშს.
მას ხალხის სჯერა,

ხალხიც მას
შეჰყურებს, როგორც დიდ იმედს,
მას საკუთარი მხრით მიაქვს
რევოლუციის სიმძიმე.
თვითონ უმტკიცეს გრანიტსაც
გასტეხდა ტვირთი ამგვარი,
ის კი, ტვირთშიმე, წინ მიდის
უფრო მტკიცე და მაგარი.
და როგორც სითბო მზის სხივის
ნაყოფს ამწიფებს საჩქაროდ,
ისიც დამზობას უმზადებს
ძველს,

უსამართლო სამყაროს.

* * *

ქარი ხევხუდებს გასწივის...
ამ დროს მთებიდან აიწეეს,
ფრთას გაშლის მძლავრი არწივი.
ცას გაჰყვდეს, აღტყინებული,
გადუელის მთების გუმბათებს,
თითქოს მეხი და გრიგალი
ფრთას ასხამს, ძალას უმატებს.
მიფრინავს,

ფანტავს შავ ღრუბლებს,
ძლიერი ფრთებით ვეება,
თითქოს თვით ეძებს ჭარიშხალს,
რომ სასიკვდილოდ შეებას.

* * *

წინ უძღვის დიად პარტიას.
და მისი აზრი შორს სწვდება,
ვით თვალი იმ მთის არწივის,
არ ეშინია უმკაცრეს



ბრძოლებში ტყვიის ქარ-წვიმის.
ლენინი!

რა ძვირფასია

ეს სიტყვა,

რა ახლობელი!

ლენინი — შუქი სიმაღლის,

* * *

თუმცა ჯერ კობას ლენინი
არ შეხვედროდა პირადად,
მაგრამ ლენინის გულისთვის
უსიტყვოდ თავს გასწირავდა.
თვალთ არ ჰყავდა ნახული,
მაგრამ მის სიბრძნეს იცნობდა,
ლენინის საქმის ერთგული,
ლენინის გზითვე იბრძოდა,
ამ სწორად გზიდან თვითონაც

* * *

შორს არის ლენინისაგან
მისი ერთგული მარადის,
ხელთ სასოებით უპყრია
ბრძენი მეგობრის ბარათი.
ამ ბარათს აღტაცებული
დაჰყურებს ცეცხლთან დახრილი:
ყოველ სტრუქტურაში გაისმის
მებრძოლი ხალხის ძახილი.
თუმცა მცირეა ბარათი,
კობა რომ კრძალვით დასცქერის,
მაგრამ მცირეშიც სიდიდე
მოჩანს წერილის დამწერის.
ლენინზე ფიქრობს სტალინი,
ოცნებით შორს გაფრენილი,
თვალწინ უდიდეს გიგანტად
წარმოუდგება ლენინი.
ლენინი, დიდი ბელადი,
ბნელეთის დამამხოველი,
სინათლისათვის მებრძოლი,
სინათლის მახარებელი;
სწორუბოვარი მებრძოლი,
მასების მთავარსარდალი,
მშრომელი ხალხის მოკეთე
სიტყვით და საქმით მართალი.
და აი, მისი ბარათი,
შუქის და სითბოს მთოველი!
გულს ებეჭდება ლენინის

სიბნელის დამამხოველი..
ისიც უბრალო კაცია, ^{ერეკლესი}
ქვეყნად სიკეთის მოესაზრებელი,
მისი ნათელი გენია
ხალხებს უნათებს მშესავით.

განზე არასდროს გამდგარა...
ჯერ კიდევ ადრე ლენინი
კობამ მთის არწივს ადარა.
სჯეროდა,

იყო ლენინი
ბნელში შშის გასხივოსნება
და მთის არწივად ხატავდა
ლენინს სტალინის ოცნება.

ფრაზა და სიტყვა ყოველი.
ფრაზა და სიტყვა კი არა,
ყოველი ასო ბარათის
ამიერიდან მის ხსოვნას
არ მოსცილდება მარადის.
კობამ რად შეჰკრა წარბები,
ან თავი რატომ დაჰხარა,
რად ჩასცქერს ჩაფიქრებული
კერაზე ცეცხლის ქალარას?
რად შეეყოყმანდა.

ათასჯერ
უსიტყვოდ თავგანწირველი?
დიდი მეგობრის წერილი
ცეცხლს უნდა მისცეს პირველი.
ბარათს, ათასჯერ წაკითხულს
კიდევ დახედა ერთხელ და,
ცეცხლზე რომ დასდო წერილი,
შეძრწუნდა,

ვედარ შეხედა.
მოედვა ფურცელს ცეცხლი და
აღმა ენები ასწია,
ბარათისაგან კერაზე
ფერფლი-ლა დარჩა პაწია.
გარეთ კვლავ ქარმა დაჰბერა,
კარებს მოაწყდა თავნება,
და გაზაფხულის ჩვენება,
გაფრინდა, როგორც ზმანება.

გარეთ კვლავ იყო ქარბუქი,
ყინვის და თოვლის მძლავრობა,
მინებზე ისევ გამოჩნდა
ყინულის უცხო მხატვრობა.
აცივდა,

მაგრამ სიცივეს
არ გრძნობდა ერთი უჯრედიც,

ლენინისა და სტალინის
ორი, ძვირფასი სახელი
ხალხისთვის გახდა ძმობის და
ერთობის გამომსახველი.
ხალხმა ეს ორი სახელი —
ერთი გზის გამომხატველი,

სტალინის გულში იმედის
ცეცხლი ღვიადა უშრეტო
რწმენით გასცქერდა მომავალს,
ლენინის სიტყვით გამთბარი,
არ აშინებდა ყინვა და
ციმბირის ცივი ზამთარი.

ბოროტად

შინ სიჩუმეა, სიცარიელე...

ჯერ გუშინ კიდეც

ცოცხალი

იყო.

სახეზე დაგვკრავს უცხო იერი

და ვიმტვრევთ,

ვიმტვრევთ სიმწრისგან თითებს,

ცოცხალი

იყო,

ჯერ გუშინ კიდეც

ცოცხალი

იყო...

როგორ შეცვლილა ყოველი აირგვლი!

იგივე ოთახი,

იგივე კარი...

არა, არ მჯერა,

რომ არ გვყავს იგი

და რომ ლენინმა დახუჭა თვალი!

ილიმებოდა

ჯერ კიდეც გუშინ,

ნაძვის ზისაგან ნახალისევი,

მას უხაროდა ახალი წელი,
თითქოს ნაძვის ხე აენთო გულშიც.

ჯერ კიდეც გუშინ

ილიჩმა ექიმს თვალით აჩვენა:

დე, იხმაურონ,

დე, იშრიאלონ

ნაძვის გარშემო სოფლის ბავშვებმა, —
ხელს სრულებითაც არ მიშლიანო.

ჯერ კიდეც გუშინ

ხედავდა იგი —

კარების იქით

ვით თამაშობდნენ გოგო-ბიჭები,

თვლებზე ხელი აიფარა და

ბავშვების სიცილს სმენით აჭერდა,

სიხარულს გულში

ველარ მალავდა,

იგი ბავშვურად ღელავდა თითქოს,

ჯერ კიდეც გუშინ

ცოცხალი

იყო.

როგორც ფრინველი გაფრინდება,

გადივლის სწრაფად

საუკუნეთა ლურჯ სივრცეებს,

ფიქრი ცოცხალი

მოივლის მიწას,

მომავლიდან მოიტანს ამბავს,

ბედნიერება

დამკვიდრდაო გასაოცარი,



მოიტანს ამბავს სიკოცხლისას
და მზის დიდებას,
იტყვის: მზე ქვეყნად არასოდეს
დაიბნდება.

გარეთ მჩხვლეტავი სუსხია,
ყინვა
ყინულის თითოთ აკაკუნებს
ფანჯრის მინებზე.
შუა ოთახში ნაძვის ხე ბრწყინავს,
ხოლო ბავშვები
სიხარულს და ხმაურს მინებდნენ.
აბა, საიდან
უნდა

იცოდნენ,
როდესაც სჯერათ, —
რომ კარებს იქით
ბავშვთათვის სუნთქავს დიდი
სიკოცხლე

მალალი აზრით,
ნათელი ფიქრით.
აბა, საიდან
უნდა

იცოდნენ —
მას, ვინც უქრობი ცეცხლით იწოდა,
რომ დასდგომია
ჩრდილი სიკვდილის
და უკანასკნელ ღამეს ათევეს
ღონემიხილი.

მათ არ იციან —
უკვე ხვალიდან
ცის კაბადონზე
შეეცვლებათ ვარსკვლავებს ფერი,
რომ იმ ოთახში,
ვით ვარსკვლავი,
ჭრება თანდათან

დიდი ბელადი,
მეგობარი
და ხალხთა მხსნელი.

მათ არ იციან,
ლამაზი ნაძვი
გაბრწყინებული სანთლებითა
და დიდებული,
სახლ-კარი მისი,
სიკოცხლის მსგავსი

ბალი და სივრცე
თოვლიანი, გარინდებული
მთლად დედამიწა
დაობლდება სულ მალე, მალე.
მათ არ იციან,
რომ ხვალიდან დარდი უსაზღვრო
წმინდა ცრემლებად მოადგება უთვალავ
თვალებს,

და ვარსკვლავები დაიწყებენ
კიაფს უსასოდ.
ენთო ნესტიან სარდაფებში
და ბნელ საკნებში,
ვით ჩირალდანი მომავლისა,
აზრები მისი,
მილიონები გააღვიძა,
გახსნა კარები,
გახსნა კარები წყვილიადიდან
ნათელი სივრცის.
მონობის მძიმე ბორკილები
დახსნა,

დალევწა,
ათავისუფლა ქალაქები,
სოფლის მინდვრები,
რუსეთის მიწას დამონებულს,
ღიად მხარესა
ბედნიერება მოუპოვა
შრომის,

დიდების.
სინათლისაკენ
დასძრა ხალხი თავისუფალი
და წაიყვანა ბედთან საომრად...
მაგრამ ახლოა ჟამი იგი.
ის წევს მღუმარი,
თუმცა მზად არის გაღიმებად და
სასაუბროდ.
ხეალ მისი მზერა არწივული
არ აინთება,

წევს ბირდაპირი,
წევს უბრალო,
წევს ბრძენთა-ბრძენი.
ვეება შუბლი გაცივდება...
ასე ცივდება
ზამთარში მიწა უსაზღვროდ ვრცელი.
მიდი და ჰკითხე,
ჰკითხე მუშებს,
ჰკითხე გლეხებსაც,

გოპასუხებენ:

— ლენინი არის

დიდი იმედი

დაპყრობილი ყოველი მხარის,

გზა სიკეთისა

და სინათლის არშეფერხება,

მტკიცე ბურჯია სამყაროსი —

ბედნიერება...

და არ მოხდება სასწაული, —

ის ჩვენგან მიდის

ასეთი მშვიდი.

წევს, საზარელი ჩრდილი ერევა,

ის წევს მდუმარი,

უმოწყალოა სიკვდილი მეტად
და იღუმალი.

ერკენულნი
ზიგლირთხვს

მაგრამ ბავშვებმა

როგორ უნდა იცოდნენ ნეტად

რომ იგი მიდის?

ბავშვთაგანი ყოველი ხედავს,

რომ თვალს ადევნებს

ჩვეულ ღიმილით,

ერთობა მათთან

და არ ახსოვს მწარე ტკივილი.

თვალეებით ამბობს:

— დე, ისმართონ პატარებმა,

დე, იშრიალონ,

ხელს სრულებითაც არ მიშლიანო.

• • •

ყინვამ ფანჯრებზე

თვით არ იცის, თუ რა დახაზა,
ოთახში ყინავს.

დღეს ლენინმა დახუჭა თვალი,

გორკაში მკაცრი სიკვდილია

დიასახლისად,

იატაკებზე თოვლისფერი

აჩნია კვალი.

დიასახლისმა

ყველა კარი ღია დატოვა,

ფანჯრებთან ფარდებს

ფრთხილად არხევს სიცივის ხელი.

ტირის მარია ილინიჩნა,

ცრემლი ათოვს და

— სად არის, სადა ვალოდია? —

დაეძებს მშერიტ.

ხოლო ნადეჟა კონსტანტინოვნას,
ილიჩის დიდი მეგობარი

ვინც მუდამ იყო,

ეს საშინელი

უბედურება

სჯერა და თანაც

არ სჯერა თითქოს.

ჩვეოლუციის მხედართმთავრის

გული აღარ სცემს,

უკრავენ მწუხრის

საყვირს მისი ჯარისკაცები,

რომ გულმა გულებს

მწუხარება ზარით გადასცეს, —

სამყაროვ შავით შეიმოსე!

შავი ძაძვებით!

წითელი მოედანი

დაიკეცება დრო ახლანდელი

მემატიანის ფურცლებად მალე

და მის სიბერეს ვერ დაუმაღავ

მარადისობის ელვარე თვალებს.

მე ვარსკვლავებით მოქედილი ცა

თვალეებში მიმზერს და მაცვებს ღელვით,

ის მაიძულებს, ვიფიქრო ახლა

და გადავფურცლო განვლილი დღენი,

დღენი ბრძოლისა და უკვდავების,

ვით ცეცხლოვანი წიგნის თავები.

მიწა დაბუგვს, დააიარეს,

თითქოს ღვართქაფი მოსკდა, ეს არის.

დიდთა ბრძოლათა დღეთ გაიარეს

და გამარჯვების დღეს მოვესწარი.

ახლა ვარსკვლავნი ცაში დნებიან,

დედამიწაზე შემოდის დილა,

იცვამს ვერცხლისფერ სამოსელს

ფრთხილად

და უნებურად მომგონებია

მე ჩრდილოეთის ლამენი თეთრნი,

რომელთა გამო ზევრი რამ შეთქმის.

უეცრად ზეცას მოეწყვიტე თვალი,

უსაზღვროების გავლე კარი
და ჩემს წინ წითელ მოედანს ვხედავ.
ახლა მგონია,

რომ შემძლია

უსაზღვროდ ფრენა ჩემს გულთან
ერთად.

ო, მოედანო!

შენ ხარ დიადი!

შენ გახსოვს ბევრი მტერი ვერაგი
და ისევე დგახარ. ვით გოლიათი,
ტანზე გაცვია რკინის პერანგი.
ეს ძველი კრემლის გუმბათებია —
შენი მეგობარ-ამხანაგები,
ბასრი ხმალია შენი კედელი,
მშრომელის ხელით მკვიდრად ნაგები.
ზედ აღბეჭდილა, როგორც პოემა,
მკაცრი ბრძოლები
თავისუფლების მოსაპოვებლად.

სპასკის ქიშკარი.

თითქოს შევალე

კარი და მოვხვდი კედლების იქით.
მეფე — ზარს ხელი კრძალვით შევახე
ბუმბერაზს თითქოს მძლავრი გუგუნით
დაუმწყვდედია და მალავს შიგნით.
აგერ ჩანს ჩემს წინ

ქვემეზი — მეფე,

ზედ ნამსა ვხედავ, ვით ბროლის
შეფეებს.

ვინ გამოაღო დანჯარა ნეტა,
რომ შეეგებოს მომავალ ცისკარს?
ფანჯრიდან შუქი გამოკრთის მზისა,
მე იქ საყვარელ სტალინსა ვხედავ,
ბელადის შუქზე უეცარ წამით
გაითანტება შემკრთალი ღამე
და ვჰვრეტ მამულის უღრუბლო ამინდს.
გაუთევია ეს ღამეც სტალინს,
არ მოუხუტავს წუთითაც თვალი
და ახლა უზურს დიდებულ დილას,
სამშობლოში რომ შემოდის

ფრთხილად.

ვიცი:

ცოცხალი არის ლენინი,
არ ქრება შუქი მისი გენიის.
ვხედავ, ცისკრისას ვით იმოსება,

შარავანდელით ვით სხივოსნდება
დიდი საუნჯე ყველა ხალხისათვის
ვხედავ, ვით ნათობს შექმნილი მთელი
მავზოლეუმი გრანიტოვანი.

გრძელი იოდილები უხმოდ წყებია,
ცად ცეცხლოვანი მზის ღვარები,
ვასილის ტაძრის იქით, იფიქრებ,
მშედლები კედენ ვარვარა რკინას,
იფიქრებ, გრდემლი მირიადობით
ცად ფანტავს ცეცხლის ნაპერწკლებს
მბრწყინავს.

და მოედანი წითელ ფერშია
მთლად გახვეული,
იფიქრებ, დროშამ სხივდაფრქვეული
კალთა მსოფლიოს გადაფარა.
გამარჯვების დღემ ასი მზის სითბო
კრემლთან, სამყაროს გულთან
დაღვარა.

ჰა, მზე იცინის სულ მალა, მალა,
მოედანს ლურჯი ცის თალი შეენის.
დღესასწაულზე გამოდის ახლა
გამარჯვებული დედაქალაქი,
გამარჯვებული სამშობლო ჩვენი.
დაჰრეს დაფდაფებს, საყვირების ხმა
გასძახის ქვეყნად მშვიდობის მოსვლას.
მოედანს აესებს ზღვა, ხალხების ზღვა,
მოედანს წითლად დროშები მოსავს.
მავზოლეუმის გრანიტზე ვხედავ,
როგორც სარკეში, საბჭოთა მხედართ.
დგანან მხარდამხარ გმირთა-გმირები,
გამარჯვებული ქვეყნის შვილები,
უხმოდ ელიან ბრძანებას, დგანან,
სახეებს დაჰკრავს მზის ბრწყინვალეობა,
კავკასიონის მწვერვალებს ჰგვანან
რომ დაარჯობენ დროთ მდინარებას.
აი ტრიბუნა მავზოლეუმის,
გამოჩნდა ხალხთა მამა სტალინი,
თან მეგობრები ახლავს რჩეული.
მეჩვენა — კრემლის კოშკებმა

კრძალვით,

მადლობის ნიშნად დახარეს თავი.
ტრიბუნისაკენ მიილტვის მთელი
ხალხის ფიქრები, ხალხის გულისხმა,
დიდმა სტალინმა ასწია ხელი
და დადგა დარი გაზაფხულისა.

იქ კი სივრცეში ვერცხლის ფრთებია,
სისწრაფით ელვას შეჯობრებიან
და ლურჯ ლაქვარდებს კვეთენ
გუგუნით.

გამარჯვებათა მძლავრი სიმღერით
ქრიან,
ვარსკვლავი მხრებზე უელავთ,
მათ ხმაზე თრთიან ცათა სიღრმენი.

• • •

ჩვენ ახლა გვიწერს მთელი მსოფლიო,
სადაც ჯერ კიდევ მილიონები,
ბორკილგაყრილნი, სხვისთვის ოფლს
ღერძიან,

სხვისთვის შრომიბენ, როგორც მონები.
ჩვენ გვიცქერიათ მზერით ფარულით,
სევდით, იმედით და სიყვარულით,
გლახნი, რომელსაც არა აქვს მიწა,
მუშა, რომელსაც

დღეს სამუშაო არაყინ მისცა.

დამონებული საწყალი ხალხი

ბნელ წარსულიდან ჩვენს გზას

იბედეტს.

იქიდან გვიწერს, როგორც მომავალ

და გამართლებულ თავის იმედებს.

ჩვენ კიდევ ბევრი გვყავს მეგობარი, —

თავისუფალი ქვეყნის შვილები,

ისინი ჩვენებრ მხარგამოდილები.

მაგრამ გვყავს მტერიც, —

დოლარი მათი

ბატონი არის და თან მსახური,

როგორც სიმბოლო, ხალხების ჩაგვრა,
ომის ხანძარი, ასული ცამდის,
იმ დოლარზე გამოსახული.
მათი რწმენაა:

„ყველაფერი მდიდართ“

მათი საუბარია:

„გაეცი!

გაპყდი!

მომეცი!

ყოველი ხალხი, თავისი გინდაც,

მონაა, თვითონ კი ბატონი!“

მათი სიმღერაა:

„ლინჩი და ატომი!“

ახალგაზრდული ჩვენი სიმღერა,

ბედნიერების ხმად რომ იღერება,

მწყობრი ფეხის ხმა ჩვენი ჯარების

მტრებს ესმის ახლა, ვით გაზაფხულის

ქექა-ქუხილი

და გვადევნებენ თვალს მღელვარებით

მათი ბოროტი, მზაკვრული სახე

შავია, როგორც მათივე საქმე.

• • •

მოდიან, სცვლიან პოლკები პოლკებს.

კიდევ მოდიან და კიდევ სცვლიან.

და ისმენს, ისმენს მთელი სამყარო

მათი საბრძოლო დროშების ფრიალს.

მოდიან მწყობრად წითელ დროშებით,

ალტაცებათა მძლავრი ხმა ისმის,

მოდიან ისე, როგორც შემოდის

ყაყაჩოებით ჩვენში მაისი.

არც მოედანზე, არც მთელ მოსკოვში

ზეიმი ახლა აღარ ეტევა,

ის ყველგან არის: მოსკოვის გარეთ

ბალახს და ფოთლებს თრთოლვად

ედება.

ზეიმს იხდიან შორი ველები

მთები, სტეპები, მთელი სამშობლო

ხარობს და მღერის შეუსვენებლად.

და ტრიბუნიდან მხედართმთავარი,

თანამებრძოლი დიდი ლენინის,

უმჯერს ღიმლით თავის ჯარისკაცთ...

და სივრცეები ჩანს განფენილი.

გმირნი მხარდამხარ მოდიან მარშით,

გამოწრთობილნი ცეცხლში და ქარში.

შავი დროშები სეასტიკიანი

დაბლა მიწაზე ყრია ჩვრებივით.

ტანკები ტანკებს მოსდევს გრიალით

სასტიკ ბრძოლებში გამარჯვებულნი.

და მე მგონია, რომ ვხედავ ისევ

აკვამლებულ და ხანძარიან სივრცეს,

ის დრო არავის დაავიწყდება.

და მეჩვენება: მე ვხედავ ისევ

გამარჯვების გზას, ამ ნათელ გზაზე

ჩვენ მოვიპოვეთ ბრძოლით დიდება.
აგერ, გვილიშის ბელადი ბრძენი,
ეს გზა დიადი გაშლილ რუკაზე
ვინც დაგვიხაზა ძლიერი ხელით.
ლენინის დროშა ასწია ზევით
და გაიარა ცეცხლი, ქაჩები,
ხალხები იხსნა დაღუპვისაგან
და შეუმშრალა ცრემლის ღვარები.

აი მოდიან სამშობლო მხარის
ვაჟიშვილები, ქალიშვილები,
თვალეში ცა ჩანს მაისის წყნარი,
მკერდზე ვარდები შარიშურებენ,
ბელადს უმზერენ აღტაცებულნი,
ფიქრობენ:

„ჩვენზე ბედნიერები
მთელს ქვეყანაზე არსად გვეგულის:

მაღლა გვიჭირავს ჩვენც დროშის ტარი,
ვართ თავისუფალ ხალხთა მფიცადნიკნი
და ვხედავთ ახლა საყვარელ სტალინს!“
სიკეთისა და სიმართლის დღეა,
არის ზემი სახალხო ძალის.
და აგონდება ზემზე ყველას
სიტყვები, ფიცად რომ უთქვამს

ბელადს:
„მიდიოდა რა ჩვენგან, ამხანაგმა
ლენინმა გვიანდერმა...“

ჩვენ ვიმეორებთ ამ სიტყვებს ერთად,
რადგან მას უკვე ზორცმესხმულს
ვხედავთ.

აჰა, აღსრულდა ოცნება, ფიქრი,
ფიცის სიტყვები — ის ფრთები არი,
კომუნიზმისკენ რომლითაც მიჰქრის
გამარჯვებული სამშობლო მხარე.

თარგმანი აზერბაიჯანულიდან გრიგოლ აბაშიძისა და

არილ სულაქაურიშა.

მენჯი-რობუ



ქოხში ხალხის დენა არ შეწყვეტილა, რადგან „მკითხავი“ ისეთ მოსწრებულ რამეებს ეუბნებოდა „კლიენტებს“, რომ დიდი სახელი გაუვარდა.

აგერ მობრძანდა გიორგი შარვაშიძე და თან ბეგი გვირგვინიანიც შეიყვანა ქოხში... ორის ერთად შესვლა არ იყო მიღებული, მაგრამ ატატო შარვაშიძეს ამ თვითნებობას ვერ დაუშლიდა. პირობით, სახეზე ნიღაბი კარგა გაიმაგრა და მხიარულად შეეგება:

— ოო, მობრძანდით, დიდო თავადო, მობრძანდით, მაგრამ მე საწყალი აბა საიდან შევძლებ თქვენი ბედისწერის ჩხრეკა-გამოძიებას.

— ჩემი ბედისწერის გამოსაძიებლად არც მოვსულვარ, საპატიო ქალბატონო, ამ ყმაწვილის ამბავი მინდა გავიგო. — და ბეგიზე მიუთითა.

ამასობაში ატატომ ლობიოს მარცვლები ჰაერში აავდო და ჩამოცვენის დროს ბეგრი მათგანი მაგიდაზე გაიბნა, მაგრამ შუაზე მაინც ხუთი მარცვლი კოხტად დაჯდა.

— ეს თქვენთვის, თავადო გიორგი. ხომ ხედავთ, ფანჯია. ფანჯი ხომ გამარჯვებასა ნიშნავს და თქვენ განა მუდამ გამარჯვებული არ ბრძანდებით?

— მერე ამ ლობიოებმა იციან ჩემი ბედის ამბავი? — სათნოდ გაიღიმა გიორგიმ. — ლობიო ძალიან მიყვარს ჩვენებურად შეკაშმული, მაგრამ თუ ისინი ჩემი ცხოვრების მესაიდუმლენი იყვნენ, ეს კი არ მეგონა, თუმცა... კარგად ვიცი, რომ ეს შენი კუდიანობაა, შე

როკაპო, შენ! — საამური ხუმრობით დაათვა გიორგიმ. შემდეგ განაგრძო: — ამას კი რას ეტყვი? ხომ იცნობ?

— როგორ არა, ბატონო. თავადი გვირგვინიანია, საუცხოო ვაჟკაცი, — ლობიოს თავი ანება და სათამაშო ქაღალდს სამკითხოდ გაშლა დაუწყო. — აა, არშიყობა არ იყოს! — შეეხუმრა ისევ გიორგი.

ატატო ქაღალდის განრიგებას გაფაციცებით თვალს ადევნებდა, მაგრამ გიორგის მაინც ასე უპასუხა:

— მოხდენილი ყმაწვილი კაცის დანაზღაურება ჩემისთანა როკაპსაც კი გული შეუუარდება.

სამივეს გაეცინა. უცბად ბეგის წამოცდა:

— ეს რა არის, ყვავის ტუზი? ეს ხომ სიკვდილია.

ატატო, ეტყობა, შინაგანად თვითონაც შემკრთალი იყო, მაგრამ ხმაზე მაინც არ დაიმჩნია და მხიარულად შეაგება:

— ეგ თქვენსას კი არა, აი იმ აგურის სალდათის სიკვდილს ნიშნავს... მხოლოდ... — აქ კი ხმა ცოტა არ იყოს, დაუნაღვლიანდა: — თქვენ... ვერ დაგიფარავთ და... დიდი უსიამოვნება მოგვლით... დიდი უსიამოვნება, მხოლოდ... მაღე ჯვარს დაიწერათ... — ატატომ მთელ დასტას მოუსვა ხელი, თითქმის მეტი არაფერი უნდა გაიგოსო და მკითხაობა მიატოვა.

გიორგიმ ჯიბეზე წაიღო ხელი, მაგრამ ბეგი შეეცილა და ატატოს „კაი ოცდახუთიანი“ დაუტოვა.

— რა ამბავშია შენი მკითხავი, კნეინა, რა ამბავში! — ქოხიდან გამოსულმა

გიორგიმ მიმართა საღამოს დიასახლისს. — მითხარი, ვინ არი თუ გიყვარდე!

დიასახლისმა გიორგი ცოტა განზე გაიყვანა, მაგრამ მაინც ყურში ჩასჩურჩულა. გიორგიმ კი ხმაში დაწყო მოთქვა:

— არ გამიყვირდა! ეგ ხომ დიდი გამოცდილი და ცხოვრებაში გამობრძმედილი ქალია! — გაჩუმდა. დიასახლისმა იცოდა გიორგის ზრდილობის ამბავი და არ გაკვირვებია, რომ მან ატატოს სხვა არაფერი აკადრა.

დარბაზიდან დუდუკისა და დაირის ხმა მოისმა. ყველამ იქით მიაშურა და ერთხანს მკითხავის ქოხსაც ჩამოშორდა ხალხი. ჩვენებური ცეკვა ყველას უყვარდა, მაგრამ ამ დროს დარბაზში მართო მიტო ცულღუტობდა. მშვენიერი შემსრულებელი იყო ქართული ცეკვებისა, ახლა ერთს რომ კოხტად ჩამოუვლიდა და ფეხსაც წესისამებრ გაუსვამდა, უეცრად იატაკზე დაეცემოდა და რიტმულად, მაგრამ მაინც ფორთხავდა. ისევ წამოხტებოდა, ახლა ხმალ-ხანჯალს ამოიღებდა და ამითი ცეკვავდა, თან ხმალს ისე იქნევდა, რომ ბევრი მაყურებელი დააშინა და უკან დაახვეინა. თვითონ კი ხარხარებდა. შემდეგ უცებ რომელიღაც მაყურებელ ქალს ხელიდან ცხვირსახოცი გამოსტაცა, ერთი შემოუარა და ცხვირსახოცი დარბაზის შუაგულ დააგდო. მერმე ცეკვით უარა, ბოლოს დაიკუნა, თავი სულ იატაკთან მიიტანა და ცხვირსახოცი პირით აიღო. ამაზე ხალხმა დიდი ტაში უძღვნა, მაგრამ კმაყოფილი მაინც ბევრი არ დარჩა. ეს უფრო ჯამბაზობა იყო ტანმოქნილი ადამიანისა. დაგმარაც გამოსულიყო მიტოს საცქერლად. მხოლოდ ის იყო მიტოთი მოხიბლული და მოკადრებული. დანარჩენებმა უშეყოფილოდ შესძახეს კიდეც: „კინაზ მიტო, ლეკური, ლეკური, ნამ-

დელი ლეკურიო (მაშინ ჯერ კიდევ არ უძახოდნენ ამ ცეკვას *ქართულს*), მაგრამ მიტომ არ შეისმინა და გამარჯვებულებით გამოირდა იქაურობას, დაინახა დაგმარა და მკლავი მკლავში გაუყარა.

ამ დროს განთქმული ქუთათელი მოცეკვავე, ნიკო ფაღავა გამოვიდა ასპარეზზე. მისი ჩამოვლა მართლა საუცხოო იყო: დინჯი, ვაჟაკური, მომხიბლავი. ერთი ორი ჩამოვლის შემდეგ კი საცეკვოდ გამოიწვია იმეამად ქუთაისში მყოფი, ქართული თეატრის არტისტი ელო ანდრონიკაშვილი. ამ უკანასკნელის შესრულება ლეკურისა კლასიკურად ითვლებოდა და, მართლაც, ამ საღამოსაც თავი იჩინა თავისი გოგმანით, ცეკვით და კდემამოსილი მიხვრა-მოხვრით.

ხალხი კიდევ უფრო შექურჩდა ამ საუცხოო წყვილის საყურებლად.

მათ მართლაც საგანგებოდ შეასრულეს უქცნობი სიყვარულის საოცნებო პოემა, ქართული იერით გადმოცემული.

დასრულების შემდეგ ულოცავდნენ ორივეს და ელო ანდრონიკაშვილს ხომ თვითონ საღამოს დიასახლისმა მიართვა ყვავილების ჩინებული თაიგული. ბაბო გავლენიშვილი აღტაცებული გაეჟანა ელოსაკენ და გადაეხვია. ვამეხიც აქ იყო და მადლობას უხდოდა:

— თქვენ ერთხელ კიდევ მაგრძნობინეთ, თუ როგორი არის ქალ-ვაგის უზადო ტრფიალება... ხედავთ, ყველანი თქვენ შემოგხარბიან. აი ეს არის არტიზიზმი... თქვენ ნამდვილი არტისტი ყოფილხართ.

მაგრამ ვამეხს არ აცალეს, ელო გაიტაცეს ახლა სხვა მოხიბლულებმა. ზოგს ტკბილეულობისაკენ მიჰყავდა და უმასპინძლებოდა, ზოგს შამპანურისაკენ...

ეკოციმილი მივიდა და ძალიან სერიოზულად ხელზე აკოცა. ვამეხმა ეს დაინახა და გადაუღაპარა:

— ეკოციმილი, ეგ რა ჰქენი? გაუთხოვარ ქალს ხელზე არა კოცნიან! — ეკოციმილმა გაიციანა.

— რა ვიცი, გენაცვალე, გათხოვილია თუ არა, მაგრამ მაგას ხელი კი არა, ფეხები უნდა დაუკოცნო კაცმა... რა ყოფილა, შენი ჭირიმე!

ასე რომ, ელო უკვე იქცა ამ საღამოს ერთ-ერთ დამამშვენებლად.

ატატოსაც ნიღაბი მოეხსნა და ისიც კი გამოსულიყო „ლეკურის“ საცქერლად, მაგრამ ცეკვა დასრულდა თუ არა, ქოხს ირიბად მოუარა, და არავის არ შეამჩნევინა, ისე შეძვრა თავის სამფლობელოში.

• • •

ხალხი ისევ მიესია ქოხს. მათ შორის ეკოციმილიც.

„როკაპმა“ ესე უწინასწარმეტყველა ეკოციმილს:

— რა გითხრა, ძმაო! მოვა დრო და ყველაფერს დაჰკარგავ...

ეკოციმილმა შეაწყვეტინა:

— ოჰ, ეგ მე კი არ ვიცი! რევოლუცია კარზეა მომდგარი... საცაა ნიკოიას ჩამოაგდებენ და მე და ჩემისთანებმა, რაც გვაბადია, რომ დაგვარგოთ, რაში გამოიყირდება.

— არა, — ვითომ ქალალდს დააკვირდა ატატო, — შეენ, — ცოტა გააგრძელა, — ერთ დროს მომღერალთა გუნდის ლოტბარი გახდები, ჰა, ჰა! ეს დრო არც ისე შორსაა.

— უჰ! ეს რა კარგი მითხარი ვილაცა ხარ... თუ კაცი ვარ, ამას დავიხსოვებ... შენი ჭირი შემეყაროს მე! — სამი მანეთიანი დაუდო მაგიდაზე და თვითონ ძალიან გამხიარულებული გამოვიდა ქოხიდან.

უხაროდა:

— შეიძლება მართლა დაჰკარგოს თავდაზნაურობამ ყველაფერი. მათი უმრავლესობა დაიღუპება... მე ეს ხელობა გამომაღგება... ცხადია, — ასე

ფიქრობდა, მაგრამ ეს არავერისთვის არ გაუზიარებია.

დარბაზში ისევ ევროპული ცეკვები იყო გაჩაღებული. ფარდულები კარგად ვაჰრობდნენ. ქალალდის მოთამაშეები, თუმცა დღეს შეევიწროვებინათ, ერთ პატარა ოთახში გადაეყვანათ, რადგან მათთვის მიჩენილი დარბაზი სხვა საკიროებისათვის გამოეყენებინათ, მაგრამ ისინი მაინც თავისას არ იშლიდნენ და ოთხ თუ ხუთ პატარა მაგიდაზე ბაქარათი ერთი მეორეს ჯიბეს უცარიელებდნენ. ერთ დარბაზში კი ეახშმის სუფრასა შლიდნენ.

მიტო ერთხელ კიდევ მივიდა დაგმარას ფარდულთან და იმდენი ემუდარა, რომ დაგმარა მკითხავის ქოხთან მიიყვანა. თვითონ არ შეყოლია, მარტო შეუშვა.

„როკაპმა“ იცნო დაგმარა, მაგრამ ახლა რა უთხრას? ტყუილები? ეინი მოუვიდა, ვეტყვი სიმართლეს, სულ ერთია, ვერაფერს გამოგებსო.

გაშალა ქალალდი. დიდხანს უკირკიტა. გადასვა-გადმოსვა ქალალდი. ვითომ დიდად ჩაუფიქრდა და შემდეგ უთხრა:

— მალე შეიცვლება შენი ცხოვრება, შეილო! შეიძლება ამაღამვე უმანკოება დაჰკარგო. ნუ გეშინია, ბოლო კეთილია!

დაგმარას სახეზე აღმური მოედვა. თუმცა კარგად ვერ გაერკვა მკითხავის ნათქვამში. თითქმის მიხვდა და ვერც მიხვდა. მაინცდამაინც სასწრაფოდ გამოეარდა ქოხიდან.

• ფულის მიცემაც კი დააეწიყდა. დარაჯად მდგარი მიტო აედევნა. შეატყო აღელვება, მაგრამ დიდად შეეხვეწა: „მითხარი და მითხარი რა გიმარჩიელო?“

დაგმარა კიდევ ვერ ერკვეოდა მკითხავის ნათქვამში და მიტოს ასე უპასუხა:

— არ ვიცი. რალსაც ბოდავდა. ვერაფერი ვერ გავიგე.

— უპ, მომიტევე, მომიტევე, გრეტ-ხენ. მე იმიტომ მოგიყვანე, რომ ხუმა-რაა წყეული და მეგონა სასიამოვნო რამეს გეტყოდა... მე ვუჩვენებ მაგას სეირს...

— აჰ, კნიაზ მიტო, აბა რას ბრძანებთ... არ ღირს! — და ამ სიტყვებით ჩქარა გაეცალა კავალერს და ისევ თავის ფარდულს მიაშურა.

მიტოს უნდოდა ქოხში შესულიყო ამბის გასაგებად, მაგრამ ამ დროს ქა-ქან-ქაქანით ქოხში შევიდა ქუთაისში კარგა ცნობილი ადვოკატი კალისტრატე ჩიკვაძე.

— ოჰ, ბატონო კალისტრატე, თქვენც ჩემთან მოდიხართ? თქვენ რომ მკითხა-ვი არ გწამთ?

— არ მწამს, ყმაწვილო, მარა დღეს თქვენზე ისეთ საოცრებას ამბობენ, რომ მეც გულში არ მომითმინა... ძალიან მიგნებულად მკითხაობთ თურმე...

— მერმე და თქვენ რალამ შეგაწუხათ, ბატონო? ქალაქში ხომ არ წაგიგიათ?

— იმე, ბოშო, წავაგე და მერე რაეა, თუ იცი? სულ კულის რიქამდე გამატყავის იმ ოხრებმა...

ატატომ გაიცინა:

— მაშინ მე კი არ გიმკითხავებთ, ერთ რჩევას მოგცემთ...

— ჰოდა მიშველე, გენაცვალე!

— თქვენ, ბატონო კალისტრატე, კარტი გცნობთ.

— როგორ თუ მცნობს?

— ასეა, ბატონო, თუ დამიჯერებთ... კალისტრატეს არ სჯეროდა, მაგრამ მაინც ატატოს კუდიანობამ დააინტერესა.

— კარგი, ვთქვით, დავიჯერე...

— მაშინ, ბატონო კალისტრატე, კარტის სათამაშოდ რომ მოხვალთ, სულ სხვაგვარად უნდა მოიერთოთ, კარტმა კი არა, ჭაცმავე ვერ გიცნოთ და... მაშინ წააგებთ კი არა, კარგა ძალსაც მოიგებთ...

— უპ, შენ კი გენაცვალონ მთელი

2. „მნათობი“ № 2.

ჩიკვაძეები! შენი რჩევა დამიჯდა ჭკუაში. თუ ბიჭი ვარ, ახლავე წავალ სახლში, სულ სხვაგვარ მოვირთვენი და შენ რჩევას შევასრულებ.

— ახლავე? — ვითომ შესწოთებით შეეცობა ატატო.

— რაეა, არ ვარგა? — შესწოთდა კალისტრატეც, მაგრამ ატატომ უკვე შეუვალად უთხრა:

— რატომ? სცადეთ.

კალისტრატე გამხნედა. თუ რამ ხურდა ჰქონდა ჯიბეში, ატატოს დაუტოვა გასამრჯელოდ და თვითონ მართლა მოჭკურცხლა სახლისკენ.

თავადი ჩიკვაძე კიდევ ბობოქრობდა:

— არა, ნამდვილად წავხდით და გადაგვარდით თავად-აზნაურობა!

ეკითხებთან:

— რა იყო, რაზე ბრძანებთ?

— როგორ თუ რაზე ებრძანებ. ეს არის, ბუფეტში ვიყავი და რა ვნახე: ჩვენი ახალგაზრდა თავადები შემოსხდომიან სუფრას და შუაში თეთრ ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი „იზვოშნიკი“ მელია ჩაუსვამთ.

აქა-იქ გაიცინეს:

— ოო, ეგ უთუოდ მელია მასპინძლობს და იმიტომ...

— მერე-და, ყმაწვილო, როგორ ეკადრებათ „იზვოშნიკთან“ ქეიფი და ისიც სათავადაზნაურო ბაღში... ან როგორ შემოუშვეს მელია კლუბში? სულ თავგზა დამებნა: თეატრში ბუნტი, ჩვენს ნადიმზე ვიგინდარები... მარშალი სად არის, მარშალი? — და მის საძებრად გაეშურა.

ზოგიერთი კი ბუფეტისაკენ წავიდა, რომ შორიდან მაინც შეეთვალეირებინათ მელია და მისი კომპანია.

ჩვეულებრივი სუფრა იყო. არც ყვიროდნენ, არც „ბლაოდნენ“. ნელ-ნელა პატარა ჭიქებით სვამდნენ ღვინოს. ეტყობა, მელია თამაშობდა და მახინჯად

სიტყვაობით აცინებდა იქაურობას. ის ფეხზე წამომდგარი კარგი სანახავე იყო მისი გრძელი, წაბლისფერი წვერები, მწყავარი სახე, ფართო მხარ-ბეჭი, თეთრ ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი, უთუოდ შესანიშნავი იყო.

მელიამ შეამჩნია, რომ მის სანახავედ მოდიოდა ხალხი, ერთი ჩაიცინა და დაწყებული სადღეგრძელო დალია. ის იყო ჯდებოდა, რომ საღამოს დისასხლის კლუბის მამასახლისთან ერთად ჩამოიარა. მელია კვლავ წამოდგა ფეხზე და კარგა ხმამაღლა მიმართა:

— კნენინა-ბატონო! ბოდიშს ვიხდი, მაგრამ ერთ წამს უნდა შეგაწუხოთ.

კნენინა შეჩერდა. მელიამ განაგრძო:

— კარგად ვხედავ, რომ ზოგს ჩემი აქ ყოფნა არ მოსწონს... მართალია, „კუჩერი“ ვარ და... ყველას გემსახურებით, მაგრამ აქ შემოსვლის უფლება კი მაქვს... აქ, ბატონო, ჩვენი საქალაქო კლუბში, მართო თავად-აზნაურობის კი არ არის... თქვენ თუ მიბრძანებთ, მე ახლავ წავალ...

— არა, ჩემო მელია, — ლმობიერად მიაგება საღამოს დისასხლისმა, — ბრძანდებოდეთ...

და ფრანა არ ჰქონდა გათავებული, რომ ლაპარაკში ისევ მელია შეეჭრა:

— კნენინა-ბატონო, მეც მესმის, რომ ეს საღამო საქველმოქმედოა და მეც მინდოდა ჩემი წვლილი შემომეტანა, მაგრამ თუ ეს საწყენია...

— არა, არა, ვინ გითხრათ? იყავით, იყავით, ოღონდ ამ ყმაწვილებს მაინც-დამაინც ნუ ღამითობთ... — გაიღიმა კნენინამ.

ამაზე ყმაწვილებმაც მიაძახეს: „არა, არა, კნენინა-ბატონო“ და ამითი ამოიწურა „ინციდენტი“.

კლუბში კი ჯგუფ-ჯგუფად ალაპარაკდნენ: კნენინაზე ამბობდნენ — ლიბერალი ქალიაო, ზოგიც ამტკიცებდა — მელია თვითონ არის აზნაური, რა ეუფოთ, რომ მეეტლეო და სხვ. ვოლკოვ-

მა კი ეს ამბავი რომ გაიგო, გესლიანად გადაულაპარაკა მასთან მდგომარეობას ხელეებს:

— Вот Вам привилегированное сословие! Вот вам грузинское... ха, ха, доблестное дворянство!..¹

მაგრამ ამისათვის უმეტესობას ყურადღება არ მიუქცევია.

ვოლკოვიც დაგმარასთან მივიდა და მაზურკაზე გაყოლა სთხოვა, მაგრამ დაგმარამ უარი უთხრა — დაკავებული ვარო. ვოლკოვი არ ეშვებოდა, ისიც გაიხსენა, რომ ცოლად მითხოვებზე უარი ჰქონდა ნათქვამი დედა-შვილისაგან, მაგრამ ცეკვას მაინც თხოვდა. დაგმარასაგან საბოლოოდ უარი მიიღო.

ასეთივე უარი მიიღო დაგმარასაგან ზეთომაც. არც ამას გაჰყვა დაგმარა საცეკვაოდ. ზეთო გაოცებული იყო. შეატყა კი, რომ დაგმარა არ იყო თავის ქერქში? იღიმებოდა, ზრდილობიან პასუხსაც იძლეოდა, მაგრამ თითქმის აქ არ იყო, სადღაც შორს ფრენდა მისი გონება. და აი უეტრად გამოჩნდა მიტო. ახლა ამან გაიწვია დაგმარა საცეკვაოდ. ამას კი დაგმარა უსიტყვოდ გაჰყვა. ზეთო ამაზე კიდევ უფრო გაოცდა: „ნუთუ მიტოა მისი...“, ფიქრობდა, მაგრამ არა სჯეროდა: „სიიდან სიღ! ხეირიანად ვერც კი იცნობს, ან რა მისი შესაფერია!“ — და ერთხანს გაშტერებულივით იყო.

• • •

სცენის კულისებში ერთად შეჯგუფებულიყვნენ ტროფიმი, სერგო ჭელიძე და ერთი პატარა, 12 — 13 წლის ბიჭი. რაღაზედაც თათბირობდნენ და ბიჭს დიდი დარბაზის ქორედზე (მომლერალთა გუნდისა და მემუსიკეთა დასადგომი) უთითებდნენ:

¹ ესეც თქვენი უფლებამოსილი წოდება! ესეც თქვენი საქართველოს... ჰა, ჰა... სახელოვანი თავად-აზნაურობა!..

— იქ ახვალ, წინა რიგებში დადგები და როცა დრო მოვა, შენი საქმე უნდა გააკეთო.

მათთან მოვიდა პორტფელით ხელში ტროფიმისა და პელიძის ჯგუფში მომუშავე ახოვანი დალაქიშვილი. იცინოდა, მხიარულად იყო.

— რაც კი დღეს თეატრში ხალხს და პოლიციას გადაურჩა იქ გადაყრილი პროკლამაციებისაგან წაუღებელი, სულ აგერ არის თავმოყრილი. — და პორტფელს ხელი დაკრა შემდეგ იკითხა:

— ვახშამი ჯერ არ დაუწყიათ?

— ჯერ არა.

გადაწყდა: ტროფიმი სინათლეს ჩააქრობდა მთელს შენობაში და ამ დროს დალაქიშვილი, სერგო — დარბაზებში და პატარა ბიჭი — ქორედიდან პროკლამაციებს გადაჰყრიდნენ.

„ბიჭი არ ვიქნები, თუ პროკლამაციები გუბერნატორს შიგ დრუჟნიში არ მოვარტყიო“, გაიძახოდა დალაქიშვილი. როცა უთხრეს, რომ გუბერნატორი წავიდაო, ეწყინა, მაგრამ საერთო განზრახვისათვის თავი მაინც არ დაუწებებია.

ეს „საერთო განზრახვა“ კი აქ შეკრებილ ჯგუფს არავისგან არ ჰქონდა დავალებული. ეს აზრი მათ მხოლოდ თეატრი რომ დაცარიელდა და პროკლამაციები იქ გაბნეული, საკმაოდ დარჩა, მაშინ დაებადათ.

და მათი აზრით, რა იყო აქ ცუდი. „Озорство, озорство“ — გაიძახოდა ტროფიმი და თან ჩუმად ხითხითებდა, მაგრამ ყველამ იცოდა, რომ ეს თითქოს „ცელქობა“ პოლიციისათვის „თავხედობა“ იყო და ეს ძალიან ახარებდათ.

• • •

სალამო კი მიდიოდა თავის წესით: ერთ დარბაზში ცეკვა იყო გაჩაღებული, მეორეში ფარდულუბი ჯერ კიდევ მუშაობდნენ, ერთ ოთახში ქალაღს თამაშობდნენ. შიგადაშიგ მოსეირნე-

ები, უფრო ხანშიშესულები, მიდი-მოდიოდნენ და ერთი მეორეს უწყა-ლაათებოდნენ, ზოგან რუსული კუთხეში ცხარედ კამათობდნენ რაზედმე, ეს უფრო ადგილობრივი ადვოკატები და სხვა მოინტელიგენტო ხალხი, რომლის კამათის საგანი იყო ქალაქის საბჭოს სხდომები, ბანკის წარმოების საქმე და... თავად-აზნაურთა მომავალი არჩევნები, რისი მიზეზთა მიზეზი, ახლანდელი გუბერნიის მარშალი და ხვალანდელი კანდიდატი ამავე თანამდებობაზე, თავადი სიმონი იჯდა მისაღებ ოთახში. მას გარს ეხევინენ სხვადასხვა დარბაისლები. არავინ ხვალანდელ კენჭის ყრაზე არ ლაპარაკობდა, თითქოს იხსენებდნენ ერთ ფრანგულ ანდაზას: „დამორჩეალის სახლში თოვს არავინ არ ახსენებსო“ და უფრო მსუბუქი ანეგდოტებით ირობდნენ თავს. ზოგან კიდევ ჭორიკანობდნენ უფრო მანდილოსნები, ახალგაზრდა ქალიშვილები იმ დროის წესისამებრ თვალეზმინაბულები და ლოყა-წამოწითლებულები ისმენდნენ ახალგაზრდა კავალრების ქეთინაურობას.

ერთგან ერთი ჭალარა ინტელიგენტი უმტკიცებდა თავის მოსაუბრეებს:

— არ არის, ბატონო, არა, ცოლ-ქმრობის ამბავი ჩვენში კარგად მოწყობილი.

საუბარი შეეხებოდა ერთ თვალსაჩინო ოჯახს, რომლის წევრებიც — ცოლი და ქმარი — ამ დღეებში ერთი მეორეს დაშორებოდნენ.

ჭალარას მეორე შეეხმალრა:

— შენ კი გგონია, სხვაგან უკეთესად არის?

ჭალარამ მაშინვე გასცა პასუხი:

— სხვაგან არ ვიცი და აქ რასაც ვხედავ გულის ამრევია ამ დარგშია... არც ერთგულება, არც შეთანხმებული ცხოვრება. ერთი მხრით, ეკვიანობა, ზოგჯერ სრულიად უსაბუთო, მეორე მხრით, დაუზოგავი თავაშეხებულება.

აქა-იქ, აქა-იქ თუ ნახავთ მშვიდ ოჯახს, სადაც მყუდროება და ერთიმეორეში სიამტეხილობა სუფევს. დიდი უმრავლესობა აფორიაქებულია სულიერად და აქედან სხეულებრივადაც და ნივთიერადაც...

— მაგ საკითხსაც რევოლუცია გადაჭრის... — ჩაერია საუბარში ერთი ახალგაზრდა.

— შენს პირს შეაჩარი, მაგრამ საერთოდ ადამიანებს რომ ვუკვირდები, ძნელი მოსაგვარებელი იქნება.

— შენ უკვირდები დღევანდელ ადამიანებს... — კვლავ პირველმა მოპასუხემ შეუბრუნა.

— მაშ ვის? მე მთვარეზე მცხოვრებლებს ვერ ვიცნობ... ის კი არა, ვიღაცა მარწმუნებდა — მთვარეზე არაფერი სულდგმული არა ცხოვრობსო... ჰოდა, აგაშენოს! მე აქაურ მიწიერ სულდგმულს ვგულისხმობ.

— შენ ხომ ამბობ, მიწიერიო, — კვლავ შეესიტყვა პირველი ოპონენტი... — ის წარმოშობილია იმ სოციალური, ეკონომიური და პოლიტიკური პირობების გამო, რომელიც დღეს არსებობს და რომელთა სიძუხვიერეს დღეს თითქმის ყველა გრძნობს და განიცდის. რევოლუცია კი, რაკი ამ სიძუხვიერებს მოსპობს, ეგ საკითხიც ოჯახისა, ქალისა და ვაჟის ურთიერთობისა თავისთავად გადაიჭრება... ასე არ არის, ჩემო ბატონო? — მიმართა ოპონენტმა ახალგაზრდას. იმანაც ღიმილით თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

— მერმე-და რატომ არ დაგვისახავენ იმის სურათს, — არ ცხრებოდა ჰალარა, — თუ როგორი იქნება მომავალი ოჯახი?

— ჩემო მეგობარო, რევოლუციონერები და განსაკუთრებით მარქსისტები უბრალო მეოცნებენი კი არ არიან, არამედ შეცნიერების საფუძველზე მოაზროვნენი... ასე არ არის, ჩემო ბატონო? — კვლავ მიმართა მოკამათემ ახალგაზრდას. მან კვლავ ღიმილით თავი

დაუქნია. მოკამათემ განაგრძო: — მათ მთავარი და სწორი გეზი კმევს დასავლელი და...

— ჰო, ჰო, გავიგე, — წარმოთქვა ჰალარამ, — დეტალების თავი არა აქვთ... მათ მხოლოდ თავიანთი კლასის განთავისუფლება აინტერესებთ და სხვას არაფერს არ დაგიდევენ... არ დაგიდევენ იმასაც, რომ ამჟამად დღევანდელ ოჯახში იღრწობა ინდივიდუმი, ორივე სქესის პიროვნება და... ესეთებმა როგორ უნდა აღზარდონ მრთელი და ჯანსაღი თაობა?

— ეგ კაცო, ძმაო, ძალიან დაზავებული უნდა იყოს ოჯახში და შეიძლება საერთოდ ქალებისაგან! — ჩუმად გადაულაპარაკა თავის მეზობელს ერთმა იმ მყოფმა, რომელიც აქამდე ჩუმად უგდებდა ყურს მოსაუბრეებს, მაგრამ ჰალარამ მაინც ყური მოჰკრა და მაშინვე გამოეხმაურა:

— ჩემზე ბრძანებთ? ეგ კერძო ამბავია, მაგრამ მე მაქვს „თვალნი ზედვად და ყურნი სასმენად“...

ამ დროს სიმღერითა და სიცილ-ხარხარით ოთახში შემოიცივდნენ ეკოციმილი და რამდენიმე ცქრილა გოგონა.

ეკოციმილი წინ შემოიჭრა. გოგონებმა კი მოსდევდნენ სახუმარო სიმღერით რუსულ ენაზე: „Прицепил я тебе жезть, жезть!“¹

ეს სიმღერა ამოღებული იყო ოპერა „ტრავიატას“ მესამე მოქმედების გუნდის სიმღერიდან და ქუთაისში სახუმარო ექსპლეტების სამღერლად მიეჩნიათ. მღეროდა ცა და ქვეყანა, ქუჩაში, ოჯახებში, საყრებულოში, ყველგან, განსაკუთრებით, თუკი ქალიშვილებიც ერივნენ შეკრებულებაში.

აქ კი, როცა თავისებური ხუმრობით საქმე გაუჭირვა ეკოციმილმა ქალიშვილებს, ისინი მოულოდნელად მიცვიდნენ და უმღერეს „უესტი“. ეკოციმილი ვითომ გაუსზლტა მათ, ისინი

¹ „მოვაბი მე შენ თუნუქი, თუნუქი“

დაედევნენ და მოსაუბრეებთან ამოყვეს თავი. აქ უკვე თვითონ ეკოციმილი მოუბრუნდა გოგონებს და სათითაოდ სიმღერით ჩამოუჩიდა ყველა გოგოს „ჟესტი“, რამაც გამოიწვია ყველა იქ მყოფის ძვილ-ხეილი და როგორც იმერლები იტყვიან — „სიცილ-ტყვარალი“.



გამოეძებნათ ერთი მოხერხებული ადგილი და ცალკე მიმსხდარიყვნენ რიაბინინა, ბაბო გავლენიშვილი და ვამეხი. მათ თავს ადგნენ ბეგი და ზეითო. ორატორობდა რიაბინინა. ბაბო და ვამეხი ყურადღებით უსმენდნენ, ბეგი კი თითქოს ულაპედა მარინას ყოველ სიტყვას. საერთოდ მარინა მის თვალში თანდათან მალღებოდა და გარდა მისდამი მოურევნელი სქესობრივი აღტკინებისა, ბეგის იზიდავდა რაღაც სხვა, უფრო მაღალი რამ, თითქოს სულ ახალი ქვეყანა იშლებოდა მის თვალთა წინ. თანდათან უმტკიცდებოდა ის აზრი, რომ ისიც აზროვნებით ისე ამალღებულყო, როგორც მარინა, რომ ბევრი რამ, რაც მას ვერ გაეგო მარინას მსოფლმხედველობისაგან, მისთვისაც გასაგები გამხდარიყო ახლაც ასე შეფრთხინით შესცქეროდა მარინას.

ზეითო კი ლამაზ პოზაში იქვე ახლო მდგარ მრგვალ მაგიდას დაყრდნობოდა და ტუჩ-ამრეზით უსმენდა მარინას.

მარინა ამბობდა:

— თანამედროვე ქალი არამეტუ მარტო გონებით არის მამაკაცის თანასწორი, არამედ ის ზნეობრივად უფრო მაღალია მამაკაცზე. ქალი მამაკაცივით სიყვარულში თავის ვნებათაღელვის წუთიერ დაკმაყოფილებას კი არ ეძებს, არამედ მიესწრაფვის კაცობრიობისადმი თავის მოვალეობის აღსრულებას...

აქ ზეითომ ხმა აიმაღლა:

— ოტო ვეინინგერი კი ჭაფულს ჭაფულმარის არის. იცნობთ ვეინინგერს? მამარათა ზეითომ ვამეხს.

— არა, არ ვიცი, ვინ არის. — ნელა შეეპასუხა ვამეხი.

— ოო, დიდ მოდაშია ახლა. დიდი მოაზროვნეა. სრულიად ახალგაზრდამ, 23 წლისამ, კი მოიკლა თავი, მაგრამ ახლა საქმე ეს არ არის... ის ამბობს ერთ ჟაჟის ნაშრომში სრულიად საწინააღმდეგოს, ვიდრე აქ ითქვა ახლა. ის ამტკიცებს, რომ მამაკაცი ქალზე სულიერად უპირატესია. რომ ქალი განსაკუთრებით სქესობრივი არსებაა და სხვა არაფერი. ამიტომაც ის ქალთა ემანსიპაციის დიდი მოწინააღმდეგეა...

ბაბო და ვამეხმა მარინას გადახედეს, მაგრამ ის უკვე გარინდული იყო, თითქოს სულ სხვა რამეზე ფიქრობს და ზეითოსთვის ყური არც კი დაუდგიაო.

ალაჩი ზეითოს დაუცდია. შებრუნდა და მიმავალმა თავისთვის ჩაილაპარაკა:

— არ მიყვარს „ჰკვიანი“ ქალები! ბეგიმ გაიგონა. მიმავალ ზეითოსკენ თვალეზი გადააბრიალა და უნებლიეთ ხელი ზანჯლის კოტასაკენ წაუვიდა.

ამ დროს მათ წინ ჩამოიარეს მოცეკვავეებმა. ზოგს ახლა დაესრულებინა, ზოგი ემზადებოდა. ჩამოიარეს სხვებმაც: აქ იყვნენ ქუთათური ლამაზმანები, რუსი ოფიცრობა, ჩვენებური ჩოხოსნები, ხანდაზმულები, ახალგაზრდები. კარგი სანახაევები იყვნენ კოხტად მორთულ-მოკაზმულები. მათ დანახვაზე რიაბინინა თითქოს ფიქრებისაგან გამოერყვა, მიმართა უფრო გავლენიშვილს:

— როცა ასეთ ბრწყინვალე შეკრებულებაში ვიმყოფები, ასეთ მორთულ და მოკაზმულ ხალხში, როცა შევეცქერი მათ ნაძალადებს, ზელოვნურ ღიმილს და მესმის მათი მღარე ხარისხის საუბარი, გაცვეთილი ფრაზები, როცა ვუყურებ მაქმანით, ბაფთით დაყვავილებით მოფარულ ჩემს უცნობსა თუ

ნაცნობ ქალებს, სევდა შემოჰყრობს ხოლმე. თვით ჩემი ნაცნობებიც, განურჩევლად სქესისა, ისე უბუნებოდ გამოიყურებიან, რომ მათი შემხედვარეც ვნაღვლიანდები. მაშინ საშინელ სიცარიელესა ვგრძნობ, მარტოობას და არასოდეს ისე არ განვიცდი ცხოვრების ნაკლოვანებას, არარაობას, როგორც ამ წუთებში...

ბაბო და ვამეხი ყურს უგდებდნენ, მაგრამ ბეგი კიდეც მეტი გულმოდგინებით გაკვირვებული იყო:

— საკვირველია! მარინას ასე უყვარს საზოგადოებაში ტრიალი, ადამიანები, მეტად თანაზიარი აღამიანია და ამას რას ამბობს? მეც ძალიან მიყვარს შეკრებილებში ყოფნა. რა ვქნა, რატომ არ მესმის მისი აზრი, რა უნდა ამითი თქვას?... აჰა, მგონი მივაგენი... მაგას არ მოსწონს სიყალბე... თვალთმაქცობა აღამიანების... აქი თქვა—ნამძალადევი, ჩელოვნური ღიმილიო... ასე უნდა იყოს, ასე... — დაუღასტურა თავის თავს ბეგამ და ისევ მარინას დაუგლო ყური.

— თუმცა მე მიყვარს ასეთი ჩემი განცდა, ასეთი ჩემი შეგრძნობა, მიყვარს ეს მალალი წოდების ხალხი, მისთვის რომ მძულდეს... კარგად გამიგეთ?

ბაბომ სათნოდ გაუღიმა. ვამეხმა თავი დაუქნია. ბეგამ ვერ გაიგო. რა არის ეს? თუ უყვარს, როგორა სძულს? გაახსენდა: ოდესღაც წაკითხული ჰქონდა— „მიყვარს და მძულს, მძულსა და მიყვარს!“ მაგრამ აკაკი წერეთლის ამ ფრაზისაც მაშინ ვერაფერი გაიგო ბეგამ. ახლა გაოცებული იყო.

მარინა განაგრძობდა:

— მიყვარს იმის განცდა, თუ როგორ აელერდება ჩემს სულში ყველაზე უფრო სევდიანი სიმები, როდესაც მე ქვეყნის ესეთ ამაოებას შევცხები.

ბეგი კიდეც უფრო ჩაუღრმავდა თავის ფიქრებს:

— არა, არა, მე უთუოდ უნდა მესმოდეს მარინასი... ჩემი მარინასი, ჩემი

ღვთების... მე უნდა შევქმნე მისი „უჩენიკი“, ის ჩემი უმცირესი ამას არ ვეტყვი, მაგრამ ეს ასე იქნება... ჰა, ჰა! — კინაღამ ხმამაღლა გაეცინა. სულ სხვა რამეზე გადაუვიდა ფიქრი: — ტანისამოსს გამოვიცვლი... ამ ჩოხას გადავაგდებ და ევროპულად ჩავიცვამ... — დაიხედა წელქვევით მისი მოსიწმული წულა-მესტები ცოტა დაენანა, მაგრამ ამაზე ფიქრი აღარ შეუჩერებია.



ამასობაში გახურებული ქალაქის თამაში იყო მიჩენილ ოთახში.

უეცრად უცნაური მორთულობის კაცი შემოვიდა: ეცვა გრძელი, საღამური ხალათი, ევირა გრძელი ყალიონი, თავზე ეხურა ქალის იარაღიანი, ფეხები ფოსტლებში ჰქონდა გაყრილი.

პირველ ხანად მოთამაშეები ისე იყვნენ გაბოთლნი, რომ არავის შეუმჩნევია ამ კაცის შემოსვლა, მაგრამ როდესაც ერთ მოთამაშეს ხალათიანი კაცი თავზე დაადგა, აიხედა და ჯერ განცვიფრდა, შემდეგ კი წამოიძახა: „უი, უი, შენ დაგწყველა ღმერთმაო“, და თან სიცილით ყველას ანიშნა, ერთი შეხედეთო.

აიხედეს და ყველას სიცილი წასკდა. ერთმა კი წარმოთქვა:

— წვერები ვერ დაუმალავს, წვერები, თორემ კაცი ვერ იცნობს.

მეორე შეექრა:

— კაცი, ეგ ხომ...

მაგრამ ხალათიანმა დათავება აღარ აცალა:

— ჩუ! თუ ღმერთი გწამთ, ჩემი სახელი არ ახსენოთ... ეგების კარტმა ვერ მიცნოს...

ეს კალისტრატე ჩიკვაძე იყო. ატა-ტოპ რჩევა ზუსტად შეესრულებინა.

მოთამაშეებში ატყდა სიცილ-ხარხარი. ეს ამბავი მოედო მთელ კლუბს და დიდი მხიარულება შეიტანა იქ დამსწრეებში.

ვახშმის მსურველი ბევრი აღმოჩნდა. მთავარ დარბაზში ორი დიდი სუფრა გაიშალა და ცალკე ოთახებშიც დაიდგა ცალ-ცალკე მაგიდები.

ღიასახლისი გაბარებული იყო, რადგან ვახშმის შემოსავლიდანაც საღამოს კარგა უხვი ნაწილი დარჩებოდა.

ის-იყო სტუმრები უნდა დამსხდარიყვნენ და ეძებდნენ ერთი მეორეს, რომ ვისაც ვისთან უნდოდა იმასთან მოხვედრილიყო. ამის გამო ზოგი მიდი-მოდიოდა, ზოგი ჯერ კიდევ ფეხზე იდგა და ელოდებოდა თავისიანს, ზოგი უკვე ჯდებოდა. საერთოდ კი სუფრის გარშემო ხალხი ირეოდა, სწორედ ამ დროს სხვების შეუმჩნეველად ატატო მივიდა ღიასახლისთან და ცალკე გაიხშო.

მან სთხოვა, რომ ღიასახლისს მისგან ქოხში შეგროვილი ფული ჩაებარებინა. ღიასახლისს გაუკვირდა:

— რა იყო, რა ამბავია, რა გაჩქარებს?

— მაჩქარებს ის, რომ უსათუოდ უნდა წავიდე...

— რატომ? რისთვის?

— მიტომ, რომ აქ მიცნობენ, რომ ქოხში მე ვიყავი და დღეს ბევრს ისეთი რამ ვუთხარი, ხეირს არ დამაყრიან.

— ოჰ, ბეჩა, ატატო, მაგას რა უურადლებას აქცევ... ყველამ იცის, რომ შენ ხუმრობდი და...

— არა, გენაცვალე, არა... ამალამ მე აქ არ დამეღგომებდა...

— ვახშამი, ქალო?

— ჰოდა, სწორედ ვახშამზე ვერ დავრჩები. გენაცვალე, ძალიან გიხევეწები ფულები ჩაიბარო.

ღიასახლისმა შეამჩნია, რომ ატატო დაბეჯითებით თხოულობდა გაშვებას და თუმცა ერთი კი უთხრა — „ამალამ რომ ვერ გნახონ, ხვალ ხომ მაინც გაიგებენ რომ შენ იყავი“, მაგრამ ხვალის „დარდი“ აღარ იქონია ატატომ და თავი გაითავისუფლა.

კიბისაყენ რომ მიდიოდა, ატატოს მითო დაწვია, ჩაჰყვა სუფრაზე და მონახა ერთი ნაცნობი მეეტლე, მოელაპარაკა, ფულიც მისცა, შემდეგ ჩასვა ეტლში, ხელზე აკოცა და გაისტუმრა მალაქისაკენ. თვითონ კვლავ დარბაზში შებრუნდა, მოძებნა დავამარა და ბარონესას ახლოს მოისვია. ბარონესას გვერდით ბეგი და მარინა უჯდა. მათ პირდაპირ კი დასხდნენ ბაბო და ვამეხი.

ერთი დიდი სუფრის თავში გუბერნიის მარშალი დაჯდა, გვერდით, ერთი მხრით, კურინის პოლკის მეთაური, გვარად პოდპოლკოვნიკოვი მოისვია და, მეორე მხრით, კიდევ ვიცე-გუბერნატორი ბარონ ფონ ბრაუგენი. მარშალმა ერთხანს გიორგი შარვაშიძეს დაუწყო ძებნა, მაგრამ შეიტყო, რომ გიორგი ცოტა ხნით გასულიყო კლუბიდან, დაებარებინა რომ ამ ერთ საათში დაბრუნდებოდა.

მარშალი მიხვდა, „რამიაც იყო საქმე“. გიორგიმ კარგად იცოდა, რომ ასეთ, თითქმის ოფიციალურ შეკრებულებაში პირველად უთუოდ ხელმწიფე-იმპერატორის სადღეგრძელოს დალევდნენ და აირიდა ამის დასწრება. აირიდა იმიტომ, რომ ხელმწიფის კარზე გიორგი ბოლო ხანებში შემომწყრალი იყო. მიხვდა ამას მარშალი, მაგრამ არავის არათფერი არ უთხრა.

ღიასახლისი ერთხანს თავს დატრიალებდა, როგორც თავისი ქმრის სუფრას, ისე სხვა მაგიდებსაც. სთავაზობდნენ — არა ჩვენთან დაბრძანდი, არა ჩვენთანო, მაგრამ ის იმიზეზებდა, ფარდულების ანგარიში უნდა ჩავიბაროო და კარგახანს არსად არ დამეჯდარა.

პირველ ხანებში მხოლოდ ნელი ხმავრობა მოისმოდა მაგიდებიდან, — თეფშებისა და დანა-ჩანგლის ჩხრიალი, ნელი ბუტბუტი ადამიანებისა, სადღაც

წუთიერი ჩაისკისება ქალისა და კვლავ წესიერი მსვლელობა „პურადღებისა“.

აგერ მარშლის სუფრაზე, მარშლისავე სურვილით, თამადად თავადი ჩიჯავაძე აირჩიეს. ამაზე სუფრა ცოტა ახრიალდა, ზოგი ფეხზე წამოდგომით ულოცავდა ახლად არჩეულს, სკამების გაჩოჩებ-გამოჩოჩება იწყებდა ხმაურს, ზოგიც ჭიქას ჭიქაზე უჯახუნებდა ჩიჯავაძეს. ბოლოს, ყველანი რომ დალაგდნენ, ოფიციატებმა იმერულად ქინძითა და მხრით შეკაზმული მოხარშული ზუთხი ჩამოატარეს. ოფიციატებს ევროპული ფრაკები ეცვათ და ხელუბნენ თეთრი ხელთათმანები-ცდილობდნენ ზრდილობიანად და მოხდენილად მიერთმით სანოვაგე სტუმრებისათვის.

ჩიჯავაძე შეუდგა თამადაობას და, უწინარეს ყოვლისა, გამოითხოვა მის სუფრასთან მსხდომთა ნებართვა, რომ რაკი სხვა სუფრებიც გაშლილია და ცალ-ცალკე სხედან სტუმრები, მათაც თავთავიანთი თამადები აერჩიათ, მხოლოდ მთავარ სადღეგრძელოებში ერთი მცორეში ურთიერთობა გვექნდესო. ეს ყველამ მოუწონა და მისმა წინადადებაზე ყველგან გაჭრა.

სუფრა წაიდა თავისი გზით. დაილია სადღეგრძელოები აგრეთვე გუბერნიის მარშლისა, რაზედაც უმრავლესობამ იმედი გამოთქვა, რომ თავადი სიმონი ისევ ეწინამძღვრებდა იმერეთის თავად-აზნაურობას; დალიეს სადღეგრძელო გიორგი შარვაშიძისა, ბარონესასი, როგორც პეტერბურგში გაღვნიანი ქართველი ქალისა და კიდევ ბევრი სხვა საპატიო პირისა.

ჩიჯავაძე თავს არ ზოგავდა, რომ მახილსიტყვაობით შეემყო სადღეგრძელოები.

გიორგი შარვაშიძის დღეგრძელობისა კი წამოდგა ერთი, არცთუ ისე ზნეირი, დარბაისელი ქალი და თამადას სიტყვა სთხოვა. ნებართვის მიღების შემდეგ ამოიღო ეგრეთწოდებული

ფოსტის ქაღალდი და თუმცა ხელუბნოდნაე უთრთოდა, მაგრამ ნაწინაც, მან ფიოდ წაიკითხა ასეთი საკუთარი ლექსი:

დიდო თავადო, შენ ხარ ბრწყინალე,
როგორც თავადი და როგორც კაცი!
გულთ კეთილი, ნიჭით აღსავსე
სიტყვით და საქმით მწნე და მაპაცი
გიყვარს სამშობლო და მისთვის იღწე,
ზოგჯერ კალმითაც დაუღალავად...
გინდა, რაც წმინდა ჰქონია შენს ხალხს,
რომ იმას შერჩეს შეუბღალავად.
იყოცხლე მარად, ჩვენი ნუგეშო,
გულის გამგზირი ჩვენი მტერისა!
სულ იღვგრძელე. დიდო ბატონო,
უცხო გვირგვინო ჩვენი ერისა!

ამას მოჰყვა დიდი ტაში, რადგან, ჯერ ერთი, ყველას გიორგი შარვაშიძის დიდი პატივისცემა ჰქონდა და, მეორე, ჩვეულებრივ შაბლონურ სადღეგრძელოებს უეცრად შეეჭრა ლექსი და ამან საზოგადოება გამოაცოცხლა. ბევრი კითხულობდა, ვინ არის ლექსის ავტორიო და გამოირკვა, რომ ეს იყო ერთი მოკრძალებული კნენიათაგანი, მშვენიერი ოჯახის პატრონი, ქმრის ერთგული მეუღლე და შვილების კარგი აღმზრდელი, რითაც საზოგადოებაში კარგი სახელი ჰქონდა მოპოებული. იმავე დროს, ბევრმა არ იცოდა, რომ მას ლექსების თხზვაც უყვარდა, რადგან არსად ის არ იბეჭდებოდა, არცთუ ხელნაწერებით ავრცელებდა თავის ნაწერს. თავისთვის იმთაყოფილებდა თავის ესთეტიკურ მოთხოვნილებას და აქა-იქ საზოგადოებაში, როგორც ახლა, თუ გამოკრთებოდა თავისი ნაწერი.

ყველა ულოცავდა ლექსის ავტორს. თვითონ გიორგიც მოვიდა მასთან, ხელზე აკოცა და ცოტა უსაყვედურა:

— ეგ ნამეტანი მოგივიდა, ანეტა, რომ „გვირგვინო“ მიწოდე. გადაჭარბება არასოდეს არ არის კარგი.

— არა, ბიძა გიორგი. — შეუბრუნა ანეტამ. — მე გულწრფელად მოგახსენე, რასაც ვგრძნობდი, და თუ გეწყინა, ეს ახლა მეც ძალიან მწყინს.

— მე არაფერი არ მწყენია, ანეტა, მხოლოდ გადაქარბებაზე ვამბობ. ისე კი, მე ძალიან გამეხარდა, რომ ლექსების წერა შეგძლებოდა. თუმცა ეს არ არის გასაკვირი. ეს უნდა მოგდგამდეს... შენ ხომ აკაცი წერეთლის დისწული ხარ...

— კი, ბატონო... — თითქოს დარცხენით წარმოთქვა ანეტამ...

და რამდენიმე წუთის შემდეგ, ვინც არ იცოდა, იმანაც გაიგო, რომ დღევანდელი მეღექსე იყო დიდი აკაცის დისწული, ანეტა დაღეშქელიანი.

ეტყობოდა, რომ ღვინო თანდათან ეკიდებოდა ხალხს. ხმამაღალ ლაპარაკს უმატეს, ჰაერში მეტი გუგუნი გადგა. ვაჟთა ხარხარი და ქალების ჩაკისკისება უფრო გახშირდა.

ამასობაში მიტო დაგმარას სხედასხვა ერთიკიულ რამეებს აწვეთებდა ყურში. ზოგჯერ თითქოს სხეების შეუმჩნევლად წელზეც ხევდა ხელს. დაგმარა იწამწნებოდა, წითლდებოდა, მაგრამ დიდ წინააღმდეგობას არ უწევდა.

უეცრად ვაშებისა და ბაბოს ნაუბარისაგან მიტომ გამოიჭირა სიტყვა „ბრძენი“. ჩაიცინა. დაგმარას გაღუღაპარა:

— ჰა, ჰა! ბრძენი მე ვარ... მე ვარ, რადგან კარგად ვიცი, რომ ბრძენს უფლება აქვს, დაარღვიოს ყოველნაირი, საზოგადოებაში მიღებული მორალი, ოღონდ ამ დარღვევას უნდა შეურჩიოს მოხერხებული დრო და ალაგო...

ამას ლაპარაკობდა მიტო, მაგრამ თავის გუნებაში უკვე აწრიალებული იყო. ჩქარობდა, რომ განზრახული მალე შესრულებინა: მოხერხებულ წუთს გაეტაცნა დაგმარა. ამიტომ უკვირდებოდა იქაურობას. სუფრა ჯერ კიდევ არ იყო ძალზე ასრიალებული. შეიძლება ვისმე შეემჩნია მისი განზრახვა და აზიარებულად ვეღარ გააპარებდა დაგმარას. დაგმარასი კი მიტოს რატომღაც არ ეში-

ნოდა. ძალიან დარწმუნებული იყო, რომ ის უკვე მონადირეა და არაერთი წინააღმდეგობას არ გაუწევდა. თან იმას ფიქრობდა — „აი როგორმე დროებით ცეკვა გაჩაღდებოდეს, მაშინ უფრო მოხერხებული იქნებაო“. და უცდიდა სხეებს. ამის ინიციატივა თვითონ არ უნდოდა აედო.



ერთ განაპირა სუფრას უსხდნენ ოთხნი: ერთი ვოლკოვი, ერთიც სლავსკი. ორი კიდევ აგრეთვე რუსი მოხელე. ისინი ტბილად შეეჭკოდნენ ვახშამს, მაგრამ დროდადრო შეკამათების ხმებიც ისმოდა.

დიდ სუფრაზე მღეროდნენ ქართულ მრავალკამიერს და მწყობრი სიმღერა გამოუდიოდათ.

ამ დროს მთელს დარბაზში სინათლე ჩაქრა და წყვილიაღმა მოიცვა იქაურობა.

პირველად მხოლოდ შეკვირება გაისმოდა დარბაზში: „ოჰ, ოჰო!“ მაგრამ როდესაც სიბნელე გაგრძელდა, ჰაერში რაღაც ქაღალდების შრიალი მოძმა და ზოგიერთ ქალს მეკრღზე თუ სახე-პარზე დაეცა, მაშინ კი გაისმა წივილ-კივილი, სუფრაჲ აიშალა და თითქმის ყველანი ერთი მეორეში აირიენენ.

ერთ ოც წუთს მაინც გაგრძელდა სიბნელე.

იქა-აქ ვილაცხებმა ასანთიც აანთეს, მაგრამ საერთო წყვილიაღს მაინც ვერ დასძლიეს, მხოლოდ თავის ახლომახლო შეამჩნიეს აწრიალებული ხალხი და ირგვლივ ბლომად დაყრილი პროკლამაციები.

ჩიჯავაძესაც ხელში მოხვედროდა ერთი ასეთი ფურცელი და გაჰყვიროდა:

— აი, ბატონებო, სანამდის მივიღა უტიფრობა ჩვენი „ცოციალისტებისა“.

აქაც კი, აქაც, თავდაზნაურთა ნადიმ-ზე, გაბედეს და გადმოჰყარეს პროკლამაციები. ახლა ის-ღა გვაკლია, რომ გადმოვდგეს ვინმე ორატორი და მიტინგი გაგვიმართოს.

ამ დროს განათდა. ძალიან არეული იყო დარბაზი. თავის ალაგას ბევრი აღარ იჯდა. მხოლოდ გუბერნიის მარშალი, გიორგი შარვაშიძე, ბარონესა თავის მარინათი და ბეგით, ვამეშბი და ბაბო არსად არ დაძრულიყვნენ. ზოგი ქალი გულწაუსული იყო და კიდევ კარგი თავისიანების გულ-შეკრდზე იყო მიყრდნობილი, ზოგი კი სულ სხვა ხალხში მოხედვრილიყო და ახლა თავისიანს ეძებდა. საერთოდ, ერთი მეორის ძებნა გახშირდა. ერთი მეორეს უყვირიდნენ, ეძახოდნენ. ბევრი არსადა ჩანდა.

არსად ჩანდნენ მიტო და დაგმარაც.

პირველხანად ამისათვის დიდი ყურადღება არ მოუქცევიათ. გუბერნიის მარშალმა დაამშვიდა იქაურები და მოუწოდა განეგრძათ ნადიმი.

სლავისკის მიეტოვებინა ვოლკოვის სუფრა, სცენის კულისებში მოეძებნა ტროფიმი და მისი ამხანაგები და ამხნევებდა:

— Молодцы, ребята, молодцы.

ტროფიმი ხითხითით უარობდა, ჩვენ რა შეაში ვართო, მაგრამ სლავსკი არ უჯერებდა, იცოდა, რომ მისი და მისი ამხანაგების ოინი იყო პროკლამაციების გადმოყრა და გააფრთხილა:

— გასწით ახლავე, დაიკარგეთ აქედან, თორემ ადვილად შეიძლება თქვენზე ექვი აიღონ, თქვენ კი არხეინად აქ იმყოფებით.

ჩნევა მოეწონათ. მართლაცდა, რას დაურჩნენ? ეათომ დეკორაციები და რეკვიზიტი ჰქონდათ მისალაგებელი იმისათვის, მაგრამ ამას ხომ დიდი ხანია მიაღებდნენ, — კონცერტის დამთავ-

რების შემდეგ, სინათლის ჩაქრობამდე, რამდენიმე საათი იყო გასული.

არა, ცხადია, შეიძლებოდა ექვი აეღოთ, რადგან ელექტრონის მთავარი რეოსტატი მათს ხელში იყო.

სწრაფად გაცუხცუხდნენ. ტროფიმი მაინც შეჩერდა და სლავსკის მიმართა:

— თქვენ კი, ლევ ბორისოვიჩ, გატყობთ, რომ როგორღაც ვერა ხართ გუნებზე...

— ეჰ, ტროფიმი ივანოვიჩ, მე ახლა ერთ ისეთ ზუბრს შეგზვდი, რომ ვის არ გინდა, იმას წაუხდენს გუნებას.

ტროფიმი შეშფოთდა:

— თქვენ ხომ არაფერს დაგიშავეთ?

— არა, ჩემთან რა საქმე აქვს, მაგრამ საერთოდ საწყენია, რომ ასეთი ხალხი კიდევ ურევია ჩვენს ინტელიგენციას.

— ვიცი, ვიცი, ლევ ბორისოვიჩ, მაგრამ ეგენი ხომ საშიშები არ არიან! აკი იცით, რომ რუსი და ქართველი მუშები ერთად ვართ, ერთი მეორის მფობრები ვართ, ჩვენი პარტიის ინტელიგენციაც, სულ სხვადასხვა ეროვნებისაანი ერთად და ერთ საქმეზე მუშაობენ. თქვენ ნუ დაღონდებით, ლევ ბორისოვიჩ! — ერთი ჩვეულებრივად ჩაჩხითხითა ტროფიმმა და თავის გზას გაუღმა.

ამ დროს შეიქნა კიბეებზე არბენ-ჩამორბენა, კლუბის დარბაზებსა და ოთახებში ვიდასიც ძებნა.

თან შეკითხვებზე გაისმოდა, რომ „ბარონესა ფონ იესკულ-შტანგის ქალიშვილი დაგმარა დაიკარგათ“.

ყველა შეშფოთებული იყო, არ იცოდნენ, რა ეთქვათ, რა ეფიქრათ. რასაკვირველია, ყველას გულს ახლო არა წვდებოდა დაგმარას დაკარგვა, მაგრამ როგორც სენსაციური ამბავი, ამდენს შეკრებილებასში, ასეთი თვალსაჩინო პიროვნება მოულოდნელად რომ გაქრა, ყველას აცვიფრებდა.

¹ ყოჩაღები ხართ, ბიჭებო, ყოჩაღები!

ყველაზე გვიან ბარონესა, დაგმარას დედა, შეშფოთდა. ესეც უფრო მას შემდეგ, რაც მარინამ და ბეგიმ მოირბინეს კლუბის ყველა კუთხე და დაგმარა ვერსად ვერ აღმოაჩინეს.

ბეგიმ მაშინვე ეჭვი აიღო: დაგმარა მიტოვებდა იქნებ. ის ერთი თავზე ხელაღებული ვინმე ყოფილა და სიბნელის დროს ძალითაც კი გაიტაცებდა, დაგმარას თუნდა ეყვირა კიდეც, ამ საერთო ხრიალში და ქალების წივილ-კივილში ვინ რას გააჩნევდაო. ეს გაუზიარა კიდეც მარინას და თან მოინდომა: დავედევნები, უთუოდ აქ, სადმე სასტუმროში შეიყვანაო, მაგრამ მარინამ შეაჩერა:

— არა მგონია, რომ დაგმარა ძალით იყოს გატაცებული... მხოლოდ, თუ თვითონ თანახმაა, ის უკვე სრულწლოვანია და ჩვენი ჩარევა საქმეს არ უშველის.

ბეგი მაშინვე დამორჩილდა. მისთვის მარინას აზრი, ეს უკვე ერთი ხანია, კანონის მსგავსი გახდა.

სხვა ბევრიც იყო დაგმარას მძებნელი, მაგრამ ყველაზე უფრო მეტი გულმოდგინება მაინც ხვითომ გამოიჩინა.

არ იყო გასაკვირი. დაგმარას დაკარგვით ის კარგავდა დიდ მზითვეს და დიდ კარიერას. თუ მას ცოლად დაგმარა არ ეყოლებოდა, ხვითო არ იყო დარწმუნებული, რომ ბარონესა მის დაწინაურებაზე მაინც იზრუნებდა. ამიტომ იყო, რომ ახლა დიდ გულმოდგინებას იჩენდა და მაინცდამაინც პირველმა მან მოიტანა ამბავი, რომ დაგმარა და მიტო სწორედ კლუბის ჩაბნელების დროს ენახათ მთავარ შესავალ კარებიდან გამოსულები და ისიც შეეჩინათ, რომ ორივენი ქუჩაში კარაბახის ეტლში ჩამსხდარიყვნენ და წასულიყვნენ. ამას ამტკიცებდნენ კლუბის კარებთან მდგარი მეეტლეები და ხვითოს მათი ნაამბობისა გულთ სჯეროდა. მას ისე დაწვრილებით გამოეკითხა ეს

ამბავი მნახელთათვის, რომ ისიც იცოდა, რომ კლუბიდან ამ დროს სხვა ვინმე გამოსული არავინ ენახათ. ერთ მეეტლეს „კინაზი მიტო“ შეეცნო კიდეც. სხვებიც ადასტურებდნენ, რომ „კავალერი“ თეთრ ჩოხა-ახალუხში იყო გამოწყობილი და ერთი ლამაზი ახალგაზრდა ქალიშვილიც თან ახლდაო. მხოლოდ ამ ქალიშვილის ვინაობა არავინ არ იცოდა. ხვითოსთვის კი ცხადი იყო.

და აი ეს ამბავი ხვითომ პირდაპირ ბარონესას მოუტანა.

ბარონესას უკვე ხალხი ეხვია და გარდა უბრალო ნუგეშისა, რომ „მოძებნებაო“, სხვას ვერაფერს უბედავდნენ, რადგან გაჩვენულად ბარონესა ისე გამოიყურებოდა, რომ მისი გამოჩეჩვებულება თითქმის ყველას ეუბნებოდა: „თქვენი ნუგეში არ მჭირდება“. შინაგან კი აღშფოთებული იყო და თითქმის გული უგრძნობდა, რომ სასიკეთოდ არ იყო დაგმარა გამქრალი. მხოლოდ ხვითოსაგან მოტანილი ამბის შემდეგ კიდეც უფრო აუფორიატდა გუნება. ეს კი წარმოთქვა:

— მმ!.. რასაკვირველია!

მაშინ მიესივნენ. ხვითოც და სხვებიც ურჩევდნენ, რომ აღმინისტრაციისათვის მიემართა. განსაკუთრებით ჩიჯავაძე იჩემებდა ამას:

— ბარონესა, მერწმუნეთ, გუბერნატორს მიემართოთ და იმას სად დაეკლებიან? ახლაც განკარგულებას გასცემს და სულ ჩიქჩიქით მოიყვანენ იმ გველენიშვილს და შენ ქალსაც მოგვკრიან. დღესვე, ამაღამვე..

მაგრამ ბარონესამ უარის ნიშნად თავი გაიქნია.

მაშინ ჩიჯავაძე მარშალს მივარდა, იმას მაინც მიეღო ზომები, გიორგი შარვაშიძესაც სთხოვდა, მაგრამ მათ არ თანაუგრძნეს.

გიორგიმ მხოლოდ ფრანგულად ჩაილაპარაკა: je faut que jeunesse se

passee! („ახალგაზრდობამ თავი უნდა მოიგვიანოს“).

მარშალმა ისიც კი უთხრა:

— ეგ ახალგაზრდობის ბრალია... არაფერი ასეთი ასაშფოთებელი არა არის-რა... შეირთავს, ჯვარს დაიწერა, მხოლოდ რატომ ვერ მოიფიქრა იმ ახალგაზრდამ, რომ მშვიდობიანად ეთხოვა, წინააღმდეგი არავინ ეყოლებოდა... ნე ასე მგონია... მაგრამ სიყმაწვილს ბრალია! То сил избыток, то кровь кипит!

— ეგ ზომ აკაცისაც ჩინებულად აქვს ნათქვამი: — ჩაერია გიორგი — „სისხლი თამაშობს მოჭარბებული და გულს მისგან ანაძგერია“.

ბარონესას კვლავ ბევრი ადგა თავს. ბაბო გავლენიშვილი გვერდით მოჯდომოდა, მეორე მხრით მარინა, ვამეხი, ბეგი და ხვითო მათი სკამების უკან იდგნენ. მარშლის ცოლიც აქ იყო და კიდევ სხვა ბანოვანები... მაგრამ არავინ არაფერს აღარ ლაპარაკობდა. მაშინ როდესაც სხვა კუთხეებში ხმადაბლა, მაგრამ მაინც ერთგვარი გუგუნე იყო გამდგარი მომხდარ ამბის გამო, აქ სრული სიჩუმე სუფევდა.

ბარონესას უკვე თავი ჩაეღუნა, მკლავები მაგიდაზე ჰქონდა დაკრძნობილი და ეტყობოდა, რომ შიშვე ფეხს მისცემოდა:

— ჩემი ბრალია, ჩემი! ვერა, ვერა აღვზარდე თურმე ჩემი შვილი ისე, როგორც საჭირო იყო... მეტად განმეზღვრებული... სრულიად გამოუცდელი გამოვიყვანე ცხოვრებაში... ფრანგულ რომანებზე აღიზარდა და... საერთოდ კი ბავშვია სრულიად, უმანკო, არაფერი არ ესმის ცხოვრებისა, არცა აქვს თავისი დამოუკიდებელი აზროვნება... დღეს, როცა ხვითოზე ვუთხარი, წინააღმდეგობა არ გაუწევია, დამეთანხმა... ახლა? ახლა კი მიტო... და ეს არაერთხარის სქესობრივი ალტკინებით არ მოსდის მას... დარწმუნებული ვარ... ბავშვობით: სხვადასხვა სათამაშოზე რომ თვალეები გაუფაციცდებოდა... ოჰ, ღმერთო ჩემო!

ბარონესამ იგრძნო, რომ გული უღონდებოდა. ტვინში მიინც გაუფეთქა: „ცუდად აღვზარდე, ცუდად!“ და გულწასულმა მარინას მკერდზე თავი მიაყრდნო.

განიცადენი

XXII

კიდევ განიცადენი! — იტყვის მკითხველი და... განა არ ვიცი, რომ ზოგს არ მოსწონს ეს ჩემი „განიცადენი“, ციბედულ!

ერთი ამბობს:

— აგერ, ავია თუ კარგია, მოთხრობის ამბებში რომ ვარ გართული, ამ დროს დაუპატიჟებელი სტუმარივით თავზე წამომაღლება „განიცადენი“, სელს მიშლის ნაწარმოების გაგებაში.

მეორე გაიძახის:

— კაცო, რამდენი რომანი წამიკითხავს და.. (უეცრადავ! ავტორი რომანს არც კი არქმევს ამ ნაწარმოებს... ერთხელ რა გამოუგონა ქვესათაურად:

„ბელეტრისტული მდინარე თავისი შენაკადებით!“ ჰოდა, რაც უნდა ის დაარქვას, ოღონდ მე ხელს ნუ მოშლის კითხვაში... ბევრი რამ მხატვრული წამიკითხავს — ჩვენი თუ უცხოური, მაგრამ არც ერთ მწერალს ეს განიცადენი არ უხმარია. ამან რად იწება? ორიგინალობს?

ამეებზე ავტორს ერთი აქვს სათხოვარი მკითხველთან:

— „თუ „ღმერთი“ გწამთ“, ნურავის ნწერალს ნუ შემადარებთ... ნურც ჩვენსას და ნურც უცხოურს. კლასიკოსებისაგან კი „ღმერთმა დამიფაროს“... ჰო, დავილუპები და არ მინდა! შენ

„ზილი იხილე“, მკითხველო... ერთს ვერძნობ: ამ „განიცადენისათვის“ „დაუპატიუებელი სტუმარი“ რომ დამერქმია, აჯობებდა, თუმცა დიდებულმა აეკიმი არა თქვა:

ცრემლში მიღსავს ნაღველი
და მელნად ის მიხმარია...
ეტყვილება ზოგს, ზოგს არა,
მაგრამ რა ჩემი პრაღია,
ბუღბული ვარს და გვალზე
თანაბრად მომღერალა!

აჰა, ბუღბულს ზომ შევადარე ჩემი თავი და ესეც შენ, ჩემგან თავგაბეზრებულ მკითხველო!

13

ბარონესა მოასულიერეს. ამის შემდეგ ბაბომ და მარინამ ხელი გაუყარეს და ის-იყო უნდა წაეყვანათ თავის ბინაზე, რომ მარშლის ცოლმა ბაბო ცალკე გაიხმო.

ბარონესა კი მაინც გაუდგა თავის გზას. თან ახლდნენ: მარინა, ბეგი და ვამეხი. ხვითოსაც უნდოდა გაპყოლოდა, მაგრამ შეატყო, რომ ის ზედმეტი იქნებოდა ამჟამად. თავი შეიკავა, იქით-აქით გაიხედ-გამოიხედა, ეკოციმილთან თავისუფალი სკამი დაინახა და გვერდით მიუჯდა. მეტად აღრენილ გუნებაზე იყო, არ იცოდა, რა ექნა, მაგრამ ეკოციმილი აღერსიანად დაუხვდა და მაშინვე ღვინით სავსე ჩაის ჭიქა მიაწოდა. ხვითომ არ იუარა და არაყივით შეცრად დაცალა.

— აგრე არ სჯობს, ბიძია? ღვინო მოგიხდება. — უთხრა ეკოციმილმა.

— ჰო, არ არის ურიგო! — უპასუხა ხვითომ და ახლა თვითონ დაისხა და ესეც შეცრად გამოცალა.

— კარგია, აგრე მოგიხდება, მაგრამ ისე „უპრაგონოდ“ ნუ სვამ. — დაარბა ეკოციმილმა. — აგრე ხედავ, კნიაზი ჩიჯავაძე ისევე განაგრძობს თამადაობას, — მორიგ სადღევრძელს ამბობს... სულ-

რა არ ინგრეჯა... დაგმარას... ამბავმა ცოტა ყველა შეგვაშფოთა, მაგრამ მას თავის გზა აქვს, ჩვენ ჩვენი გზა. მივევით ჩვენი სუფრის მსვლელობას. შენ ახლა დარდიანი ხარ და ცოტა გადაკვრა მოგიხდება...

— რატომ ფიქრობთ, რომ დარდიანი ვარ? — ვითომ იწყინა ხვითომ.

— განა არ ვიცი, ბიძია, — მაინც შეუბრუნა ეკოციმილმა, — საუკეთესო ჩიტი, ბარონესას დაგმარა, გაგიფრინდა...

— უჰ, მაგისტანა ჩიტები რამდენი გინდა, იმდენია პეტერბურგში! — თითქოს უდარდელად წარმოთქვა ხვითომ.

• • •

ამასობაში მარშლის ცოლი ბაბოს ასეთ გეგმას უშლიდა:

— მე რატომღაც დარწმუნებული ვარ, რომ დაგმარას გატაცებაში ატატოც ურევია.

— ვინ ატატოა?

— აი მკითხვათ, რომ იყო. ახლა უკვე საეჭვოდ მიმაჩნია მისი აქედან ისე სანქაროდ წასვლა. ვაშაშაშედაც რომ არ დარჩა. ამ ორ მდგომარეობას — დაგმარას მოტაცებას და ატატოს აღრე წასვლას ერთი მეორესთან კავშირი უნდა ჰქონდეს. მე ამას გამოვარკვევ. ახლა არ შემძლია აქაურობის დატოვება, სანამ სულ არ გავიჭრე სტუმრებს, შემდეგ კი, გამთენიაც რომ იყოს, სახლში არ წავალ, ისე მივადგები ატატოს და დარწმუნებული ვარ, რომ ნამდვილ ამბებს გავიგებ. მერმე, როგორც სჯობდეს, ისე ვიმოქმედოთ... მაშაყავები, ვატყობ, რომ ამ საქმეში მონაწილეობას არ მიიღებენ. ჩვენ ქალებმა ვიცისროთ საქმის მოგვარება და ბარონესაც დავამშვიდოთ, თითქოს არ იმჩნევს, მაგრამ მეცოდება უბედური.

ბაბო დაეთანხმა მარშლის ცოლს. პირობა დადეს კიდევ, რომ ხვალვე ყველაფერს ბაბოს გააგებინებდნენ.

• • •

ეკოციმილი და ხვითო თან ჰქეზებს ცლიდნენ და თან ერთი მეორეს ესაუბრებოდნენ. ეკოციმილმა გაიგო, ვისი შვილი იყო ხვითო, რომელი ხვითიასი და შემდეგ შეეკითხა — „ხომ ცოცხალიაო“, ამაზე დადებითი პასუხი რომ მიიღო, ესეც ჰკითხა:

— მოხუცებული იქნება ახლა. მაინც რაეა?

ხვითოს თვალეზში მზაყვრობა „გაუპწკილდა“ და ასე უპასუხა:

— სულ გამოდურაკდა, ბატონო!

ეკოციმილს ეოცა ეს პასუხი. არ დაუშვალავს. ხმამაღლა წარმოთქვა:

— იფ! ძალიან პატივისმცემელი არ ყოფილხარ შენი მამის?

— აბა რა! მამაჩემი კაცი არ არის თუ?

— საქმეც ეგ არის, რომ კაციც არის და იმავე დროს შენი მამაც. განა მამას პატივისცემა არ მართებს?

— უპ, რა მოძველებულ ამბებს მეუბნები, კნიაზო! ფეტიშები ჩვენ არა გეწაშს. კერპად არავენ არ მიგვაჩნია... მაშა რომ არის, იმიტომ თავზე უნდა დავისვა? არა, ბატონო, არა! იმან თავისი დრო მოჰამა და ახლა თუ დადის, ეს თვითონ კი აღარ არის, ძველი ბახვა... ეს მხოლოდ მისი ქანდაკებაა, მისი გამოსახულება... ანუ უკეთ — ფიტული... ჰა, ჰა, გამოფიტული...

იწყინა ეკოციმილმა. ცოტა უზრდელად შეექრა:

— რას ლაპარაკობ, ბიჭო, არც კი გრცხვენია.

ხვითოს წარბიც არ შეუხრია.

— სიმართლის ლაპარაკში სამარცხენო არა არის-რა. იცხოვრა, დრო გაატარა, ისიამოვნა ამქვეყნად... მეც თავის სიამოვნებისათვის გამაჩინა... ახლა, როცა აღარაფერი შეუძლია, იყოს თავისთვის...

ეკოციმილმა მარცხენა წარბი ზევით ასწია და ერთი ალმაცერად შეხედა ხვითოს.

— შენ, ბიძია, ცინიკოსი ყოფილხარ... ამან გააკვირვა ხვითო: „ამ ჩოხოსანმა საიდან იცის სიტყვა „ცინიკოსიო“, მაგრამ ვითომ ვერ გაიგო, და ასე გადაუსხვაფერა:

— ოო, ცინუკი? ცინუკი ერთ ლამაზ ქალს რქმევია აქ ქუთაისში მერმე რა, ახლოსაც არ მიმიკარა...

— ჰქვიანი გოგო ყოფილა.

— ჰქვიანი კი არა, სულელია... ახლა დრომოწიფული ქალია, თავის კანს ასკდება, თორემ როცა გადამყავდება და მოიხრუკება, ვის რაღად უნდა.

ეკოციმილი გაოცებული ჩააშტერდა ხვითოს თვალეზში.

ხვითო უტიფრად განაგრძობდა:

— მე რომ მკითხო, კაცს თუ კარგი ცხენი გყავს, ისე უნდა გახედნო, რომ ბოლოს ძვალი და ტყავი დარჩეს. თუ ლამაზი და ახალგაზრდა ცოლი გყავს, ისე უნდა გახადო, რომ არაქათი აღარ ჰქონდეს...

— ოჰ, კარგი, კარგი შენი ჰორიშე — აქა-იქ წამოცდებოდა ზოგჯერ ეკოციმილს, მაგრამ ამას ხვითო ყურს არ უგდებდა. ის განაგრძობდა:

— მე ძალიან მაჯავრებს ხოლმე, როდესაც ვინმე მოხუცს ვხედავ, ახალგაზრდასავით რომ გამოიყურება — წელში გამართული, ლოყები ეივლილივით რომ აქვს... სულელი! რად უნდა რომ ეს ჯანმრთელობა შემოუნახავს... ყველა ეს ბუნებისაგან მონიჭებული სიკეთე, საფლავში უნდა ჩაიბნოს დაუხარჯავად...

აქ კი ხმა აიმაღლა ეკოციმილმა:

— შენ, ბიჭო, ვითომ მე მებრძოვები, არა? ადექი, ახლავე „გაიხანხლე“, თორემ...

ხვითოს არ უნდოდა ადგომა, მაგრამ ამ დროს ჩიჯავაძემ დაუძახა და თავისთან მიიხმო, თან წამოიღა და დალია სადღეგრძელო ისეთი ქართული სტუ-

დენტებისა, როგორიც ხვითთა, რომელიც არც ერთ „არაკეთილსაიმედო“ საქმეებში არ იღებს მონაწილეობას და არ „დაციკინობს“ ზოგიერთი კულაბშიცა „ცოცხალისტი“ სტუდენტებით. ჩვენ ამისთანა ნასწავლი ხალხი გვინდა, ჩვენ ვიცით, რომ ბატონ კონსტანტინე ხვითიას დიდ მომავალს უმზადებენ: პეტერბურგში დიდ კარიერას მოეღოს და სწორედ ამისთანები სჭირდება ჩვენს ქვეყანასო.

ყველა ახრიალდა. სვამდნენ ხვითოს სადღეგრძელოს დიდი, პატარა, ქალუბიც დიდი ალტაცებით უერთდებოდნენ წარმოთქმულ სადღეგრძელოს, მხოლოდ ეკოცინილი იყო თავჩაღუნული და თითქოს უაზროდ შესცქეროდა მის წინ მღვარ ღვინით სავსე ჭიქას. ის ძალიან ცუდ გუნებაზე დაეყენებინა ხვითოს ნათქვამს და თან, როგორც კი „ცოლზე“ თქვა ორი სიტყვა ხვითომ, ამან გაახსენა მისი უბედური ცოლქმრობის ამბები, მოუარა მისმა „შავმა მელანქოლიამ“ და თითქმის ამქვეყნად აღარ იყო.

14

შეორე დღეს ქუთაისის „ბულვარზე“ ცოტა გვიან გამოვიდა გუშინ კლუბში ნაქეიფარი ხალხი, მაგრამ მაინც გაიგეს, რომ წუხანდელი ინცინდენტისათვის თეატრსა და კლუბში მთავრობას ყურადღება მიუქცევია, თუმცა მაინცადა მაინც სასტიკი ზომებისათვის არ მიუმართავს.

ლადო მესხიშვილი თვითონ გუბერნატორმა დაიბარა თურმე და მხოლოდ ვითომდა მეგობრული საყვედური უთხრა, თან გააფრთხილა, რომ ასეთი გამოსვლებისათვის თავი დაენებებინა.

ტროფიმ გოლუბენკო და სერგო ქელიძე პოლიცემისტერმა „გოროდოვოების“ თანხლებით თავისთან მოაყვანინა და დიდხანს „ეფაფხურა“, ვითომდა დასაშინებლად. არ დაუჯერა, რომ სინათლე მათგან არ იყო ჩამჭრალი, იმაზე კი დიდხანს აწვალა, ეთქვათ თუ პროკლა-

მაციები ვინ მოიტანა, ვინ გადმოყარა, მაგრამ ამაში არც ერთი არ გამოტყდა და საულ „არ ვიცით, არ ვიტყობ“, იძახეს. თურმე ამაზე გაბრაზდა პოლიცემისტერი, წამოდგა, დაემუქრა: „ორივეს კუტუზკაში ჩაგსვამთო“. ტროფიმს ერთხელ კარგა მაგარი სილაც გააწნა, მაგრამ მათგან მისთვის სახეირო მაინც ვერაფერი გაიგო და ბოლოს ვითომ სულგრძელობა გამოიჩინა, ეს კი თქვა — მივაგნებთ, ვისი დაწყებულიც არის ეს საქმეო, და ბოლოს ორივენი გაუშვა.

ტროფიმმა და სერგომ პოლიციიდან გამოსვლის შემდეგ, ქუჩაში გაიგეს, რომ დღეს დილით იცა რეინაშვილი დაეპატიმრებინათ. მაინცდამაინც არ გაკვირვებიათ, რადგან ტროფიმაც და სერგომაც იცოდნენ, რომ იცა უფრო კურჩის პოლკის ჯარისკაცებში მუშაობდა. ამისთვის თუ დააპატიმრებდნენ, თორემ გუშინდელ პროკლამაციებთან იცას რომ კავშირი არა ჰქონდა, ეს დაბეჯითებით ეცოდნენ. ეს იმერეთის კომიტეტის საქმე იყო.

სლავსკიც დაებარებინა მის უფროსს, სახაზინო პალატის გამგეს, თავის კაბინეტში და დიდად „გაეჯორა“, რომ თეატრის საექვო მუშებთან ასე დაახლოებული იყო. „უთუოდ შენც ამჩნევდი მათ არაკეთილსაიმედობასო“. ისიც ესაყვედურა, რომ შენ, რუსის მოხელეს, არ შეგფერის ადგილობრივ სოციალდემოკრატებთან კავშირის დაქერაო. სლავსკის თავი იმით ემართლებინა, რომ თეატრის მუშებისაგან ის მხოლოდ წარმოდგენის დროს, ტექნიკურ ღებმარებას თხოულობს და სხვა საქმე მათთან არაფერი არა აქვს. სოციალდემოკრატებთან კი არავითარი კავშირი არა ჰქონდა. ამაზე კი გამგეს დაეყვავებინა კიდევ, წარმოდგენებს რომ მართავთ, ეს კარგი საქმეა და აკი ჩვენ ყველანი ამისთვის პატივსა გცემთ, მხოლოდ ფრთხილად იყავით, და ასე გაესტუმრებინა.

მთელი ეს ამბავი პირიდან პირში გადადიოდა და, როდესაც ამის შესახებ კირილე ლორთქიფანიძეც გაიგო, ესა თქვა:

— ეგ არ არის გასაკვირი, რომ გუშინდელი ინიციატორები დემონსტრაციისა ასე იოლად გადარჩნენ, დროა, იმისთანა. ომი იაპონიასთან დამარცხებით მიმდინარეობს, ამ დროს შინ ხალხის წამოქოჩვრა... ამისთანა დემონსტრაციები რუსეთის თითქმის ყველა ქალაქში ხდება... ის კი არა, მუშები სააშკარაოზე გამოდიან და თავიანთ მოთხოვნილებებს უყენებენ მთავრობას. სოფელში გლეხობაც უკვე აღდგა, მებატონეებს ართმევს მიწა-წყალს, საკუთარი ხელისუფლებაც კი ჰყავთ ზოგან გაჩენილი. ინტელიგენციამაც ხმა აიმაღლა და პოლიტიკურ ბანკეტებს აწყობს, პეტრიცებს წერს. ყველა ამას აქვს მნიშვნელობა და მთავრობაც, ცხადია, ჯერჯერობით უკან იხევს და რეპრესიულ ზომებს აღარ იღებს, ლიბერალობს... აქაც ამის ბრალია, რომ ასე იოლად ჩაუარეს გვერდით ქუთათურ მოფეთქებას... ეს არის და ეს და სხვა არაფერი... დაკვირვებით და ქკუთი კი უნდა ახლა მოქმედება... ესეც ცხადია...

კირილეს აზრს ბევრი დაეთანხმა და... გაკვირვებამ იკლო.

მარშლის ცოლმა ნამდვილი ცნობები მოუტანა ბაბო გავლენიშვილს. ის მართლა ყოფილა დილით ადრე ატა-ტოსთან და კარგა ყოყმანის შემდეგ ყველაფერი ეთქმევინებინა ატატოსთვის. ის, რომ დაგმარა თავისით არ დაკარგულა, რომ ნამდვილად მიტომ გაიტაცა და რომ ისინი ამჟამად მალლაკში იმყოფებოდნენ, ატატოს ბიძასთან.

ბაბომ დიდი მადლობა გადაუხადა მარშლის ცოლს და თვითონ გადაწყვიტა წასულიყო მალლაკს და თან ვამეხიც წაეყვანა.

ასეც მოიქცა.

ბარონესამ ბაბოს წასვლისა არაფერი არ იცოდა და მარინამაც არაფერი გულს. მარინამ უკვე იცოდა ბაბოს წასვლა, მაგრამ მათ ჩამოსვლამდე ამას ბარონესას არ უმხელდა. მანამ კი გულმოდგინედ უსმენდა ბარონესას და თვითონაც თავის მოსახრებებს უზიარებდა.

ბარონესა ისევ თავისთავს უსაყვედურებდა, რომ დაგმარა ვერ აღზარდა სათანადოდ. ამას უკვე თავისთვის ფიქრში კი არ ატარებდა, არამედ რიაზინინას სიტყვიერად გადაცემდა.

— სრულიად წავართვი საკუთარი ინიციატივა... ყველაფერში ის მე მოყურებდა, ჩემი წესრიგით ცხოვრობდა, ჩემი აზრით, აზროვნებდა. მაგრამ განა შეიძლება სხვისი აზროვნებით ცხოვრება? განა ადამიანი შეზღუდული უნდა იყოს, თუნდა თავის საყვარელი ადამიანის, შეზღუდულებით და საქციელთ? მე მეგონა ის სულ ჩემი იყო... დაგმარა... ჩემგან განუყოფელი და რაც მე მსურდა, ეს მისთვისაც კარგი უნდა ყოფილიყო... ასე მეგონა... მე სრულიად არ ვუწევდი იმას ანგარიშს, რომ ის სხვა ფიზიკური არსება იყო. ჩემგან შობილი, მაგრამ მაინც სხვა... რომელსაც უთუოდ ჰქონდა თავისი მისწრაფება, თავისი, შეიძლება შეუგნებელი, მაგრამ მაინც თავისი გაუზიარებელი განზრახვები, სურვილები ცხოვრებაში... ამას კი მე ვუზნობდი სრულიად უნებლიეთ, რადგან მეგონა რომ უჩემოდ ის დაილუპებოდა და აი ახლა ხედავ, მარინა, რა გააკეთა?

ტირილით მაინც არ ტიროდა ბარონესა. გულს იოხებდა მხოლოდ.

რა არის გულის მოოხება? ეს უსათუოდ ნუგეშის ძებნა კი არ არის. აკი თვით რუსთაველმა ბრძანა: „დიდი ლხინია ქირთა თქმა“...

ბარონესასაც უნდოდა, რაც მოუვიდა იმაზე ელაპარაკა, თორემ ნუგეშს მაინცდამაინც არც ის ეძებდა. თან რი-აზინინას ერთი სიყვარულით გადახედავდა და შემდეგ ეუბნებოდა:

— აი შენ სულ სხვა ხარ. თავისთავად ქალი ხარ, დამოუკიდებელი, აზროვნებაშიც და... საცქიერშიც. შენ არ დაიცარებები ცხოვრებაში... დაგმარა კი ვინ იცის...

აქ შეიძლება ცრემლებიც წამოცვენოდა ბარონესას, მაგრამ რიბინინა მყისვე შემდეგ აგებებდა:

— მე შეიძლება ობლობამ მიშველა. მართალია, თქვენთან ვიზრდებოდი და დაგმარაზე ნაკლებ არ მანებივრებდით, მაგრამ მე მაინც ბავშვობიდანვე დავეჩვიე—სულ წერილმანი გავიხსენოთ ჟენდა—ჩემი ქვეშაგების ალაგება-დალაგებას, დაუხმარებლად ჩაცმა-გახდას, ტანსაცმლის ფარეშობას და საერთოდ ჩემი ნივთების მოვლა-პატრონობას. ამან ერთგვარი თავის დროის შესაფერი, დამოუკიდებელი ხასიათი გამოიმუშავა. ჯიუტი არასოდეს არ ვიყავ, მაგრამ ჩემი პოზიციის დაცვა მუდამ ვიცოდი. შემდეგ ქალთა გიმნაზია... მე ხომ დაგმარასავით ინსტიტუტის პანსიონში არ ვყოფილვარ ჩაყვითლილი? გიმნაზიაშიც იმგვარ ამხანაგებთან მქონდა საქმე, რომ გონებრივად ვეითარდებოდი, საკუთარი აზროვნების უნარი წართმეული არა მქონდა.

აქ რიბინინამ ერთხელ კიდევ შეავლო თვალი ბარონესას და რომ შეატყუო ბარონესა გულდასმით უსმენდა, განაგრძო:

— ერთხელ უფროს კლასებში მოგვცეს დასაწერად შემდეგი თემა: პუშკინის „ევგენი ონეგინში“ ტატიანას საზე- მე არ წადედი ტრაფარეტით და სხვათა შორის დავუწერე, რომ ტატიანას იმას ვერ მოეუწონებ, რომ ბოლოს ცოლად მოხუცს გაჰყვან-მეთქი. როცა ეს წაიკითხეს, უნდა გენახათ, რა ამბავი იყო. ჯერ ჩემი ამხანაგები როგორ შეშფოთდნენ, რას იტყვის მასწავლებელი? შემდეგ მასწავლებელმა უბრალოდ როგორ შეიქმუხნა და მითხრა: „დიდი კადნიერება თქვენის მხრით, რომ პუშკინს უსწორებთო“, მაგრამ კეთილი კა-

ცი იყო, მე როგორც მოწვევით მოვედი და მაშინვე დამამცირებელი რეაქცია არ დამისვა, არამედ გამომიცხადა, რომ ამ საკითხს პედაგოგიურ საბჭოში გადაიტანდა. აგრეთ მოიქცა. იქაც დიდი კამათი გამოეწვია ჩემს „თხზულებას“. ზოგს მწვალებლობადაც კი მიეჩინა ჩემი კადნიერება და ჩემს დასჯას მოითხოვდა თურმე, მაგრამ შემდეგ ერთ ძველ, გამოცდილ პედაგოგს დავეცავი თურმე: ეს ამტკიცებს, რომ გოგონა თავის თავით ფიჭრობს, საკუთარი, შეიძლება შემცდარი, მაგრამ მაინც თავისი აზრი აქვს შემდგარი და ამისთვის კი არ უნდა დავსაჯოთ, არამედ გავამხნევოთ, განვუვითაროთ ასეთი უნარი თავისთავადი აზროვნებისაო. შეეკამათეთ, შეედავეთ, გაუსწორეთ შეცდომები, იმსჯელეთ მასთან ერთად და ამით საზოგადოებას ერთს კარგა მომზადებულ ქალს აღუზრდითო. დაუჯერეს. პირველი ღირეპტორი მიემხრო თურმე და შემდეგ აღარც სხვები გაჯიუტებულან. ამგვარად, გადავრჩი დასჯას. შემდეგ დასჯა კი არა ისე მიმიჩნიეს, რომ ერთხელ გიმნაზიის რომელიღაც საღამოზე შემიკვეთეს და რეფერატიც წამაკითხეს გონჩაროვის „Обрыв“-ზე.

— არა, მარინა, განვითარებით შენ არც დაგმარა ჩამოგჩნება. — ღიმილით წარმოთქვა ბარონესამ.

— რასაკვირველია, ეგ მართალია. ის მშვენიერად იცნობს რუსულსა და უცხო ლიტერატურის მხატვრულ ნაწარმოებებს, განსაკუთრებით ფრანგულს. ის კი არა, ლერმონტოვის „დემონი“ ზეპირად იცის, პუშკინის „პოლტავაც“, სხვებიდანაც მრავალი ციტატის მოყვანა შეუძლია. მხოლოდ მე ვამბობ იმაზე, რომ ყველა ამეებზე მსჯელობა არ ეხერხება, საკუთარი აზრი, შეხედულება არა აქვს. პრაქტიკულ ცხოვრებაში ხომ სრულიად უმწეოა. მომეტევეთ და კაბას ვერ ჩაიცვამს, თავს

ვერ დაიბნას. ცხოვრებისაც ბევრი რამ არ ესმის. ზოგჯერ ისეთ გულუბრყვილო რამეს იტყვის, რომ გაგვიცინება.

— მაგაში კი მართალი ხარ... წარმოთქვა ბარონესამ, — და ეს სულ ჩემი ბრალია... სწორე გითხრათ, ამაზე მე არასოდეს არ მიფიქრია... ერთადერთი მყავდა... ვანებეგრებდი... სწავლას ვაძლევდი... ვაჩვენებდი მაღალ წრეში თავის დაჭერას, ზნეობრივ სისპეტაქეს... მეგონა ეს იყო ყველაფერი... თურმე საკუთარი ნებისყოფა წამირთმევია... მის მაგიერ მე ვაზროვნებდი... და ისიც მორჩილად მე მომყვებოდა... თუმცა ახლა... ნამეტანი რამ ჩაიდინა...

და თავი ჩაჰყიდა ბარონესამ, მაგრამ მალე თავი აიღო და ახლა ასეთი კითხვა დაუსვა რიბინინას:

— ეს კი როგორიღაა? აი თოლისქვამი! არც იმისთანა აღზრდა მიუღია და არც იმისთანა სწავლა, როგორც დავგმარას, მაგრამ ეგეც ხომ სრულიად უმწეო ვინმეა. ნექტარინას მიჩანჩალებს ყველაფერში.

— არა, მაგას ნუ იტყვით. მან აკი დაამტკიცა, რომ ძლიერი ნებისყოფის ადამიანია. ზომ გასსოვთ, თავის დახრჩობა რომ უნდოდა... ამბობენ, თავს სუსტი ხასიათის ადამიანები იცლავენო, მაგრამ მე სულ საწინააღმდეგოს ვხედავ ასეთ საქციელში... თავის მოკვლა იოლი რამე არ არის და თოლისქვამი არც იმდენად ბავშვი იყო, რომ ამისათვის ანგარიში არ გაეწია... არა, ამ შემთხვევაში მისი საქციელი მისი ძლიერი ნებისყოფის ნაკარნახევია... ისე კი, ახლა თუ ნექტარინას დაემორჩილა და კეზინიას მიჰყვება, აქაც მისი პრაქტიკული ჰეუა ჩანს... ქმარი თითქმის შეუდგრებელი ეყოლება, მაგრამ მე როგორღაც მწამს, რომ მომავალში თოლისქვამი მას თავის ჰეუაზე ატარებს... არა, არა, თოლისქვამი არ არის უმწეო... ჰო, ესეც არის: თქვენ შეიძლება მიიხრათ, რომ ასე რომ ვიმსჯელოთ, მაშინ

დაგმარას საქციელიც პრაქტიკული ჰეუის ნაკარნახევად უნდა მივხედეთ, აქაც შეძლებული ყმაწვილი კაცი, უზრუნველყოფილი მომავალი და სხვა...

— არა, მარინა, არა. ეგ დაგმარას არ გამოუზომავს. ბავშვობით მოუვიდა, არც კი იცის, რას ჩადის, თუმცა ეპ... — აღარ თქვა, რაც პირზე ჰქონდა მომდგარი. მხოლოდ ცოტა სიჩუმის შემდეგ ნელა გაეცინა და მარინას ასე მიმართა:

— შენ გატყობ, რომ დიდი ფსიქოლოგი ყოფილხარ. ჩემს დაზე, ნექტარინაზე რას იტყვი?

მარინასაც გაეცინა.

— მე მართლა არც თუ ისე გამოცდილი ვარ. ახალგაზრდა გოგონებზე კიდევ შემეძლო რამე მეთქვა, თუმცა კნეინა ნექტარინა სავსებით გამოსაყარავებული პიროვნებაა... თქვენც იცით კარგად, როგორიც არის...

— არა, არა... მე შენგან მინდა მოვისმინო... ნუ მომერიდებები...

— მეშინია, ახალს ვერაფერს ვერ გეტყვით... ამპარტავენი ძველი დროის ქალბატონია, მბრძანებლობა დიდად უყვარს და ეტყობა, ერთ დროს მბრძანებლობდა კიდევ თავის სოფელში... ახლაც თავამეხებული ქალია... თუ რამე განიზრახა, თუ გაუვიდა, უთუოდ შეისრულებს... ბევრი უხასიათობა ჰქონს, მაგრამ, თქვენ გეცოდინებათ, ერთ მოაზროვნეს აქვს ნათქვამი — უხასიათობა ერთგვარი ხასიათი არის...

— მარინა, მარინა, ჩემო კარგო, უცნაური ქალი ხარ! ასე ახალგაზრდამ საიდან იცი ყველა ეს?

— არაფერი უცნაური არა ვარ. მე ერთი მოტიტიწე გოგო ვარ... — აქ შეჩერდა, შემდეგ წარმოთქვა: — ჯერჯერობით... შემდეგში ვნახოთ... ძალიან მინდა საზოგადოებისათვის სასარგებლო ადამიანი გავხდე. აი თქვენსავეთ, დეიდა, თქვენსავეთ...

— ჰა, ჰა, ჩემსავეთ კი არა, მაგრამ ჩემზე შემდეგ კითხავ... ძალიან გამა-

რთე შენის საუბრით! — მართლაც, ბარონესას უკვე გამოცოცხლება დაეტყო, თითქოს დარდი გულიდან გადაიგდო, ფერაც მოუვიდა, უფრო ენერგიულად დაიწყო ლაპარაკი. — მხოლოდ ახლა, შენ ეს მითხარი, მარინა, კესარიზზე რა აზრისა ხარ?

ამაზე მარინა თითქმის არც დაფიქრებულა, ისე უპასუხა უცნაური სიტყვით:

— სქესი! გამოვლინებული მიმდევარია თავისი სქესობრივი მოთხოვნილებისა. სხვა ყველაფერი მიტმასნებული აქვს მის ბუნებას — შვილის სიყვარულიც, ცხოვრების სხვა პრაქტიკული საკითხებიც. თან დიდი არტისტაა...

— ჰა, ჰა, ჰა! — გულიანად გაეცინა ბარონესას. — მაგრამ რა ბოროტი ყოფილხარ, შე ეშმაკო, შენ!

— არა, დეიდა, ბოროტი რატომ... ეს თქვენ არ შეგფერიოთ...

— ჰო, კარგი, გეზუმრე!.. აბა ახლა მე დამახასიათე. როგორი ვარ? შენაგონია მე ვიცნობ ჩემს თავს?

— ეგ ხშირად ხდება ხოლმე. თავის-თავის ცნობა ეს უძნელესი რამ არისო, ამბობენ, მაგრამ თქვენ, დეიდა, ყველაფრით შემეკული ბრძანდებით.

— ოო, ახლა პირმოთნეობას კი ნუ შეუღლები, მარინა, მაგიტ უფრო მაწყენინებ... — და შუბლი ცოტა შეეკუმუხნა ბარონესას.

მაგრამ მარინამ მაშინვე გულწრფელად შეაწყვეტინა:

— არა, დეიდა, არა, მე იმას ვამბობ, რასაც ეგრძნობ. უზომოდ კეთილი გულისა ხართ, დეიდა, საკმაოდ განათლებული და თან ნამდვილი არისტოკრატი ქალი, მხოლოდ არა ყოყლოჩინა, მაღალი და სპეტაკი ზნეობის, სადაც საჭიროა, გაბედული და ენერგიული. ამიტომაც არის, რომ პეტერბურგში ყველა გაფასებთ, თვით მტრულად განწყობილი ადამიანებიც... თვით სალონის ჭორიკანებიც კი... მაგრამ მე ყველაზე უფრო ის მომწონს, რომ

თქვენ საზოგადოებრივი მოღვაწეობის უნარიც შეგდგამთ.

— ეგ გიყვარვარ, მარინა, და იმიტომ მათასებ ასე... მაგრამ კარგი, დავეთხოვოთ ჩემს დახასიათებას. გადავიღეთ მამაკაცებზე. ჩვენიანებზე რასაკვირველია...

— ბეგი... — დაიწყო მარინამ.

— არა, — შეაწყვეტინა ბარონესამ. — ბეგის შენ აღმერთებ, მისი დახასიათება არ გამოგეცა.

მარინა არ დაეთანხმა.

— რატომ ფიქრობთ, დეიდა. მე არც ისე დაბრმავებული ვარ. რომ ძალიან მიყვარს, ამას ყველანი ხედავთ, მაგრამ, მერწმუნეთ, მართო ქალური ლტოლვილება კი არა მაქვს მისდამი. იმდენი კარგი მხარე აღმოაჩნდა მის ბუნებას, გაგვიკვირდებოთ. ის ხომ, თუ შეიძლება ასე ითქვას, სრულიად ხელუხლებელი ყამირია, მონაცემები კი ბევრი აქვს. არც ნიჭით არის მდარე და არც გონებით... ცოდვია, რომ უმაღლესი სწავლა არა აქვს მიღებული... ეგ ხომ ქართველ თავადაზნაურობაში თითქმის ტრადიციად ყოფილა, რომ საშუალო სკოლის მეოთხე თუ მეხუთე კლასამდე მივლენ და შემდეგ გამოხტებიან სასწავლებლიდან, განსაკუთრებით, თუ ცოტაოდენი შეძლება მოსდევთ. მაგრამ არაფერია, ნახავთ, რა შესანიშნავი და სსარგებლო კაციც დადგება.

ბარონესას გაეცინა:

— მართალია, რომ ახლა თურმე ევროპულ ტანისამოსს აკერვინებს?

— მართალია, დეიდა, მაგრამ, გეფიცები, ეს მე არ ჩამიგონებია, თვითონ მოისურვა. მხოლოდ მე ვთხოვე, რომ თავისი ნაციონალური კოსტიუმიც შემოინახოს.

— კარგი გინებებია. შენი ბეგი ჩოხა-ახალუხში ნამდვილ აქაურ გამწყახრულ მიმინოსა ჰგავს. ხომ ნახე ბერთემში, ბარამს ჰყავს კაბუტები.

— როგორ არა... ჰა, ჰა... ჩემი ბეგი მართლა მოხდენილი ვაჟაკია და... ევ-

რობული კოსტინიძე ძალიან დაშვენდება. მაგრამ ტანისამოსი რა არის, ის ინტელექტითაც იქნება ძალიან მალე დამშვევებული.

— ეთომ შესცვლი ასე? ასწავლი, დარიგებ?

— აჰ, დარიგება არა, — იმწუთხა მარინამ, — დარიგება და ქადაგება არასოდეს არ ჰქრის... მე გამომიცილია...

— მაშ როგორ მოექცევი?

— ხელს შევეწყობ მის განვითარებას. კარგს საზოგადოებაში ვამყოფებ, მოწინავე მოაზროვნეებს ვაყვანებ პეტერბურგში, საზღვარგარეთ წაეყვან, ქვეყნებს მოვატარებ... აკი ვამბობ, მონაცემები კარგი აქვს და ბევრს შეიძენს... არა, უთუოდ სასარგებლო კაცი დადგება.

ეს უკანასკნელი ფრაზა დაბეჯითებით და რწმენით წარმოთქვა მარინამ. ბარონესა აღარ შეცვლილა. ეტყობოდა, დიდად გაართო რიბინინასთან საუბარმა და ახლა ასე შეეკითხა:

— ბარამზე რას იტყვი?

მარინა არ დაფიქრებულა, თითქოს პასუხი მზადა ჰქონდა.

— ოო, საუბროთ კაცია, ზრდილი, თავზიანი, ნელი, ხუმარა. არა მგონია, რომ მას ვისმესთვის ეწყენინებინოს. მე ისიც ვაგიგებ, რომ ბერთეშში გლეხობასთან კარგ დამოკიდებულებაშია. ერთი რამ კი მაკვირვებს: აქ თქვენში არც თუ ისე გამწვავებულია საერთოდ თავდაზნაურთა და გლეხების დამოკიდებულება, მაშინ როდესაც აი რუსეთში, მალოროსიაში, ქალბატონმა ბაბომაც გვიამბო, რომ ქართლშიაც, ამ ნიადაგზე დიდი ექსცესები ხდებოდა. რა მიზეზია?

— ოო, მაგას, ჩემო მარინა, ვამეხი თუ აგიხსნის.

— ვამეხი! ძვირფასი აღამიანია. მაგრამ, დეიდა, წუხელის კლუბში იცით, ვინ მომხიბლა? გიორგი შარვაშიძემ. პირველად ენახე. აი ნამღვლი რაინდი. ზრდილი, თავზიანი. ან როგორი თა-

ვის დაჰქერა სცოდნია, ან რა მიზეზია მოხერა აქვს, საქციელი, და... სწავლიდა ბუნებრივად გამოუღწეველ არაფერი ძალდატანებული, არაფერი ხელოვნური. ნამღვლია პეტროვია. ან ფრანგულად რა მშვენიერად ლაპარაკობს. ასე გეგონებათ, თავისი დღენი საფრანგეთის სალონებში აქვს გატარებული.

— არც უმაგისობაა, — შეეპრა ბარონესა, — დიდი მომზადებული კაცია.

— მშვენიერი ლექსი კი უთხრა წუხელის, — განაგრძო ისევ მარინამ, — იმ კენიანამ... როგორ არის?... ჰო, დაღეშქელიანამ... მე აზრი გადამითარგმნეს. არა, აუცილებლად საერთოდ ნიჭიერი ხალხია ქართველები...

ბარონესამ ჩაიბინა:

— აი ვოლკოვს არა სწამს...

— ვოლკოვი კი არა, მეც... აქეთ რომ მოვდიოდი, სულ სხვა წარმოდგენის ვიყავ... კავკასია... მთები, წყლები, აულები... ბესტუფევ-მარლინსკის და ლერმონტოვის კავკასია... საქართველოზე თურმე წარმოდგენაც არა მქონია... თურმე რა ინტელიგენცია ჰყოლია საქართველოს... რა მწერლობა ჰქონია. ამას წინათ ხელთ ჩამივარდა და წავიკითხე ილია ქავკაჟაძის „განდეგლის“ თარგმანი. შედეგია. მერმე რა დიდი აზრია შიგ ჩაქსოვილი... რომ ხალხს არ უნდა განუღებ! ან რა თეატრი ჰქონია, მარტო ერთი ალექსეევ-მესხიევი რადა ღირს... რომელ სცენას არ დაამშვენებდა მისი ნიჭი!... სამწუხაროდ, მე მუშებსა და გლეხობას ვერ ვეცნობ, მაგრამ ვინც კი მინახავს, საერთოდ რა ამაყი გამომეტყველება აქვთ, თითქოს დამოუკიდებელი... ეს კი ნიშანია იმისი, რომ თქვენს ხალხს რაღაც დიდი, ძველი კულტურა მოდგამთ... უამისობა არ შეიძლება. და აი თუნდა ეკოციმილი ავიღოთ. თითქოს რა მომზადებული კაცი ის არის, მაგრამ მთელი შადრევანია გონებაშია ჩვეულებისა და მახვილსიტყვაობისა...

კიდევ რაღაც უნდოდა ეთქვა მარინას, მაგრამ ამ დროს კარები გაიღო და ნომერში ნექტარინა და ბარამი შემოვიდა.

ნექტარინამ ბარონესა რომ რიაბინინასთან დამშვიდებული დაინახა, დაგმარაზე არაფერი არა თქვა, ისე მივიდა და ბარონესას გულთბილად გადაეხვია. შემდეგ იქვე ფეხზე წამომდგარ მარინას თავზე ხელი გადაუსვა და ლოყაზე მოფერებით მოუტაცუნა. ბარამმაც უსიტყვოდ ბარონესას ხელზე აკოცა, რიაბინინას სათნოდ ხელი ჩამოართვა.

ყველანი ჩამოსხდნენ. ერთხანს სიჩუმე იყო. ბოლოს ისევ ნექტარინამ დაარღვია სიჩუმე:

— გუშინდლის შემდეგ არ მინახავხარო. ამაღამ მე და ბარამი მივდივართ ბერთემს, ახლა გამოსათხოვრად შემოვიარეთ... შენ, ჩემო რძალო, — მიმართა რიაბინინას, — შენ და ბეგიც ხომ მალე ჩამოხვალთ ჩვენთან...

რიაბინინას მოეწონა ნექტარინას საუბარი: დაგმარაზე არაფერი არ თქვა, არც ნუგეში სცა ბარონესას, არც ის ჰკითხა, სოფელში როდის დაბრუნდებიო. მხოლოდ მე მომმართა ამ კითხვით, არა, უთუოდ დიდი ტაქტის ქალიც არისო, გაისაზრა და ის იყო უნდა ეპასუხა, რომ დაუცავუნებლად კარები გაიღო და კესარია შემოვიდა თავის იეროთი.

კესარიამ ბარონესა დაინახა თუ არა, მაშინვე შეიცხადა:

— ვაი, შე უბედურო, ეს რა მოგივიდა, შენი ანგელოზი დაგმარა წაგართევს... უი, დიდა, დიდა! ის უკულმართი ახლა ხომ გააბახებს ჩვენს მზეთუნახავს და მერე უკან მოგვიღებებს... — ტირილ-ზღუტუნით გაღმოცემდა კესარია, მაგრამ ნექტარინამ ერთი მკვახედ შეუძახა:

— რას „ბრიტინებ“, დედაკაციო! კი ნუ გამოჩერჩეტლი...

კესარია უცხად შედგა, მოიწმინდა და პირდაღებული მარინასას მიაჩერდა.

ბარონესა სათნოდ იღიმებოდა. პირიქით, აქეთ დაუწყყო ნუგეში კესარიას:

— არაფერია, ჩემო კესარია, მაგისტანები მომხდარა? შენ ეს მითხარი, შენი ბავშვი თუ მოაწყვე სადმე სკოლაში.

კესარია გაოცებული იყო ბარონესას საქციელით, მაგრამ შეკითხვაზე მაინც გასცა პასუხი:

— უი, შენ კი შემოგველე... რა კეთილი გულის ხარ... ბავშვი მოვაწყვე, როგორ არა, გენაცვალე. ჩემი იერო აქ ფერმის სკოლაში მიიღეს, ვამეხი ძალიან დამეხმარა დირექტორთან. მომავალში აგრონომი გამოვყო, მეუბნებიან.

— ჰოდა, ძალიან კარგი. მაგრე სჯობია. აბა ახლა შენ იცი, იეროთეოს!

იეროთეოსმა ოდნავ ვითომ სათნოდ გაიღიმა. ძველებურად ერკემლის სიჯიუტეს აღარ მისდევდა.

ამავ დროს კარზე დააკაკუნეს. მარინამ გააღო და ბაბო გავლენიშვილი შემოვიდა.

15

კლუბში ღამით ნადიმზე სინათლე რომ ჩაქრა, მიტო გავლენიშვილი ამას სრულიად არ მოელოდა. ის სულ სხვა მდგომარეობაში ფიქრობდა დაგმარას გატაცებას: ხალხი შეითერება, ატყდება ღრიანცელი, მუსიკა დაუტრავს, ეგეც საცეკვაოდ გაიყვანს დაგმარას და შემდეგ იქიდან გააპარებს. ამის დაკვირვების თავი არავის ექნება და ის კი თავის მიზანს მიაღწევს. ასე ფიქრობდა მიტო, მაგრამ მოულოდნელმა სინათლის ჩაქრობამ ხომ მისი გული სიხარულით აღავსო.

თითქოს მან შეუყვება სინათლის ჩაქრობა და აი სურვილი აღუსრულებს.

მან დაბნელებისთანავე წაავლო ხელი დაგმარას და ხმადან, მაგრამ შეუვალად უთხრა: „წავიდეთ, გრეტენ!“

დაგმარაც აჰყვა. ეგონა უთუოდ სადმე სინათლეზე გამოყვანს და ცოტა უკვირდა, რომ მიტო ძალზე ჩქარობდა. ეს უფრო მისთვის, რომ მალე არ მოედგეს სინათლე და საუცხოო, ხელის-შემწყობი წუთი ხელიდან არ გავეშვაო. დაგმარას უხაროდა ეს ბავშვური ანკოზა, ბნელ დერეფნებსა და ოთახში რომ მიძვრებოდა მიტოსთან ერთად და თვითონაც ფეხჩქარებით მისდევდა ვაჟს.

მხოლოდ კლუბიდან რომ გამოვიდნენ, ნათის მზეუბრე ქუჩის ფანჯრებზე შეამჩნიეს კლუბის კარებთან შექუჩიებული ეტლები. მათ შორის ერთ-ერთი გამოეყო და პირდაპირ ახალგაზრდების წინ შეაჩერა.

მიტომ ხმის ამოღებაც არ აცალა დაგმარას, ისე უსიტყვოდ თვალის დახამხამებაზე ეტლში ჩასვა და თვითონაც გვერდით მოუჯდა.

— აბა, კარაბახ, მალეაქისაქენი — უბრძანა მეეტლეს და კარაბახმაც ჩვეულებისამებრ დიდი სისწრაფით დასძრა ეტლი.

დაგმარას ეტლში ჩაჯდომა გაუკვირდა, მაგრამ არ სწყენია.

კაშკაშა მთვარე ანათებდა მიბნედილ ქუჩებს და ასეთი გასიერება დაგმარას აგონებდა სხვადასხვა რომანში ამოკითხულ ასეთ ეპიზოდებს. თან ეგონა — „კარგად მოიფიქრა მიტომ, ცოტას გავისიერებთ და ისევ მალე დავბრუნდებით“.

მაგრამ როცა ქალაქს გასცდნენ და ზონის გზატკეცილს გაუყვნენ, დაგმარას კიდევ უფრო მოიხიზლა: მთვარის ნაზი შუქით განათებული არემარე, ხეები, ბუჩქნარები, რაღაც საზღაპრო ნაკეთებს მოაგონებს ადამიანს.

მარჯვნივ კოხტად შემრგვალებულ სოფელ ბანოჯის გორაკებში დაშტოვებულია, ეს განთქმული, იმერეთის სამეგრელოსთან შემაერთებული საავაზაკო შარავზა. მარცხნივ თვალუწდენი ვაკე, მის მოშორებით კიდევ გურიის მაღალი მთები, ახლა გვერდით კიდევ ასეთი საუცხოო ქაბუკი, მის თეთრ ჩოხა-ახალუხს რომ მთვარე ასე საოცნებოდ დაქათქათებს. ეს ყველაფერი მისთვის იყო ჯადოსნური რამ და ისიც როგორიღაც გაურკვეველი სიხარულით იყო შეპყრობილი.

დაგმარა ისე გაიტაცა თავისმა მდგომარეობამ, რომ სრულიად არ ჩაფიქრებია იმას, თუ მის ასეთ ნაბიჯს რა შეიძლება მოჰყოლოდა. ის კი არა, მიტოსაც ხეირიანად ვერ უგდებდა ყურს, თუმცა ის სხვადასხვა მსუბუქი ფრაზით ელაზღანდარებოდა. მართალია, ერთმკლავი დაგმარას წელზე ჰქონდა შემოხვეული, მაგრამ მთელი გზის განმავლობაში სხვა არაფერი უკადრებია. შეიძლება იმიტომაც, რომ „სულ ერთია, ახლა ხომ მაინც ხელიდან ვერსად წამივაო“, თუ ფიქრობდა...

დაგმარა ისევ და ისევ მოჯადოებული იყო, როცა ეტლი გზის პირად ერთ დიდ ალაყაფის კარებს მიაღწა.

ამან თითქმის გამოათხიზლა, მოულოდნელად გაითავისუფლა წელი მიტოს ხელისაგან და კარგა შეუვალად განაცხადა:

— ახლა კი დავბრუნდეთ, კნიაზ მიტო!

მიტომ კარგა ხმამალა გაიცინა:

— რა დროს დაბრუნებაა? ოჯახში მოვედით.

— არა, არა, კნიაზ მიტო... მე თქვენა გთხოვთ... ვინ იცის, ახლა დედა და მარინა გამწარებული დამეძებნენ...

— ეგ არაფერია. ხეალ დილით მათთან ვიქნებით.

— როგორ თუ ხელს დიდი... — აქ უკვე აწრიალდა დაგმარას გონება. ვერ გაერკვია, მაგრამ ალღოთი იგრძნო, რომ რაღაც ცუდი მოელოდა. უკვე ხმაშერ-ყეულმა წარმოთქვა:

— არა, არა, კნიაზ მიტო... დავბრუნ-დეთ...

მაგრამ ამ დროს ალაყაფის კარები მიგნიდან ფართოდ გაიღო და კარბახმა დიდ კოინდრიან ეზოში შეაგელვა მისი ბედაურები და კარგა მაღალ ბოძებზე შემდგარი აივნისანი იმერული ოდის ქვის კიბესთან დააყენა.

ეტყობა, მასპინძლები ელოდებოდნენ სტუმრებს.

მიტო სწრაფად გადმოხტა ეტლიდან და დაგმარას ხელი გაუწოდა გადმოსაყვანად, მაგრამ დაგმარა არ იძროდა და უკვე თითქმის ჩურჩულით ამბობდა:

— არა, არა, კნიაზ მიტო...

მაგრამ მეტის თქმა არ დასცალდა, რადგან კიბეზე მარდად ჩამოვიდა ერთი ხანში შესული ქალი და დიდი თავაზიანობით სახლში მიიწვია დაგმარა:

— მობრძანდით, გენაცვალე, მობრძანდით... რისი გერიდებათ?

დაგმარა საქციელწამზდარივით იყო. არ იცოდა, რა ექნა, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ უფრო ზრდილობისათვის გაჰყვა ამ თავაზიან მასპინძელ ქალს.

დარბაზის კარებში ერთი კარგი შესახედი ჭაღარაშერეული ჩოხოსანი გამოეგება სტუმრებს. ეს იყო მთავარი მასპინძელი სიმონიკა მედიდურაძე, ჩვენთვის ცნობილი ატატოს ნათესავი. ის უკვე გაფრთხილებული იყო ატატოსაგან და ამიტომ უცდიდა ასე შეგვიანებით მოსალოდნელ სტუმრებს. ღამის უკვე ოთხი საათი მაინც იქნებოდა. ატა-

ტოს არ უთქვამს, მაგრამ სიმონიკა მაშინვე მიხვდა რომ მიტოს უფროსი ძმა-ლი მოჰყავდა და ამისათვის წარბიც არ შეუხრია. ის თვითონ იყო ასეთი საქმეების ოსტატი: ქალების მოტაცება, ცხენის და კამეჩების ქურდების მფარველობა და სხვა ამისთანების ხელისშეწყობა იყო მისი ხელობა, მხოლოდ დიდი გაჭიანების მაინცდამაინც არ იყო, ოთარაანთ ქვრივივით თავისი სახლ-კარის მახლობელ სოფლებში დაფათურობდა. ბუნებით უდარდელი კაცი იყო, მზიარული, ხმამაღალი ხარხარი იცოდა, იმერულ და ქალაქურ სიმღერებსაც ეწყობოდა, ცეკვითაც არცთუ უღამაზოდ ცეკვავდა. სახითაც სახიერი იყო. მოკლე წვერ-ულვაშიანი, მზარ-ბეჭიანი და ჩაცმითაც კოხტად იცვამდა.

უნდა ითქვას, რომ მაშინდელი თავად-აზნაურობა თავისი იერით, მიმოხვერით, ჩაცმულობით ძალიანა ჰგავდნენ ერთი მეორეს, როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში. იმერეთში ყველანი ჰგავდნენ განთქმული სილამაზის პატრონს დათიკო მიქელაძეს, სამეგრელოში — კოწია დადიანს, გურიასი — გურულებს, აღმოსავლეთ საქართველოში კი განთქმულ მოქეიფე ძმებს ანდრონიკაშვილებს. ყველა ცდილობდა, რომ მათებური ჩოხა-ახალუხი სცმოდათ, მათებური წულა-მესტი თუ დაბალქუსლიანი შევროს წალები, ფაფახიც მათებური და სხვა. ერთი სიტყვით, შეიძლება უნებლიეთ, მაგრამ მაინც, როგორღაც ერთგვარი სტილი ჰქონდათ დაცული, და თუ გამოირჩეოდნენ ერთი მეორისაგან, უფრო სახით, რადგანაც სახე ყველას თავისი საკუთარი მოყვანილობისა ჰქონდა. წვერები ღამ... წვერები მოკლედ შეკრეკილი.

ასეთი სტილის კაცი იყო სიმონიკა მედიდურაძეც, მაგრამ ეს, როგორც ეთქვით, თავად-აზნაურული „ფანაბერიის“ სტილისა.

წვერები იმ დროს, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში, აუცილებელი იყო და უღელმეტაპარსულობა ზომ უდიდესი სირცხვილი იყო ვაეკაციასთვის. უუღლავობა ეს შეუძლებელი რამ იყო იმ დროს და ქართული თეატრის არტისტებიც კი, რომლებსთვისაც უღელმეტის გაპარსვა საფაღდებულოც იყო პროფესიისათვის მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნის მიწურულში, ასე, 90-ან წლებში გაბედეს და ძლივ-ძლივ შემოიღეს. უუღლავო კაცს საზოგადოებაში თავი არ გამოეყოფოდა. წვერი ზომ დიდ სათაყვანო რამედ მიაჩნდათ და აი სამეგრელოში ნახადლით ისეთ მშვენიერ წვერებიან ვაეკაცებს, რომ თვალი ზედ დაგჩნებოდათ. ვისაც კარგი მოვლილი გრძელი წვერი ჰქონდა, ეს პირდაპირ საამაყო იყო.

სიმონიკა სიცილ-ხარხარით შეხვდა სტუმრებს, შემწრფალ დაგმარას. თუმცა საქართველოში მიღებული არ იყო გაუთხოვარ ქალის ხელზე კოცნა, მაინც აკოცა, რითაც დიდად გააკვირვა დაგმარა ამ პეტერბურგული ჩვეულების დაცვამ. მხოლოდ ქალიშვილის ხელი დიდხანს არ გაუშვა, თითქოს უნდა აწონოს, რა სიმძიმისა არისო. შემდეგ მიტოს ფამილარულად ილღიაში თითი ჰკრა და დაგმარაზე თვალი ჩაუქნია, გადაიხარხარა და თავის მხრივ მანაც შეიწვია სახლში სტუმრები. თან კარგი რუსულად დაგმარას მიმართა, (მეოთხე კლასამდე გიმნაზიაში იყო ნასწავლი):

— Пожалуйста, пожалуйста... Будьте дорогими гостями...

დაგმარას არაფერი უპასუხია, მაგრამ რაღაც უნებლავ შაშვა კი შეაპყრო, თავი ძალიან ოზლად იგრძნო, მიტოსაც გახვდა, მაგრამ თავისიანად ველარც ის იცნო და უკვე მიიბუზა, მიიქუნტა.

დარბაზში სამი კაცისათვის სუფრა

იყო გაშლილი და სიმონიკამ, მაშინვე იქით მიიწვია სტუმრები, მაგრამ დღემდის არც კი დაჯდა, აქით-იქით მოიხედა, თითქოს ვიღაცას და რაღაცას ეძებსო, რაც შენიშნა სიმონიკამ და მაშინვე შეაგება:

— Вы что, очень устали или нездоровится? Сейчас, сейчас! ნათლიდე! — დაუძახა იქვე მდგომ ქალს, რომელიც პირველად კბენზე გაეგება სტუმრებს. — აბა უჩვენე ოთახი, ემსახურე.

ნათლიდემ ოდნავ ხელი შეახო დაგმარას წასვლის ნიშნად და დაგმარაც მორჩილი ბავშვივით თან გაჰყვა.

როცა ქალები გავიდნენ, სიმონიკამ ჩაიხარხარა:

— ეს კარგი ჯეირანი ჩავიგდია ხელში, კნიაზ მიტო!

— ჰო! — ნელა გაიღიმა მიტომ.

— რა გიჭირს-რა! საქართველო ზომ ამოქამე... ახლა პეტერბურგი... სალონები...

— პეტერბურგი, თორემ მაგას შევაბერდები სწორედ.

— არა, შებერებით რატომ... ეგ ცოლად გეყოლება და პეტერბურგში შენ კიდევ გამოძებნი კეკლუცებს...

— აჰ, აბა! ცოლად ღმერთმა დამიფაროს!

— რატომ, ბიჭო, ეგ კარგისაა აი! ახირებულად არ მოიფლავება.

— არა-მეთქი, არა, ცოლად არ მინდა!

— აბა, როგორ, შე ღმერთგამწყრალო?

— ჰა, ჰა! რა დავიმალეო! ისე, გასასეირნებლად წამოვიყვანე.

— ჰო, ვიცი, ვიცი შენი გასეირნების ამბავი...

— ხვალ დილათ კი მე და ჩემი კარაბახი... ჰაიდა! მაგას შენ დაგიტოვებ...

— ღმერთი არ გაგიწყრეს!... ჰო, მართლა კარაბახი!... — სიმონიკა წამოღდა და უკანა კარებში გასძახა: — ონისიმე, ბიჭო, მანდ იზვოშიკია... პატივი ეცით, მისმიეთ, მიჰყავთ... — აქ მობრუნდა

სიმონია და მიაშტერდა მიტოს: — ეგ რა თქვი, კაცო? პატივისცემის მაგივრად, მღუპავ? ეგ რომ აქ დამიტოვო... მერე რა პასუხი გავცე ბარონსას?... ხელმწიფის კარზე შესული ქალი... ციხური ზომ აქეთ დამატოვებინა... Комчатка, брат, Комчатка!

ეს „კამჩატკა“ ისე ხმამაღლა იყო სიმონიას მიერ წარმოთქმული, რომ დაგმარას თავის ოთახში შეესმა.

ტანთავსდელად ლოგინზე იყო მისვენებული და ნათლიედლა იქვე მის თერხითი დაბალ სკამზე იყო ჩამომჯდარი, თან რაღაცას ქართულად ეუბნებოდა, მაგრამ, ჯერ-ერთი, ახლა დაგმარას მაგის თავი არა ჰქონდა და ამას გარდა ქართული სიტყვებისა აქა-იქ თუ გაეგებოდა. „კამჩატკა“ მოესმა თუ არა, გველნაბენივით ლოგინიდან წამოვარდა. ამ „კამჩატკამ“ თვითონაც არ იცის, რატომ თავზარი დასცა. არ იცოდა კი, რა მოეფიქრა. ერთხანს ფეხზე იდგა გამომტერებულებით, მხოლოდ ამის შემდეგ ხმამაღალი ხარხარი რომ მოესმა დარბაზიდან, იქვე ჩაიკეცა. დარბაზში ორი მამაკაცი კარგახანს განაგრძობდნენ ხარხარს.

ნათლიედლა მაშინვე მივარდა დაგმარას, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ზე ასწია და კვლავ ლოგინზე წამოაწვიწა, ფეხსამოსის გახსნა დაუწყო.

დაგმარა საგონებელში იყო ჩავარდნილი. ათასგვარი ფიქრი უფუსფუსებდა თავში ერთიმეორეზე უარესი. უეცრად, თითქოს სულ გამოფხიზლდა, ნათლად წარმოიდგინა, თუ რა მახეშია იყო გაბმული. თითქოს ამის დასადასტურებლად ყრუ, მაგრამ მაინც ხანგრძლივი გმინვა აღმოხდა მკერდიდან.

ნათლიედლა მივარდა, შუბლზე ხელი გადაუსვა, თმები გაუსწორა, შეეცადა, ყოველი მხრით მოფერებოდა, სახეს რომ მიაჩერდა, მაინც ჩაუქართულა:

— უიმე, ანგელოსი ხარ, გენაცვალე, ანგელოსი!—თან როგორღაც ესეც

აწრიალდა. არც ნათლიედლა და არც დაგმარა იყვნენ, და დარბაზში ორი მამაკაცი ჯერ-ერთი ბელი ხარხარი.

„აქ საქმე როგორღაც კარგად არ არისო!“ — გაუელევა თავში ნათლიედლას და მოინდომა გაეგო, თუ ვინ იყო მიტო მისთვის. „ქმარი, ქმარი“, პირს ადგებოდა ქართული სიტყვა, მაგრამ რომ ვერ გაუგებს? ორივე ხელის არათითი დაატყუა და აწვენა დაგმარას, შემდეგ უეცრად გაახსენდა განაგონი რუსული სიტყვა: „муж, муж!“ და დარბაზის კარებისაკენ თავი გადაიქნია.

დაგმარა მიუხედა, რასაც ანიშნებდა ნათლიედლა და ხელალებით უარყო.

მაშინ ნათლიედლა წამოდგა, წელში გასწორდა, კარებისაკენ თვალი მიპყრო და ქართულად ჩაილაპარაკა:

— მე დედაკაცო არ ვიქნები, თუ შენ შენი შეისრული!

ამის შემდეგ დაგმარასკენ დაიხარა, დიდად მოეფერა და უთხრა მუნჯური ნიშნებით და ქართული სიტყვებით:

— ნუ გეშინია, ანგელოსო, ნუ! მე მომენდე მე... ვერავენ ვერაფერს გაგებდავს...

დაგმარა აზრით მიხედა, რასაც ნათლიედლა ეუბნებოდა და თითქოს უნუგეშო, მაგრამ მაინც მაღლობის გამომეტყველი თვალებით შეხედა. ნათლიედლას კი რაღაც აზრმა გაურბინა თავში და კარს მიაშურა.

— აა! წამოიგნავლა დაგმარამ და საყვედური მიაცოლა: куды, куды?

ნათლიედლა მიხედა და დამტკრებული რუსულით უპასუხა: „ჩიჩას, ჩიჩას“.

დარბაზში რომ გავიდა, სტუმარ-მასპინძელი მაშინვე შეეკითხა:

— როგორ არის? რა მოსვლია?

— შეუძლოდ არის რაღაც... თავის ტყვილს უჩივია... სიცხეც აქვს და შფოთავს...

— ეგ არაფერია — წარმოთქვა მიტომ და დაგმარასკენ წასასვლელად მოემზადა, მაგრამ ნათლიედლამ კინალამ შეჰკივლა და მიტოს გზა გადაუღობა:

— აჰ, არა, ბატონო, არ შეიძლება... ძალიან ცუდად არის და მერე კიდევ სიცხემ ისე შეაწუხა, რომ სულ ტიტველია...

— ჰოდა, ეგ მინდა სწორედ მეც... — უსირცხვილოდ წარმოთქვა მიტომ, მაგრამ ნათლიდელამ ფათარი არ დადრიკა:

— როგორ გეკადრებათ, ბატონო... ანგელოსი ქალი... უცხო ქალი...

— უცხო კი არა, ცოლია ჩემი...

— ჰი, ჰი, ჰი! — აქ უცნაურად გადაიკისკისა ნათლიდელამ. ცოლი კი არა! მე მატყუებთ, ბატონო? — და ამ კისკისით დაგმარას კარებს გარედან აეყუდა.

— Послушай, Семенка! Прикажи этой дуре... — მიმართა სიმონიკას მიტომ.

— Подожди, подожди... Чего ты спешить?... Вот лягут все... Иди, допьем эту бутылку...

— Ну чорт с вами! — და გულში მაგრად შეიგინა მიტომ, მაგრამ თითქმის სიმონიკას დაუჯერაო, ისევ სუფრას მიუჯდა.

ნათლიდელა ცოტახანს კიდევ იყო კარებთან აყუდებული და ვითომ სიცოცხლეს ჩუმადაც ვერ იკავებდა.

როცა დარწმუნდა მიტო აღარ შევა დაგმარასთან, უცებ უკანა კარებში გასხლტა. მალე მოქებნა მისი ძმა ონი-სიმე, რომელიც სიმონიკასთან სირაჯად მსახურობდა, თვითონ კი სტუმრად იყო მოსული ნათლიასთან, და ყურში ასე ჩასჩურჩულა:

— ამალამ არ დაიძინო, ბიჭო, და თუ მე ყვირილი მოგრთე, მაშინვე შემოვარდი ზევით, ოდაში.

ეს უთხრა, მაშინვე გამოტრიალდა, დარბაზი სწრაფად გაიარა და დაგმარას ოთახშიც ჩქარა შევიდა.

მიტო და სიმონიკა კარგახანს შეყვნენ სმას. უკვე ალიონმა მოატანა. სიმონიკა ზღაზვნით წამოდგა, მიტოს გა-

მარჯვენა უსურვა და მათიხანოთაშს მიაშურა.

მიტომაც ეზოში გაისეირნა, ბოლოს ისევ დარბაზში შევიდა და დაგმარას ოთახის კარებს მიადგა. უნდოდა კარები გაეღო, მიაწევა კიდეც, მაგრამ შეატყო, რომ შიგნიდან იყო ჩაკეტილი. მაინც ლმობიერად დაუძახა დაგმარას:

— Гретхен, голубка, отвори дверь... დაგმარას მაგიერად ნათლიდელას პასუხი გაიგონა:

— ვინ არის? რა გნებავთ?

მიტოს უკვე დაეიწყებოდა ჰქონდა, რომ დაგმარას ოთახში ნათლიდელაც იყო, მეტად ეწყინა. მაინც მიმართა:

— გამიღე, ქალო... ეს მე ვარ მიტო...

— მერე რა გნებავთ?

— ბიჭოს! როგორ თუ რა გნებავს... ცოლთან არ მიშვებ?

— ოჰ, კარგია ერთი კნიაზო... — ისევ გაისმა კარის შიგნიდან ნათლიდელას ხმა. — აბა როგორ უნდა შემოგვიშვა უცხო ქალთან? ასეთ პასუხზე მითრის გული მოუვიდა:

— თავს ნუ იგდებ, დედაკაცო! გამოიღე-მეთქი!

— არ გაგიღებ, არა... მიბრძანდით... ეს ქალი ღმერთმა მე ჩამაბარა.

— მე შენ გიჩვენებ მაგ შენ ღმერთს! — და რაც ძალი და ღონე ჰქონდა კარებს დაეტაკა. კარები წაბლის ხის იყო, კარგა მაგრად შეკრული და უბრალო ქრიალიც კი არ გაიღო.

— Ҳ... Ҳ... ерт! — რუსულად მაგრად შეიგინა მიტომ და ახლა კიდევ უფრო გამძაფრებით დაეტაკა კარებს.

ამ დროს ნათლიდელამ ისეთი დაწყვირა „გვიშველეთ, გვიშველეთ“, რომ, როგორც იმერლები იტყვიან, „ნთელი ოდა თავზე წამოიკცა“.

მიუხედავად ამისა, მიტო მაინც აწეებოდა კარებს, ნათლიდელა კი, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, საზარლად გაჰკოოდა.

ამ კვილზე პირველი ონისიმი შემოვარდა და ერთი ბიჭიც შემოაყვანა,

მაგრამ იმავე დროს პერანგის ამარა სიმონიკაც გამოვარდა.

— რა იყო? რა ამბავია? ყაჩაღები დაგვეცნენ? — წამოიყვინრა სიმონიკამ, მაგრამ ამ დროს თვალი მოჰკრა, რომ მისი ეზოს ალაყაფის კარები ვიღაცამ გააღო და ეზოში ეტლი შემოგრივდა.

მიტოს ეს არ გაუგია და სიმონიკას მიმართა:

— ვინ არის ეს დამთხვეული ღელაკი, მომავორე!

სიმონიკას პასუხი არ დასცლია, დარბაზში ბაბო გავლენიშვილი და ვამეხი შემოვიდნენ.

ბაბომ დაინახა თუ არა მოშლილფეხი სიმონიკა და სახეზე წამოწითლებული, გამეხებული მიტო, ზიზღით წარმოთქვა:

— იფ, იფ! დამიხედეთ ორ რაინდს, რა კარგ საჭმეს აკეთებენ! ეს ვინ არის, რომ კივის? დაგმარას ხმა არ არის?!

ორივე თავადი სახტად დარჩა. სიმონიკა ვერც ბაბოს სცნობდა და ვერც ვამეხს, მიტოს ისე ჰქონდა თვალები ამღვრეული, რომ პირველხანად ბაბო ვერც კი იცნო. მას ის სწყინდა, რომ ვიღაც დაუპატიებელმა სტუმრებმა ასე უდროოდ დროს ხელი შეუშალეს.

ონისიმემ კი თავის დას კარებში ჩასძახა:

— გაჩუმდი, ქალო, სტუმრები მოვიდნენ.

სიმონიკა ახლა მიხვდა, რომ უცხო ქალთან პერანგის ამარა იყო და ფურცუხ-ფურცუხით თავის ოთახს მიამურა.

კივილი შეწყდა. მიტომ ახლა კი შეიცნო ბაბო და ტანში გააერკოლა, თან წამოიღულულა:

— აბა აქ რა გინდოდით, მამიდა!

— ჩუმად! სად არის დაგმარა?

დაგმარას კარები ფართოდ გაიღო და ნათლიდელა გამოვიდა. ბაბომ გამოღებულ კარებში დაინახა დაგმარას ნაკვითი და მყისვე იქით გასწია, მას ნათლიდელაც შეჰყვია:

დარბაზში დარჩნენ ვამეხი და მიტო. მაგრამ მიტო დიდხანს არ დარჩენილა. გარეთ, აივანზე გავიდა. ბიჭებიც გალაგდნენ დარბაზიდან.

ვამეხმა თითქოს დააპირა აივანზე გასვლა, მაგრამ გაიფიქრა, რომ მისი ლაპარაკი ამკამად მიტოსთან არ ღირდა ყოველივეს ბაბო ჩემზე უკეთესად გაარიგებსო, და იქვე მაგიდასთან სკამზე ჩამოჯდა.

მეორე დღით ბაბო გავლენიშვილი, ბარონესას ოთახში რომ შევიდა, არავის იქ მყოფს არ მისალმებია, ისე პირდაპირ ბარონესასთან მივიდა, მოეხვია და ასე უთხრა:

— ყველაფერი რიგზეა, მინადორა! ორივენი ჩამოვიყვანე და ამაღამ ჯვარს იწერენ კიდეც.

— უპ, რა კარგია! — წამოცდა მარინას. — მეერ სად არიან, სად?

— მარშლისას. იქ გელოდებიან, მინადორა, უნდა მიხვიდე და დალოცო. მღვდელიც ნაშოვნია უკვე — ქუთაისში კარგა ცნობილი ღირსეული სასულიერო პიროვნება, ივანე შავლაძე, ის დაწერს ჯვარს ამაღამ თავის ეგრეთწოდებულ სტრუისკის ეკლესიაში, ბალახვანში. ახლა კი უნდა წამოხვიდე...

— უპ, შენ აგაშენა ღმერთმა! — გულთბილად წარმოთქვა ბარამმა, — პირდაპირ გულზე მომეშვა.

— ეს კარგი საქმე გაგიკეთებია, ბაბო! — მიმართა ნეტარინამ, — მაგრამ აქ რატომ არ მოიყვანე? ქორწილს გადავიხდით...

— ეგ ყველაფერი გამოწყობილია. მე და მარშლის ცოლმა უკვე მოვილაპარაკეთ, ქორწილს ის გადაიხდის...

— მერმე მე? — ცოტა შეიკვირვა ბარონესამ.

— შენ არაფერი... შენ ნადიმს შერეც მოასწრებ... დღეს კი ჯვარის წერა საჩქაროა და ნადიმი სადაც არ

უნდა იყოს, ურიგო ალაგას მიიწივს არ იქნება.

— პო, ეგ, რა თქმა უნდა, მაგაში მართალი ხართ... მარშლისას ქორწილი უფრო საზეიმო იქნება. — დინჯად წარმოთქვა ნეტარინამ.

— მომილოცავს, ქალბატონო, თქვენი ანგელოსის გაბედნიერება... — ფეხზე წამოდგომით მიმართა კესარიამ ბარონესას. გულში კი ცოტათი არ იყო გაკვირებული, რომ „გაბაზების“ მაგიერ ასეთი ბედი ეწვია დაგმარას. ამაზე რატომღაც გული დაწყდა. ის თუ აწუხებდა — რატომ დაგმარაც ჩემი ბედის არ შეიქმნაო.

ზოგს უნდა ხოლმე, რომ თუ თვითონ რაიმე შეცდომა მოსვლია, სხვასაც მოუვიდეს ასეთი შეცდომა. სიტყვით მიიწივს ასე დაყოლა: — აბა, სხვაფერ რაღა იქნებოდა, ან რა მოსალოდნელი იყო... მომილოცავს, ქალბატონო, ღმერთმა გააბედნიეროს ახალგაზრდები. — ამ სიტყვებით მივიდა ბარონესასთან და მგერული ჩვეულებით გულის მხრივ მკერდზე აკოცა.

ასე გაკვირებული იყო შემდეგში ყველა, ვინც კი მიტოს იცნობდა. მისგან ამგვარ დარდიმანდობას არ მოელოდნენ.

ფარისევლები და ვითომ დარბაისლები თითქოს გახარებულები იყვნენ, რომ საქმემ კანონიერი სახე მიიღო, ამას უფლოცადნენ ბარონესას. თუმცა შინაგან ესენიც გაცბუნებულები იყვნენ — მიტომ მათი მოლოდინი არ გაამართლა.

ახალგაზრდა, რომანებნაკითხი გოგონა და ცოტა მოცულობითი ვაჟები, განსაკუთრებით ქუთაისის „ბულვარის კაველირა“ პირდაპირ უქმყოფილობები იყვნენ, მაგრამ ამას ხმამაღლა თითქმის არ ამბუდნენ და ბარონესას თუკი შეხედებოდნენ, პირფერობით უფლოცადნენ.

ერთი სიტყვით, ქალაქში ყველანი, ვინც კი მიტოსაგან დაგმარას გატაცე-

ბამ დაინტერესა, ვერ იყვნენ გუნებაზე:

სენსაციას ბოლო ეღებოდა ძალიან პროზაულად.

ბაბოსა და ვამეხს ბევრი ეკითხებოდა, თუ როგორ „მორჩალებს“ მიტო, მაგრამ არც ერთს არ გაუხსელია, თუ როგორ გაუჭირდათ მიტოს დათანხმება, რომ ჯვარი დაეწერა. სულ გაქცევაზე იყო და ბოლოს თუ დათანხმდა, იმ პირობით, რომ სულ ერთია, დაგმარას ის ქმრად არ შერჩებოდა. ამაზე ბაბომ და ვამეხსა გული დაიჯერეს იმ მოსაზრებით, რომ „დღევანდელი საზოგადოების თვალში მიტოვებული ცოლის მდგომარეობა უმჯობესია, ვიდრე გაუპატიურებული გაუთხოვარი ქალისაო“.

ეს უკეთესი გამოსავალი იყო, მაგრამ ამის შესახებ არც ბარონესასთვის, არც არავისთვის არაფერი უთქვამთ.

ამავე დროს დიდ უარზე იყო, მაგრამ ბაბომ ნათლიდელა მიიწივს წამოიყვანა ქუთაისს, — ბარონესამ უნდა გააციუნოსო. დაგმარას მსხნელად ნათლიდელა მიიწივს ვამეხს იმასაც ამბობდა, რომ ჩვენი ხალხის სულიერი უბიწოება გამოვლინდა ნათლიდელის საქციელში: ქართველი ქალის ნამუსმა იჩინა თავიო.

სიმონიკა შედიდურაძეც აწერდა თავის თავს — მე ვიხსენებ დაგმარა მიტოს თავდასხმისაგანო. ეს არ სჯეროდა არც ბაბოსა და არც ვამეხსს, მაგრამ ქუთაისს მიიწივს წამოიყვანეს. იცოდნენ, რომ სიმონიკას დიდ საზოგადოებაში ქეიფი უნდოდა.

და მართლაც, იმ საღამოს დიდი ქეიფი იყო მარშლისას. თვითონ ახლად ჯვარდაწერილი მიტოც დიდად გამზიარულა, დაგმარაც უკვე გონს იყო მოსული და ბედნიერი, მაგრამ ერთგვარად მზაკვრელი გამომეტყველება დატყობოდა მის თვალებს. თითქოს ეს კარგად დაბოლოებული ეპიზოდი მისი ცხოვრებისადმი თვითონ მოეხერხებინოს.

გვირგვინიანების ქუთაისში ყოფნის დროს ბერთეში დიდი ამბები ხდებოდა.

ჩელა და მისი წრის გოგონები დარბოდნენ თავიანთ მეზობელ ქალებში, მართედნენ საიდუმლო კრებებს და თანდათან მეტ თანამგრძნობლებს იძენდნენ.

მათ, უწინარეს ყოვლისა, აიყოლიეს ფარნას ცოლი ფანთა, იოსეს ქვრივი რუსუნდია, მიქეს და ჩელას დედა და სხვა ასეთი გულისხმიერები.

უმთავრესად ის იყო მათი საზრუნავი და მსჯელობის საგანი: რომ ასე ცხოვრება შეუძლებელია, რომ გლეხის მშრომელი ქალები ამიერიდან მებატონეებს არაფრით არ უნდა დახმარებოდნენ არც ყაჭის მოყვანაში, არც ლომის ცეხვაში, არც საბნების და ლეიბების დამზადებაში, რასაც ზოგჯერ მათ მებატონეების თუ ბანძისთანა შევახშეების ან ბობოლების ცოლები ავალბედნენ კი არა, ზოგჯერ აიძულებდნენ კიდევ. ამასთან მათ უნდა შეეგონებინათ მებატონეებისა თუ შეძლებული ხალხის მოსამსახურეები და მათი სახლებიდან გამოეყვანათ. ეს მოსამსახურეები უმთავრესად გლეხების ქალიშვილები იყვნენ.

მეორე მხრით, მიქე იყო უფრო ვაეებში და საერთოდ მამაკაცებში ავან-ჩანა. ესეც კრებდა ხალხს და ხან ფარნასთან, ხან თავის სახლში აწყობდა საიდუმლო კრებებს. ეს არცთუ ისე ძნელი იყო. ამ ზაფხულს ზომ სადმე ეზოში, ან თვითონ ყანებში, რომელიმე ზის ძირას, ნამუშევარზე ხალხით იკრიბებოდა ბერთემის გლეხების უმეტესობა, რადგან ყველა მათგანი დარწმუნებული იყო, რომ ისინი ახლა მართლაც თავიანთი საწაღმართო საქმის გასაქმებლად ემზადებოდნენ.

მიქე არ ფარავდა, რომ მალე შეიარაღებული გამოსვლისათვის უნდა მომზადებულიყვნენ. ეს აზრი ყველას მოსწონდა, მაგრამ ერთხელ კინალამ ჩხუბიც დატრიალდა ასეთი შეკრების დროს.

საქმე ის იყო, რომ გუდუიას, რომელიც თითქმის სხვებზე უფრო მოუთ-

მენლად ელოდა — როდის დასრულდება ჩვენთვის სანატრელი დრო, დამარტულებმა ყველამ ერთად „ვიხუვლოთ“ და ზშირად გასამხნეებელ რეპლიკებს ისროდა, ზურგს უკან ანტო მიჯდომოდა და თავჩაღუნული ხან ერთ ბალახს მოწიწებდა და ხან მეორეს. გუდუიას ეს დიდხანს არ შეუძწნევია, მაგრამ თვალი მოკრა თუ არა, ერთი ისეთი შეუძახა, ყველამ მოულოდნელად ისაგან მისკენ იბრუნა თავი.

— გაეთრიე აქედან, შე უჯიშო, შენ! — ყვიროდა გუდუია, — როგორ გაბედე და ჩვენს წმინდა თავმოყრაში შენც გაერიე? ახლავე გაეთრიე, ახლავე, მოშორდი აქაურობას, თორემ არ ვიცი, რას გიზამ!

— რას მერჩი, გუდუ? ჩემთვის ვზივარ აგერ. ყურს გიგდებთ. — თითქმის წამოიკანავლაო ანტომ.

— არაფერი საქირო არ არის შენი ყურის გდება, გადი, დაიკარგე!

— რას ერჩი გუდუია? — მიამახეს აქეთ-იქიდან.

— მოდა, რას მერჩი? ხელს რომ არაფერში გიშლი? ახლა უფრო გაბედულად შეესიტკვა ანტო.

— ხელს მიშლი კი არა, განა არ ვიცი, რა საქმის კაციც ხარ! — იყვირა გუდუიამ.

ბევრმა არაფერი იცოდა ანტოს საქციელისა. არც ის, ამას წინათ გუდუია მისი მეოხებით რომ იყო დაჭერილი.

თითქმის ამის ასახსნელად გუდუიამ აღელვებით ხალხს მიმართა:

— დამამაყია * ეს ყურუმსალი! — და ერთი გამეგრულებული, დამახინჯებული რუსული სიტყვით მაგრად შეუკურთხა.

— გაეთრიე-მეთქი, მე შენ გიბრძანებ! — ცვლავ შეუტრია გუდუიამ.

ანტო თავჩაღუნული ბალახის ღეროების წიწყას განაგრძობდა და ადგი-

* დამამაყია — მხევრავად შემოიხენილი, გამცემი, ჯამეში.

ლიდან არ იძროდა. იმის იმედი თუ ჰქონდა, წელან რომ გამოესარჩლნენ. ახლა ხმა აღარაღვის ამოუღია: მეტად დიდი ბრალდება იყო გულისაგან ანტოსადმი წაყენებული.

გუდუღიამ რომ დანახა, ანტო უძრავად ზისო, ერთი მძლავრად ჩაავლო მხრებში ხელი, ძალით ფეხზე წამოაყენა და ისეთი სილა გააწნა, რომ ანტო წაიქცა და ორჯერ გადაკოტრილდა.

გუდუღიამ ზურგი შეაქცია და კმაყოფილად ჩაიხვივნინა:

— ვათანძარა!

მაგრამ გუდუღიას ეს სიტყვა თითქმის დათავებულიც არ ჰქონდა, რომ ანტო დიდი სიმკვირცხლით ფეხზე წამოხტა, უკანოდან გუდუღიას მივარდა, მარცხენა ხელი თმაში მაგრად წაავლო, თავი ზურგისაკენ გადაუწია, თვალის დახამხამებამდე წელზე ჩამოკიდებულ ქარქაშიდან ბასრი დანა ამოაძრო და მარჯვენა ხელით ყელის გამოლადრვა დაუბირა. მაგრამ დაასწრეს და ანტოს გვერდით მყოფმა ორმა ახალგაზრდამ თავდასხმელს ხელები გაუკავე.

განთავისუფლებულმა გუდუღიამ თავი ანტოსაკენ მიიბრუნა, თითქმის უნდოდა თავის ხელში ერთი კარგა დაებლუჯა, მაგრამ ამეამად ის იქმარა, რომ ზიზღით სახეში მიაფურთხა.

აქ ობიშხიამ ხმა აიმაღლა. ახალგაზრდებს უბრძანა:

— დანა წაართვით, ჰკარით პანდური და გაუშვით. მაგისტანებს ჩვენს შორის აღგილი არ უნდა ჰქონდეს. გუდუღია მარცხელია, მეც ვიცი, რომ ანტო სანდო არ არის.

ამით გადაწყდა ანტოს ბედი საერთოდ სოფელ ბერთეშში.

ობიშხიას სიტყვა ყველასათვის სარწმუნო იყო. ყველამ იცოდა, რომ ამიერიდან არც ერთ მათგანს ანტოსთან საერთო არაფერი ექნებოდა, არც აქეთ მიიღებდნენ, არც იქით მივიდო-

დნენ, ის იქნებოდა სოფლისაგან გა-
რისხული.

ამის თავდები ობიშხიას სიტყვა იყო.

მაშინ არ იცოდნენ, მაგრამ ძალიან მალე შეისწავლეს, რომ ასეთ მდგომარეობას „ბოიკოტი“ ეწოდებოდა.

პირჩამობნელებული ანტო გაუდგა გზას. დიდი მინდორი ჰქონდა გადასასვლელი, ვერაფერს ვერ მოეფარებოდა, ხეც არ იდგა სადმე თავშესაფარად და დიდხანს მოჩანდა მარტო-მარტო თავჩაქინდრული მიმავალი.

— როგორ იუღასავით მოძუძგა! — ჩაილაპარაკა ერთმა ხნიერმა.

კარგახანს შესცქეროდნენ სხვებიც. ამ ტრიალ მინდორში ანტო მართლა გარიყულად გამოიყურებოდა. გვერდში არაფერი არ ედგა, მართლაც იყო ეული და მიუსაფერი. ზოგჯერ ასეთები ეცოდებოდა, ეს კი არაფერი არ ეცოდებოდა სთქვანემ დაარღვია სიჩუმე:

— თქვენ გგონიათ იმას გუდუღიას მოკვლა უნდოდა? მას მხოლოდ ამ მცდელობით თავისი ავაცოხა უნდოდა დაეფარა. ეგონა, თუ გუდუღიას მეტმა არაფერი იცოდა მისი ჯამუშობა.

— კარგია, გვეყოფა ამაზე ლაპარაკი. — შეაწყვეტინა ობიშხიამ. — ზომ მოვიშორეთ, გავრისხეთ. არც ღირს იმაზე ამდენი თავის მტერევა. კარგი ის არის, რომ დროით ავეკეთეთ მისი მავნებლობა. ფარნა, განაგრძე შენი სიტყვა.

ფარნამ უამბო შეკრებილებს, რომ მას უკვე მოსვლოდა ტიასაგან წერილი, რომელიც მედილიყნეს მოეტანა.

ტია იწერებოდა, რომ „მხნელ იყავით, მტკიცედ შექმენით საკუთარი ორგანიზაცია“...

სიტყვა „ორგანიზაცია“ ფარნამ გაუნუმარტა იქ დამსწრეებს.

„ნურათრის გერიდებოთ, აღგილობრივ მამასახლისის და მთავრობის მოხე-

ლევებს აპყარეთ იარაღი, ჩამოართვით უფლებები, არაფერში არ დაემორჩილოთ მათ განკარგულებებს. პრისტაიცი რომ მოვიდეს თავის ჩაფრებით, ნუ დავრიდებით, მივსიეთ, იარაღი წაართვით და სულ კუდიტ ქვა ასროლინეთ. ამ შეტაკებაში შეიძლება თქვენიანიც ვინმე დაიქრას, მოკლან, მაგრამ უმსხვერპლოდ არაფერი არ კეთდება, მით უფრო ასეთ დიდ საქმეში... თქვენ კი მათზე რიცხობრივ მეტი იქნებით უთუოდ და დაძლეეთ. ამას გარდა, ახლა უნდა იცოდეთ, რომ ნიკოიამ იაპონიაში ომი წააგო, ძალზე დაშინებულია და ხალხს ველარაფერს გაუბედავს... ასე ხდება მთელს რუსეთში, მთელს საქართველოშიც. აგერ თქვენს მეზობელ გურიას გადახედეთ. იქ მთელი ხელისუფლება ხალხმა ჩაიგდო ხელში. თავის საქმეებს თვითონ განაგებს, თავადანაურობას მიწა-წყალი ჩამოართვა, სოფლებში სამართალს თვითონ ხალხი აწარმოებს. საჭიროა, რომ სოფელ ბერთემშიც ასე მოიქცეთ, ხალხი თქვენც გყავთ ამ საქმეში გამოსაღვები და ითავეთ ეს დიდი საქმე..."

დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ტაიას წერილმა.

თავი მართლა მხნედ იგრძნეს იქ დამსწრებმა, გაბედულად, შემართებულად: მართო არ ვყოფილვართ, ჩვენისთანა ხალხი ყველგან ამდგარა და ჩვენ რა ღმერთი უნდა გავეწიყრისო?

ყველამ ამოიღო ხმა და ეს ხმა იყო ერთობლივი, საბრძოლველად მზად ყოფნის აღმნიშვნელი.

მხოლოდ სთუფანემ მაინც თქვა:

— რასაკვირველია, ჩვენც ასე უნდა მოვიქცეთ, როგორც ჩვენთვის საჭიროა, მხოლოდ დაკვირება უნდა საქმეს. როგორ გავაკეთოთ? კარგი, არ დავემორჩილებით ახლანდელ მთავრობას, მაგრამ რომ მოგეძალება, წინააღმდეგობა უიარაღომ როგორ უნდა გავუწიოთ? აი თუნდა ჩვენი მამასახლისის დაუმორჩილებლობა და იარაღის აყრა...

— ვინ არის ახლა ჩვენში მამასახლისი? — იკითხა ვიღაცამ.

— ვინ არის და ხუბუა... — უკასხუა მეორემ.

— არ გცოდნია, ბიძია! — ჩაერიო ობიშხია, — ხუბუა იყო, მაგრამ ქვეყანი ყაძახია და გაიძვრა, იგრძნო რაღაც და გადადგა. ახლა ქვარცხაა არის.

— ოოო, ქვარცხაა? — აროხროხდა ქუხილია, — იმასთან მე გამიშვით... — და თითქოს ახლაც გასაქცევად მოეზადა.

ობიშხიას გაეცინა:

— მოიცა, ოჩო-კოჩი, მოვა დრო და მიგიშვებთ. შენ მანამდე აქ გვჭირდება. ბიჭებო, იცოდეთ, ერთი მეორის შეუთანხმებლად არავინ ფეხი არ უნდა გადავადგათ. ხომ ხედავთ, რა დიდ საქმეს გკიდებთ ხელს! სთუფანე მართალია, როცა ამბობს, რომ დაკვირება გვინდაო, მხოლოდ მე არ მომეწონა მისი თითქოს ყოყმანი... ყოყმანის დრო ახლა აღარ არის... მე თვითონ აქამდე სხვაგვარ ვფიქრობდი — ყველას თავის შეკავებას ეურჩევდი, მაგრამ ახლა? როცა მთელი რუსეთის მშრომელი ხალხი წამოქოჩრილა, ჩვენს ირგვლივაც რა ამბებია თურმე... ზუგდიდის ვეზიდანაც კარგი ამბები მოდის... ჩემი თადა ჯგერენაისთან არის ახლა, მალე ჩამოვა და იქაურ ამბებსაც მოგვითხანს.

— ჯგერენაია კარგია, ობიშხია, — მართა მიქემ, — მაგრამ აგერ უშაფათშა ჩვენი ხურციც მარჯვედ არის თურმე, ჯგუფი უკვე შედგენილი ჰყავს. მართალია, მოაზნაურე ქუჩულორები და ბოკუნეები ამრეზით უცქერიან თურმე, მაგრამ...

— უშაფათში...

— ლეძაძამეში...

— კვათში...

— ნაქალაქეში...

ერთი მეორეს ასწრებდნენ იქ მყოფნი.

— ახლა ბანძაშიაც, — სიხარულით წარმოთქვა ფარნამ. — ჩემმა ცოლიმამ

ლევა კოტიამ მაცნობა, რომ იქაც და-
რახმულან.

— ჰოდა, კაი დაგემართოს, — გაიხა-
რა ობიშხიამაც, — ირგვლივ შემო-
გვერტყმიან მეგობრები. ნამდვილი ღრო
დამდგარა. დამიწყე მიჭე:

„ეის დოგიძახინანი,
თეჭი ოყო გოჯუმაფა!“

ეს „ეი“ დაგიძახეს უკვე!

მიჭემ დაიწყო, სხვებიც აყენენ და
აგუგუნდა მაშინდელი საბრძოლო მეგ-
რული სიმღერა.

ანტომ რომ კრებიდან „მოქუჟგა“,
ტრიალ მინდორს, როგორც იყო, გაცდა
და სოფლის შუკაში შევიდა, მაგრამ
აქაც თავს არიდებდა, რომ მეზობელ
ვინმეს არ შეყროდა. ასე ეგონა, ახლან-
დელი მისი გამოძევების ამბავი ყველამ
უკვე იცოდა, უთუოდ კარგად არც ისი-
ნი შენახდებიანო და... ვერ იყო გუნე-
ბაზე.

საერთოდ გუნება ძალიან არეული
ჰქონდა, უმთავრესად მაინც შურით
აღვსილი იყო და არ იცოდა, თუ უწინა-
რეს ყოვლისა, ვისზე ეყარა ჯავრი. მაგ-
რამ აგერ ქუხილიას ეზოს კიშკართან
პატარა, ძლივს ფეხზე რომ იდგა, ისეთი
ბავშვი, ქუხილიას შვილიშვილი „ბურ-
ქალობდა“. ამიტომ მომცრო კიშკარი
ცოტაზე შეაღო, გადაწვდა ბავშვს და
ორი ისეთი უთაქა ყურის ძირში, რომ
ბავშვმა მაშინვე ღრიალი მორთო.

ანტომ ეს არ იქმარა და ერთი ყუ-
რი ისე მაგრა აუწია, რომ ბავშვი ახლა
კი აღარ ყვიროდა, არამედ უკვე წიოდა
და სიოდა. ამაზე ქუხილიას ბებერმა
„აბარწა“-დან გადმოიხედა, ძლივს წა-
მოდგა და ბავშვაჯით მოაშურა ბავშვს.
ანტო რომ დაინახა, წყევლა-კრულვით
მიმართა და სულ „უკეთური, უკეთუ-
რი“ უძახა.

ანტო მაშინვე გაშორდა იქაურობას
და ახლა ამაზე გადაუვიდა ფიქრი.

„უკეთური!“ რამდენჯერ გაუგონია
ანტოს მის მიმართ მეზობლებისაგან.

— რატომ შემერქვა ეს ჭახუღუღუღუ-
ქმის ბავშვობიდან? ზიზღილიყიყი

ფიქრობდა ამაზე და ვერ გაერკვია.

ბერთემში ყველაზე უფრო გაპირე-
ბული და ხელმოკლე გლეხი ანტო იყო.
დედ-მამა ადრე გარდაეცვალა და თუ
რამ სარჩო-საბადებელი ებადა, ყვე-
ლაფერი ბანძლიმ ვალში წაართვა. მარ-
თალი იყო ეს ვალი თუ ტყუილი, ამას
ანტო მაშინ ვერ გაარკვევდა. ბანძლის
კი, ვინ იცის, შეიძლება ყალბი, მაგრამ
მაინც თამასუქი ეჭირა ხელში და აღმას-
რულებელი ფურცლით სასამართლოს
მოხელე იყო მომდგარი. ამ თამასუ-
ქის ვალს რომ ვერ აუვიდა ანტოს
ავლადიდება, ბანძლიმ თვითონ ანტო
წაიყვანა თავის სახლში მოჯამაგირედ.

და, ახლა რომ იხსენებს, უფრო აქე-
დან დაიწყო მისი „უკეთურობა“:

ბანძლის ჯავრანი, ბანძლის ცოლის
შეშხართი ანტოს გულს უსიებდა. თით-
ქოს ასრულებდა რასაც შეუკვეთავ-
დნენ, მაგრამ უმეტეს წილად ყველა-
ფერს ისე უქულმართად აკეთებდა, რომ
ბოლოს მხოლოდ შეშას თუ მოა-
ტანიდნენ ახლო მდებარე ტყიდან,
ისიც ზურგიით, თორემ სამზარეულოში,
ან რაიმე დასაკვირვებელ საქმის გასა-
კეთებლად აღარაფერს ავალენდნენ.
უფრო გასაგზავნ-გამოსაგზავნად თუ
მოიხმარდნენ. ამაში კი დაუზარელი
იყო, მხოლოდ ამ სიარულმა უთავბო-
ლო ყიალსაც მიაჩვია. ხან ერთი მეზობ-
ლისას შევიდოდა, ხან მეორისას, ზოგ-
ჯერ მთელ სოფელსაც მოივლიდა ერთი
დღის განმავლობაში და ქვეყნის ამბებს
გებულობდა. მერმე ამ ამბებს ათას-
ნაირად თავისით შეზავებულს სხვებს
გადაცემდა. განსაკუთრებით უყვარდა
ხანდაზმულ დედაკაცებში ჭორიკანობა
და ეს სიამოვნებას გვრიდა. თან დიდი
ფანტაზიის პატრონი იყო. რაიმე უბრა-
ლო ამბავს რომ მოჰყვებოდა, ისე გააზ-
ვიადებდა, ისე გააჟიანურებდა, რომ
გულუბრყვილო მსმენელები განცვიფ-
რებაში მოჰყავდა. ამ ყიალმა და ამბე-

ბის გადაცემ-გამოცემა ენატანიობა-საც მიაჩნია და ძალიან უხაროდა, თუ რომელიმე სოფლის ბოზოლასთან რაიმე მიზეზით ვისმე დააბეზლებდა.

ეს თვისება კარგად გაუგო სოფელ ბერთემში განსაკუთრებით სამმა ადამიანმა: თედორე — მღვდელმა, გუტატი — მოურავმა და თვითონ ბანძლიმ. ისინიც ხშირად ავალებდნენ ანტოს სოფლის ამბები და ხალხის ნათქვამი მათთვის მიეტანა. ისიც ხალისით ასრულებდა. მით უფრო, რომ ამისათვის ზოგი თავის გამონაცვალ საცვალს, შარვალს ან ახალუხს აჩუქებდა და ანტოც ამის შემდეგ თავმოწონედ დაიარებოდა. მართალია, ეს საჩუქრები ხშირი არ იყო, / არც ისე ძვირფასი, მაგრამ მისთვის მაინც გამოსადეგი იყო.

ბანძლისთან იგი ვალის მოსაქრობად იყო მოჯამაგირედ და ხელზე არაფერს არ ღებულობდა. დღეში ჭადის ნაჭერს და ერთ ჯამ ლობიოს თუ მისცემდნენ, დიდი ღვთის წყალობა იყო.

სოფელს მაინც ეცოდებოდა: ობოლი კაცია, უსახლკარო და პატრონი არა ჰყავსო. ამიტომაც თუ სადმე შეუსწრებდა მეზობლებში სადილ-ვახშამს, მისთვის რამდენიმე ლუქმას არ იშურებდნენ. განსაკუთრებით ღვდაცუბები, მამაკაცები კი უფრო დაცინვით ეპყრობოდნენ, რადგანაც როდესაც კი ანტო ჩაერეოდა რაიმე უხუშარ საუბარში, უთუოდ რაღაცა შეუფერებელს წამოროშავდა და ამას არ აპატიებდნენ. განსაკუთრებით ობიშხია, თუმცა იმავე დროს ობიშხია არიგებდა: „რამე საქმეს მოჰყიდე ხელი, ან აგერ აგურხანაში დადექი მუშად, ან ყანების დამუშავებაში დაგვეხმარე მეზობლებს და ამისთვის ცოტა რასმე გიწილადებთ. ამის მეოხებით ნელ-ნელა ბანძლის ვალსაც გადაიხდი და ფეხზე დადგებიო, თორემ ბანძლისთან მუქთად ყოფნა და სოფელში ტყუილ-უბრალოდ ყიალი არ გამოგადგებაო“, მაგრამ, ეტყობა, ანტოს ასეთი

მუქთანხორული ყოფნა ერჩია და თავის არჩეულ ცხოვრების გეზს არ აღმოუტოვებდა, სანამ, როგორც დღეს სალამოთი, სოფელმა არ გააძევა და თავის წრიდან არ გაირიცხა.

ახლა კი ანტო მართლა მიეცა დიდ საგონებელს. რა ქნას? უსოფლოდ მას ცხოვრება არ შეუძლია თუ ენატანიობა მოიშალა, ვილას რაღად უნდა მაშინ მაგის ნაცნობობაც კი და... თუ ისევ სოფელში არ ჩატრიალდა, ენის მისატანი ვინმესთან რა იშოვნოს?

ბანძლის ეზოს უკან დობილო ჰქონდა ადესის ვახისა. მოძებნა ერთი მიყრუებული თხმელის ზე, რომელსაც ვაზი საყვარელივით შემოხვეოდა და მიეგდო მის ძირას. მზე ის იყო ჩადიოდა. ბერთემის გორაკები ხალისობდნენ მოოქვრილის წითელი ფერით. რაღაც პაწია ჩიტი იქვე, თითქოს ანტოს ყურთან საღამურ, ვითომდა ლოცვას, აღავლენდა, შორიდან კი მოისმოდა მდინარე ტეხურის ვაკეცურთი მზუილი და თითქოს იწვევდა ადამიანებსაც საბრძოლველად.

ანტოსათვის ყოველივე ამას თითქოს სევდის ლეჩაქი ჰქონდა გადაფენილი და გამოუვალი ნაღველი ღრღნიდა მის გულს. ეს გამოსათხოვარი მზის სხივები თითქოს მასაც უკარანახებდნენ, შენც უნდა გამოეთხოვო ამ ქვეყანასო. თვალს ცრემლი მოადგა, ის იყო უნდა აქვითინებულყო, რომ უეცრად ფეხზე მარდად წამოხტა და მიამურა ისევ გუტატის. აქ იპოვიდა იგი ნუგუმს, აქ შეეძლო მას შური ეძია. ანტოს აზრით, გუტატი ყველაზე ძლიერი კაცი იყო ამ სოფელში და თუ მას აქაური გლეხების ღღევანდელი შეკრების ამბავს გადასცემდა, დარწმუნებული იყო, რომ გუტატი ამ ხალხს თავის „სეირის აყურებინებდა“.

ანტო რომ მივიდა, გუტატის ცხენები შეეკაშმა, ერთზე თვითონ ჯდებოდა და ოთხი მარქაფად უნდა წაეყვანა. ორ ცხენს ქალის უნაგირი ედგა.

— ო, რა კარგ დროს მოხვედი, ანტო, ახალსენაკს მივდივარ, კნენინა ნექტარინა მიბრძანდება, ბარამიც და თოლისქვა-მიც თან ახლავს. მათ წამოსაყვანად მიმყავს ცხენები, მაგრამ ამდენ ცხენს მართო ვერ წავიყვან, იმათ ახლა ბარგიც ხომ ექნებათ და ამისთვის კაცია საჭირო. კარგია, რომ მოხვედი, თორემ გზა-დაგზა უნდა მეძებნა ვინმე მოცილილი. წამოდი, წამოდი, მოახტი ცხენს და ცხენიც დაიმარქავე. — ეს ყველაფერი უცბად გამოუცხადა გუტარტომ ანტოს და თვითონ შესაჯდომად თავის ცხენს მიადგა.

ანტომ მაშინვე მიიბრინა გუტარტის ცხენთან და მარჯვენა მხრიდან ერთი ხელი ჯილავში წააღო ცხენს და მეორე ხელით გუტარტის აბჯანდი დაუჭირა. თან უკვე ცხენზე მჯდარ გუტარტის თავი შეაცოცხლა: „ასე აბა როგორ წამოვიდეთ?“ მართლაც და ორგან ბეჭებთან გაფხრეწილი და თეთრი ძაფით ძლივს მივამბული, სწორედ გუტარტის ძველი ნაჩუქარი ახალუხი ეცვა, ფეხებზეც ჩაფულაში თითები მოუჩანდა.

მაგრამ გუტარტომ გაამხნევა: „არაფერი არ გიჭირს და ჩაფულას ან მე გიყვით, ან კნენინა ნექტარინაო. თავზე კიდევ ჩემი ძველი ყაბალახი დაიხურე, იქ აგდია სადღაც, ძილხანს ეცოდინებაო“.

ანტომ არ დააყოვნა. ყაბალახი ხელთ რომ მოიგდო, თავზე კი არ დაიხურა, ცალ მხარეზე გადაიგდო კოხტა მეგრელივით და შემდეგ ორივემ გასწია მაზრის ქალაქისაკენ რკინიგზის სადგურზე ბატონების შესახვედრად.

გზაში ანტომ გუტარტის უამბო სოფლის ამბები. თავის გაძევებაზე კი არაფერი უთქვამს, რადგან უთუოდ იფიქრა, შეიძლება შემდეგში გაძევებულ კაცს ამბის შიტანაზე ისე აღარ მენდოსო და თავისი „ინფორმაცია“ ასე დაასრულა: ამ ნიადაგზე მე და გუდუღიას ჩხუბიც კი მოგვივიდაო.

— ჰოდა, ძალიან კარგი, ჩემო ანტო!

ბედი გქონია, რომ სენაკში მოგვხვდნენ წამოსვლა. აი მიგყვან პატარა თხა და თვითონ შენ უამბო ყველაფერს. ის გულისხმიერი კაცია. რაკი გაგიცნობს, მერე მე აღარ დაგვირდები. თვითონ მიხვალ დაუბრუნებლად, ანდა როცა მოგიხმობს, მაშინ... არა, ეს კარგი ამბავია შენ თავს! — და კმაყოფილად ჩაიხვივინა გუტარტმა.

ანტო არ იყო თავისებურ გამჭირაობას მოკლებული და კარგად წარმოიდგინა, თუ როგორ მალღებოდა მისი მდგომარეობა.

მართლაც, სენაკში ჩავიდნენ თუ არა, მატარებლის მოსვლამდე ჯერ კიდევ კარგა ხანი იყო, ცხენები ერთ ნაცნობ მედუნეს უკანა ეზოში მოათავსეს და თვითონ პოლიციის ბოქაულს ეახლნენ.

პოლიციის ბოქაული ერთი დაღურდანა კაცი იყო და გუტარტის მოუწონა, რომ ბერთემში ანტოსთანა „აგენტი“ გაუჩინა, თუმცა ისიც განუცხადა გუტარტის, რომ ძალიან ძნელი დრო დადგა ახლა. ხალხი ყველგან წამოიქოჩრა და მათი მოვლა გაჭირდა. ჩვენს მაზრაშიაც არის არეულობა; მაგრამ იმდენად არა, რამდენადაც ზუგდიდის მაზრაში. იქ უკვე ტერორზეც კი გადასულან: მოუკლავთ ერთი მებატონე. მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი იძულებული გამხდარა თავისი სოფელი და სახლ-კარი მიეტოვებინა და ახლა ამბობენ, მთავრობისათვის უთხოვია, რომ მის სოფელში ეგზეკუცია ჩააყენონო.

შემდეგ ანტოს მიუბრუნდა ბოქაული:

— შენც ასე გამოუცხადე შენს სოფელს, რომ ჰკუთხე იყვნენ, თორემ მთავრობა ეგზეკუციას ჩაუყენებს და მაშინ ნახავენ თვალის სიერს!

ამასთანავე ანტოს კარგად განუმარტა, ეგზეკუცია რასაც ნიშნავდა, რამაც გულში ძალიან გაახარა ანტო. წარმოიდგინა, თუ როგორ გააპარტახებდნენ განსაკუთრებით გუდუღიას და ობიშხიას

და ერთი-ორი სიხარულის ნერწყვიც კი გადაჟღავნა.

ბოქაულმა ანტოს ფეხსამოსსაც გადახედა:

— ოჰ, ეს რა ჩაფულა გაცვია, ბიჭო? — აღგა და მეორე ოთახიდან ექვსი აბაზი გამოუტანა. — გასწი ახლავე და ბაზარში იყიდე...

ეს იყო ანტოს ავკაცობის პირველი პონორარი.

ნექტარინა, თოლისქვაში, ბარამი, გუტატი და ანტო ბარგით დატვირთულნი იმლაშესვე ჩავიდნენ ბერთემის. კვიზინია კი მათ არ ჩამოყოლიათ, რადგან ბარამმა აუხსნა გუტატის — „ახლა კიათურაში აწყობს შავი ქვის წარმოების საქმეს, დიდი მოხერხებული კაცია და მალე ჩამოვაო“.

ეს ამბავი გუტატის არ სწყენია, რადგან იცოდა, რომ კვიზინია კიათურას უთუოდ ფულის მოსაგებად იქნებოდა წასული და მომავალში ეს გარემოება შეიძლება მასაც გამოდგომოდა. მხოლოდ თავის მხრივ არც ბარამს და არც, განსაკუთრებით, ნექტარინას არ გაუშხილა, რომ ბათუს ტარიელისაგან უკვე ოფიციალური საბუთი ჰქონდა მიღებული, რომ მისი საწილადო კვიზინიას სახელზე დაეკორნა გამიჯვნის დროს. უთუოდ ანტომ კვიზინიას ნოტარიუსში გაუფორმა ნასყიდობით. მაგრამ ამეგზე ხმა არ ამოუღია. ისე კი გზადაგზა ჩამოსულებს უამბობდა ბერთემის ამბებს.

ნექტარინამ მაშინვე ძილხანი იკითხა.

— ძილხანს რა უჭირს, ქალბატონო, ოღონდ უშენოდ ძალიან დაღონებულია და ახლა შენ მოგელის აღდგომასავით... სახლში ყველაფერი რიგზეა, მხოლოდ ამ „მერკევეანიმ“ ვაგეოქირა საქმე. გლახებმა თავი აიღეს — ენაწყლიანობდა გუტატი, — საკამათო გახადეს თქვენი მამულები, განსაკუთრებით ბარამს მოდგნენ ძალიან. მის საყვარელ ტყესაც კი ედავებოდა.

ნექტარინას ეს ამბავი მაინცდამაინც არ სწყენია, რადგან ძველი ქინი თუ შუ-

რი ბარამისადმი სადღაც გველის. თუ ქულში კიდევ ჰქონდა ჩამოხლული მანქანა, რამ მაინც წამოიძახა:

— რას ამბობ, გუტატი? რა ხელი აქვთ?

ბარამი ხმას არ იღებდა.

— რა ვიცი, ქალბატონო! — განაგრძობდა გუტატი. — ის კი არა, ამბობენ, მთელი ბერთემის მიწა-წყალი ჩვენია, გლახებისო. გვირგვლიანებს რა გააჩნდათ! ეგენი ჩამოსულები არიან, მხოლოდ შემდეგ მოგვერიენ და ძალადობით გვიყმეს, თორემ ეგენი... აქაური მკედრი ხალხი ჩვენა ვართ, ეგენი კი ზოგი სომხეთიდან ჩამოსულა, ზოგი ჩერქეზიდან, კაცმა არ იცის, ვინ არიანო. განსაკუთრებით ამას ქალაგებს ობიშხია და მისი აწყობი ფარნაც. მაგრამ მე კაცი არ ვიქნები, თუ იმის ოხტში არ მოვედიო, იმუქრებოდა გუტატი.

სანამ ნექტარინას სასახლეს არ მოაღწიეს, ბარამი ისევ ჩუმად იყო და ვინ იცის, შეიძლება ქვეყნის ამოვებაზე შეუვარდა ფიქრი. ნექტარინა კი თანდათან ზრახობდა და ეს რომ შეატყო გუტატიმ, აღარ უამბო თავის კნეინას, რომ მის სასახლეში ძილხანის გარდა მოსამსახურე აღარავინ აღარ იყო. სულ გაეყვანა ბერთემის ორგანიზაციას.

„ამას ზომ თავისი თვალით ნახავს და როგორც ნებავს, ისე მოიქცესო“, — ფიქრობდა გუტატი.

ბარამი აღარ შეჰყოლია ნექტარინას მის ეზოში, პირდაპირ თავისი სახლისაკენ გასწია.

ნექტარინას და თოლისქვამს მხოლოდ ძილხანი და ბათუ გამოეგება. ამან ცოტა არ იყოს გააკვირვა ქალბატონი, მაგრამ პირველი შეგებება მაინც ძილხანთან ზევინა-ალერსში ჩაატარა. თოლისქვაში, მისალმებას რომ მორჩა, მაშინვე ცალკე ოთახში წავიდა, იქ ანტომ შეუტანა მისთვის საჭირო ბარგი და ისიც დალაგებას შეუდგა.

ნექტარინამ ცოტა რომ მოიშლი-
ფა და თავის საყვარელ დიდ სავარ-
ძელში ნებივრად მიესვენა, მაშინ მოი-
კითხა მოსამსახურეების ამბავი: „სად
გადაიკარგნენო?“

როდესაც ძილხანმა აუხსნა, როგორც
იყო საქმე, რომ ეს სოფლის ახალმა
მეთაურებმა გალაღეს ყველა ფეხმოდ-
გზული ოჯახიდან მოსამსახურეები,
„მისი ქალი, მისი ვაჟი“, რომ იტყვიან,
ერთი „ავარდა და დავარდა“.

— არა, მე როგორ გამიბედდეს იმ
წუნკლებმა, იმათ?! მეთაურები ვინ
არიან? ობიშხია, გუდღია? აი იმათ კი
დავასხი თავს ლაფი! ამას გარდა, შენ
ამბობ ძილხან, რომ ქალებში ფარნას
ცოლი და ის ჩემი ცხვირის ჟღერტი,
ჩელა არის, რომ არეულობა შეიტა-
ნაო? გუტატი, გუტატი! გუტატი-მეთ-
ქი! — ხმამაღლა გასძახა ოთახიდან ნექ-
ტარინამ და თვითონ ისევ სავარძელში
ჩაეფლო.

ძილხანი მაშინვე გავარდა და გუტატი
შემოიყვანა.

— ჰა, ჰა, ჰა, რა გახარო, გუტატი,
იცი? დამილოცნია შენთვის ბურთი და
ბოედანი! შენ იცი ახლა, იმ ფარნას
ცოლს და იმ ბსხიტს ჩელას რასაც მოუ-
ხერხებ.

— რა ვიცი, შენი ქირი შემეყაროს,
აქამდი სულ ამისთანებზე თავზე კაკალს
მამტერევი და...

— ჰო, ჰო! კარგი გაიძვერა ხარ, ნუ
გეშინია! იმათ კი მოუხერხებ, შენი ამ-
ბავი რომ ვიცი, მაგრამ საქმე ისაა,
ობიშხიას და გუდღიას ჯავრი ამო-
ყარო.

— ოჰ, ეგ, ქალბატონო, ახლა, ცოტა
არ იყოს, გაჭირდება.

— ჰაიტ, შე ჩიჩია, შენ! ორმა დაფს-
რიკულმა კაძახმა შეგაშინა?

— არა, ბატონო, ახლა ისინი ორი კი
არ არიან, მთელი ამ სოფლის გლეხობა
მათ უჭერს მხარს.

— მერე-და შენ და ბათუ რას მიკე-
თებთ?! მაშასახლისიცი დაიხმარეთ თა-

ვიანთი პოპოშნიკებით და კულ მათრე-
ხის ცემით ზურგი აუტყავთ მაქონის
შვილებს, მაგათ.

— აგრე არაა საქმე, თქვენ რომ წარ-
მოგიდგენიათ, კნენია.

— კარგია ახლა! ხომ იცი, ბევრი ლა-
პარაკი მე არ მიყვარს. გასწი და რაც
გიბრძანე, იმაზე ზომები მიიღე.

— მე კი წავალ, მაგრამ...

— ოჰ, რა ჯანჯალი შეიქენი ამ ბო-
ლო დროს! გასწი, გამეცალე!

გუტატი გავიდა, მაგრამ ნექტარინას
ბრძანების შესრულებაზე არც კი უფი-
ქრია.

„რას ამბობთ! დღეს პრისტავი რას
ლაპარაკობდა! მე კი არა, რუს-ხენწიფის
ჯარს უჭირს თურმე მაგათთან გამკლა-
ვება, ისევე ეგზეყუცია თუ მოთოკავს
და ჩვენც ეგ უნდა ვითხოვოთ. რაც შეე-
ხება იმ ორ ქალს... ჰა, ჰა! ნექტარინამ
დღეს რომ ნება დამართო... ფარნას ცოლ-
ზე ამას მეც დიდი ხანია ვფიქრობ და
იმ... ჩხართვზე კი... ჩელაზე, მე და ჩემმა
ღმერთმა, ღირს ნადირობა. ჰო, ხანდახან
მართო დაიარება სოფელში და... ჰმ!
სადმე ტყესთან მივიმწყვდევ...“

ასე ფიქრობდა გუტატი, მაგრამ ამ
ქალების შესახებ არანაყოფიერ ღეარძლია-
ნად ფიქრობდა ნექტარინაც.

„გუტატი ხომ გავახარე და რაც
უნდა, ის უყოს ფარნას ცოლს. მხოლოდ
ჩელა უნდა გაყოქილი აქ მომიყვანოს.
ჩემი თვალის წინ გავაბახებინებ, შემ-
დეგ კი იმდენ როზგს დავარტყმევი-
ნებ, რომ სულს ძლივს ითქვამდეს, ბო-
ლოს გასაგათებულს მე თვითონ ეკრავ
წიხლს და იქვე ჩვენს ეზოს თხრილში
გადავადებ. მაშინ იკითხოს, რავა უნდა
ჩემი მოსამსახურეების აბუნტება. ჰა,
ჰა! გუტატი კი ამის შემდეგ უფრო მოინ-
დომებს ჩემი ბრძანების შესრულებას
და უჩვენებს კუბაქებს თავის თვალის
სიერს...“

თავის ფიქრს ნაწილობრივ უზიარებ-
და ძილხანსაც, მაგრამ რა იცოდნენ, თუ
ძილხანსა და ნექტარინას კი არა, არა-

მედ ზოგიერთ ნასწავლს და განათლებულ ადამიანსაც არ ესმოდა იმდროინდელი ხალხის ისტორიული გზების ამბავი.

ნექტარინამ თავის ნათქვამს გული დააჯერა და უკვე გამხიარულებულმა ძილხანს მოუთხრო ქუთაისის ამბები.

ერთობა, კმაყოფილი იყო იქ წასვლით: ფულებიც მიიღო, თოლისქვამსაც შესანიშნავი მზითველი გამოუწყო, ქალაქშიაც გაისეირნა — ბულვარში, ფერმაში, მთავარ-ანგელოზშიც ილოცა, თეატრშიც იყო, ხალხი ნახა, ზოგი ძველი ნაცნობიც და კმაყოფილი იყო.

— ბები და მარინა კარგად არიან, მალე ჯვარს დაიწერენ, შემდეგ რუსეთს მიდიან, ისე უყვართ ერთმანეთი, რომ ბედნიერები იქნებიან. დაგმარაც გათხოვდა. ერთმა შეძლებულმა ქართველმა თავადიშვილმა შეირთო. იჭაურის მარშლის ოჯახში დიდი ქორწილი იქნა გადახდილი. ორივენი კარგი ახალგაზრდები არიან.

16

გუტატი რომ ნექტარინას გაეცალა, მაშინვე საგარეო ტანისამოსი გაიხადა. საშინაო ჩოხა-ახალუხი ჩაიცვა, ჩოხა შეუბნევლად ახალუხზე გარედან გადაიცვა, ქამარ-ხანჯალი შიგნით შემოირტყა და ფეხზედაც საშინაო, ყოველდღე სახმარებელი მაღალყელიანი აზიური წალბები ჩაიცვა, მხარზე საშინაო ყაბალახი გადაიგდო და იქ წავიდა, სადაც მიწისმშომელი ბერთემის მესაკუთრეებს ნაკეთებებს უმიჯნავდა.

მიწისმშომელი უკვე ნექტარინას, ბეგის და ტაიას სამფლობელოში იყო შემოსული და ამჟამად უკვე ფარნა ბეალას ეზო-სახლკარს გვერდზე ედგა. ეს თითქმის ბერთემის შუა ადგილი იყო.

მიწისმშომელმა ბერთემის გამიჯვნა აღმოსავლეთიდან დაიწყო, სოფელ ლეჩაძის საზღვართან და ნელ-ნელა დასავლეთისკენ მიდიოდა. ამ საზღვართან

დიდხანს შეჩერდა, რადგან სწორედ აქ მდებარეობდა მენჯი-რობუმი. ეს იწვევდა დიდ აყალ-მაყალს. გვირგვინიანები ამ ადგილს მარტო თვითონ ჩემულობდნენ და ამას ეცილებოდნენ ლეჩაძისა და ბერთემის გლეხები, მაგრამ გვირგვინიანების ინტერესების წარმომადგენლები ამ დავას მაინცდამაინც დიდ ყურადღებას არ აქცევდნენ, რადგან გაიგეს, რომ მაშინდელი კანონით, ადგილის ზედამირი ვისიც უნდა ყოფილიყო, წიაღი მაინც მებატონეს ეკუთვნოდა. საინტერესო მენჯი-რობუმი სწორედ მისი წიაღი იყო, იქ იყო მადნეული. ეს ამბავი დიდად შეიცხადეს გლეხებმა, დაეაზე მაინც უარი არა თქვეს, მაგრამ კანონზე დიდად გული დაწყდათ. „ეს რა კანონი ყოფილა: თუ ადგილი ჩემია, რაც ამ ადგილზეა, ზედაპირზე თუ მის შიგნით, წიაღში, ისიც ჩემი უნდა იყოსო“. და ამან კიდევ უფრო ააღრინა გლეხობა მეფის მთავრობის წინააღმდეგ. ის კი არა, აღმოჩნდა, რომ ტყიანი და სამკურნალო წყლების ადგილებიც მებატონეს რჩებოდა და მიწისმშომელი უმტკიცებდა, რომ ამაზე რაც უნდა იღავით სასამართლოში, სულ ერთია, მაინც წააგებთო. ეს კიდევ უფრო აბრაზებდა გლეხობას და ისინიც, რომლებიც არც თუ მაინცდამაინც თანაუგრძნობდნენ „მოძრაობას“, აღარ ფარავდნენ თავიანთ უკმაყოფილებას: „ამისთანა მთავრობა და მისი კანონები სწორედ უნდა დაემშოსო“.

ახალგაზრდები ზომ, მიქესთანა მოაზროვნენი, გამოიჯენას თუ ესწრებოდნენ, ისიც უფრო მეტად ერთი მეორეში საიდუმლოდ მოსალაპარაკებლად, მაგრამ არც მიჯნის ჯიხურის აღნიშვნაში, არც საცილობელი სამკუთხი ორმოს ამოღებაში მონაწილეობას არ იღებდნენ. ეს აბრაზებდა მიწისმშომელს და ემუქრებოდა ახალგაზრდობას: „დაგაჯარიმებთ, დაგატუსაღებთ, მოვალენი ხართ, ჩემს მუშაობაში დამეხმარეთო“.

ახალგაზრდები არ ეპუებოდნენ და ხალხს აგონებდნენ:

— რას ხლაფორთობთ, რაში გვირდებათ! ძალიან მალე მთელი მიწა-წყალი ჩვენი იქნება. მაგას კი ჰკარით პან-ლური და გააგდეთ! — უთითებდნენ მიწისმზომელზე.

მაგრამ მესაკუთრეობის გრძნობა ხალხის ძვალ-რბილში იყო გამჯდარი, როგორც უნდა ყოფილიყო, კანონისა მაინც ერიდებოდათ და მიჯნების საქმეში სოფლის დიდი უმეტესობა მაინც იღებდა მონაწილეობას. ამაში, გარდა გლეხობისა, მონაწილეობას იღებდნენ უმთავრესად გვირგვინიანები, თითო-ოროლა ბერთემს მოსახლე მოაზნაურო პიროვნება, მღვდელი თედორე, მეფასზე ბანძი და სხვა სოფლებიდან მოსული ფაღავეები და აფაქიძეები. აქ ისინი იმბიტომ იყვნენ მოსული, რომ ბერთეში ესახლნენ ოდესღაც მათი ნაყმევები, რომელთაც ახლა ხიზნებს ეძახდნენ, როგორც, მაგალითად, ფარნა ბეალაა, და ღაგობდნენ ზოგიერთ ნაკვეთზე.

მიწისმზომელი ძალიან ჩქარობდა, ამ სოფლის გამიჯვნა როგორმე მალე მოეთავებინა, რადგან გრძნობდა, რომ ქვეყნად სულ სხვა „ქარი ქროდა“ და შეიძლება მისთვის არ დაეცალათ. მას კი უნდოდა, რომ დაესწრო მოძრაობის გაღრმავებისათვის და გუბერნიის სამიჯნო განყოფილების წინამე პირნათლად წამდგარიყო. მაგრამ ეს არ ხერხდებოდა. მიწის ნაკვეთები, გლეხებისა და მებატონეებისა, ისე იყო ერთმანეთში შეთხზული და შექსოვილი, რომ თითო პაწია ნაკვეთის გაზომვას და გამოანგარიშებას კარგა დიდი დრო უნდებოდა. ახლა ერთმანეთში ღვა და აყალ-მაყალი მეტად ბევრ დროს ართმევდა მიწისმზომელს. ისიც ცდილობდა მეტწილად დაყვავებით და ლომბიერად აეხსნა საქმის გაგრძელება.

ხშირად მიმართავდა ასეთ სიტყვებს:

— გაიგეთ და შეიგნეთ, რომ ძლივს მთავრობამ მოგხედათ, თქვენს მესაკუთ-

რობას არკვევს, მას კარსაბოლოოდ მიიკუთვნებთ და თქვენც დაწვნიდებით. გამაყვებინეთ ეს მთავრობის მიერ თქვენს სასარგებლოდ გადაწყვეტილი საქმე.

— არ გვინდა მაგისთანა მთავრობა და არც შენ გვინდობარ! — შესძახეს ახალგაზრდებმა.

მიწისმზომელი გაბრაზდა, მაგრამ თავი შეიკავა, მხოლოდ გააფრთხილა:

— მაცალე, მაცალე! ჯერ-ერთი, გამიგონია, მეგრელებმა უფროსების პატრისცემა იციანო.

ამაზე იქაურობა გაირინდა. მიწისმზომელმა განაგრძო:

— ამას გარდა, მე მთავრობის წარმომადგენელი ვარ და როდესაც სამსახურის საქმეს ვასრულებ და ეს ჯაჭვი მკიდია, მაშინ ჩემთან ღვა და კამათი არ შეიძლება.

ვილამაც მაინც შეაწყვეტინა:

— ჩვენ შენ არ გეკამათებით, მხოლოდ არ გეჯერა არც შენი საქმისა და არც შენი მთავრობისა.

აქ ობიზხია ჩაერია:

— კარგია, ბიჭებო, დაჩუმდით. თქვენ თუ რამე შეგიძლიათ ის გააკეთეთ და ამ პატიოსან კაცს კი ნუ აწუხებთ. ის თავის მოვალეობას ასრულებს და სანამ ჩვენც დღევანდელ კანონებს ვემორჩილებით, მანამდე დავეხმაროთ მაგას. ამითი არაფერი არ წახდება.

საწინააღმდეგო ხმები მიჩუმდა. მიწისმზომელს გული მოეცა:

— თუ დამაცლით, გამიჯვნას მალე მოვრჩები და თქვენც ერთი მეორეში საყაყანო და საჩხუბარი არაფერი გექნებათ. ყველას კანონიერად მიგაყუთვნებთ თქვენს საკუთრებას, როგორც მებატონეებს, ისე გლეხებს. დამშვიდდით და საქმე მალე გაკეთდება.

ხალხი ცოტათი დაწყნარდა. მიწისმზომელი მიადგა ერთ პატარა ნაკვეთს:

— ეს ვისია?

— მიქესია, ბატონო, მიქესი, — მიამა-

ხეს აქედან, იქიდან. — ეი, მიქე, სადა ხარ?

მიქე მოშორებით ახალგაზრდებში რაღაცაზე ხარხარებდა.

ამ დროს მოიქრა ბანძლი და „ჩემოა“ განაცხადა. სოფლელებმა კვლავ შესძახეს მიქეს, მან კი იქიდან დაუყვარა:

— რაც უნდა, ის გააკეთოს ბანძლი. რაც მაგან ჩემგან წაიღოს, ის თავის პატრონს დააკვებოს.

შეიქნა ხარხარი.

მიწისმზომელმა ნაკვეთი არ ჩაუწერა ბანძლის. ის დაემტკრა მიწისმზომელს, უფროსებთან გიჩივლებო, მაგრამ მიწისმზომელი არ შეეპუა:

— ხალხი ლაპარაკობს, რომ ნაკვეთი მიქესია და თვითონ იქიდან რომ დაიყვარა: „რაც მაგან ჩემგან წაიღოს“... ეს ჩემთვის საკმარისია. მე ჩემი საქმე კარგად ვიცი.

ბანძლი შეფუცხუნდა, მაგრამ არავინ ყურადღება აღარ მიაქცია, რადგან შეუდგნენ სხვა ნაკვეთებს და აქ ბათუმ, ტაიას ვეჭილმა და მოურავმა, აიმაღლა ხმა — „ეს ნაკვეთები სულ ტაიასიაო“.

ამაზე ხალხი აყაყანდა და...

იჭრებოდა და იჭრებოდა ირგვლივ სამკუთხედი ორმოები.

აქ შემოერია ბარამის, ბეგის და ნექტარინას სამფლობელოებიც. ბათუმ მიწისმზომელს განუცხადა, რომ ამ ადგილების გამოიჯენა შეჩერებინა და დავეცადა მეპატრონეებისათვის, მაგრამ მიწისმზომელი არ დაეთანხმა. მან განუმარტა ბათუს:

— ჩემგან ბერთემის ყველა მოსახლეს დაგზავნილი აქვს უწყებები და ისინიც მოვალენი არიან თავის დროზე გამოცხადდნენ. მე ხომ არ ვიცი, სადა დევს მათი ნაკვეთები. თუ არ მოვლენ, ვინც რომელიმე ნაკვეთს ხელს დაადებს, იმას უნდა მიუმიჯნო.

ბათუ გაფიცდა: „ეს რანაირია, იქ მიქეს ნაკვეთი, მიქეს ოფიციალურად არ განუცხადებია, ისე მიუღომა, აქ კი...

გვირგვლიანების ხათრი სულ არ მოიღვა“... მაგრამ არაფერი არ თქვა, მხოლოდ ნექტარინას სასახლისკენ დაიწყა ყურება. გუტატის მოელოდა და...

გუტატიც გამოჩნდა.

— სადა ხარ, კაცი, აქამდე? — მაშინვე მივარდა გუტატის ბათუ. — საკმათო გახადეს ამ ტურტლიანებმა ჩვენი გვირგვლიანების მამული...

— რა ვუყოთ მერე! — მშვიდად უპასუხა გუტატი. — რაღა არ იცი, ამითი არ თავდება საქმე. სასამართლოში გაირჩევა და იქ, ცხადია, ჩვენ მოვიგებთ.

— რა ვიცი, რა ვიცი! ძაან უპატრონოთ კი ვართ და... — ჩაილაპარაკა ბათუმ.

ამასობაში მიწისმზომელი მიადგა ერთ კოხტა დაბლარ ვენახს. მშვენივრად იყო მოვლილი, ხარდანზე ვაზი ლამაზად იყო აყვანილი, ნიადაგი მოსუფთავებული და ისე იყო გამოხევეწილი, რომ სასეირნო ხეივანსა ჰგავდა. თან უხვად ესხა ახლად გამოღებული ყურძნის პატარა კუმპლიანი მტევნები. ვენახი შემორავილი იყო იელის მოჭნილი წნელით და ამის შემდეგ, ცოტა დაფერდებულში, იწყებოდა გადაკონდრებული ფართო ეზო თავისი სახლ-კარით.

ეს ფარნა ბეალას კარმიდამო იყო.

ის ვენახის თავშივე დახვდა მიწისმზომელს. განაცხადა, რომ მთელი ეს კარ-მიდამო თავისი ვენახით მისი იყო.

მაგრამ ამ დროს აქვე გაჩნდა ფალავა და ამანაც განაცხადა თავისი პრეტენზია.

სანამ მიწისმზომელი ჩაწერდა განაცხადებს, მანამდე აუჩქარებლად, ხელოვნური დიდი სიღინჯით გუტატიც მოვიდა და თქვა:

— ეგ, ბატონო, ფარნა ბეალაა გახლავთ, ჩვენი ზიზანია და თავადმა ფალავამ მპატიოს, მაგრამ არც მაგას აქვს უფლება ამ მამულზე.

— რას ამბობ, გუტატი? — იწყინა ფაღავამ, — ბეალა ჩვენი ოჯახის ნაყმევია და ბანძიდან აქ წამოსულა, მაგრამ საღაც უნდა იყოს, მის საკუთრებაში წილი მეცა მაქვს. მით უფრო, ეგ ზომ ჩვენგან განთავისუფლებული არ არის.

ამაზე მიწისშომელი შეეჭრა ფაღავას:

— თუ ხიზანია, კნიაზო, მაგათ შესახებ სულ სხვა კანონი არსებობს.

გუტატიმ არ დააცალა:

— ხიზანია, ბატონო, ეგ ძალღის შეილი, ეგ...

ფარნა სულ გადაფითრდა. ხელში წაღლი ეჭირა და სხვების შეუმჩნევლად თითქოს მოიმარჯვებდა.

— ხიზანია და მაგისი აქ არაფერი არ არის... ეს სულ კნენია ნექტარინასია. მაგას რა აბადია მაგ საწყალს? — ერთი ლამაზი ცოლი ჰყავს... ეს კია... და გუტატიმ ფარნას ეზოსკენ გაიხედა.

ცოლის ხსენებაზე აქა-იქ ჩაიფრტუუნეს. ფარნამ კინალამ იფეთქა, მაგრამ, თუმცა დიდი გაკვირვებით, მაინც თავი შეიკავა.

ფაღავამ დაქინებით მოითხოვა ფარნას მამულზე საცილობელი ორმოს გათხრა. გუტატიმაც თავისი თქვა. ფარნამ ახლა კი იყვირა:

— რას მეჯაჯუტრებით, კნიაზებო! სულ ჩემია ეს ყველაფერი! ჩამწერე როგორც ამ ადგილების ნამდვილი პატრონი. ჩემი ნაწვი და ნადაგია. რაო? ორმო გაუთხაროთ? ისეთ ორმოს გაგითხრით მე თქვენ, რომ თქვენი ძვლებიც შიგ ჩასტოვოთ.

ბარით ხელში მივარდა აღნიშნულ ალაგს და გაშმაგებით დაუწყო თხრა საცილობელ სამკუთხიან ორმოს.

მიწისშომელი ამოდ უხსნიდა ფარნას, რომ ის ტყუილად ცხარობს, რომ ის ხიზანი ყოფილა და ხიზნების შესახებ ამ მოკლე ხანში მთავრობამ გამოსცა კანონი, რომლითაც ხიზანს შეღავათები ეძლეოდა და ისიც ამ კანონის მიერ

ნაჩვენებ გზას უნდა დადგომოდა. მაგრამ ფარნას მისი აღარაფერი ესმოდა და გაშმაგებით თხრიდა ორმოებს.

გუტატიმ ფარნას ასეთ საქციელზე ერთი გესლიანად ჩაიციხა და კვლავ გახედა ფარნას სახლ-კარს.

მე გუტატი არ ეიქნებო, თუ დღესვე თავსლავი არ დაგასხი, ბეალა, და შენი ფანთა ზელთ არ ეიგდე. ჰა, ჰა! დღეს ზომ თვითონ ნექტარინამაც დამლოცა ამ საქმეზე. სწორედ ახლაა დრო. ფანთა მარტოა სახლში, ფარნა გულმოსული აქ დიდხანს იბრუალებს. სხვა დროს ზომ ვერ მიუხტება, ღამით ზომ სულ არ ეარგა? ახლაა დრო, ახლა! — გადაჭრა გუტატიმ და სხვების შეუმჩნევლად ფარნას ეზოსკენ დაეშვა.

მართლაც, არავის შეუმჩნევია, მხოლოდ სხვებისაგან მოშორებით მჯდარმა სთეფანემ დაინახა და მაშინვე მიამბოხა: — სო მოიზაკეა, სო? *

გუტატიმ გაიგონა. იცნო სთეფანეს ხმა, მაგრამ ყურადღება არ მიამცია. უთუოდ ეს იფიქრა: „სთეფანე ზღაზნია კაცია, სანამ ის რასმე გადაწყვეტდეს, სანამ წამოდგებოდეს თავის ადგილიდან, სანამ ვისმე რასმე ეტყოდეს, მანამ მე ჩემ შიზანს მივალწევ კიდევცო“. და განაგრძო თავისი გზა, მხოლოდ ცოტა უფრო ფეხსაქარებით.

აგერ მიაღგა კიდევ ფარნას ქოხის აბარწას (ერდოს).

ქოხის კარები გამოღებული იყო და კერაზე დანთებულ ცეცხლთან ფანთა საქმიანობდა. უეცრად შეკრთა: ცეცხლს ლანდი დაადგა. მოიხედა და მიხვდა რომ ეს ლანდი კარებში მომღიშარე გუტატისა იყო. ფანთა მაშინვე მიხვდა რა უნდოდა ამ მომღიშარ კაცს. გაახსენდა ბანძაში, აღდგომის დღესასწაულებზე გუტატის დამუქრება, ტანში უსიამოდ გააყრცოლა, მაგრამ არ დაბნეულა. წელში სულ ერთიან გასწორდა და შეუეწლად უთხრა:

* საით მიიბარები, საით?

— შენ აქ რა გინდა?

— საქმეზე არ მოვსულვარ, ფანთა, ნუ გეშინია! — და რაც შეიძლება ტბილად შეაგება: — სასიამოვნოდ მოვედი, საალერსოდ.

ფანთა გამეხდა:

— შენი ალერსი იქ დახარჯე, იქ, დოხოვრეში, კნენებთან.

— უი, შენ კი დაგენაცვლოს ხუთასი კნენიან ერთად. რა ქალი ხარ... რა გიხდება ეგ გულის მოსვლა! — და გუტატიმ კარების ზღურბლს ერთი ფეხი გადააბიჯა.

— ფეხი! ფეხი არ გადმოდგა აქეთ, თორემ ამას ხომ ხედავ! — და ფანთამ აღმოღებული ერთი კარგა მოზრდილი შეშა ხელში მოიმარჯვა.

— შეშა კი არა, ახლა მე არაფერი არ დამაყავებს! — წარმოთქვა გუტატიმ და ფანთას ხელში ჩასაბღუჯად მიიწია. თან მოინდომა, რომ მეორე ფეხიც გადაეღა ზღურბლზე, მაგრამ ფანთამ თვალის დახამხამებამდე აღმოღებული შეშა გუტატის წვერებს შეუეთა და ვაჟაკის დიდი ფარეზობით მოვლილი წვერი უცრად აპრიალდა.

გუტატი დაიწმუწა, ხელები წვერებში იტაცა, ცეცხლისაგან თვალთ დაუბნელდა, ცალი ფეხი ქოხს შიგნით ჰქონდა შედგმული, ცალი გარეთ, როგორღაც უხეიროდ გაეხირა და ვერაფერი ვეღარ მოახერხა. ამ დროს ფანთამ შიგნიდან მაგრად ხელი ჰკრა და გუტატიმ ქოხს გარეთ ზღართან მოაღინა. იმავ დროს, სანამ გუტატი რასმე მოისაზრებდა, ფანთა გარეთ გამოეწარდა და სირბილით გასწია თავისი ვენახისაკენ, სადაც გამიჯვნა წარმოებდა და ფარნა ეგულებოდა. იქ პირველადვე სთეფანეს შეეფეთა. სთეფანე შეეკითხა: „რა იყო, რაზე მოიბრინე, ხომ არაფერი მომხდარაო?“ მაგრამ ფანთას არაფერი უპასუხია. გაგლისპებული სახე ჰქონდა. ცოტაზე წაიწია და ფარნას თვალით ძებნა დაუწყო, მაგრამ ვერსად დაინახა.

ამასობაში წაქცეული გუტატი ინსტიქტურად წვერებზე ცეცხლს იძირებდა და ალი ყველგან მოიქრო კიდეც, მაგრამ ხელები დაეწვა, ლოყებიც აეწვა და ფუტკრებისაგან დაკბენილ დათვის დაემსგავსა. როგორც იყო, წამოდგა კიდეც და ძლივს თვალები გაახილა. ახლა იგრძნო, რომ წამწამებიც შეფუფქებოდა და არ იცოდა, თუ ჯავრი ფანთაზე როგორ ამოეყარა, მაგრამ აგერ დაინახა, რომ ფარნას პატარა ვაჟი ეზოში ხარებს მოერეკებოდა და ბაჯბაჯით მისკენ გასწია. დაეწია ბიჟს, ერთი ხელის წველებით მიწაზე დასცა, ზედ დააჯდა ამხელა კაცი და უწყალოდ ცემა დაუწყო.

იმავ დროს ორმოცის თხრით დაღლილი ფარნა ვენახის პირად ჩამოჯდა დასასვენებლად, ბარი და წალდი იქვე დაყარა. ცოტა ხნის შემდეგ თავის ეზოსკენ მოუხედა თვალი და დაინახა იქ რაც ხდებოდა. თავისი ვაჟი იცნო, გუტატი კი კარგად ვერ გააჩნია, მაგრამ მაინც იმ წამსვე ზეწამოიჭრა და შურდულივით თავქვე დაეშვა. მიუსწრო, იცნო გუტატი და მოულოდნელად თავს დაეცა.

— ო, სი შურიბუძლამი, სი! * ამ ბავშვს რას ერჩი? — მიამახა ფარნამ და ბიჟს ააგლოჯა გუტატი. ბიჟიც ძლივს აფორთხდა და ქოხისაკენ გასწია. ფარნას უნდოდა გადმოეტრიალებინა და ფეხ-ქვეშ მოეგდო, მაგრამ გუტატი არ დანებდა და ორივენი ერთიმეორის პირისპირ აიჩოჩნენ.

აქ კი გაიმართა მათ შორის გაშმაგებული შერკინება.

გუტატის ცალკე ჯერ კიდევ დაუმცხრალი ტყვიელები, ცალკე დაუკმაყოფილებელი გულისთქმა აშმაგებდა, ფარნას კი საერთოდ გუტატისადმი დაგროვილი ბოლმა.

ამ ქიდილსა და რკინებაში ორივენი თანდათან უფრო ფიცხლებოდნენ, ერთი

* ო, შე სულბნაძეო, შენა!

მეორეს დაუზოგავად ეპყრობოდნენ, ზოგან ფრჩხილებით კაწვრახე და კბენაზეც კი გადავიდნენ, მაგრამ საკვირველი ის იყო, რომ გუტატის თავისი ხანჯალი არ გახსენებია.

და აი ერთ მეტად მძაფრ წუთს გუტატი როგორღაც მოერია ფარნას, ზურგიით მიწაზე დასცა, თვითონ ზედ დააწვა და თავისი მტკივანი, მაგრამ მაინც რკინისებური თითებით დასახრჩობად ყელში სწვდა. ფარნა ისე იყო გაკავებული, რომ ვერაფერი მოეხერხებინა, მაგრამ აგერ, თავის მეკრდთან იგრძნო გუტატის ხანჯლის ქარქაში, რის ვაი-ვაგლახით ამოაძრო ხანჯალი და მოუხერხა ისიც, რომ ეს ბასრი იარაღი გუტატის გულში ნელინელ გაურკო.

აქ კი შეიცვალა სურათი. გუტატი თითქოს მოეშვა, თითები მძაფრი ტყვილებისაგან მოეკრუნჩხა და ფარნას ყელიდან ჩამოუვარდა. ფარნა ცოტაზე თითქოს წამოჯდა, მაგრამ გუტატი ზელიდან არ გაუშვა, პირიქით, უფრო თავისკენ მიიზიდა და ხანჯალი ასლა უფრო მეტი სისწრაფით და უფრო ღრმად გაუყარა.

ერთი საოცარი ამოხენწეა და გუტატი უკვე უსულოდ ეგდო ფარნას გვერდით.

ფარნა ახლა სრულიად გონს მოგებულნი წამოდგა. ახლა ცივი გონებით იგრძნო, რომ ეს მკვლელობა სრულიადაც არ გახარებია. ამას კი ფიქრობდა: „ძალით შემომავლა თავი“.

როდესაც ზევით მიჯვანზე შეკრებილებმა გაიგეს გუტატის მოკვლა, გლეხობას გაეხარდა, სხვები გაცხულებული იყვნენ.

ბათუმ გაიგო ძმის მკვლელობის ამბავი. მკვდრის გადასვენება უნდოდა, მაგრამ ვერაფერი იშოვნა წამლები. გლეხობიდან თითქმის ყველამ ზურგი შეაქცია. მაშინ თვითონ გაიქცა ნექტარინას სასახლეში, არავისთვის არაფერი არ უთქვამს, ისე შეუბა ხარები ურემს და თვითონ მიიყვანა ფარნას ეზოში, სადაც

მკვდართან არავინ იყო, მხოლოდ მტკივნი ფანთა თავს ადგა თავის ნაცემს და ფარნა არსად ჩანდა.

ბათუმ ისევ ჩამოსული თავადები, ფალავა და აფაქიძე, დაეხმარნენ, მიცვალებული ურემზე დაასვენეს და ისე შევიდნენ ნექტარინას ეზოში.

ნექტარინა აივანზე იჯდა და რომ დაინახა ურემზე გაწოლილი კაცი, დიდლად გაიოცა:

— ვინ არის? ავადმყოფია ვილაც. ჩემთან რა უნდა?

კიბეზე ამორბენილმა ბათუმ მოახსენა:

— ალარა გყავს, ქალბატონო, ჩვენი გუტატი, მოგვიკლეს წყეულებმა!

მოულოდნელობამ სრულიად წაართვა ნექტარინას მოსაზრება. პირველ ხანად კარგად ვერ გაიგო, რაც იყო მომხდარი, მაგრამ როდესაც ფალავამ და აფაქიძემ მისთვის გასაგები ენით, ეთთომ დარბაისლურად აუხსნეს საქმის გარემოება, ერთი ისეთი დაიკივლა, თითქმის მდინარე გურქემიას გაღმა სოფელშიაც კი გაიგონეს. თან მარჯვენა ლოყა ფრჩხილებით თითქმის სულ ჩამოიტყავა. ამაზე მივარდა გულგახეთქილი ძილხანი და შეეცადა ნექტარინას მკლავების გაკავებას, ნექტარინა არ ემორჩილებოდა და იყო მათ შორის ბღლარძენი, მაგრამ კივილს მაინც არ უკლო.

ამასობაში ბათუმ და თავადებმა მიცვალებული აივანზე ამოიტანეს და დარბაზში ტახტზე დაასვენეს. ნექტარინამ კინაღამ არ დააცალა ტახტზე დასვენება, მივარდა, წივილ-კივილით მიუჩოქა და თავით მიცვალებულის გულ-მეკრდს დააკვდა. კარგა ხანს იყო ასე მიმკვდარებული.

ბათუ, ძილხანი და ორი თავადი თავს ადგნენ ნექტარინას.

ბოლოს, როგორც იყო, ნექტარინა შეიშმუშნა და ახლა ზელის ფათური აღუტყდა. პირისახეზე ზელი მოავლო

მიცვალბულს და უეცრად კვლავ სა-
შინლად წამოიყვითრა:

— ვაიმე!

ახლა შეამჩნია, რომ გუტატის წვერე-
ბი შეტრუსული ჰქონდა. მისი საყვა-
რელი, ლამაზი წვერები ვაჟაკისა.

თავი აიღო და იქ მყოფთ ერთი მრის-
ხანედ გადახედა, თითქოს ესენი იყვნენ
დამნაშავენი, რომ გუტატის წვერები
ასე შელანძლული ჰქონდა. თვალი მო-
უხვდა თედორე მღვდელზე. მღვდელი
ახლა მოსულიყო.

— აჰა, ინებე, მღვდლო, „იხილე და
გარდამოიხიდე“... — გაახსენდა ნექტა-
რინას ლიტურგიიდან ერთი კვერეკის
სიტყვები. — რა გვიყვებს წყევლმა გლე-
ხებმა. ჩვენი გუტატი! — აქ კი სრუ-
ლიად უკივლელად ცრემლები ღვარად
წასკდა.

ნელა მივიდნენ თედორე მღვდელი
და ძილხანი. ნექტარინასთან. აქეთ-იქით
მხრებში ამოუდგნენ და ჩუმად წამოა-
ყენეს. ნექტარინას წინააღმდეგობა არ
გაუწევია, ისე შეიყვანეს თავის ოთახში
და ჩასვეს სავარძელში.

ბათუ დარჩა მიცვალბულთან. თავა-
დები კი შეჰყვნენ ნექტარინას და არ
დამსხდარან, ისე თავს დაადგნენ. ცოტა
სიჩუმის შემდეგ თედორემ წამოიწყო:

— გლეხებს ტყუილა ამტყუნებ, ქალ-
ბატონო. იმათ არ მოუკლავთ გუტატი.
უკვე დანამდვილებით ვიცო, რომ ეგ
მოკლა ფარნა ბეალამ.

— მერე რატომ? რატომ მოკლა იმ
ძალღოპირმა, რატომ?

— რატომ და განსვენებული მის
ცოლს ფანტას მიხტომია.

— მიხტომია? — თითქოს რისხვით
შეაწყვეტინა ნექტარინამ. შემდეგ ხმა-
დაბლა, თითქოს თავისთვის წარმო-
თქვა: — მიხტომია? ჰო, მიხტომია!
თითქმის უკვე ჩურჩულით ამბობდა
ნექტარინა. უეცრად ხმამაღლა და
რიხინად ბრძანა: — კარგი, მეტი აღა-
რაფერი მითხრათ. ახლა დამტოვეთ
მარტო!

ყველა გალაგდა.

მარტო დარჩენილმა ნექტარინამ
თვალები ზევით ააპყრო და ჩურჩულით
თქვა:

— ღმერთო, შენ მომიტევე! სულ ჩემი
ბრალია! მე წავაქეზე, მე უბედურმა. მე
მოვკალი, მე. ჩემი გუტატი! — აქ კი
გული ამოუჯდა და ქვეითინი მორთო.
ქვეითინის დროს კუთხის ზატზე მოუხე-
და თვალი. წამოდგა, ხატის წინ დაიჩო-
ქა, და თავი რამდენჯერმე დაარტყა
იატაკს.

თედორე მღვდელმა კარის ღრიჭო-
ში რამდენჯერმე შეიხედა და პირველი
თავის დარტყმა რომ დინახა, მობრუნ-
და და მაშინვე ძილხანს წაავლო ზელი,
თან ყველას გასაგონად თქვა:

— მოდი, შეხედე, ძილხან. ეგ თავს
არ იცოცხლებს.

— ოო, ძალიან შეწუხებულია ქალბა-
ტონი. შეიძლება მართლა თავიც არ
იცოცხლოს! — დაემოწმნენ თავადებაც.

— წადი, ძილხან, წადი!

ძილხანი დამორჩილდა იქაურებს.
გულში კი მზაკვრულად ფიქრობდა:

— ჩემსავით ვერაფერ იცნობს ნექტა-
რინას. სიცოცხლე მას ისე უყვარს,
რომ... ჰა, ჰა! შეიძლება საყვარელიც
გაიჩინოს...

მეორე დღეს ბარამიც მოვიდა. ნექტა-
რინას ხელზე აკოცა, მისამიმხრებით კი
ბათუს მიუსამიმხრა მხოლოდ.

ამის შემდეგ შეიქნა თათბირი. თათ-
ბირს ესწრებოდნენ, ნექტარინას და
ძილხანს გარდა, ბარამი, ბათუ და
თედორე.

ნექტარინას უნდოდა, რომ გუტატი
დიდი გამოჩინებით დაემარხა: ეზოში
გაემართა დიდი სეფა, მიცვალბული იქ
დაესვენებინა, მოეწვია ეპისკოპოსი თა-
ვისი კრებულით, მოეწვია ახლომახლო
თავად-აზნაურები და გლეხობა არ გაე-
კარებინა, მაგრამ ეს წინადადება არ გა-
ვიდა.

ბარამმა და თედორემ, რომ არ ეწყენინებინათ, ნექტარინა მოიარებოდა დაარწმუნეს, რომ ასეთი დამარხვა, როგორც მას განზრახული ჰქონდა, არ იყო დროის შესაფერი.

— განა გუტატი ღირსი არ არის? — ამბობდა ბარამი. — თქვენი განზრახვა, ჩემო რძალო, თქვენი სულგრძელობის გამომხატველია და დიდად მოსაწონიც არის. ჩვენ ყველას გვიყვარდა გუტატი. აქი გვირგვლიანებს თითქმის ძმად მიგვაჩნდა. ის უთუოდ ღირსია აგეთი გამოჩინებით დამარხვისა, მაგრამ... ახლა დრო არ არის მაგისტვის შესაფერი.

— დიად, დიად, სწორედ ქალბატონო, არეული დროა ახლა. — თავის მხრით არწმუნებდა თედორეც. — სჯობია გავასვენოთ ღირსეულად, მაგრამ უფრო შეკვეცილად. სეფას ნუ გაეშვით, ეპისკოპოსს და მის კრებულს ნუ დაეპირებთ. ჩვენ აქაური მღვდლებიც: ლეძამაძიდან, უშაფათიდან, ბერთემიდანაც შესაფერ პატრეს ვცემთ. ვეცდებით მაგალობლებიც კარგი ვიყოლიოთ.

— რასაკვირველია, რასაკვირველია, — კვერს უკრავდა ბარამი, — მაგალობლების საქმეს მე ვიცისრებ.

ნექტარინამ შეაწყვეტინა:

— შენ რას იტყვი, ბათუ?

ბათუ აქამდე თავჩაქინდრული უსმენდა თათბირს. ნექტარინას შეკითხვაზე კი თავი აიღო და მოახსენა:

— მართალს ბრძანებენ ბარამი და მღვდელი. არ უნდა ამ საქმეს დიდი გამოდევნება. სხვა დროა ახლა და დიდი გამოჩინება ამჟამად არც არის საჭირო. მოვიწვიოთ მეზობელი სოფლებიდან თქვენი კეთილის მყოფელები, აქაური მღვდლებიც. საჭირო ხარჯებიც გავიღოთ და... კარგი დასაფლავება გამოგვივა. მხოლოდ გლეხების გაუკარებლობა რომ ბრძანე, ეს ყოველად შეუძლებელია...

— ჰო, ჰო! — წამოიძახეს ბარამმა და თედორემ. — გლეხები უთუოდ უნდა დავისწროთ. როგორ შეიძლება ახლან-

დელ დროში მაინც. ქალეხეც მყოფი... ძილხანიც თავს იქნევდა... მემკონცხე ბელთა სიტყვებზე. ის მიხვედრილი იყო, თუ რაც აღაპარაკებდა ბარამს, თედორეს და ბათუს, რა სარჩული ედო მათ მოსაზრებას. ისინი იცავდნენ გვირგვინიანების ოჯახს, თვით ნექტარინას სახელსაც, რომ ამ დამარხვით კიდევ უფრო სააშკარაოზე არ გამოეფინა მისი და გუტატის დამოკიდებულება.

ეს ამჟამად სრულებით არ იყო საჭირო.

ნექტარინა ერთხანს ჩუმად უსმენდა ყველას. შემდეგ ყველა იქ მყოფს სათითაოდ ჩააშტერდა და ბოლოს ნაღვლიანად, მაგრამ მკაფიოდ წარმოთქვა:

— უბედურო გუტატი! მეორეჯერ მოკვდი, ბიჭო?! — ერთი მაგრად ამოიოხრა და შემდეგ ბრძანა: — კარგი, რა გაეწყობა! ბარამი იკისრებს მაგალობლების საქმეს, თედორე — მღვდლებისას და ბათუ კიდევ... ვაი, ჩემი ცოდვა! სტუმრების პატივისცემას... ჰა, მოვიდნენ გლეხებიც. ჯანდაბას მაგათი თავი. მხოლოდ, ბათუ, ხარჯით არ დამოვო. ყველაფერი ოხრად იყოს, თავსაყარი. მართლა, კვათიდან გახაკია ჩიქვანი ხვალვე დაიბარეთ, რომ კუბო მისებურად შორთოს და შეამკოს. ახლა კი... გასწით და თქვენ თქვენი საქმე გააყეთეთ.

მარტო რომ დარჩნენ ნექტარინა და ძილხანი, ნექტარინა წამოდგა სავარძლიდან, მივიდა და გადაეხვია ძილხანს.

— ძილხან, ჩემი გუტატი, ჩემი! არავის არ ჰყვარებია ის უბედური!

— არა, ნექტარ, რასაც გირჩევენ ის ჰკვიანურია. ახლა ასე უნდა.

ნექტარინა ძილხანს ცოტაზე ჩამოშორდა, სახეში ჩახედა და უთხრა:

— მე კი მინდა, ძილხან, გუტატის კუბოსთან შავი ქოხი დავიდგა.

ძილხანს თითქოს რაღამაც უცბინაო, არაბუნებრივად წამოიძახა:

— არ გადირიო, ნექტარ!

ძილხანი მიხვდა, რაზედაც ამბობდა

ნექტარინა. საზოგადოდ, დასავლეთ საქართველოში და განსაკუთრებით სამეგრელოსა და აფხაზეთში ყველგან მიღებული იყო, რომ როდესაც წარჩინებულ ოჯახის ქალს ქმარი გარდაეცვლებოდა და დიდი ამბით უნდა დაემარხათ, მაშინ გამართავდნენ დიდ სეფას, მიცვალებულს ამ სეფაში დაასვენებდნენ და მის თავთან ააგებდნენ შავი სამგლოვიარო ქსოვილით შეფუთულ კარავს. შიგნით დაჯდებოდა მოტირალი ცოლი. ეს იყო საქვრეო ქოხი. აქ მოდიოდნენ მომტირლები, აქ უსამძიმრებდნენ.

ამაზე ამბობდა ნექტარინა.

მაგრამ ძილხანმა დიდი წინააღმდეგობა გაუწია: „გინდა, რომ ქვეყანაზე თავი შეიპოვებინო, მოიჯაყოლო. აბა სადაური შენი ქმარია გულტატი“, და ამ განზრახვაზე ნექტარინას უარი ათქმევინა.

მართლაც, დამარხვის დროს მიცვალებულის ქირისუფლად კუბოს თავთან, ჩოხაზე შავი ძაძით მოსილი, ხელებდაქობილი იდგა ბათუ და მოსამძიმრებები მხოლოდ მასთან მიდიოდნენ. ნექტარინა კი სხვა ქალებთან ერთად სკამზე კედლისაკენ იჯდა და მისთვის არავის არ მიუღიჰმობებოდა. ზოგიერთი ვინმე ან განგებ, ან მეტიჩრობით თუ მოინდომებდა მოსამძიმრებას, მაშინვე ნექტარინას თავზე მდგომი ძილხანი ბათუსკენ მიუთითებდა და იქით აგზავნიდა მომტირლებს.

სეფა არ გაუმართავთ, მაგრამ დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი. დარბაზის ორივე მხარის ოთახებში, გარდა თვითონ ნექტარინას სამყოფელისა, სუფრები იყო გაწყობილი და სტუმრები მორიგეობით იქით მიჰყავდათ.

როცა კუბო გაასვენეს და ნექტარინას სურვილის თანახმად იქვე კარის ეკლესიის გვერდით გვირგვინიანების ეზოში დამარხეს (ეს კი გაიტანა ნექტარინამ), ნელინელ ხალხი დაიშალა და თავიანთი

სახლებისაკენ წავიდნენ. წამოვიდა მხოლოდ ძილხანის დახმარებელი მსახურები და მიაღაგეს.

ნექტარინამ თავის ოთახს მიაშურა და ჩვეულებისამებრ ცოტა რომ მოიშლიდა, თავის სავარძელში ჩაჯდა. თითქოს ღრმა ფიქრს მიეცა, მაგრამ ვერ მოისვენა. რაღაც აშფოთებდა, რაღაც უცნაური უნდოდა ჩადინა.

დარბაზს მიაყურა. იქიდან მოისმოდა, რომ რამდენიმე პიროვნება ერთი მეორეს ემუხათებოდა.

— ძილხან! — გასძახა კარებში ნექტარინამ.

— რა გნებავს, ქალბატონო? — შეეკითხა კარებზე მომდგარი ძილხანი.

— ვერა ვარ კარგად, ჩემო ძილხან. იქ დარბაზში ვინ ლაპარაკობს?

— ბათუ და თედორე მღვდელი.

— ოჰ, თედორეს აქ დამიძახე.

ძილხანმა კინალამ გადაიხარხარა. გაიფიქრა: „რა კარგად ვიცნობ ნექტარინას! ახლა მორჩება... ახლავე, ქალბატონო. — ხმამაღლა წარმოთქვა ძილხანმა და წავიდა თედორე მღვდლის დასაძახებლად.

ნექტარინა წამოდგა და ოთახში სიარული დაიწყო, თან თავისი მშფოთვარე ფიქრი განაგრძო:

— მაშ ასე! ბედი ასე მირტყამს თავის უსამართლო მათრახებს? ჯერ ტარიელის მამა, არჩილი წამართვა და ცხოვრებაში კინალამ სამსონს დამაჯერა... შემდეგ...

აქ შეუჩერდა მოგონება და გულში თითქოს რაღაც ტყბილი ჩაელვარა:

— რად ემდური ბედს, ჩემო თავო? არ გახსენდება სამოცდაათიანი წლები ქუთაისში? ხელმწიფის, ნიკოლოზ I-ის ჩამოსვლა. შენ რომ ახალი გათხოვილი იყავი, ნადიმზე რომ წარგადგინეს... სადამოთი რომ ცეკვავდი ახოვან და მოხდენილ ცესარევიჩთან, შემდეგში ალექსანდრე II-ს სახელით რომ იმპერატორობდა... ხომ გახსოვს, სახსოვრად ბრილიანტის ფერმუარი რომ გამოგიგ-

ზავნა... აკი ახლაც შენახული გაქვს... შავი დღისთვის, შავი დღისთვის! გწერდა: „გიგზავნით თქვენი ბროლ-ფიქალ გულმკერდის დასამშვენებელსო“...

ყველა ამან ერთ წუთს გაურბინა თავში ნექტარინას და თითქოს ცოტა ხნით გული დაუბამა, მაგრამ გარდასული და უკვე ხელთდაუქერელი ბედნიერების ლანდი დღევანდელ ცხოველ სიმწვავეს ვერ აქარებდა. ის კვლავ განაგრძობდა შფოთიან სიარულს და სრულიად არ შეუმჩნევია, რომ თედორე მღვდელი კარებთან ატუზული ელოდებოდა. თედორე ჯერ გაკვირვებული იყო — რად მომიხმობო, თუმცა ფიქრობდა: უთუოდ უნდა ლოცვა აღვაწლინო, რომ გული დაიმშვიდოსო, მაგრამ ნექტარინას უჩვეულო მშფოთვარე სიარულმა მეტად დააფიქრა.

ნექტარინას თავში კი ისევ გლოვის ზარად ფეთქებდა საყვედური:

— მაშ აგრე, ბედო? ახლა გუტატიც წამართვი? კაცი რაინდობისათვის დაბადებული? ვეერა, ვერ დამიმორჩილებ!

აქ ერთი ირიბად მიიხედა მღვდლისაკენ, თითქოს გააფრთხლა.

— აჰა, სად უნდა დავეშვა! მაგრამ... დაჩაგვრით მაინც ვერ დამჩაგრავ, ბედო!

შედგა. წელში ამაყად გასწორდა, მივიდა, კარები ჩაჰკეტა და შემდეგ თედორესაკენ პირი იბრუნა.

თედორემ რომ მისი სახე დაინახა, კინაღამ „მიწა გაუსკდა“.

რა სახე იყო?

ეს იყო განსახიერებელი შურისძიება, თუ შეიძლება, რომ შურისძიებას სახე ჰქონდეს.

მაგრამ ჰქონია.

ასე წარმოუდგა თედორეს და... გაახსენდა:

— ბატონი ვამეხი რომ გვიამბობს ხანდახან... ძველ საბერძნეთში მრავალი ღმერთი ჰყავდათ და ზოგიერთი მათგანი

ქალი იყო. აი უთუოდ ესეიგი უმჯობესობდა ღმერთი ქალი და მსხვერპლს მარტო მაგრამ მე რა შუაში ვარ, მე რად მირისხლება? გუტატი მოუკლეს... ვიცი, რა საშინელებაა მაგისათვის, მაგრამ მე? მხოლოდ, როგორც სასულიერო პირი, მოძღვარი, ნუგეშის მცემელი უნდა ვიყო...

და ვითომ დააპირა თავის გუნებაში სანუგეშო სიტყვების დალაგება, თუმცა ვერ მოეძებნა საიდან, როგორ ან რა სიტყვები მოეძებნა ამ გააფთრებულ არსებისათვის.

სანამ თედორე თავს მოუყრიდა სასალბუნოს, ნექტარინა პირდაპირ მიადგა მას, ჩახედა სახეში აღმურმოდებულს და, როგორღაც დამატყვევებელი ღიმლით, ყრულ, მაგრამ მტკიცედ წარმოთქვა:

— რა ლამაზი ყოფილხარ, ბიჭო!

ბიჭო? მაშ ნექტარინასთვის თედორე არც მოძღვარი ყოფილა, არც უბრალო რიგითი მღვდელი. მისთვის ბიჭია მხოლოდ და ისიც ლამაზი?!

სულ თავგზა დაებნა ზუცესს.

მხოლოდ შემდეგ იგრძნო, რომ ის კი არ იყო ბატონ-პატრონი მღვდომარეობისა, არამედ ეს ღმერთ-ქალი, რომელმაც შეისრუტა მისი ვაჟკაცობა.

ამის შემდეგ დიდხანს არ გაუვლია, რომ ნექტარინამ ძილხანთან თითქოს თავის გამართლება დაიწყო:

— იცოდე, ძილხან, რომ მე სხვა ქალებს არ ვგავარ... მე უმამაკაცოდ ცხოვრება არ შემიძლია. აქაური კრუხები და დედლები, განა არ ვიცი, დიდი ხანია მიძარბავენ ასეთ საკვიელს, მაგრამ ჩერჩეტებმა არ იციან, რომ მე უფრო სხვა დიდი ბუნებისა ვარ. ხომ, ჩემო ძილხან?

— კი, კი, ნექტარ! შენ განსაკუთრებული ქალი ხარ. მე არ გიძრახავ.

ძილხანის ასეთი აზრი ნექტარინასთვის თითქოს მეტად საჭირო ბეჭდის დასმა იყო რომელიღაც დიდ საბუთზე.

და ამის შემდეგ ნექტარინას ფიქრებ-

მა კიდევ უფრო გაინავარდეს თავისი სილაღით.

ძილხანი გულში მართლა არ უძრა-ხავდა ნექტარინას თედორე-მღვდელ-თან კავშირის დაქვრას: ქვეიანურიც არისო, ფიქრობდა. მღვდელი სოფელ-შიაც გავლენიანი პირია, ამისთანა გა-ვლენიანი კი სჭირდება ნექტარინას დამხ-მარეთ თავის საქმეებში და კარგი არჩე-ვანი მოუვიდაო.

ნექტარინასა და ძილხანის საუბრის დროს თოლისქევამი და ბათუ აღელვე-ბულები შემოვიდნენ ნექტარინასთან.

თოლისქევამი ძლივს ლაპარაკობდა, ცრემლები ერეოდა, ხმა უთრთოდა:

— რა მომხდარა, რა მომხდარა, ქალ-ბატონო!

— რა იყო, რა? — გაფაციცებით შეე-კითხნენ ნექტარინა და ძილხანი.

მაგრამ თოლისქევამს ბათუმ დაასწრო:

— დიდი უბედურება, ბატონო, ქუ-თაისში ბეგის ერთი ინჟინერი მოუ-ვლავს. აი ის, აქ ჩვენთან რომ იყო. ბა-რამს მოსვლია ტელეგრაფი ქალბატონ მინადორასაგან. ამ დღეებში ასამართ-ლებენ თურმე.

— ვაიმე! ჩემი მარინა, ჩემი მარინა! — ტიროდა თოლისქევამი.

ნექტარინა და ძილხანი, ორივენი, გა-ხევდნენ მოულოდნელობის გამო.

ბათუ განაგრძობდა:

— ბარამი მიბრძანდება ახლა. თქვენ შემოგითვალთ, ნუ დაიძრებითო, რაც იქ საჭირო იქნება, ბარონესა, ვამეხი და მე ყველაფერს მოვაგვარებთ და ყველა-ფერსაც მალე გაცნობებთო.

თოლისქევამმა კი ხევწნა დაუწყა: მე გამიშვით, მე, ჩემს მარინასთანო, მაგ-რამ ბათუმ ნექტარინას მოახსენა, რომ კლიზინას შემოუთვლია, ამ დღეებში

ჩამოვალ, თოლისქევამს უზრუნველ წავიყ-ვან, ახლა თქვენთან მაგნიტის ქარ არის... ქვეიანი კაცია... და ჯერას ფოთ-ში, ჩემს სახლში დავიწერო...

— კი, მაგრამ, ეს როგორ, კაცო? — შეგვიანებით წარმოთქვა ნექტარინამ. — ქორწილი აქ უნდა გადამეხადა. მართა-ლია, ახლა მგლოვიარედ ვარ, ჯერ ორ-მოციც არ გასულა საცოდავი გუტატის დასაფლავებიდან, მაგრამ რა ეჩქარება. აგერ შემოდგომაზე წაიყვანოს.

— არა ბატონო, არა. ჩვენში ახლა იმისთანა ამბები დატრიალდა, რომ მა-გაზე ფიქრიც არ შეიძლება! თქვენ არ იცით, რომ უშუალოდ მაშასახლისი გა-დააყენეს, პრისტავის ჩაფრებს სცემეს და იარაღი წაართვეს, აქაც ბედროშში თაღას მეთაურობით რაზმი შედგა და ის არის ახლა პოლიციის მაგიერი. ობიშ-ხია მოსამართლედ აურჩევიათ. ზანძლი გუშინ ვირზე უკუღმა შესვეს და ჩამო-ატარეს მთელი სოფელი.

ეს ეამა ნექტარინას და არც დაუმა-ლაძს:

— აი იმას კი ეკადრება.

ბათუმ არევ-დარევით, მაგრამ მა-ინც უამბო სოფლის ამბავი იჭაურებს. თოლისქევამი მაინც წუწუნებდა:

— ჩემი მარინა, ჩემი! გამიშვით, გა-მიშვით, ქალბატონო. ბარამს წაყვები.

— ა? მაშ ჩემი ბეგი? — თითქოს ახ-ლა გაუწია ანგარიში ნექტარინამ მომხ-დარ ამბავს და შემდეგ შეიცხადა: — ვაიმე, ოჯახო დაღუპული! ეს რა საზა-რელი ამბავი გავიგე. უბედურება ტრი-ალებს გვირგვინიანების თავზე.

— ეგ ხომ დიდი უბედურებაა, ქალ-ბატონო, მაგრამ ამ სოფლის არეულო-ბაზე უნდა იფიქრო, შენი ჰირიმე.

— აკი ვამბობ, გვირგვინიანების თავ-ზე უბედურება ტრიალებს-მეთქი...

ზანიცაღმინი

აქ კი საბოლოო წერტილი დავსვათ, ციხედულ!

მით უფრო, რომ გვირგვინიანების როლი ცხოვრებაში უკვე დასრულდა.

ისე კი სწორედ ჩემ მიერ აღებული ხანის შემდეგ იწყება ღიად აღმართოვანე-ბელი ისტორიული სვლა, შეტაკება და ბრძოლა საქართველოშიაც რევოლუ-

ციურ ხალხისა. იგი ებრძვის თავის მოწინააღმდეგეებს — შინაურ რეაქციას და გარედან მომძლავრებულ მტერს, რაც ბოლოს სრულდება ხალხის სრული გამარჯვებით.

აქ რამდენი გულის მომწყვლელი, რამდენი სულიერად ამაღლევებული სურათია, მაშინდელი ცხოვრებით მოცემული.

აქ გვირგვლიანებს უკვე ადგილი აღარა აქვთ.

ბერთემს უკვე ხელმძღვანელობენ ჩე-ლა, მიქე, წამოზრდილი გური, ფარნა და ფარნას ვაჟი, სქვამიაიკ კი, იოსეს თბოლი, დღეს მოწინავე კოლმეურნეა...

საერთოდ, ამ დიდად საგულისხმო პერიოდს ჩვენი ცხოვრებისა თავისი მემართიანე ჰყავს და კიდევ გაუჩნდება: პირუთენელი და სწორეუტუარი. მხოლოდ სასურველი იყო, რომ, გარდა წმინდაწყლის მეცნიერული გამოკვლევებისა, ქართულ მხატვრულ სიტყვასაც მინდობილი ჰქონოდა გადასულ გმირულ ქმედებათა აგალობება.

რასაკვირველია, ეს მას დღესაც მინდობილი აქვს. ეს არის თვით ცხოვრების შენაკვეთი და მოელის მის შემსრულებლებს.

აბა, ბიჭებო, მომავლებო! თქვენ განცალკევდით, თქვენ იცით! მე კი, როდესაც პირველად ამ ნაწარმოების დაწერა

განვიზრახე, აზრად ისა მომეჩვენა, რომ შეძლებისამებრ, ქართულ მხატვრულ სიტყვით ჩამომეძერწა წარსულის დუხჭირი თუ კარგი მხარეები, თუ ეს „კარგი“ მხარეები წარსულს სადმე გააჩნდა და...

როგორც ხედავთ, კარგა შორს შეეჩერდი ჩემს თხრობაში, დღევანდელ დღემდე კი, თუმცა ერთ დროს ვტრიახობოდი, მაინც ვერ მოველი.

ამ ნაწარმოებში შემრჩა მხოლოდ „წამოკოჩირილი“ ხალხი, შემდეგი მათი საგულისხმო საქციელი, ნებისყოფა და ხასიათის გამოვლინება აუწერელი დამრჩა.

ეს არცთუ იოლი საქმეა.

შეიძლება ოდესმე, თუ ჩემმა გულმა ძეგრა არ მიატოვა, კიდევ შევხვდეთ ჩემს ნაწერებში აქ გამოყვანილ ზოგიერთ მოქმედ პირს. რასაკვირველია მათი უმეტესობა მაშინდელი ახალგაზრდობა იქნება, სწორედ ახალგაზრდებმა შექმნეს ჯერ უნახავი, ახალი, სოციალისტური საზოგადოება და განამტკიცეს იგი.

შეიძლება წილად მხედეს ეს ბედნიერება, რომ მათზედაც წავიმდგრო ჩემებურად.

მანამ კი... ბარათაშვილისა არ იყოს:

„დეე, ღუმლიც მიმიტვალონ შენდამი ლოცვად“, ჩემო სათაყვანო სამშობლო!

(დასასრული)

ჩემი ბავშვი



მესაიდუმლე ვარ ამ ბავშვის,
მათი ვარდების და ზამბახების,
მათი მტრედისფერ მშვიდ საღამოსი,
მზის დამალვის და მთვარის ამოსვლის,
როცა გულ-მკერდი ამ მიდამოსი
აბიზინდება მწვანე სამოსით.
თბილი ჰაერის ლაღი ზვირთებით
ათქვირდებიან ხეთა კვირტები.
მთა-ბარს არ ხუთავს ყინვით მზრალობა,
ირგვლივ გაისმის ფრთოსანთ გალობა.
ბაღს ააყვარებს შუქი ციური,
ლაღანი ტკბილი და მშობლიური
გაცოცხლებული დედაბუნების,
როს ზეცა დიად აბუბუნებით
ასხურებს ყვავილს შხაბუნა წვიმას,
ბროლის ისრებად ზეციდან ცვივა
ჯრილი მზებუდის ჯარი უშქარი,
გამხარებელი ლურჯი ბუჩქნარის.
ათრთოლდებიან ვარდთა გროვანი,
ამრიალდება ხე ჩრდილოვანი.
ამ დროს მე ვუსმენ თვალდახუჭული,
ეჩურჩულება სუბულის სუბული:
— შევხარი მიწას, ჩემს მშობელ დედას,
ჯერ პატარა ვარ, სათუთი მეტად.
დღეს მე პირველად ვიხილე მთვარე,
და სიხარულის ცრემლები ეღვარე,
როს გავიზრდები შენ შეგიყვარებ,
შენც შემიყვარე, მკერდს შემიფარე.
ვართ უმანკონი, და მიხარია,
ჩვენი ტოლებიც ჩვენთან არიან.
სიყვარულისთვის ჩვენ გავჩნდით ბაღში,
ჩვენ უმწიკვლო ვართ, ვით გული ბავშვის...
დაისადგურებს ბაღში საღამო,
აკმევინ ვარდნი სურნელს საამოს.
გადმოიხედავს ზეციდან მთვარე
და გაანათებს სამშობლო მხარეს.

თეიმურაზ ჯანგულაშვილი

ბ უ შ ა ბ ი

ვიდექი. ქარი აქცევდა ხეებს.
ვიდექი. ყინვა ამტვრევდა ტოტებს.
გუშაგად ვყავდი დღევანდელ დღეებს,
ამ სასახლეებს, აკვნებს და ოდებს.

ვიდექი. თერგიდან ვხედავდი ოდერს,
ვიდექი. ელავდა თვალი და ხმალი.
მერე დღეები ხანძარში ჰქროდნენ
და ის ოდერიც გამოჩნდა მალე...

იმ მძიმე გზაზე მისთვის ვიღოდი,
რომ კვლავ არ აჩნდეს მამულს სანგრები...
ჩვენი სიცოცხლის, მზის და მშვიდობის
და სიყვარულის ვართ გუშაგები.

თამარიანელი მხედარი

მოთხრობა



— ვაი, შენს დედას, შვილო, თუკი იმ ქალშავას მამის უარი ეგრე ჩამოგადნობდა, უწინამც ფეხი მომტეხოდა და იქ არ მივშავებულებო! — ამ სიტყვებით მიეგება ეზოში შემოსულ დათოს საბედო.

დათო ერთ წუთს შედგა და თბილად ჩაბედა ქალაქის დედის სევდიან თვალებს.

— არაფერია, დედი, ტყუილად გგონია, ვდარდობდე, ეგ შენ გეჩვენება! — დაგვიანებით მიუგო მან. მუხის ხეზე ჯერ თოფი მიაყუდა, მერე ნანადირევი ცალ მხარზე მოიგდო და მიწაზე დაუშვა.

— ღმერთსა ვთხოვ, ეგრე იქნებოდეს და... — არ დაამთავრა საბედომ, დაწარბულ ხარ-ჯიხვს შვილის გულანაბადი ასხნა, მხარზე გადაიგდო და კიბეზე ავიდა.

ის-იყო დათომ თასმა აახვია და ძირს დაწეულ ტოტზე გაკიდა, რომ აივნისა და მამის ხმა მოესმა:

— რასღა დასტირი, ამოდი და მე ვუპატრონებ.

დათომ თოფი აიღო და როცა გიორგიმ უკანასკნელი საფეხური ჩამოათავა, დამნაშავესავეთ აპყვა კიბის საფეხურებს. თან კი ელიმებოდა, რადგან ვინ იცის, მერამდენეჯერ ისმენდა მამის ბუზღუნს:

— არ ვიცი, ვისთვის რა დაუშავებათ ამ უბედურებს? არც ბინას გვთხოვენ, არც ჩაცმა-დახურვას და არც ჭამა-სმასა. ამათ ჭორწილ-ნათლობაში ხომ ძღვენი არ მიგვიტანია. მაშ,

რას ვერჩით, რას დავდეტო? ილაღონ იმ მთა-კლდეში და სიყვდილს რასღა ვემატოლებით? ეეჰ, არც თქვენ უნდა იყოთ დიდი ჭკუის პატრონები, სადაც ვისმე გადაჩეულს სროლა უსწავლია, დაუდგებით თოფის ნიშანზე და... არა, არა, თქვენი ბრალიცაა, სულ კაცი კი არაა დამნაშავე!

გიორგი კიდევ დიდბანს დუღუნებდა, ვიდრე ნანადირევეს გაატყავებდა და აკათავდა, მაგრამ დათოს მისთვის აღარ უსმენია: აღჩქარებლად დაიბანა ხელპირი და დაბალ მაგიდაზე დედის მიერ მორთმეულ საჭმელს შეექცა.

ამასობაში გიორგიმ, როგორც წესი, ხარ-ჯიხვის თავი აიგნის შუა ბოძს მაგრად მიაჭედა, ხორცს მარილი შეუსვა და ტყავში შეახვია.

რამდენეჯერმე დაჭკროლა ნიავმა და გოლიათმა მუხამ მხრები შეიბერტყა.

მზემ უკანასკნელად თვალი მოავლო აღმოსავლეთ მწვერვალებს, შემდეგ გადაეშა მყინვარწყვერს მიღმა, ცაზე ნელ-ნელა წაშალა იმ დღის ნათელი და ღამის მნათობებს უხმავუროდ დაუთმო სამყოფელი.

ნახირიც უკვე მოეძალა სოფელს და კარ-მიდამო აახმაურა. მყეფრები პირველად განუკითხავად მიეტივნენ საქონელს, მაგრამ მალე იცნეს თანამოსახლენი. ბინდმა ფრთების გაშლა ვერ მოასწრო, რომ სოფლის ქუჩები ელნათურებით გაჩირალდნდა.

სწორედ ამ დროს გაჰყვითა ნიავი ქალთა სიმღერის შორეულმა ხმებმა. აივნის მოაჯირზე დაყრდნობილ და

ფიქრებში წასულ დათოს სმენასაც მისწვდა ეს ხმები.

ვაჟის გულმა უცნაურად შეარხია მკერდი. თითქმის ყველა ხმა იცნო, ხოლო ფიქრების ნათელი მოეფინა ერთ ქალშავს სახეს, რომელიც ალბათ მომღერალ ასულთა შუაში ჩამდგარა, ნაწნავები ეკან გადაუყრია და მღერის ყელმოღერებით, ყველაზე კარგად, ყველაზე ტკბილად, ყველაზე ხმიანად:

ბიჭო, რომ ვაშლი მესროლა,
მეტყინა გულის ფიცარი,
ამის სახელს კი არ ვიტყვი,
დიდხანს მიცოცხლოს, ვინც არი!

— იტყვი, როგორ არ იტყვი! — ჩაილაპარაკა თავისთვის დათომ და ერთი ნახტომით ეზოში გაჩნდა.

— სად მიხვალ, სად მიეჩქარები? — მოაძახა დედამ, რომელიც ის-იყო ბოსილიდან გამოვიდა.

— ახლავე დაგბრუნდები! — ეკან-მოუხედავად უპასუხა დათომ და ქუჩაში გაიქრა.

— რა დაემართა, ღმერთო, შენ უშველი! — გადაიწერა პირჯვარი საბედლომ.

— გადაირია, სხვა რა დაემართებოდა! — დამშვიდებული ხმით გამოელაპარაკა ეზოს ბოლოდან გიორგი და ჭიშკარი მაგრად გადაარხა. — საქონელი დაბინავებულია... წავიდეთ! უთხრა მან მეუღლეს, როცა ახლოს მივიდა. — მაშ, განა სამზეო სულ ჭკვიანებისა?

— ეჰ, შენ ისევ შენებურად... — აღარ შეეკამათა საბედო და ისიც სახლისკენ გაემართა.

ეზოში ისევ მყუდროება ჩამოვარდა. ხანდახან ბერძნული იმშუშნებოდა, როცა ნიავე ამ მთელმხარე გოლიათს უბეში უძერებოდა.

მთის ძირში, ფერდობის კალთაზეა გაშენებული სოფელი თამარიანი. გადმოცემით, ამ სოფლის წარსული თამარ

მეფის სახელთანაა დაკავშირებული. მან ეს ადგილი თურმე სამეფო სასახლად ააშენა დათოს წინაპრებს — ომსა და ბრძოლებში მრავალგზის თავნასახელებ ვაჟაურიძეებს. მას შემდეგ შოთთან და ბედუქუდმართი ცხოვრების უთვლელი მუხა თუ ყვავილი ჩაიფერფლა და ვაჟაურიძეთა გვარმა საბჭოთა ხელისუფლებამდე მოაღწია.

თითქოს მიწიდან ამოიზარდნენ აქამდე უხილავი ადამიანები, რომლებიც მტრებად მიიღო ჯამრულ ნარიმანიძემ რადგან ჩამოყალიბდა კოლმეურნეობა და ყოფილმა მოჯამაგირებმა ჯამრულის მიწაზეც საზღვარი წაშალეს. ათასხუთასი ცხვარი ჩამოართვეს და ორმოცამდე ცხენი. ახლა კიდევ უკუღმართმა ბედმა ძე არ აღირსა, ადრე დაქვრივდა, მეორედ დაცოლშვილება კი აღარ ისურვა და ვაჟაურიძეთა სოფელში გადმოხვეწილ ნარიმანიძეების უკანასკნელ ნაშიერს გადაშენება ელოდა.

— ცისა და დედამიწის შუა ერთი ასული მახადია. ვისაც მივათხოვებ, იმ პირობით, უნდა ჩამესიძოს და თავის შვილებს ჩემი გვარი მისცეს, რომ მტრებმა და ორგულებმა ნარიმანიძეთა ჯილაგი ვერ ამოაგდონო. — ნიადაგ ამას ამბობდა ჯამრული, როცა სიტყვას შეუქიას გათხოვებაზე ჩამოუგდებდნენ. თან კი სასიძოდ ქვრივიშვილ ლექსოზე ეპირა თვალი. ლექსო — სწორედ ეს თვალთანადი და თავზეხელაღებული ვაჟაკი თუ იქნებოდა მისი ჭირ-ვარამის მოზიარე. ორმოც წელს იყო იგი მიღწეული. ომამდე არც მსახურობდა, არც მუშაობდა. ხანდახან კვირაობით გაჭრებოდა და როცა კი გამოჩნდებოდა, სოფლის შნო და ლაზათი მოიტანაო, ასე ეგონა ჯამრულს. ზოგიერთი კიდევაც ეჭვობდა მის ავხელობაზე, მაგრამ საბუთი არავის ეპირა და სიჩუმეს ირჩევდნენ.

ლექსო კი ქეიფობდა თავის ამქრებით და დღედაღამ დოლ-გარმონს არ იშორებდა. ჩინებული ცხენოსანი იყო.

და უფრო უკეთესი მსროლელი. იმის დროს არავის უნახავს, დადგა მშვიდობა და ისევ რაიონს ესტუმრა. ცენტრიდან მონადირეთა კავშირის თავმჯდომარედ იყო გამოგზავნილი, ვინაიდან ნადირი მისთვის სათვალავით არავის ჩაუბარებია და არც მათი აღწერის სიას ვინმე სთხოვდა, აგრძელებდა თავისი ცხოვრების პირვანდელ გზას, რაც ჯამრულს აგრერიგად მოსწონდა.

თვითონ ჯამრულმა კი, ნებითა თუ უნებლიეთ, დარდი გულში ჩაიკლა და კოლმეურნეობის მეცენეობის ფერმაში მუშაობაზე დაყაბულდა. პირველად წინააღმდეგი იყო, ხოლო შემდეგ დათანხმდა და შუქიას საშუალო განათლება მიაღებინა. ეს საკმაოდ ჩათვალა, უმაღლეს სასწავლებელში არ გაუგზავნია. შუქიაც თავისდაუნებურად დროებით ბედს შეუურიგდა და მემინდვრეობის ბრიგადაში დაიწყო მუშაობა.

ხანი მიდიოდა, მაგრამ ვერ გაღხვა ჯამრულის გულის ყინული, ვერ გაუმთელდა ნაპრილობები. ზღვათოდენი ჯავრის პატრონი ეგონა თავი და როცა კი უკიდურესად აფორიაქებული იყო, განმარტოვდებოდა და ახალი დროების მკვდარსა და ცოცხალს რომ გინებით ჩაქოლავდა, გულსაც მოიოხებდა.

ჰოდა, რა გასაკვირია, რომ სამი დღის წინ საბედოსა და ჯამრულის საუბარს ასეთი თავი და ბოლო ჰქონოდა:

— შუაყაცობად ნუ გამომივა ჩემო ჯამრულ, რადგან ახალი თაობა თავის საქმეს უამისოდაც გაარიგებს. მაგრამ, შეილებზე უკეთესი საზრუნავი მშობლებს ვინ უნდა ჰყავდეს! უფროსი შვილი დიდი ხანია დავაბინავე და ქალაქის ცხოვრება ირჩია. ღვთის წყალობით, თავისი გზა მონახა, სახელოვანი ინჟინერია და მარმარილოს სასახლეებს აგებს.

— ღმერთმა ხელი მოუმართოს! — ვითომდა გულმართლად დაულოცა ჯამრულმა

მრულმა უფროსი შვილი ~~მეცენეობა~~ ^{მეცენეობა}.
საბედომ კი განაგრძო ~~მშვიდობა~~ ^{მშვიდობა}.

— მისი მომდევნო დათოა და შენც აცი, რომ სწორთუარესი არც ეგ გავგზავნა. ჯარიდან შარშან დაბრუნდა...

— რა გინდა, მითხარ საბედო! — სიტყვა შეაწყვეტინა ჯამრულმა და წინათგრძნობამ გული გაუქეწლა.

— გეტყვი! — თავაზიანად განაგრძო საბედომ. — ეს ერთი ხანია ვატყობ, რომ... ჩვენ დავებრდით, ჯამრულ, ვინ იცის, რამდენი ხნის სიცოცხლეა დავერჩენია და რძლითა და შვილიშვილით გახარება...

— ვინ დავიშალათ, გაიხარეთ.

— რალა გაეგარძელო, ჩემო ჯამრულ, და თუკი დათოსა და შუქიას ბედნიერებას ვნახავთ, საწყენად ხომ არ დაგრჩება? — როგორც იყო, დაამთავრა სათქმელი საბედომ, იგი ლაპარაკობდა დათოს დაუკითხავად, მიხედვრილობით, დედის გუშანით. და, რა თქმა უნდა, ამას თან ერთვოდა ის წინასწარ განსჯა-მოფიქრება, რასაც მშობლები იჩენენ ხოლმე თავისი პირმშოსათვის, როგორც იტყვიან, თანამეცხედრის ამორჩევისას.

ჯამრულს სახეზე აღმურმა გადაჰყარა. შემდეგ გულისთქმა დაიოკა. გაფორჩხილი წარბებით ქუთუთოები ჩამოაბნელა.

— ეგ არ მოხდება, საბედო, არა! — უპასუხა დაგვიანებით.

— რატომ? — შეეკითხა, ცოტა არ იყოს, გაკვირებული საბედო.

— იმიტომ, რომ... როგორ ვითხრა...

— ვერ გავიგე, რას მეუბნები? — კვლავ მშვიდად შეეკითხა საბედო. თან შეურაცხყოფის ტყივილი იგრძნო.

— როგორ ვითხრა, — განაგრძო ჯამრულმა, — დათოს არა უშავს, შუქიას კი უკეთესი ვაჟაკი შეპყდრის.

ჯამრულს სიტყვა არ დაესრულებინა, რომ შავ ცხენზე ამხედრებულმა

ლექსომ ნიავეით ჩაუქროლა გვერდზე და ნაციხართან გაუჩინარდა.

ჯამრულმა ცერად გახედა მხედარს და შუბლი გადახსნა.

საბედოს არ გამოჰპარვია ჯამრულის მოქმედება. ცხენიც იცნო, მხედარიც, მაგრამ მაინც შეეკითხა:

— შენი ცხენია?

— ჩემია, მაშ! — თავმოწონედ უპასუხა ჯამრულმა.

— მხედარი ვინაა?

— ვეკაცია, ვისაც სასიძოდ არ დავიწუნებდი. ფოცხვერია, ფოცხვერი! — საბედო გაფითრდა.

— უკადრისი სიტყვა არ მინდოდა მეტქვა და, რაჟი შენმა საქციელმა მიიძულა, შენს თავსვე დააბრალებ. ძალისა ბატკანი არ გაიზრდებო, რომ იტყვიან, ახლა გავიგე, ეგ ანდაზა ზოგჯერ ტყუილი ყოფილა! — საბედომ უქმეხად მიახალა ეს სიტყვები, პირი იბრუნა და სახლისაკენ გასწია.

— ვისზე ამბობ, ვისზე? — აენტო ჯამრული და უკან დაედევნა.

— შენზე და შუქიაზე! — თავმოუბრუნებლად უპასუხა საბედომ და გზა განაგრძო.

ჯამრული სიბრაზისაგან ერთიანად ცაცხებოდა.

*
* *

დათოს ეწყინა დედის ნაამბობი. ერთი იმიტომ, რომ ეს ქამგადასული შუაკაცობა ენოთირებოდა. მეორეც, იმიტომ, საქმე ეხებოდა მის ვეკაცობას, რომელიც, ჯამრულის ფიქრით, სხვა იყო, ხოლო ის სულ სხვას ესწრაფოდა — სრულიად განსხვავებულს, დროისა და მამულიშვილობის შესაფერის. ჯამრულის ოჯახთან ლექსოს სახლოვე ისედაც ხინჯად ჰქონდა გულში და ახლა კი გადაწყვიტა, შესაძლო შემთხვევაში გული მოეფხანა.

ნაწყენობას კიდევ ის დაემატა, რომ იმეამად შუქია ვერ ნახა, კომკავშირის

რაიკომის პლენუმზე წასულიყო უბედურის ცენტრში, ხოლო ზღაპრულად წასვლა აგვიანდებოდა: სამი დღის შემდეგ კოლმეურნეობის ფარები რიგრიგობით ქვევით უნდა ჩამოეყვანათ და პარსვა დაეწყათ. დათოს კი უნდოდა თავისი ბრიგადის ცხვრის პარსვა დროზე მოეთავეზინა, რომ ყოილარში გამგზავრებამდე მწყემსებს საკმაო დრო დარჩენოდათ სამზადისისათვის.

შუქიას ბარათი დაუტოვა. სწერდა, თუ სად და როდის შეხედებოდა. იგი გუნებაარეული და განაწყენებული წავიდა. ორი დღე კრიტაშეკრულმა გაატარა.

მესამე დღეს, ცხვარი ადგილიდან დასძრა თუ არა, თავი დაიმარტოვა. ჯერ შინოს მთებს მოაწყდა და ხარ-ჯიხი შემოაკვდა, მერე ნანადირევით საცალფეხო ბილიკს დაადგა და მოკლე გზით დაბინდებისას სოფელში გაჩნდა.

მისი საზლიდან გზა სოფლის მთავარ ქუჩაზე გამოდიოდა, მარცხნივ კოლმეურნეობის კანტორის შენობა და კლუბი იყო პატარა ბაღნარით, ხოლო მარჯვნივ — სასოფლო მაღაზია და სადალაქო. მოპირდაპირე შენობები კოლმეურნეებისა იყო, შუაშიც ამაყად აღმართულიყო სკოლის შენობა.

კალოდან დაბრუნებულ კოლმეურნე ახალგაზრდებს კლუბის წინ პატარა მოედანზე გაეშალა წრე და მთიელთა ცეკვისათვის ჩვეული ცეცხლი გაეჩალებინათ.

კლუბს მიშენებული ჯიხურიდან კინომექანიკოსს თავი გადმოეყო და ამაოდ იწვევდა ჩაღბს დარბაზში:

— ამხანაგებო, მობრძანდით, დროა დავიწყეთ.

დათომ კლუბის ეზოში არ ისურვა შესვლა, მხოლოდ მესრის ფიცრებშუა შეიხედა და იქ მყოფნი შეათვალიერა. შუქია ხალხის წრეში იდგა, მთელი ხმით მღეროდა და ტანს უკრავდა მოცეკვავე წყვილებს.

ეზო თანდათან ივსებოდა ხალხით.

სწორედ ამ დროს გაისმა კინომექანიკოსის ხმა:

— ამხანაგებო, ეიწყებთ!

ეს იყო ყოველთვის მისი უკანასკნელი სიტყვები კინოსურათის დაწყების წინ. შემდეგ დარბაზში არავის გააქაპებინებდა.

ქალ-ვაჟთა სიმღერისა და ტაშის ხმა მისწყდა. გაისმა ყვირილ-ბივილი. ეტუობოდა, შესასვლელ კარებს მიაწყდნენ.

დათომ ფეხს აუჩქარა, მარჯვნივ ორღობეში შეუხვია, ვერხვებს თავი შეეფარა, იქვე წყაროსთან მორბე ჩამოჯდა და დაელოდა.

ელექტრონის შუქი სუსტად, მაგრამ მაინც ატანდა ფოთლებში. ჯამრულის სახლისკენ მიმავალი გზა წყაროს თავზე გადადიოდა და შუქიასთან შეხვედრაც აქ ჰქონდა დათქმული.

ანდუზიტის ქვისაგან ნაქანდაკევი ვერძის პირიდან საამოდ მორაკრაკებდა გრილი წყარო. ეს წყარო შემდეგ კოლმეურნეობის ახლად გაშენებულ პატარა ბაღისკენ მიეშურებოდა.

მიწურიწული ჯიშის ყინვაგამძლე ხეხილის ნერგები ყოველ წელიწადს ფესვებს ღრმად უშვებდნენ მიწის გულში, ხოლო ცადაპყრობილი ნორჩი რტოები მაღლდებოდნენ და მაღლდებოდნენ. ნერგების მოვლა-პატრონობა შრომადღეების დაურიცხავად იყისრა შუქიამ. გულმოდგინედ ასრულებდა აგრონომის რჩევა-დარიგებას. გადაიწყვიტა, თვითონაც გამოეყვანა ახალი ჯიშები, მაგრამ ჯერ კიდევ ამდენი ცოდნა არ ჰქონდა. ამიტომაც იყო, რომ თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დაუსწრებელ განყოფილებაზე სწავლაზე ოცნებობდა.

ფიქრებიდან გამოერკვა დათო. ახლოს, საღიაც ხმელი ფიჩხი გატყდა. კიდევ იგივე ხმა და შუქიას სიცილი მოისმა.

დათომ მოიხედა უკან. მისი ხატება ორი ხის შუა იდგა ხელებგაშლილი და აავაწყული მომაჯადოებლად იცი-ნოდა.

— ჩაგძინებია, ვაჟო, დედას ვფიცავ, ჩაგძინებია!

— შუქია! — დაიბნა დათო. შემდეგ ახლოს მიეჭრა და თავისმართლებით უთხრა:

— არა, შუქია, რა დამაძინებდა. შენზე და შენს ბაღზე ვფიქრობდი, თანაც ამ წყაროს წყრიალში ვერ გავიგე, როგორ...

— ჩემზე ფიქრობდი?

— ჰო-მეთქი.

— შინ წავიდეთ, აქ უკვე გრილა.

— არა, ჯამრულს ჩემი ნახვა არ გაეხარდება.

— რატომ?

— დედაჩემს ჩვეს შესახებ საუბარი ჰქონია მასთან.

— მერე? — ორივე ხელით ხელებზე მისწვდა შუქია.

— უარი უთქვამს! — ამოიღულულა დათომ.

— უარი?

— დათო რა შუქიას შესაფერისია, სიძედ ისეთი ვაჟიკი მინდა, აი, როგორც ლექსოაო.

— მართლა ასე უთქვამს?

— დედა ხომ არ მომატყუებდა!

ერთხანს ორივენი გაყუჩდნენ. ისმოდა მხოლოდ წყაროს ხმაური და თრთოდნენ ვერხვები. შუქიამ გულიანად გადაიკისკისა.

— რა გეცინება, შუქია? — გაოცებული მიაშტერდა დათო ქალს.

— მერე-და ეგ გადარდება?

— არა, არ მინდოდა მშობლის თანხმობის გარეშე, თორემ... — დათომ თავისკენ მიიზიდა შუქია, თვალებში ჩახედა.

შუქია ორივე ხელით კისერზე შემოეკლდა, ზეიწია, ლოყა ლოყას მიადო და უთხრა:

— ის ლოთი არამზადა კარგად პოულობს მამაჩემის გულის მტკივნეულ ალაგს...

— არამზადაა! — აენტო დათო.

— მომისმინე, — კვლავ ხმადაბლა განაგრძო შუქიამ, — ვისაც რა შეუქმნია, ჩვენს დროში, მხოლოდ იმით ფასდება! მას კი რა გაუკეთებია? არაფერი, სრულებით არაფერი... შენ კი, მასაც, მამაჩემსაც და ზოგიერთ სხვასაც უნდა საქმით დაუმტკიცო შენი ვაჟკაცობა. ჩვენი საქმით, რაც გვისწავლია, რითაც ვსუნთქავთ, გაიგე?

— გავიგე! — ათრთოლებული ხმით უპასუხა დათომ. ვეება ვაჟკაცი კანკალმა აიტანა.

— ნუ ფიცხობ, გული დაიმორჩილე! — დატუქსა შუქიამ.

დათომ შუქია კიშკართან მიაცილა და მშვიდობის ღამე უსურვა, უკან გამობრუნებულმა ორიოდ ნაბიჯი გაიარა. თითქოს შუქიას სახლში შესვლას უცდიდაო, ჯამრულის ეზოდან უშველებელი ნაგაში ღობეზე ამოხტა, დაიღრინა, ისკუბა.

ელვის სისწრაფით შემობრუნებული დათო ორივე ხელით დასწვდა კისერში ნაგაზს და ეზოში გადატყორცნა.

როცა დათო კვლავ გამობრუნდა და უკან მიიხედა, სახლის აივანზე შუქია იდგა და გულთანად კისკისებდა.

ოთახიდან ჯამრულის ბუზღუნის ისმოდა. უთუოდ ჯავრობდა შუქიას უდროო და უადგილო სიცილზე.

• •

მეორე დღეს პირველმა ფარამ შუადღისას მოაღწია სოფლის სათავეს. მწყემსებმა ფერდობზე გაშალეს ნამგზავრი ცხვარი, ისინი ბალებმა შეცვალეს და თვითონ კი ჯალაბობა მოინახულეს.

მშენებელთა ბრიგადამ ცხვრის საპარსავად საკმაოდ მოზრდილი ფარდული გამართა სწორედ იმ ადგილზე, საიდანაც სოფელს სათიბები აკრავს. თივა კარგა ხანია აღებული იყო და ფარებს თავისუფლად შეეძლოთ ფარდულის ახლო-მახლო ბალახობა.

სოფელს დაუახლოვდნენ თუ არა, დათომ მაშინვე თავის ბრიგადამ ფარას მიაშურა და მწყემსებს თუთუნის მიაგება. იქიდან რომ ბრუნდებოდა, ფარდულთან გაჩერებულ ცისფერ „პობედას“ მოჰკრა თვალთ. შინ მისვლა ეწადა, მაგრამ მაინც ფარდულისაკენ გასწია. დეღე გადასჭრა, ვერხვებს მხარი აუქცია და ერთ წუთში ავტომანქანასთან გაჩნდა.

ფარდულის კარებთან რაიკომის მდივანი შოთა დარბაიძე — ხმელ-ხმელი, შავგვრემანი ახალგაზრდა, კოლმეურნეობის თავმჯდომარე სანდრო და მემინდერეობის ბრიგადის ხელმძღვანელი დიმიტრი საუბრობდნენ.

ღია კარებიდან საპარსი აგრეგატი მოჩანდა. იქვე მექანიკოსი და მოტორისტი ელექტროზონარებს ქიმავედნენ.

დათომ ჯიქურ ახლოს მისვლა ვერ გაბედა. ჯერ ავტომანქანა შეათვალიერა, მერე კი, მოსაუბრეთაც რომ შენიშნეს, მოკრძალებით მიეახლა.

რაიკომის მდივანმა გულთბილად ჩამოართვა ხელი.

— მოსკოვი გინახავს? — ჰკითხა დათოს.

— არა.

— რამდენი ბატკანი გამოზარდე?

— ასი დედაცხერიდან — ასორი! — მიუგო დათომ.

რაიკომის მდივანმა ფერდობზე შეუფენილ ფარას გაბედა და ისევ შეეკითხა:

— გავიგე, რომ პირველად შენი ბრიგადის ცხვარი გაიპარსება. ყური უგდე, ფარა ხევისპირ. ნარ-ეკლიანისაკენ არ გავიდეს, თორემ გაიღვერება. არ შერცხვე, იცოდე!

— ვეცდები, ამხანაგო შოთა.

— დოღში გამოხვალ?

— ვფიქრობ!

— მოიკითხე შუქია და გადაეცი, რომ ნერგებს კარგად მოუაროს. ხანდახან შენც უნდა წაეშველო, დაგიფასდება შრომა.

შოთა მანქანაში ჩაჯდა. გაოგნებული დათო მხოლოდ მაშინ მოვიდა გონზე, როცა მოსახვევში მტერის კორიანტელიც გაიფანტა.

— დათო!

— აა? — გამოერკვა დათო.

— რა იყო, ბიჭო, რა გითხრა ისეთი? — შეეკითხა სანდრო.

— არ ვიცი... არაფერი! — წაილულულა დათომ.

— ჩვენ კი გვეგონა, ყოველმხრივ შზად ვიყავით, ა? — ჩაილაპარაკა სანდრომ და ჭრელი ცხვირსახოციტ სახეზე ოფლი შეიწმინდა. იგი ზანში შესული კაცი იყო, ნაშწყემსარი. ბოლო დროს გულს უჩიოდა და ჩქარა იღლებოდა.

— ამ საღამოთივე დამატებით უნდა გამოვეყოთ მპარსელები. ჩვენ ლეწვას გადავეყვით და აქ კი, ხედავ, რამდენი რამ გამოგვრჩენია! დათო, მე და შენ ზალხი შევეკრიბოთ! — მიმართა დიმიტრიმ ისევ იმ ადგილზე მდგომ დათოს.

— თქვენ წადით, მე ჩემს ფარას უნდა მივხედო! — თავისთვის ჩაილაპარაკა ქაბუკმა.

სანდრო და დიმიტრი იმ გზას დაადგნენ, საითაც მანქანამ ჩაიარა. დიმიტრი კალოზე წასვლას ეშურებოდა.

დათოს გაღელვებული მკერდი მარჯვენა ხელით დაეხლუჯა, მარცხენა ხელით ქოჩორს აცოდვლებდა და, თითქოს რაღაცას იგონებდნო, მისჩერებოდა ქაბარჯინას მწვერვალის მინიშნებულ ქარაფს. და აი, უცბად გონება გაუწათლდა, სიხარულის ნათელი სახე-ზეც მოეფინა და წამოიძახა:

— მივხვდი, ამხანაგო მდივანო!

ფარდულის კარებიდან მექანიკოსმა და მოტორისტმა გაკვირვებით გამოიხედეს. ისინი, რა თქმა უნდა, ვერაფერს ხედებოდნენ.

• •

შინდაბრუნებულ დათოს ქარის გზასავით უსასრულო ეჩვენა ეს გაუთენე-

ბელი ღამე. და აი, დადგა მთელი ჯერ იყო და ცის სიღრმეში მკვეთრად უხილავმა მნათობმა. შემდეგ, როცა ხევებშიც გაღნა სიბნელე და მყინვარ-წყერი თითქოს ვარდისწყლით დაიფერა, დათო ბნელდანივით მიიჭრა ფარის სადგომთან, დასწყვიტა თეოზე მოვლემარე მწყემსებს და მყეფრებიც შეახმიანა.

— რა იყო, ბალო, ამ დილბინდზე რას გაუგებებხარ? — ეოცა დათოს ასეთი საქციელი მოხუც ჯათიას და ნაბდის ქვემოდან ბრაზიანად გამოხედა.

დათომ ბალღივით ზელში აატივტივა ნაბდიანი მოხუცი და წაუღიღინა:

ძილმა თქვა: უხოდ დავეივარ,
არ მიყვარს თავმოწონება;
ვერ გაშიშვრდა სულღვლეო,
ლომსაც წავართვი ვინება!

ჯათიამ ერთი ბებრულად გაიფართხალა, დათოს ხელიდან დაუსხლტა და იმ წამსვე გაეპასუხა:

მაგრამ კენი ვართ მაინც,
უძილოდ არ გვეცხოვრება!

— დილა მშვიდობისა! — გაუწოდა მარჯვენა დათომ. ჯათიამაც ღონიერად შეაგება თავისი ხელი. შემდეგ კი ორივემ იქვე, ჩაუმჭრალ კერასთან, მოიკალათეს.

წელან დაფეთებული თხები ახლალა მოვიდნენ გონზე და ფარას გაერყინენ. აქა-იქ თითო-ორიოლა ცხვარამაც წამოპყო თავი და ისევ თვალები მილულა.

ამასობაში დათოს და ჯათიას დანარჩენი მწყემსებიც შემოემატნენ. კერა არ გაუჩაღებიათ, მხოლოდ დათოს მღელვარე საუბარს უსმენდნენ. იგი რაიკომის მდივანთან შეხვედრის ამბავს ჰყვებოდა.

— მოსკოვი... გამოფენა... — ხამუშ-ხამუშად ისმოდა მწყემსების წამოძახილი და უნებლიეთ გასხივოსნებულ აღმოსავლეთის ცას მიაპყრობდნენ მზე-

რას. ასეთი შექქარბი ფერებით ესახებოდათ ხვალინდელი სინამდვილე.

მზის სხივები გერგეტის მყინვარს დაეფინა და მპარსველებიც შეუღწნენ მუშაობას. ახალგაზრდობა დათოს ხელმძღვანელობით ფარდულში შეხიზნულიყო და ელექტროსაპარის მანქანებისათვის მოეკიდა ხელი. ხანში შესულნი მაინც არ სთმობდნენ შეჩვეულ, მამაპაპურ იარაღს და გარეთ, მინდორზე, გასულნი ღუქარდებს აელვებდნენ. მათ ჯამრული თავკაცობდა. ყველას კი სანდრო შეთვალყურებდა.

ყურის მწვერვალზე გულდინჯად ამოიწია მზემ და ღვრუბლო ცაზე გაიბადრა.

ამაგდაგებულ საპარს მანქანებს თორმეტი ქალ-ვაჟის მარჯვენა იმორჩილებდა და ცხერის კანს მოცილებული ქათამათა მატყლი გვერდზე იკეცებოდა. ამდროს ფარდულის კარებში ვარდისუბნის ყოლმეურნეობის თავმჯდომარე სიმონ წიკლაური გამოჩნდა. ისიც სანდროს ხნისა იქნებოდა, მაგრამ უფრო ახალგაზრდად გამოიყურებოდა. მუდამ წვერგაპარსული იყო და დინჯად მოსიარულე. მისი გამოხედვა თუ მოძრაობა მოჩვენებითს სიმშვილეს ამჟღავნებდა, თორემ უკმეზ სიტყვაზე თოფის წამალივით იცოდა აფეთქება.

ვარდისუბნელები შეჯიბრებაში ამ კოლმეურნეობასთან იყვნენ ჩაბმულნი და სიმონიც ხშირად მოაკითხავდა ხოლმე თამარბაყებს.

სანდრომ დაინახა ის თუ არა, აუჩქარებლად წავიდა კარებისაკენ და ხელი გაუწოდა.

— რაო, სიმონ, თქვენთან რა ამბავია?

— მთელი ფრონტით იერიშზე გადავედი!

— კარგია, რომ გამოიარე, ჩვენთან სიკეთის მეტს რას ისწავლის ადამიანი!

— მეზობელი მეზობლის სარკეაო, მაშ! — დამცინავად მიუგო სიმონმა.

სანდრო, რატომღაც ყოველთვის სიმონის გამაღიზიანებელ სიტყვებს ეძებდა და და ხშირად მიზანსაც აღწევდა. სიმონიც ამას კარგად ამჩნევდა და თავის მხრივ ისუსხებოდა.

— შარშანდელ გამარჯვებას იცეხი, სიმონ, და შარშანწინდელი კი გავიწყდება?

— მუხა მაინც წალღუნას წაუქცევია. რა ვქნა, ძმაო, ეგ ჩემი მოგონილი კი არაა.

— კარგი, ძმაო და ამხანაგო, ანდაზებს თავი დაეანებოთ და შემოდი: ერთი ჭიქა ღვინო დაგვილიე, ხილსაც მოგართმევთ — ჩვენი ბალისაა!

— მწვადებზე რას იტყვი?

— ეგ თქვენი ფერმის გამგის საქმეა, ლამის შენც შამფურზე აგავოს.

— სანდრო!

— რა იყო, კაცო, სიტყვა გითხარი, კომბალი ხომ არ დამიცეცხლებია.

— მადლობელი ვარ. გადამხადოს!

— ნუ შეწუხდები, სიმონ, ჩვენ თავდაბალი ხალხი ვართ, თუ რაიმე გაგიჭირდეს, კიდევაც მოგეხმარებით, შეჯიბრება ჯიბრი ხომ არაა?

— დიდი მადლობა, სანდრო, კარგად მენატეთ.

— მოიცა, კაცო, ხომ არაფერი გეწყინა?

— არაფერი, ცოტა მაგვიანდებდა.

— მაშ, ჩვენი სალამი თქვენს კოლმეურნეებს! ფერმის გამგე ყიზლარში მყავს გაგზავნილი და მოვალეობას მე ვასრულებ, თორემ უსათუოდ გეწვეოდი.

— ძალიან გამახარებდი, ძალიან!

— კაცო, ისევ მაგ დანჯღრეული მანქანით დადიხარ? თუმცა, რას ვამბობ, ყველაფერი შრომისა და შეძლების საქმე არაა! არ გეწყინოს, სიმონ, წაიყვანე ჩემი პოხედა, სულ რაღაც ორასი კილომეტრი აქვს გავლილი.

— გმადლობ, დიდად გმადლობ! — სიმონი სწრაფად შებრუნდა და გარეთ გაეარდა.

ახალგაზრდები უხმო სიცილით იგუდებოდნენ.

— მოიცა, კაცო, ასე უპურმარილოდ წასვლა როგორ იქნება, პარსეის შედეგი მაინც გაგეგო! სიმონს სანდროც გამოეკიდა და ფარდულში უკვე გამაყრუებული ხარხარი გაისმა.

— შევხედებით, კიდეც შევხედებით! — აეტომანქანის გუგუნში მოისმა სიმონის ბრაზიანი ხმა.

— მოსკოვში, ჩემო სიმონ, მოსკოვში! — იყო სანდროს დამშვიდებული პასუხი.

სალამოს ექვს საათზე, როცა ზარის ხმა გაისმა, უცნაური რამ მოხდა: ჯამრთულმა ერთი დაიღმეულა, მოიქნია დუქარდი, მიწაში ღრმად ჩაასო და უკანმოუხედავად გასწია სახლისკენ. სახელგანთქმული მპარსველი იყო იგო, მაგრამ შედეგი სასახელოს არას ამბობდა.

იმ დღეს შექცა იქ არ ყოფილა. კალოზე მუშაობდა და სალამოსაც არ ამოსულა.

მესამე დღეს, როცა დათო და მისი ამხანაგები კლუბიდან გამოდიოდნენ, რადიოთი გადმოსცეს: დათო ეაქაურიძის ბრიგადისა და შექცია ნარიმანიძის რგოლის წევრები სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილენი არიანო. ეს უფლება დათოს ბრიგადამ ცხვრის საუკეთესო მოვლით დაიმსახურა, ხოლო, შექციას რგოლმა — ქერის მაღალი მოსავლის მიღებისათვის. მათ, რა თქმა უნდა, ეს უკვე იცოდნენ, მაგრამ გულში რაღაც ახალი სიხარული იგრძნეს.

— რას იტყვი, ა? — ეკითხებოდა შინ მიმავალ დათოს კინომექანიკოსი. — ხვალ ჩვეს გაზეთში სურათიც იქნება! მე ზომ ფოტოკორესპონდენტიცა ვარ.

*
*
*

მზიანი და გულგასახარი ამინდი იყო, ხანდახან კი ქარსაყოლილი ღრუბლები

კავკასიონს რომ გადაუქრლებდნენ, მწვერვალებს თოვლის ქაღალცს გამოვრევდნენ, ხოლო მყინვარწყერის თავშეშლი და ყინულიანი კალთები საკმაოდ გადათეთრდებოდა.

მთაში ხომ ხანმოკლე შემოდგომა იცის, ამიტომ დასაშურია ყველა საქმე. თუ ამ დროს ხეებში ნისლეები დაგუბდა, მორჩა, გადარებაზე ფიქრიც ზედმეტია: წვიმას თოვლ-ჰყავი შეცვლის, თანდათან აგრილდება და წინა დღით რომ მზე აღმურს უშვებდა, არე-მარეს თოვლის ნაბადი დაეხურება.

თამარბანელებმა ცხვრის პარსვა მოკლე დროში დაამთავრეს. ამასობაში ლეწვასაც მორჩნენ. მთებიდან ნელ-ნელა ჩამოკრეფილი ფარები სოფლის ახლომახლო დატრიალდნენ.

გასამგზავრებელმა მწყემსებმა თავიანთ ოჯახებში სწორამხანაგი და ნაიუსავე-მოკეთე დაიბატიყეს. ბარაქიანი შემოდგომა ხომ ნიადაგ სიხარულია და ლხინიც გახშირდა.

რაიონის სოფლებში ფაცა-ფუცი იყო: მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე მოწინავე კოლმეურნეთა დელეგაციის გამგზავრების წინ სპორტულ საზოგადოება „კოლმეურნეს“ დოღის მოწყობა გადაეწყვიტა.

კალენდარზე ისე მოულოდნელად გადაიფურცლა დოღის ჩატარების წინა დღის რიცხვი, რომ სანდრო და დიმიტრი არაქათგამოცლილები უძრავად დარჩნენ.

— ეათუ დოღში მოგვექრა თავი, ა? — წამოიძახა საგონებელში წასულმა სანდრომ და დიმიტრის გადახედა. — ამ საზოგადოებას რალა გადაუწყვეტია, კაცო! თითო კოლმეურნეობიდან ერთ ცხენზე მეტის გამოყვანა არ შეიძლებაო. არა, იქნება იმ ერთს რა ღმერთი უწყრება: წაიბორძიკა, წაიქცა, მხედარი გადმოაგდო და კიდეც რა ვიცი, რას არ უნდა მოელოდეს ადამიანი იმ დროს.

— ერთი ცხენის გაყვანა კოლმეურნეებიდანაც შეგვიძლია! — უპასუხა დიმიტრიმ.

— ეგ ვიცი, მაგრამ... ეჰ, არა მხოლოდ, არაღა აზრიანი არ უნდა იყოს მათი გადაწყვეტილება. კოლმეურნეობის სახელი მაინც მთელი სოფლის სახელია! — უკმაყოფილოდ ჩაიჭნია ხელი სანდრომ და ფანჯარა გამოაღო, რომ თანბაჟოს ბოლისაგან ოთახი გაჟმენდილიყო. — დათომაც დაიჩემა, თეთრონით გავალო და მე კი სულ არა მაქვს მისი იმედი! — განაგრძო სანდრომ როცა ისევ თავის ადგილს დაუბრუნდა და სკამზე ჩამოჯდა. — სამი წლისაა, ჯერ სულ ხამია და აბა ეგ სადოლედ გამოდგება?

— მის ბრიგადაზეა გაბიროვნებული თეთრონიცა და მისი დედაც. ალბათ იცნობს, რომ იმედი აქვს! — მიუგო ნატომ, რომელსაც აქამდის სიტყვა არ უთქვამს და მხოლოდ მაშეკაცთა საუბარს უგდებდა ყურს. დათო მისი ბავშვობის ამხანაგი იყო და და-ძმობა ჰქონდათ შეფიცული.

— თეთრონს, ჩემი აზრით, საღარი აჯობებდა! — მაინც არ სცხრებოდა თავმჯდომარე.

— ვაითუ ჯამრულის შავრამაც აჯობოს, ლექსოა თურმე მხედარი! — დაეჭვებით წარმოთქვა დიმიტრიმ.

— მასაც ვაეკაცი და ამასთან კოლმეურნე გამოუნახავს, — გაბრაზდა სანდრო.

სული რომ მოითქვა, უიმედოდ წამოიძახა:

— ეჰ, არ ვიცი, არა. ვაითუ იმ ძროხის ამბავი დაგვემართოს, ჭურჭელი რომ პირამდე რძით აავსო, მერე წიხლი ჰკრა და დააქცია!

სწორედ იმ დროს დათოს თეთრონი ბაღის ღობეს გადაეცვლო და ქალის შეკივლების ხმა მოისმა.

— გადარეულო, ნერგებს გაუფრთხილდი! — გაბრაზებული ზეზე წამოიჭრა ნერგთან ჩამუხლილი შუქია და თოხი

ხელიდან გაუვარდა. თურმე, ცუდდებოდა ბარავდა და ბაღას აცლამდებოდა.

— ნუ გეშინია, ნასწავლია ჩემი თეთრონი, იცის სად, როგორ მოიქცეს! — სიცილით უპასუხა დათომ და ცხენს ფაფარი ალერსით ჩაუვარცხნა.

— რა მოგაგონდა? — შეეკითხა შუქია. ახლა უკვე მასაც გაეღიმა.

— შენ მოგაგონდი, ქალავ! — მიუგო დათომ ხმადბლა და ისე ტბილად, რომ შუქიასაც ეოცა.

— მაშას აწყენინე. გემდური!

— დამსაჯე.

— მაყრად მიდიხარ სადმე თუ?

— სახვალიოდ ვემზადები!

— უფრთხილდი, შავრას ვერ გაასწრებს შენი თეთრონი.

— ამასაც ვნახავთ.

— რას მიყურებ? წადი. შუადღეა და ხალხი გარეთაა.

— უკეთეს ადგილზე სად წავალ. მოგეხმარები.

— არა, მერე იყოს. ახლა მეც უნდა წავიდე. მოვემზადები. გული კი მტკივა.

— რატომ?

— ჩემი ბაღის ნაყოფი რომ არ იქნება გამოფენილი.

— მოესწრები, იქნება, საქორწილოდაც იქნება.

— ვერ მოგართვი, კბილს მოგჭრის! — გადაიკისკისა შუქიამ.

— კბილს მოგჭრის, კბილს! — გაისმა იმათ ზურგსუკან. ორივემ მიიხედა.

ღობის იქით ლექსო აძვარულიყო და ჩახლენილი ხმით ზითხითებდა.

— შენ ვინა გდიხარ, ერთი მითხარი, ნადირობის დრო ჯერ არ დამდგარა და ზარ-ჯიხვი მოგიკლავს! მერე-და, თავი გარეთ გამოჰკიდე, ვითომც ბუყათარი დაგიმარცხებია. ხა, ხა, ხა... ვინ მოგცამეთქი ნება, შენ გეუბნებთან, მიპასუხე! — მთელი ხმით აღრიალდა ლექსო, სისხლიანდგარი თვალები რისხვით გადმოატრიალა და სახე წამოენთო. ლექ-

სოს მისი ამფსონი „დაჰკა-კოლა“ ახლდა. მას ეს სახელი ჩხუბისა და შფოთის თაობაზე შეერქვა და იმ დღემდე კიდევაც ამართლებდა. ორივე ნასევამი, და, რა თქმა უნდა, გაგულადებულიც იყო.

დათო საოცრად დინჯად წავიდა გასასვლელისაკენ. ოდნავ გაფითრებულ-იყო და ხელებიც უკანაყალბდა. მივიდა, კარი აუჩქარებლად და ფრთხილად გა-ალო, ფეხით ქვა მიუგორა, რომ არ და-ხურულიყო, და ცხენი გაიყვანა.

— დათო, ნუ აჰყვები, დათო! — მია-ძახა შექიამ, რომელიც ფეხდაფეხ გა-მორედევნა ქაბუცს.

დათოს პასუხი არ გაუცია. მშვიდად ისმენდა ლექსოსაგან უწყალო ლანძ-ღვა-გინებას. შემდეგ კი ცხენის სადავეს ხელი შეუშვა, მივიდა ლექსოსთან და ხმადებლა უთხრა:

— რად მლანძღავ, ვიცი, დავაშავე და კიდევაც დავისაჯე, — თქვენვე არ დამაჯარიმეთ? გინდაც გამასამართ-ლონ, ღირსი ვიქნები!

— სასამართლო რას მიქვიან, ჩემთან აგებ პასუხს, ჩემთან! — აქ ლექსომ ერ-თი ამოიქშინა, კბილები დაკრიჭა და გულის ფიცარზე ისე სწრაფად და ძა-ლუმად დაჰკრა მუშტი, რომ დათო წა-ბარბაცდა, ღობეს მიაწყდა და გულალ-მა გადაწვა.

მკლავლონიერი იყო ლექსო. ჩხუბის დროს ეროსავით ხმარობდა მუშტებს.

— მაშ ეგრეა? ვაი დედასა! — დაიგ-მინა დათომ და ღობიდან წამოიწია.

— ეგრეა, მაშ! — ცლავ მალლა აღმარ-თა მარჯვენა ლექსომ, მაგრამ დარტ-ყმა ველარ მოასწრო. ცხვირგახეთქილი გულადმა გაიშლართა და ნესტოებიდან ორტოტად გადმოსჩქეფა სისხლმა.

უმალვე წამოხტა და ახლა უკვე ისე-თი მეცხვარული მუშტი მოხვდა ყურის ძირში, რომ გრძნობადაკარგული დავა-რდა მიწაზე.

— მიათრიე წყაროსთან, მოასულიე-რი! — გადაუბრიალა თვალები დათომ

მოჩხუბრის ძმაცაც და ცხენსავე შე-მობრუნდა.

გიგლიშვილი

„დაჰკა-კოლა“ ღობესთან მობრუნ-ლოყო და ფერფური დაჰკარგოდა.

დათომ დაამშვიდა თეთრონი, რომე-ლიც ამ ხნის განმავლობაში ადგილზე მოუსვენრობდა და მიწას ფლოქვებს ეშენდა. შემდეგ შექიას მოხედა, დამ-ნაშავესავით გაუღიმა და უთხრა:

— ჩემი ბრალია?

შექიამ ჯერ კი გაიღიმა, შემდეგ კო-პები შეჰყარა და ზურგი აქცია.

დათოს თვალებში გაოცება გამოიხა-ტა. ერთხანს ასე იდგა გარინდებული, მერე სწრაფად თეთრონს მოახტა და თვალსაც მიეფარა.

როცა მხედარი გაუჩინარდა, „დაჰკა-კოლა“ მაშინლა მოვიდა გონზე. ამოდე-ნა კაცს წყაროსთან როგორ მიათრევდა და ისევ თვითონ გაიქცა, სწორედ იმ წყაროსთან, რომელიც იქვე მოჩხუბ-ხებდა. იქ ქუდი მოიხადა, წყლით აავსო, მივიდა და ლექსოს სახეზე წამოუპირ-ქვადა.

• • •

ღამით ცა ღრუბლებმა ჩაამუქეს, მაგ-რამ ქარმაც იძალა და მზის ამოსვლამ-დე სადღაც მწვერვალებს მიღმა გადა-რეკა.

დილა მინც გრილი იყო, გაცრეცი-ლი, ნამდვილი შემოდგომის დილა. და, ვიდრე მზემ არ გადმოჰიდა ქვეყანას, საქონელიც არ გასულა ქირმანზე. თით-ქოს მნათობის მობრძანებას ელოდაო, ქარიც ნელ-ნელა მიუყრდა და ჩაღდა.

ცხრა საათზე გაისმა შეკრების მათე-ყებელი ზარის ხმა.

აფუსფუსდა სოფელი, გაიღო ქიშკ-რები, შეიქნა ერთი გადამხილ-გადმო-ქახილი. დათო კი ამ დროს სარკის წინ იდგა, ახალუხის ღილ-კილოს იხნევდა და თან დედას ებუზღუნებოდა:

— კავალერისტის ფორმა ჩამოვიტა-ნე, განა ის უფრო არ აჯობებდა? მით

უმეტეს, რომ ჩოხა-ახალუხის ტარებას უკვე გადავეჩვიე.

— გამოგონე, ასე უკეთესია, შვილო! — არწმუნებდა საბედო. — საქორწილოდ შეგიყვარე, მაგრამ მთელი თემა იქ იქნება და რითი არაა ქორწილზე მეტად გამოსაჩენი? თვალსა და გულს ახარებს ლაზათიანად ჩაცმულ-დახურული ქალ-ვაჟის ყურება!

— ფარ-შუბილა ავლია და ნამდვილი რაინდი იქნება. — გამოსძახა მეორე ოთახიდან გიორგიმ, რომელსაც ის აბრაზებდა, რომ საბედო მის სამზადისს არად აგდებდა.

მამის სიტყვებზე დათოს გაეცინა და დედას გადაჰედა. საბედომ კი უხმოდ ქოჩოლა მიაყარა თავის მეუღლეს.

— დედაკაცო, მოდი-მეთქი, მომხედე, რამ გამოგაქვავა! — ახლა კი ხმას აუწია გიორგიმ და იატაკზე რაღაც დაახეთქა.

★ უჩემოდაც მიაგნებ! — მშვიდად გაეპასუხა საბედო და, ვიდრე შვილს თავისი ხელით ჩოხა არ ჩააცვა, ფეხიც არ მოუცვლია.

— ახლაც დამცინებ? — შეეკითხა დათო მამას, როცა ქამარ-ხანჯალიც შემოირიტყა და მასთან გავიდა.

მართლაც შეენოდა დათოს მამა-პაპური სამოსელი. ზორბა მხარ-ბეჭი ჰქონდა. უღვაშები კოხტად შეეკრიჭა, შუბლზე ზუქუქა თმები ჩამოშლოდა და შავი წამწამების ტევრიდან თვალები ისე აშუქებდნენ, თითქოს ნათელი ეფინებოდა ისედაც შუქსაცვს ოთახს.

გიორგი წარბებქვემოდად შეჰყურებდა პირმშოს, გულში უხაროდა, მაგრამ სახეზე არ იჩენებდა.

— არა გიშავს, მაგრამ ქუდი მაგრად დაიხურე, არ მოგეხადოს. შევრცხვებით ყველანი! — უთხრა მან და კედელზე ჩამოკიდებული შავი სატევარი ჩამოიღო.

მიხვდა დათო მამის ნართაულს, მაგრამ ქუდი მაინც არ დაუხურავს.

ისინი რომ ამ სამზადისში იყვნენ,

კოლმეურნეობის კანტორის ეზოში უკვე ხალხის ტევა აღარ იყო. ნაღდიმანქანა-ლოდ მორთულ-მოკაშმულნი დიდ-პატარიანად აქ მოსულიყვნენ და უკვე მზიარულებას მისცემოდნენ. ქუჩაში ხუთი საბარგო ავტომანქანა იდგა ხალხით გაჰედილი და სამგზავროდ გამზადებული. მანქანები ნაძვის ტოტებითა და პლაცატებით იყო გაფორმებული. მეწინავე მანქანის კაბინის თავზე სტალინის სურათი დამაგრებინათ. დიდი ბელადი ზეაწეული ხელით, გაღიმებული მიუძლოდა თამარიანელ კოლმეურნეებს.

სანდრომ შოფრებს წასვლის ნიშანი მისცა.

მესამე მანქანაში ფიზკულტურელი ქალ-ვაჟები ისხდნენ და როგორც კი აღვილიდან დაიძრნენ, ომახიანად დასქექეს სიმღერა.

შუქიაც ამ მანქანაში იჯდა. იგი ფიზკულტურელის ცისფერ კოსტუმში იყო გამოწყობილი. მარწყვის ფერებით დაწინწკლული თეთრი მანდილი ყელზე შემოეხვია, ღიმისს გაეპო მისი ბაგენი და ისიც მთელი გრძნობით მღეროდა. ვიდრე გზატკეცილზე გავიდოდნენ, მან კიდევ ერთხელ მოახედა უკან, მაგრამ, ვისაც ეძებდა მაინც ვერ დაინახა. გული დაწყდა.

როცა დათო გამოჩნდა კოლმეურნეობის კანტორის ეზოში, ყველა ცხენოსანი უკვე იყო მოსული.

იხუტლეს ბაღებმა, რკალში მოიმწყვდიეს დათოცა და მისი თეთრონიც. ვერცხლით შეჰედილი უნაგირი ედგა თეთრონს, კავალერიის ცხენივით ჰქონდა ძუფაფარი შეკრეპილი, ლამაზი, მოკლე ყურები დაეცქვიტა, კისერს იღერებდა და შეუჩერებლად ტოკავდა.

დათომ სადავე უნაგირის ტახტზე გადაუგდო და სანდროსაკენ გაემართა. ბაღლები კიდევ უფრო გაოცდნენ, გასაფრენად დამაგრული ცხენი რომ იმავე მდგომარეობაში დარჩა. სცადეს მიახლოვება, მაგრამ ამოდ: ერთი ისეთი

დაიხვივნა, რომ ყველანი გაიფანტნენ.

— დროა, წახედეთ! — უთხრა სანდრომ მისალმების შემდეგ დათოს. — რაღაც იმედი კი არა მაქვს თეთრონისა. შენ რას იტყვი?

— რა ვიცი.

— შესანიშნავია, ამხანაგებო, იქ ტარიელი. აქ — ავთანდილი! განსაკუთრებული შემთხვევა! — ამ სიტყვებით მიეახლა მათ კინომექანიკოსი და თვალთუშალო ფოტოაპარატი გააშინებდა. ტარიელში ლექსოს გულისხმობდა.

— თუ ძმა ხარ, თავი დამანებე! — გაბრაზებულმა დათომ თეთრონისაკენ გასწია. გულამღვრელი იყო. არ ეამა სანდროს ნათქვამი: უნდა გავიდე, მორჩა და გათავდა! შეათასედ იმეორებდა ამ სიტყვებს გულში და თან კი თეთრონს უაღერებდა: გესმის? დოღში გასვლაზე არ გვენდობიან, ჩემო მეგობარო. ხანდახან გონჯი ზნე სკირთ ხანში შესულებს: ახალს უნდობლად უყურებენ! არა უშავს, გული არ გაიტეხო. წავიდეთ და გავაცნოთ ჩვენი თავი.

— არის! — წამოიყვია კინომექანიკოსმა და, დათომ რომ მოიხედა, ხალხს შეერია.

გაისმა ახალგაზრდობის ხარხარი. დათო მიხვდა, რომ, ვიდრე ის გუნებაში თავის თეთრონს ელაპარაკებოდა, კინომექანიკოსს დრო ეჩბელთა, მიჰპარვოდა და მოესწრო სურათის გადაღება. ახლა ხალხში იდგა და რიხიანად ამბობდა:

— ასეა, მომენტით უნდა ისარგებლო, მო-მენ-ტით!

დათომ მარცხენა უხანგში შედგა ფეხი, ტახტას ხელი ჩასჰიდა და დაიძახა:

— ცხენებზე!

ერთ წამში ყველანი ამხედრდნენ თავიანთ ცხენებზე. მარტო ლექსო არ დაძრულა ადგილიდან. მოპირქმეხებულმა მხოლოდ მაშინ მოიგუნება ხეს ჩათამულ შავრასთან მისვლა, როცა კვლავ გაისმა დათოს ბრძანება:

— იარ!

დათოს დანახვაზე ბევრმა შეშინდა. მოჰყენესა გულმა.

მხედრები რომ ეზოდან გაიკრიფნენ, შეგზობიანმა მხედარმა შავი იაბო მაშინ-ღა დაძრა ადგილიდან. ჰიშვარში გიორგი და საბედო შეხვდნენ მომავალნი, მაგრამ გზა არ უტია და შუა გაუარა.

იქ მყოფთ გაკვირვებით ერთერთ გადახედეს, რადგან ეუცხოვათ ასეთი უხრდელობა.

სალაღობოდ გაშლილა ორი მთის შუა ფართო ველი, რომელიც ოდესღაც ვიწრო ხეობა ყოფილა, მაგრამ წყალუხვობას საგანგებოდ გაუგანვირებია და მოუსწორებია. ეამთასვლას შლამისათვის მწვანე ქათიბი ჩაუცვამს და ხალხს კი სათიბად გამოუყენებია.

ველი თამარიანიდან ზუთი კილომეტრითაა დაშორებული და რაიონის შუა-გულშია გაქიმული. ამიტომ საცხენოსნო შეჯიბრება იქნება, თუ სხვა რამ მასობრივი ფიზიკულური შეჯიბრებები, გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე ყოველთვის ამ ველზე იმართება.

— ღმერთო, შენ აბედნიერე და მშვიდობით ამყოფე ჩვენი თუ ჩვენიანი! — გადაიწერა პირჯვარი საბედომ, როცა იქ შეკრებილთ თვალი მიმოავლო.

გიორგის გაეღიმა და ხმადაბლა უთხრა საბედოს, ისე, რომ გვერდში მდგომთ არ გაეგონათ:

— დიდი უშეღავათო ყოფილა ის შენი ღმერთი, თუკი მაგაზედაც თხოვნა სჭირდება!

საბედომ ისე განაწყენებულმა შეხედა, რომ, თუ არა მისი საოცარი მოთმინება, უთუოდ საკადრის პასუხს გასცემდა.

ერთი წუთის შემდეგ ალაგ-ალაგ ცეკვა-თამაში გაჩაღდა, ფანდურის, გარმონისა და მომღერალთა ხმები, მოცეკვავთა მკვეთრი შეძახილები, ქალთა გოგვა და ქაბუკთა ფიცხი გამოქროლე-

ბა თითქოს ერთ უზარმაზარ, გულში დაუტყველ სიხარულის გრძნობად გადაიქცა.

ზეიმობდა კოლმეურნული შრომა. ზეიმობდნენ ოდესღაც დაბეჩავებული მთიელები.

დათომ თავის სიცოცხლეში პირველად ატლა ინანა, რომ არ იცოდა ცეკვა და არ უმღერია საჯაროდ.

— დოლი დოლია, მაგრამ მე მაინც ჩემი საფეერალი მაქვს: ჯიშობრივი გაუმჯობესების საქმე ვერა გვაქვს კარგად! — უთხრა სანდრომ დიმიტრის, როცა ერთმანეთი დაიმარტოვეს. — თუ სახელი გინდა, ყველა მაჩვენებლით უნდა იაზაყო, თუ არა და იანვრის პლენუმის გადაწყვეტილების დაზიანება ყველას შეუძლია.

— ჩვენა ვართ დამნაშავე, ვის უნდა დავაბრალეთ? — მიუგო დიმიტრიმ.

— არა, კაცმა უნდა მართალი თქვას: არც სოფლის მეურნეობის სამმართველო გვეხმარება რიგიანად. ცხვრის ხელოვნური განერბვა და პირველად წელს მოვაწყვეთ. ერთი კოსტრომული ბუღა-შწარმოებელი ხომ შარშან შევიძინეთ? ეს ადგილობრივი ჯიშის საქონელი კი, გინდა ნაზუქით ჰყვებო, ორი წლის შემდეგ გრამსაც ვერ მოიმატებს — ვერც ხორცად და ვერც წველითა!

— ვერც ფერმის მუშაკები უძლევიან ჯერ თავიანთ მეურნეობას, რომ მიუთითო ვისმე აი, მაგალითით.

— რა თქმა უნდა, მაგათში დათოსა და შუქიას არ გულისხმობ... —

— დათო, შუქია, მაინც ერთეულებია. საქმე ის არის, რომ ყველა ფერმამ, ბრიგადამ და ყველა კოლმეურნემ გვასახლოს! ამჯერად დიმიტრიმ დამთავრებულად ჩათვალა საუბარი და სანდრო მოედნისაკენ წაიყვანა.

ჯამრული მთელ დღეს სახელდახელოდ გამართულ თავლას არ მოშორებია და ლექსოს ელაპარაკებოდა. ახლაც, დიმიტრი და სანდრო რომ დანა-

დვლიანებულნი დაინახეს, ორგანოებმა ზურგსუკან დამცინავი მზერა გამოუღო — საგონებლში ჩავარდნილანი! — ლექსომ მათრახის თასმა ზელში ნერვიულად მოსრისა.

უკვე მოშუადღევებულიყო. მზე სითბო-სინათლით გულუხვობდა და ნიავეიც არ იძროდა.

ბოლოს დადგა სანატრელი წუთი. იწყებოდა დოლი — ძველთა-ძველი და საყვარელი შეგვიბრება მთიელთათვის.

არაჩვეულებრივი გამოცოცხლება დაეტყო ხალხს. ყველა დანიშნულ ადგილს მიაწყდა. კირისწყლით მოხაზულ სარბენ ბილიკს გარეთ ნახევარ წრეზე გაიშალნენ.

ორკესტრმა ფიზკულტურელთა საყოველთაოდ ცნობილი მარში დააგუგუნა.

ყველას ერქოლამ დაუარა ძარღვებში.

ლექსომ არყით საესე ბოთლი დააცლევინა შავრას და ერთი-ორჯერ გააჯირითა.

— შევრცხვებით, დავიღუპებით! — ამოიყვენსა სანდრომ, როცა დაინახა, რომ ცხრა მხედარი უკვე განლაგდა. სახეზე ზეთი გადასლიოდა.

მის გვერდშივე იდგნენ დიმიტრი და ნატო: დიმიტრი მხედრებს მისჩერებოდა და სახის ნაკეთების მოძრაობაზე ხანდახან თუ შეატყობდით, რომ არც ის იყო დამშვიდებული. ნატო კი მარჯვნივ და მარცხნივ ხალხს უყურებდა მცდელი თვალებით, თითქოს უნდოდა გაეგო, ვის რა წამოსცდებოდა.

მაშლბოლად გიორგი და საბედო გაჩერებულნი იყვნენ.

მომალღო ადგილზე რაიკომის მდივანი და ათიოდე ნაცნობი თუ უცნობი ანხანავი იდგა.

ნატომ გაიხედა და დათოსთან თანასოფელელ ქალიშვილებს მოჰკრა თვალი. მათთან შუქიაც ჩანდა თავისი ცისფერი კოსტუმით. მამის რიდით ცოტა მოშორებით დამდგარიყო, სახე ელიმო-

და, თითქოს ყველას ერთნაირად უყურებდა და არ იმჩნევდა, მაგრამ თვალები ხშირად დათოსაკენ გაუბრუნდა.

დათო მომეტებულად ღელავდა. თავისი საფიქრალი ჰქონდა და საგონებელში წასულ ქალიშვილებსაც პასუხს ცივი ღიმილით აძლევდა.

მხედრების ირგვლივ ჯერ კიდევ შინაურ-ახლობლები ირეოდნენ, რომ ჯამრულმა წითელი ალაში ასწია.

როგორც ყველაზე ხნიერი და კარგი ცხენოსანი, იგი მსაჯთა კოლეგიის თავმჯდომარედ ამოერჩიათ.

სახელმე პირველი გამოისახა. გიორგიმ სატყერის ტარზე დაიწყო ხელები.

წუთიერმა დემილმა დაისადგურა. მხედრებმა სადავეები მოზიდეს.

ჯამრულის ალაში დაეშვა.

— ვინ არის თეთრი მხედარი?—იკითხა ვიღაც ლოყებდაჟდა ქალიშვილმა.

ნატომ სწრაფად მიუგო:

— პირველი მოვა და გაიცინო.

— ეხედავ... სახედარივით მიაქუნებს!—ეკლავ მოისმა იგივე ხმა და ჩუმი სიცილი.

სანდრომ მწარედ ამოიგმინა, ხოლო ნატომ ისეთი თვალები გადაუტრიალა იმ საცოდავს, რომ ენა მუცელში ჩაუვლო.

ამასობაში დაწინაურებულმა შავმა მხედარმა უკვე ჩაიჭროლა და ქალიშვილებსაც აღმოხდა:

— შენ გენაცვალე!

— როგორ მიჰქრის!

— რა ბიჭია!

ხალხი სამხრეთის მხრიდან ნახევარ წრეზე იყო განლაგებული და, ეს იმიტომ, რომ ჩრდილოეთით ანჭევარ წრეზე ციცაბო ფერდობია და ალაგ-ალაგ ნაშალი კლდეები. დოღში შეიდი ცხენი კოლმეურნეობისა იყო, ორი — კოლმეურნეებისა. გასარბენი მანძილი — შეიდი კილომეტრი იყო, რაც შეიძლება წრის შემოვლას ნიშნავდა.

აი, მხედრებმა უკვე პირველი წრე შემოსწერეს.

იმ ლოყებდაჟდა ქალიშვილმა წელან მართალი თქვა დათოზე და მის თერთონზე, რომელიც რვა მხედარმა პირველი წუთიდანვე ჩამოიტოვა. მესამე წრეც თითქმის ასე დაიწყო.

თამარიანელები პირისუფლებივით გაპყურებდნენ მედოლეთ, მხოლოდ ჯამრული იდგა ამხანაგებისაგან განმართებით, სახეზე შექი გადაჰყენოდა და გუნებაში სათავისოდ კეთილს საზრავდა.

სანდრო მხოლოდ ხალხის წამოძახილს უგდებდა ყურს და საცაა გული შეულონდებოდა. ხან გაიფიქრებდა, როგორმე გაპარულიყო, რომ სულეცის არ დაენახა. მეტადრე სიმონთან შეხედრა არ სურდა. მისგან გაქილიცებას სიკვდილს ამჯობინებდა.

მესამე წრის შემოვლა იწყეს თუ არა, აქამდე პირამონებულ ლექსოსაც გაეხსნა შუბლი, რადგან მანამდე კვალდაკვალ მიმდევარი ორი მხედარი საკმაოდ უკან ჩამოიტოვა და მეტი სილაღე იგრძნო.

დათოს წინ კი რვა ჩოხის კალთა ფრიალებდა.

— რას შვრები, დათო?

— მიდი, მიუშვი!

— არ შეგვარცხვინო, ბიჭო!

მოესმა მას ნაცნობი ხმები.

ერთი გადმოხედა, გაუღიმა, თითქოს იმედის შექი მოაზნიაო, და თეთრონს ჩასძახა:

— აბა, პა!

ისიც თითქოს მიუხედა მხედარს, კისერი დაძაგრა და გაიჭრა წინ.

— მთავარია, სოფელი არ შევარცხვინოთ, სოფელი, გესმის? ჩვენი კოლმეურნეობა! — ჩასძახოდა დათო თავის მერანს. — ჰოდა, ეს კი შენი საბელია, პირველი გამოჩენა, პირველი გამარჯვება. ეს ერთი. მერე, მეც უნდა დამაფასო, ამაგი გამიწევია. მიდი, შენი ჰყვანი თვალებისა და სწრაფი მუხლე-

ბის ქირიმე... ეს უკვე მესამე წრე დაიწყო... გინახავს, ერთი ქალია, თეთრია, როგორც მთის ბროლი. მასაც ჩემი გამარჯვება სურს! გუშინ კი წყენით შემოხმებდა, როცა ის უსირცხვილო შემომეღიხა. ეჰ, ვინ იცის, ქალის გული ვინ ამოიკითხა, რომ... მეოთხე!

— მეოთხე! — გაისმა ჯამრულის ხმა, რაც მხედრებს მეოთხე წრის დასრულებას მოაგონებდა.

— აუჩქარე, შენი მუხლების ქირიმე! — კვლავ განაგრძობდა დათო თავის თეთრონთან დაწყებულ საუბარს. — ჰო, ეგრე, კარგია! მეხუთე! იცი, როგორ დაგაფასებ? გული მომიცდეს, თუ გულით არ ვამბობდე. მეექვსე! სწორედ შენზე უთქვამს, კარგი ცხენი მათრახს არ დაიკრავსო. გასწი! არა, იმ ქალშავს უთუოდ გაეზარდება... ზედავ, ესენი როგორ იჩქარიან?

— მეხუთე! — კვლავ გაისმა ჯამრულის ხმა, რომელიც დათოს გაბზარული ეჩვენა.

— მიდი, შენ გენაცვალე, ბიჭო!

— იჩქარე, დათო!

ისმოდა უკვე იმის ზურგსუკან სიხარულის ყივინა და ეღიმებოდა.

— მაშ, რა ეგონათ, ა? რა... მეშვიდე! ეს კი მართლა კარგად მიჰქროდა, მაგრამ ახლა კი, იცი, შენს წინ ვინ არის? აბა, არ მომჭრა თავი. ეგ ზომ კოლმე-ურნეობის ცხენი არაა. იმათ ვაჯობებთ და ეგ უნდა წაგვივიდეს? გაფრინდი. კარგა მანძილზე დაწინაურებულია, გესმის მათრახის ტყალაშუნი? მიდი! ჯამრულის ცხენია, მხედარიც მისივე არჩეული სასიძოა. მოუმატე... ეგრე...

დათოს წინ ლექსო იყო — შავ ცხენზე შავი მხედარი — და ისეთი გაშმაგებით ჰკეცავდა გზას, თითქოს ქარის ფრთებზე მიფრინავსო.

როცა ისინი მაყურებელთა მოპირდაპირე ციკაბო ფერდობს მიუახლოვდნენ, დათომ მთლიანად თავისუფლად მიუშვა სადავე, უნაგირიდან წამოიმართა და...

შავი მხედრის ჩამოხვედრისას უკან გაქანდა!

შორიდან უკვე მოისმა გამაყრებელი ყივინა. დათომ კიდევ უფრო შეაფიცა თეთრონი. ოცი ნაბიჯის მანძილზე რომ გაასწრო მხედარს, მაშინ მოხედა, მაგრამ... იმ წამსვე ცხენის კისერს გაეკრა!

ლექსოს ნასროლმა ხანჯალმა თეთრონს მარჯვენა ყურის წვერი წააცალა და ხაზს იქით მინდორზე დაეცა.

ხალხი შორს იყო, დანარჩენი მხედრებიც კარგა მანძილზე ჩამორჩენილყვნენ.

ნაელვარმა სიკვდილმა ჩახედა დათოს თვალებში, მაგრამ ვერა უყურა. მხოლოდ თეთრონის ყური შეიღება სისხლით.

— რა მუხანათური შურისგება! — შემოჰკვნესა დათოს გულმა და დააბირა მაგიერი იმწამსვე მიეზლო, მაგრამ გონებამ მაგრად დაზიდა გრძნობის სადავე და შეაჩერა.

— მეექვსე! — დაიგუგუნა ამ დროს ხალხმა.

— მე-ექვსე! — დამარცვლა აცახცახებულმა დათომაც და მოქიშპეს რომ კვლავ წამოხედა, დაინახა: ჯამრულისაგან ათიოდე მეტრის დაშორებით ლექსომ მინდორზე ზღართანი მოადინა.

დათომ გზა განაგრძო. სხვა მხედრები არც ისე შორს იყვნენ, რომ სვლა შეენელებინა.

— ლექსო! — იღრიალა ჯამრულმა და მივარდა გულაღმა გაშოტილ მხედარს.

იგი გულწასული იწვა და მხოლოდ ტუჩები უთრთოდა. სარტყელზე ცარიელი ქარქაში მოუჩანდა.

ბებერი მგელი იყო ჯამრული. ყველაფერს მიხედა გუმანით და მწარედ გაელიმა.

დანარჩენებმა კი საკუთარი ბოლოით გაგუდული, ჩვეულებრივად, ცხენისგან გადმოგდებულად ჩასთვალეს და სწრაფად ექიმი აახლეს.

როცა სხვა მხედრებმაც ჩაიქროლეს, შუქია გაღებულ შავრას გამოეცემა და, ის-იყო მისწვდა კიდეც, რომ ჯამრული წამოეწია და ცივად ჩამოართვა სადავე.

— წავალ, ჯერ კიდევ გვიან არ არის! — უთხრა შუქიამ.

— არა, მოიცა! — თქვა მან ყრუდ, რაღაც დაგუბებული ხმით უმაღლესი ხელი გაიკრა სატევარს, რომ უმხედრო ცხენის თავი ან გული შუა გაეხო, მაგრამ მაჯაზე შუქიას თითები შემოესალტა.

— გესმის კი, რას აკეთებ? — შეაჩერა ასულმა.

— დამეჩხენ! — აცანკალდა ჯამრული. სცადა ხელის განთავისუფლება, ღონემ უმტყუნა. ისეთი თვალებით მისჩერებოდა შუქიას, რომ ამ თვალეში ხალხის მსჯავრი ამოიკითხა თავისი განზრახული მოქმედებისათვის.

მოუდუნდა ჯამრულს მკლავები. ჩანავლდა გულის ცეცხლი და გონს მოეგო.

გაცივრებული ხალხი მათეც მოეშურებოდა. ამბის შეტყობა სურდათ. ჯამრულმა კი ჭამარ-ხანჯალი შეისწორა, მშვიდად გააპო ხალხი და იქითეც დაიძრა, სადაც თავისი კოლმეურნეობის ცხენები ეგულებოდა. მიაბიჯებდა დინჯად, წელგამართული და ჩამავალი მზე ნათელს ჰფენდა მის ჭალარას.

მივიდა, სათითაოდ ყველას მიუბღერესა, ქერით სავეს თოდრები მისცა, შესასვლელში ჩამოჯდა და ჩიბუხი გააბოლა.

მის სახეზე არ იყო არც მწყუხარება, არც შემფოთება, არც სინანული. იგი

თავისუფალი იყო ყოველივე გამოცდისა და თამარიანელების გაოცებისა. მისი გული არა ჰქონდა, როცა ჯამრულმა, ამ გოროხმა და პირქუშმა კაცმა, გულში ჩაიკრა დათო და გადაკოცნა.

— დასამახსოვრებელია დღევანდელი დღე! — თქვა დიმიტრიმ, როცა რაიკომის მდივანმა თანმყოფნი გაისტუმრა და მათ მიაკითხა.

— დიხ! — უპასუხა რაიკომის მდივანმა, — ასეთ დღეს მხოლოდ გამარჯვებით აღნიშნავს ჩვენი ხალხი. თქვენც გაიმარჯვეთ, უპირველესად კი გაიმარჯვა ჯამრულმა!

— როგორ, ვისზე გაიმარჯვა? — შეეკითხა გაკვირებული სანდრო.

— ძველ ჯამრულზე! — მიუგო რაიკომის მდივანმა. მივიდა, ჯამრული გამოცალკევა და მანქანისაკენ წაიყვანა.

იქ უკვე საბედო და გაიარგი ელოდებოდნენ.

სახლში წასვლის წინ სანდრომ დათო გაიხმო განზე და უთხრა:

— სიმონთან რომ თავი არ ნომჭერი და გამახარე, შენს ქორწილსაც მალე შემასწარ, ბიჭო! ნულარ დაავიანებ.

დათოს არა უთქვამს-რა, მაგრამ მისი თვალები მეტყველებდნენ, რომ ვაჟკაცის გულში სიხარულისა და ბედნიერების გრძნობა ყვავილობდა.

სალამოვდებოდა. ხალხი ნელ-ნელა იშლებოდა ზიმღერითა და ჯამრულით. დათო და შუქიაც დასდგომოდნენ სოფლის გზას. მათ უკან მიჰყვებოდა, თეთრონი, რომელსაც მარწყვის ფერებით დაწნეული თეთრი მანდილით ჰქონდა შეხვეული მარჯვენა ყური.

უინძორედი მხიარული ჰადები



მოკმედი პირი

სერ ჯონ ფოლსტაფი
ფენტონი — აზნაური
შელოუ — მოპრიგებელი მოსამართლე
სლენდერი — შელოუს მისწული
ფორდი } უინძორელი აზნაურები
პეჯი }
ელიამ პეჯი — პეჯის ეფი
სერ ჰიუ ევანსი — უელსელი მღვდელი
კაიუსი — ფრანგი ექიმი
„წვიფსაკრავის“ სასტუმროს პატრონი
ბარდოლფი }
პისტოლი } ფოლსტაფის ამფსონები
ნიმი }
რობინი — ფოლსტაფის ფარეში
სიმპლი — სლენდერის მსახური
როგბი — კაიუსის მსახური
მისის ფორდი
მისის პეჯი
ანა პეჯი — პეჯის ქალი
მისის კუილი — კაიუსის მსახური
პეჯისა და ფორდის მსახურები და სხვები.

მოკმედება პირველი

სურათი 1. უინძორი. პეჯის სახლის წინ.

(შემოდან მოსამართლე შელოუ, სლენდერი და სერ ჰიუ ევანსი.)

შელოუ — ნელარ მელაპარაკებით, სერ ჰიუ, ვერ დამიყოლიებთ; ამ საქმით ვარსკვლავიან პალატას¹ შევძრავ, ოც ჯონ ფოლსტაფადაც რომ იქცეს, მაინც ვერ შეურაცხყოფს იგი რობერტ შელოუს, ესევიარს!

სლენდერი — გლოსტერის საგრაფოს მოპრიგებელ მოსამართლესა და კორამს.

შელოუ — მართალს ამბობ, სლენდერი, და ამასთან კასტ-ალორუმს².

სლენდერი — თანაც რატო-ლორუმს, კეთილშობილი გვარის ჩამომა-

¹ ანდროინდელი უმაღლესი სასამართლო ინგლისში.

² custalorum — „აქტების შემწახველი“ (იურიდიული ტერმინი).



ვალს, მამაო, ყოველგვარ ქალღმერთს არმიგეროს! აწერს — თამარულზე
ქეთარზე, თუ ხელწერილზე. არმიგერო!

შელოუ — მართალი ხარ, სწორედ ასე ვაწერ, სამასი წელიწადია, ასე ვაწერ.

სლენდერი — ასე იქცეოდა მთელი მისი საიქიოს გამგზავრებული შთამომავლობა, ასე მოიქცევა ყველა მისი აწ დაბადებული წინაპარიც: უფლება ექნებათ თორმეტი თეთრი ქარიყლაპია ჩააყრონ ძველებურ წამოსასხამში.

შელოუ — ჰო, ძველებურ წამოსასხამში!

ევანსი — ქარის ყლაპვა საერთოდ არ არის ურიგო საქმე, — უხდება კიდევ ადამიანს.

შელოუ — ქარიყლაპია ნედლი თევზია, წამოსასხამში კი დამარილებულია ჩატანებული.

სლენდერი — წამოსასხამის მეოთხედს არ მაჩუქებთ, ბიძაჩემო?

შელოუ — გაჩუქებ, როცა გაბედნიერდები, მეოთხედს უსათუოდ გაჩუქებ.

ევანსი — ეს გაპეტნიერება კი არა, გაუბედურება იქნება იმ მოსასხამისა.

შელოუ — სრულებითაც არა.

ევანსი — ღვთისშობელს ვფიცავ, კი: მეოთხედი თუ მაგას მიეცით; თქვენ, ჩემი გამომგარიშებით, სამი მეოთხედი დაგრჩებათ, ესე იგი სულ უნდა დაქრათ და დააქუცმაცოთ. მაგრამ ეგ სულერთია. თუ სერ ჯონ ფოლსტაფმა დაგამცირათ, მე, როგორც ეკლესიის მსახური, დიდად მოხარული ვიქნები, შევასრულო ქველმოქმედება და თქვენს შორის შეთანხმება და კეთილდამოკიდებულება ჩამოვავდო.

შელოუ — სახელმწიფო საბჭოს ყურამდე უნდა მივიდეს ეს ამბავი. ეს ზომ ჯანყია!

ევანსი — სახელმწიფო საბჭოს ჯანყის თავი სად აქვს! ჯანყში ღვთის შიში არ ურევია, ამიტომაც, ნუ დაგავიწყდება, ჯანყი არ უყვარს, ღვთის შიში უფრო აინტერესებს! ესეც უნდა გაითვალისწინო.

შელოუ — აჰ, ერთი ყმაწვილკაცად მაქცია, თავს გეფიცებით, ამ საქმეს ხმალი გადასჭრიდა.

ევანი — ისა სჯობს, ხმალმა დაგამეგობროთ და მორჩეთ შუღლს. ამასთან თავში სხვა ფიქრიც მიტრიალებს, იქნებ, კარგი ნაყოფი გამოიღოს; ანა პეჯი ზომ გაგიგიათ, მისტერ ჯორჯ პეჯის ასული, მომხიბლავი უმანკოება.

სლენდერი — მის ანა პეჯი? აი წაბლის ფერი თმა რომ აქვს და რომ წრიპინებს ხოლმე!

ევანსი — მაგისთანა მშვენიერს, ქვეყნად მეორეს ვერ შეხედებით. უკეთეს ვერც ინატრებს კაცი! ამასთან შეიდასი გირვანქა ფულად და ოქრო-ვერცხლი პაპამისმა უანდერძა სიკედილის წინ (ღმერთმა მოუვლინოს მხიარული აღდგომა) და მიიღებს მაშინ, როცა შესაძლებლობა ექნება ჩვიდმეტი წლისა გახდეს. უმჯობესია, ამ აყალ-მაყალს მოვრჩეთ და მისტერ აპრაამისა და მის ანა პეჯის ქორწინებაზე ვიზრუნოთ.

შელოუ — შეიდასი გირვანქა?

¹ armigero — armiger — ღერბის მქონებელი.

ე ვ ა ნ ს ი — დიახ. მამამისი კი მეტსაც დაუტოვებს.

შ ე ლ ო უ — ვიცნობ იმ ყმაწვილ ქალს, კარგი ღირსებები აქვს. ერკონესული
ზიზლიოთიქა

ე ვ ა ნ ს ი — შეიდასი გირვანქა და კიდევ მეტის იმედი, მშვენიერი ღირსებები გახლავთ.

შ ე ლ ო უ — კეთილი, მაშ მოვინახულოთ პატიოსანი მისტერ პეჯი. ფოლსტაფიც მასთან არის?

ე ვ ა ნ ს ი — ზომ არ მოგატყუილებთ? თვითონვე მძულს მატყუარა კაცი, ვერც სიყალბესა და სიცრუეს ვიტან. რაინდი სერ ჯონი მასთან გახლავთ. ამიტომ გემუდარებით, კეთილის მოსურნეებს დაუჯეროთ. ახლავე დავაკაყუნებ მისტერ პეჯის კარებზე. (აკაკუნებს) ჰეი, ჰეი, ღმერთმა აკურთხოს თქვენი სახლი.

პ ე ჯ ი — (შოწილად) ვინ არის მანდა?

ე ვ ა ნ ს ი — ლეთის კურთხევა, თქვენი მეგობარი და მსაჯული შელოუ, თავისი ძმისწული სლენდერი, რომელმაც, მგონი, რაღაც უნდა გითხრათ, თუკი თქვენც გესიამოვნებათ. (მეზოდის პეჯი)

პ ე ჯ ი — მიხარია, რომ კარგად ეხედავ თქვენს მოწყალებას. ირმისათვის მადლობას მოგახსენებთ, მისტერ შელოუ.

შ ე ლ ო უ — მისტერ პეჯ, მიხარია რომ გხედავთ. ღმერთმა შეგარგოთ. ნეტა კი უკეთესი ყოფილიყო ის ირემი! არ გამიმართლა. მისის პეჯი როგორა ბრძანდება? ყოველთვის მადლიერი ვარ თქვენი, სულით და გულით, ჰო, სულით და გულით.

პ ე ჯ ი — მადლობას მოგახსენებთ, სერ.

შ ე ლ ო უ — სერ, მადლობელი მე თვითონ ვარ, დიახ, დიახ, ასე იქნება თუ ისე, მაინც მე ვარ მადლობელი.

პ ე ჯ ი — თქვენი ნახვაც გამეხარდა, კეთილო მისტერ სლენდერ.

ს ლ ე ნ დ ე რ ი — წითლა მწევარი როგორა გყავთ, სერ? გავიგე კოტსულში¹ გასწრესო.

პ ე ჯ ი — ეს კიდევ არაა საბოლოოდ დამტკიცებული, სერ.

ს ლ ე ნ დ ე რ ი — არ გინდათ, ხომ გამოტყდეთ; არ გინდათ ხომ, გამოტყდეთ?

შ ე ლ ო უ — ცხადია, არ ტყდება. სულ თქვენი ბრალია, სულ თქვენი ბრალი. მშვენიერი ძაღლია!

პ ე ჯ ი — საძაგელი ძაღლია, სერ.

შ ე ლ ო უ — რასა ბრძანებთ, სერ, მშვენიერი ძაღლია, კარგია და ლამაზი. მორჩა! სერ ჯონ ფოლსტაფი თქვენთან არის?

პ ე ჯ ი — ჩემთან გახლავთ, სერ; ნეტა თქვენი შერიგება შემაძლებინა!

ე ვ ა ნ ს ი — ნამდვილა ქრისტიანული სიტყვებია.

შ ე ლ ო უ — შეურაცხყოფა მომაცენა, მისტერ პეჯ.

პ ე ჯ ი — ამას ნაწილობრივ თვითონვე აღიარებს, სერ.

შ ე ლ ო უ — აღიარება როდი შევლის საქმეს! ხომ ასეა, მისტერ პეჯ? მან შეურაცხმყო. ნამდვილად შეურაცხმყო. პატიოსან სიტყვას გაძლევთ, რომ შეურაცხმყო. რობერტ შელოუ, ესკავიირი აცხადებს, რომ იგი შეურაცხყოფილია!

¹ ქალაქი გლოსტერშირში, სადაც მონადირე ძაღლების შეჯიბრება სწარმოებდა.



პეჯი — აგე, სერ ჯონიკ მოდის.

(მემოდან სერ ჯონ ფოლსტაფი, ბარდოლფი, ნიმი და პისტოლი).

ფოლსტაფი — რაო, მისტერ შელოუ... ხელმწიფესთან უნდა მიჩივლოთ? შელოუ — რაინდო, ხალხი გამილაბეთ, ნადირი დამიხოცეთ, სადარაჯო სახელი გამიტეხეთ...

ფოლსტაფი — „შენი დარაჯის ქალისთვის ხომ არ მიკოცნია“?!

შელოუ — ნუ მიედ-მოედებით, პასუხი უნდა გამცეთ!

ფოლსტაფი — ახლავე გაგცემთ პასუხს: მართლაც ჩავიდინე ყველაფერი. აი პასუხი.

შელოუ — სახელმწიფო საბჭომდე უნდა მივიდეს ეგ საქმე.

ფოლსტაფი — გირჩევენიათ ჩემს ბჭობას მოუსმინოთ: სასაცილოდ არ ეყოფით სახელმწიფო საბჭოს.

ევანსი — *Pauca verba*², სერ ჯონ, მართალსა პრძანებთ, რა ჭირად გინდათ დავა.

ფოლსტაფი — არც ჩირად, არც კომბოსტოდ. სლენდერ, შენ ხომ მაინც კარგა ბევრი მოგხვდა თავში. რას იტყვი ჩემს წინააღმდეგ?

სლენდერი — დიახაც ბევრი რამ მაქვს თავში, სერ, თქვენს წინააღმდეგაც და თქვენი თაღლითი ამფსონების — ბარდოლფის, ნიმის და პისტოლის წინააღმდეგაც; წამათრიეს სამიკიტნოში, კარგა გამომაბრუეს და მერე ჯიბეები დამიკალეს.

ბარდოლფი — ოჰ, ბენზურულო ყველო!

სლენდერი — მერე რა, აქ რა მოსატანია!..

პისტოლი — რას მიქარავ, მეფისტოფელო!

სლენდერი — მერე რა, აქ რა მოსატანია!..

ნიმი — ჩაიწყვიტე-მეთქი! *pauca, pauca*, — ჩაიწყვიტე! ვთქვი და გათავდა!

სლენდერი — ნეტა სიმპლი სად დამეკარგა, ჩემი მსახური სიმპლი? თქვენ ხომ არ იცით, ბიძაჩემო?

ევანსი — გემუდარეპით, დამშვიდდით, სჯობს საქმე გავარკვიოთ, როგორც ვატყობ, ამ საქმეში სამი შუაკაცი ვართ: — მისტერ პეჯი, ესე იგი თვითონ მისტერ პეჯი; მერე მე, ესე იგი თვითონ მე, და მესამე, პოლო და უკანასკნელი — „წვივსაკრავის“ სასტუმროს პატრონი.

პეჯი — დიახ, სამივენი მზადა ვართ მოვისმინოთ ეგ საქმე და მოვსპოთ დავა.

ევანსი — ძალიან კარგი; ამას ჩემს უპის წიგნაკში ჩავინიშნავ, მერე კი განვსაჯოთ საქმე ისეთი კეთილგონიერებით, როგორც შესაძლებელი იქნება.

ფოლსტაფი — პისტოლ...

პისტოლი — გისმენს თავისი ყურებით.

ევანსი — რა ეშმაკი და ჯანდაპაა! „გისმენს თავისი ყურებით!“ ეს რა დაპრანქული ლაპარაკია!

ფოლსტაფი — პისტოლ, მართლა დააცარიელე მისტერ სლენდერის ქისა?

სლენდერი — დააცარიელა, ამ ხელთათმანებსა ვფიცავ, მართლა დააცარიელა; თუ ვტყუოდე, აღარ მეღირსოს ჩემს დიდ ოთახში შესვლა; შეიდი გროტი მომპარა, შეიდი ექვსენსიანი გროტი და ორიც ელუარდისეული,

¹ ეს სიტყვები წარმოადგენს ძველი ბალადის ერთ სტრიქონს.

² *Pauca verba* — მკლედე.

იდი მილერისაგან ორ-ორ შილინგად ნაყიდი, ამ ხელთათმანებსაც ვფიცავ ასე იყო.

ზიზლიოთქა

ფოლსტაფი — სიმართლეა ეს, პისტოლ?

ევანსი — სიმართლეო? სიმართლე კი არა და გათახსირებაა ჯიპის დაცლა!

პისტოლი — ამ ტყიდან გამოვარდნილ გადამთიელს ვერ უყურებთ, რასა ბედავს!

სერ ჯონ, ბატონო, ჩხუბში ვიწვევ ამ თუნუქის ხმალს;
მე უარსა ვყოფ შენსა სიტყვებს და პირში გახლი,
დიახ, უარს ვყოფ, დორბლიანო, ცრუ, გაიძვერა!

სლენდერი — მაშ ეს იყო, ამ ხელთათმანებსა ვფიცავ.

(მითითებს ნიშზე).

ნიმი — აბა, აბა, გირჩევნიათ, ფრთხილად იყოთ, სერ, ლაპარაკის კილო შესცვალეთ. პოლიციის გამომძიებელივით ნუ ჩამაცვიდით, მოეშვით ასეთ ხუმრობას, თორემ პირში მოგახლით: „ჩქარა, აქედან მოუსვი-მეთქი“, მაშა!

სლენდერი — მაშ იმ ლაელაჲს მოუპარავს, ჩემს ქუდსა ვფიცავ. მართალია, ისე გამომათვრეთ, რომ თავიც კი დამავიწყდა, მაგრამ სულმთლად ვირი მაინც ნუ გგონივართ.

ფოლსტაფი — შენ რაღას იტყვი, ლაელაჲ ჯონ?

ბარდოლფი — ჩემის მხრით, უნდა მოგახსენოთ, სერ, რომ ამ ჯენტლმენს ლეინომ ხუთივე გრძნობიერება დაუკარგა...

ევანსი — ხუთი გრძნობიერება კი არა, ხუთი გრძნობა. ფუ, რა საშინელებაა უვიცობა!

ბარდოლფი — ლეინით გამობრუტულს კი, ბატონო, როგორც იტყვიან ხოლმე, ჯიბე შეუმსუბუქეს; მერე ძუნძულით წავიდა საქმე.

სლენდერი — დიახ, თან ლათინურსაც ლაპარაკობდით მაშინ. არაფერია, ამ ოინის შემდეგ მხოლოდ პატიოსან, განათლებულ და ღვთისმოშიშ ზალხთან დავლევ. თუ დავითვრები, რალა ლოთმა არამზადებმა დამათრონ, ჯობს ისევ ღვთის მოშიშთან დავთვრე.

ევანსი — ღმერთო, შენ მიშველე, მართლაც რომ სათნო გადაწყვეტილებაა.

ფოლსტაფი — ხომ ნახეთ, ბატონებო, ყველა ბრალდება გაბათილდა; ხომ დანახეთ?!

(შემოდან ანა პეჯი, რომელსაც თან ლეინო მოაქვს, მისის ფორდი და მისის პეჯი).

პეჯი — აჰ, ლეინო უკანვე წაიღე, შვილო, სახლში დავლევთ.

(გაღის ანა პეჯი).

სლენდერი — ოი ღმერთო! ეს ხომ მის ანა პეჯია!

პეჯი — როგორ გიკითხოთ, მისის ფორდ?

ფოლსტაფი — მისის ფორდ, სინდისს გეფიცებით, ძლიერ გამეხარდა თქვენი მოსვლა. ნება მიბოძეთ, კეთილო ქალბატონო.

(კოცნის).

პეჯი — აბა, მეუღლევ, სტუმრებს სთხოვე შინ შემობრძანდნენ: მობრძანდით, მობრძანდით, ირმის ღვეზლებით გაგიმასპინძლდებით, წავიდეთ. ბატონებო, იმედი მაქვს ლეინოში ჩაცკლავთ ყოველგვარ წყენას.

(გაღიან ყველანი შელოხს, სლენდერსა და ევანსს გარდა).

- ს ლ ე ნ დ ე რ ი — ორმოც შილინგს სიამოვნებით მიეცემდი ახლა, ჩემი სიმღერებისა და სონეტების წიგნი რომ მომცა.
(შემოდის სიმპლი).
- შენა ხარ, სიმპლ? სად დაიკარგე? თვითონვე უნდა მოვემსახურო თავს? ჰა, თვითონვე უნდა მოვემსახურო? სიმღერებისა და გამოცანების წიგნი ხომ არა გაქვს თან? ჰა, თან ხომ არა გაქვს?
- ს ი მ პ ლ ი — გამოცანების წიგნი? აკი ალის შორტკეის ათხოვეთ ყველა წმიდანის დღეს, აი მიქელ-გაბრიელობამდე ორი კვირით ადრე!
- შ ე ლ ო უ — აბა, წამოდი, ძმისწულო, წამოდი, ძმისწულო, შენ გელოდებით. ჯერ მისმინე, ძმისწულო, სიტყვა მაქვს შენთან. ეს მაქანკლობასავით იყო, ასე იციან მაქანკლობა. ნახე, როგორ შორიდან გადაუკრა სიტყვა სერ ჰიუმ? გამიგე?
- ს ლ ე ნ დ ე რ ი — ვიცი, ბატონო. თვითონვე ნახავთ, რა გონიერი ვარ. თუ აგრეა საქმე, ისე მოვიქცევი, როგორც საჭიროა.
- შ ე ლ ო უ — ჰო, მაგრამ გამიგე...
- ს ლ ე ნ დ ე რ ი — ვიცი, ბატონო, ყველაფერი მესმის.
- ე ვ ა ნ ს ი — მისტერ სლენდერ, ყური დაუგდე, რა გირჩიოს; მე გაგიმართავ ყველაფერს, თუ შეგეძლება, გამიგო.
- ს ლ ე ნ დ ე რ ი — არა, მე ბიძაჩემ შელოუს რჩევას უნდა მივსდიო, გთხოვთ მომიტეოთ. ეს არის ჩვენი მომრიგებელი მოსამართლე, მე კი მასთან აბა რა ვარ!
- ე ვ ა ნ ს ი — ამაზე როდი ვლაპარაკობთ, ჩვენი საუბარი თქვენს დაქორწინებას შეეხებოდა.
- შ ე ლ ო უ — დიახ, სწორედ ასეა, ბატონო.
- ე ვ ა ნ ს ი — მაშა, ესაა ჩვენი საზრუნავი, — თქვენი დაქორწინება მის ანა პეჯზე.
- ს ლ ე ნ დ ე რ ი — თუ ასეა, მე მზადა ვარ შევიერთო იგი ყოველგვარი კეთილგონიერული პირობების გათვალისწინებით.
- ე ვ ა ნ ს ი — მაშ, შეგიძლია შეიყვარო ის ქალი? კეთილი ინებე და შენი საკუთარი პირით, ან შენი ტუჩებით მოგვახსენე. ხომ იცი, ზოგი ფილოსოფოსი ამტკიცებს ტუჩები პირის ნაწილიაო. აბა, ნამდვილი გვითხარი, შეგიძლია შენი კეთილი გრძნობები ამ ქალწულისაყენ მიმართო?
- შ ე ლ ო უ — ძმისწულო აბრაამ სლენდერ, შეგიძლია ამ ქალის შეყვარება?
- ს ლ ე ნ დ ე რ ი — იმედი მაქვს, ბატონო, ამისათვის ყველაფერს გაეცემები, რაც კი კეთილგონიერებას შეჰფერის.
- ე ვ ა ნ ს ი — არა, ღმერთის ყველა ქალსა და კაც ანგელოზს ვფიცავ, გადაჭრით უნდა გვითხრა, შეგიძლია თუ არა შენი სურვილები იმ ქალის მიმართულებით მიმართო?
- შ ე ლ ო უ — ჰო, უნდა გვითხრა. კარგი მზითვეი რომ მისცენ, შეირთავ?
- ს ლ ე ნ დ ე რ ი — თქვენი ხათრით, ბიძაჩემო, ამაზე დიდ საქმესაც ვიკისრებ...
- შ ე ლ ო უ — ჯერ გამიგონე, კაცო, გამიგონე რას ვამბობ, ჩემო კარგო ძმისწულო. ხომ იცი, ჩემო ძმისწულო, რასაც ვაკეთებ, სულ შენი სიამოვნებისთვის ვაკეთებ; შეგიძლია თუ არა იმ ქალწულის სიყვარული?
- ს ლ ე ნ დ ე რ ი — რაკი თქვენა მთხოვთ, შევირთავ, ბატონო; თუ პირველად არ გეჟენება დიდი სიყვარული, ზეცა თანდათანობით გაგვიწოდებს ამ გრძნობას, დაახლოვების შემდეგ, როცა დავქორწინდებით და ერთმანეთის კარ-

გად გაცნობის მეტი საშუალება გვექნება. იმედი მაქვს, ერთმანეთთან დაახლოებით ზიზღიც გაიზრდება. მაგრამ თქვენ თუ მეტყველებდით, თუო“, — აედგები და შევიერთავე; ამას გავაცეთებ ჩემი წყურვილით და ძალდაუტანებლად.

ევანსი — მშვენიერად მოფიქრებული პასუხია, ოღონდ „წყურვილი“ კი არ უნდა გეთქვა, მე მგონია, შენ გინდოდა გეთქვა „სურვილი“. საერთოდ კარგი განზრახვაა.

შელოუ — მეც ასე ვფიქრობ, ჩემს ძმისწულს სწორედ ასე უნდოდა ეთქვა. სლენდერი — დიახ, სწორედ ასე მინდოდა. თუ ასე არ იყოს, დე ჩამო-მახრჩონ.

შელოუ — აი, ტურფა მის ანაც მოდის.

(შეოდის ანა პეჯი).

თქვენ რომ გიყურებთ მის ანა, მინდა ყმაწვილკაცად ვიქცე.

ანა პეჯი — სუფრა გაშლილი გახლავთ, მამაჩემი თქვენს ბრწყინვალეობას ელოდება.

შელოუ — მოვდივარ, მშვენიერო მის ანა.

ევანსი — ღმერთო შემოიწყალე! მეც გავეშურები, და სუფრას ეაკურთხება. (გადაან შელოუ და ევანსი).

ანა პეჯი — ბატონო, არ ინებებს თქვენი მოწყალება შენ შემობრძანებას? სლენდერი — არა, გულითად მადლობას მოგახსენებთ. აქაც მშვენიერად ვგრძნობ თავს.

ანა პეჯი — გაშლილი სუფრა თქვენ გელოდებათ, ბატონო.

სლენდერი — გმადლობთ, არა მშია, გეფიცებით. შენ, წადი, ბიჭო, მართალია ჩემი მსახური ხარ, მაგრამ ახლა წადი და ბიძაჩემ შელოუს მოემსახურე. (სიმალი გადის) ზოგჯერ მომრიგებელ მოსამართლესაც სჭირდება მეგობრის დახმარება; მანამ დედაჩემი მოკვდებოდა, მხოლოდ სამი მსახური და ერთი ფარეში მყავს. მერე რა, მაინც ღარიბ აზნაურივით ცვბოვრობ.

ანა პეჯი — ბატონო, უთქვენოდ შენ ვერ შეებრუნდები, თქვენს მობრძანებამდე, სუფრას არ მოუხსნებია.

სლენდერი — გეფიცებით, ვერაფერს შევკამ. ისე კი მადლობელი ვარ, თითქოს მეკამოს.

ანა პეჯი — გთხოვთ წამობრძანდეთ, ბატონო.

სლენდერი — გმადლობთ, მირჩევნია აქ გავიარ-გამოვიარო. ამას წინათ წივი ვიტყენ ფარიკაობის მასწავლებელთან. ქლიავის მურაბაზე დავნაძლევედი — საშჯერ ვის მოხედებოდა ხმალი. მას შემდეგ, გეფიცებით, ცხელი საკმლის სუნს ვეღარ ვიტან. ასე რად ყვეფენ თქვენი ძაღლები? დათვებს ხომ არ დაატარებენ ქალაქში?

ანა პეჯი — მგონი დაატარებენ, ბატონო. ასე თქვეს.

სლენდერი — ძალიან მიყვარს დათვების თამაში. და მთელს ინგლისში ჩემსავით გაბედულად არავინ ჩამოდის სანაძლეოს... თქვენ ალბათ გეშინიათ აშვებული დათვისა! გეშინიათ ხომ?

ანა პეჯი — დიახ, მართალსა ბრძანებთ, ბატონო.

სლენდერი — მე კი მაგითი მიდგას სული; ნურც მაქმევ, ნურც მასმევ, ოღონდ დათვების თამაშს მაყურებინე. ოცჯერ მაინც შევხვედრივარ აშვებულ საკერსონს, ჯაჭვითაც კი მკერია ხელში. ოჰ, რომ იცოდეთ, რო-

გორი კივილ-წივილი მორთეს ქალებმა! ღმერთმანი! ქალებმა მშობლებს ვერ იტანენ დათვებს. ძალიან ტლანჭი და ცუდი ქცევის ცხოველები არიან დათვები.

(შემოდის პეჯი).

პეჯი — მობრძანდით, კეთილშობილო მისტერ სლენდერ, მობრძანდით, თქვენ გელოდებით.

სლენდერი — არაფრის ჰამა არ შემიძლია, ბატონო, მაღლობელი ვარ.

პეჯი — აჰ, როგორ იქნება, მაშალს და კაჰკაჰს გეფიცებით ვერ მოგეშვებით, ბატონო. მობრძანდით, მობრძანდით.

სლენდერი — მაშინ, გთხოვთ, თქვენ მიბრძანდეთ წინ.

პეჯი — აჰ, არა, თქვენ მიბრძანდით.

სლენდერი — მის ანა, ჯერ თქვენ შებრძანდით.

ანა პეჯი — მე არა, ბატონო, ჯერ თქვენ შებრძანდით.

სლენდერი — არაფრის გულისთვის არ შევალ; როგორ იქნება, ასეთ რამეს როგორ გაკადრებთ!

ანა პეჯი — გთხოვთ, ბატონო.

სლენდერი — თავის მობეზრებას ისევ ისა სჯობს გაუზრდელად მოვიქცე, თქვენ თვითონ შეურაცხავით თავი, აჰ, რა გაეწყობა.

(გადიან).

სურათი II

(შემოდის სერ პიუ, ევანსი და ჰიმპლი).

ევანსი — აბა, გასწი და იკითხე, ექიმ კაიუსის სახლთან რომელი გზა მიგიყვანს. მასთან ცხოვრობს ერთი მისის კუიკლი; არ ვიცი, ძიძად ჰყავს აყვანილი, გადიად, მზარეულად, დიასახლისად, მრეცხავად თუ სარეცხის მწურავად...

სიმპლი — კეთილი, ბატონო.

ევანსი — დაიცა, ასე აჯოპებს — ეს ბარათი გადაეცი იმ ქალს. ის ქალი კარგად იცნობს მის ანა პეჯს. წერილში გამოხატულია სურვილი და თხოვნა, რათა მან კეთილი ინეპოს და შენი ბატონის ნება შეასრულოს — მის ანა პეჯთან უშუამავლოს. აბა გასწი, მე კი შევბრუნდები და სადილს მოვრჩები: ვაშლი და ყველია დარჩა.

(გადიან).

სურათი III ოთახი „წვივისაკრავის“ სასტუმროში.

(შემოდის ფოლსტაფი, სასტუმროს პატრონი, ბარდოლფი, პისტოლი და რობინი).

ფოლსტაფი — ჩემო მასპინძელო...

სასტუმროს პატრონი — რაო, რას ინებებს ჩხუბისთავი? ბრძნული და გონიერული რამე სთქვი.

ფოლსტაფი — მართალი თუ გინდა, რამდენიმე ჩემი ამტსონი უნდა დავითხოვო.

სასტ. პატრონი — დაითხოვე, შეფთიანო პერკელესო; გააპანდურე, მოუსვან აქედან — თოხარიკით, თოხარიკით.

ფოლსტაფი — კვირაში ათი გირვანქა მეხარჯება.

სასტ. პატრონი — შენ ხომ იმპერატორი ხარ, ცეზარი, კეისარი; შენ ხარ ბარდოლფს ჩემთან დაეცოვები, ღვინის დაწურვა-გადმოღებაში მიშველის. თანახმა ხარ, შფოთიანო ჰექტორო?

ფოლსტაფი — ასე იყოს, ჩემო კარგო მასპინძელო.

სასტ. პატრონი — ვთქვი და გავათავე. გამომყევს. ვნახო ერთი, როგორ ააქაფებს. მე ჩემ სიტყვას არ გადავალ. აბა, წავიდეთ.
(გაღის).

ფოლსტაფი — გაჰყევი, ბარდოლფ, მიკიტნობა კარგი ხელობაა. ძველი წამოსასხამიდან ახალი ქურთუკი გამოდის, ძველი, გაცვეთილი მხლებლიდან კი — ახალი მიკიტანი. წადი, მშვიდობა ნახე.

ბარდოლფი — ამისთანა ცხოვრებას ვნატრობდი მუდამ, ახლა მე ვიცი.

პისტოლი — ოი, მდაბალო ბოშავ, კასრების ონკანების გამგებლობა გიტაცებს!
(გაღის ბარდოლფი).

ნიმი — სიმთვრალეშია ჩასახული. ვერ გამიგეთ ზუმრობა? არაფერი გმირული მას არ გააჩნია — აი ზუმრობა!

ფოლსტაფი — ძლივს არ გავთავისუფლდი ამ აბედის ყუთისაგან! ისე ვერაფერს მოიპარავს, არ გაუგონ. უხეირო მომღერალსა ჰგავს — არც ზომა იცის, არც ღრო.

ნიმი — მარჯვე ქურდმა თვალის დახამხამებაში უნდა აწაპნოს.

პისტოლი — ჰქვიანი კაცი იტყვის „მიითვისოსო“, „აწაპნა“ რა სიტყვაა! ფუ! ოლოლო შენ მაგ სიტყვისთვის.

ფოლსტაფი — კმარა, ბატონებო; ვერა ხედავთ, ფეხსაცმელი სულ შემომაცვთა.

პისტოლი — ფეხებს დაგაზრობს.

ფოლსტაფი — რას იზამ, ისევ ტყუილის გუდად უნდა ვიქცე და თაღლითობა დავიწყო.

პისტოლი — ყორნის ბახალებს ჰამა ხომ უნდათ?

ფოლსტაფი — რომელი თქვენგანი იცნობთ ამ ქალაქში ფორდს?

პისტოლი — მე ვიცნობ მაგ ქმნილებას, კაი დოვლათიანი ვაჟბატონია.

ფოლსტაფი — ჩემო პატიოსანო მეგობრებო, ახლავე გეტყვით, რაც მაწუხებს...

პისტოლი — ღიბი!

ფოლსტაფი — ოხუნჯობის დრო არ არის, პისტოლი. მართალია ზომაზე მეტად ვარ გაბერილი, მაგრამ ახლა გაბერილობა როდი მაწუხებს, მოკლება კი არ მინდა — შემატება მსურს. მოკლედ რომ გითხრათ, მინდა ფორდის ცოლთან გაება არწივობის ქსელი. ვატყობ სიამოვნებს ჩემი სიახლოვე ატიტინდება ხოლმე, მეპრანჭება, თვალს პრაწავს. მე კი მშვენიერად ვხვდები მის ქარაგმებს: მისი ყველაზე მკაცრი გამოთქმაც რომ გადმოვთარგმნოთ ინგლისურად, ასე იქნება — „მე სერ ჯონ ფოლსტაფისა ვარ“.

პისტოლი — კარგად შეუსწავლია ის ქალი, და კარგადაც თარგმნის მას პატიოსნების ენიდან ინგლისურად.

ნიმი — პოი, რა ღრმად არის ღუზა ჩაშვებული! კარგად არ ვიხუმრე?

ფოლსტაფი — ასე ამბობენ, ქმრის ქისა იმ ქალის ხელთ არისო; ქმარს კი ანგელოზგამოხატული ფულების მთელი ლეგიონი აქვს.

პისტოლი — მაშ შენც გაიჩინე იმდენივე ეშმაკი და გასწი, ბიჭო, პირდაპირ ქალისკენ.

ნიმი — რა კარგია, თანდათან იზრდება ხუმრობა. კიდეც იხუმრე ახელთ-ზეზზე.

ფოლსტაფი — აგერ წერილიც დავწერე, ფორდის ცოლს უნდა გავუგზავნო. ეს მერილი წერილი კი პეჯის ცოლისთვის მოვამზადე. მანაც კარგი თვალით შემომხედა ამას წინათ; თავით ფეხებამდე ამათვალ-ჩამათვალაოდა, მეტად წყლიანი თვალებით. მისი მხედველობის სხივმა ჯერ ფეხები მოაოქროვა ჩემი, მერე — კი ეს დიდებული ღიბი.

პისტოლი — ამაზე იტყვიან სწორედ, მზე ნეხვსაც მოეფინებო.

ნიმი — მადლობელი ვარ ამ მშვენიერი ხუმრობისთვის.

ფოლსტაფი — ისე ხარბად ამხედ-დამხედა, რომ ლამის დამხრტა მისი თვალების ვნებამ. გეგონებოდა, ცეცხლგამჩენი ბროლიაო. ეს მისი წერილია. ქმრის ქისა მასაც ხელთ უპყრია. იგი გვიანაა, ოქროთი და სიუხვით საესე. მე უნდა გავხედე იმ ვაჟბატონების ხაზინადარი; ისინი იქნებიან ჩემი აღმოსავლეთი და დასავლეთი ინდოეთი, ვაქრობა უნდა გავმართო მათთან. აჰა, ეს წერილი მისის პეჯს გადაეცე. შენ კი ეს მისის ფორდს მიართვი. ჩვენს ბედს ძალღი არ დაჰყეფს, ბიჭებო, ძალღი არ დაჰყეფს.

პისტოლი —

ტროელ მაქანკლად ხომ არ გინდა გადამაქციო?

მე ხმაღს ვატარებ! ჯობს ეშმაკმა წაგიღოთ ყველა!

ნიმი — სულაც არ მაინტერესებს შენი მასხრობა, უკანვე წაიღე ეს მასხრული წერილი. მე სახელს ვუფრთხილდები.

ფოლსტაფი — (რობინს)

შენ გამომართვი წერილები და მარდად გასწი, გასცურე, როგორც იალქანი მისცურავს ზღვაზე, თქვენ კი მოუსვით, ვერაგებო, თავიდან მომწყდით, წადით, გაშვრდით, გამეცალეთ, თოვლივით გაქრით, ეძიეთ ჭერი, იწანწალეთ და ივაგლაზეთ. დროს შესაფერად აწ ფოლსტაფმაც ისწავლა ჭკუა, — ვიკმარებ ფარეშს და ვიცხოვრებ მომჭირნეობით.

(გაღიან ფოლსტაფი და რობინსი)

პისტოლი —

დე, ყვავ-ყორნებმა დაგიკორტონ შეგნეულობა! კამათლები ხომ ჩემს ხელთაა — მდიდარს თუ ლატაკს მე ერთნაირად გავაცურებ, და ჩემს ქისაში ფული მუდამეჭამს იჩხრიალებს. შენ კი, ქოფაკო, მდბალო თურქო, შენს დღეს გალეე გაჭირვებაში.

ნიმი — ერთი კარგი ოინი მოვიგონე, — შური ვიძიოთ.

პისტოლი — შურისძიება გინდა?

ნიმი — მინდა, ზეცას და ვარსკვლავებს ვფიცავ.

პისტოლი — ხმლით თუ ჭკუით?

ნიმი — ერთითაც და მეორითაც. ახლავე გავსწევ და მისი სიყვარულის ამბავს პეჯს შევატყობინებ.

პისტოლი —

მე კი ფორდს ვნახე, რომ ჩავუყავლო
ამ გაიძვერას ბილწი სურვილი:
მოსტაცოს მტრედი, წაგლიჯოს ქისა
და შეუბღალოს ლოგინი რბილი.

ნიმი — ნუ გგონია ამით გაცივდეს ჩემი შურისძიება: ისე გავაცოფებ პეჯს,
რომ საწამლავი იხმაროს. სიყვითლეს შეეყრი. ასე საშინელია ჩემი შუ-
რისძიება. სეირი მაშინ ნახე!

პისტოლი — შენ ზომ უცმაყოფილო ხალხის მარსა ხარ! წავიდეთ, მეც მო-
გმწელები.

(გადიან).

სურათი IV. ოთახი ექიმ კაიუსის სახლში.

(შემოდის მისის კუიკლი და სიმპლი).

მისის კუიკლი — ჰეი, ჯონ როგბი!

(შემოდის როგბი).

ფანჯარასთან მიივრბინე და ნახე ჩემი ბატონი, ექიმ კაიუსი ხომ არ მო-
დის. თუ დაბრუნდა და სახლში ვინმეს წააწყდა, მშვიდობით, ისევე მოპ-
ყვება ლანძღვა-გინებას; მაშინ გებრალეობდეთ ყოველსმომთმენი ღმერ-
თი და ინგლისური ენა.

როგბი — კარგი, ეუთვალთვალე.

კუიკლი — აბა, გასწი და სამაგიეროდ საღამოთი ნახშირის ნარჩენებზე
რძისა და ღვინის სასმელს მოგიშვადებ. (როგბი გადის). კარგი ბიჭია,
დაუზარელი და პატიოსანი, მაგისტანა მოსამსახურეს ვერ იშოვო. ენატანია
არ არის, არც ჩხუბი უყვარს. ესაა, რომ სულ ლოცვაზეა გადაგებული; რა-
ღაც მერტყმეტად გაეწარებული ღვთისმოსავია. რას იზამ, უნაკლო არავინაა
ქვეყნად. ჰო, პეტრე სიმპლი მქვიანო?

სიმპლი — დიახ, რა ექნა, უკეთესი სახელი არ შემარქვებს.

კუიკლი — მისტერ სლენდერის ფარეში?

სიმპლი — დიახ.

კუიკლი — დაიცა, მეხელთათმანის დანასავით დიდი, მრგვალი წვერი რომ
აქვს, არა?

სიმპლი — აჰ, არა, პატარა მოცქინტული სახე და ასევე პატარა წვერი აქვს,—
კაინივით მწითური.

კუიკლი — უწყინარი კაცია, ხომ, რბილი?

სიმპლი — დიახ, რა თქმა უნდა, მაგრამ ისეთი მწარე ხელები აქვს... ერთ-
ხელ მერტყვესაც ერხუბა.

კუიკლი — რაო, რა სთქვი? ჰო, თითქოს მაგონდება, აი, გაბლინძული რომ და-
დის, ცხვირაბზეკილი?

სიმპლი — დიახ, სწორედ ის გახლავთ.

კუიკლი — ღმერთო, მაგაზე უარესს მაინც ნურავის მოუვლენ ანა პეჯს!
მამო ევანსს უთხარი, ყველაფერს გავაცეთებ, რაც კი შემიძლია-თქო.
ანა მშვენიერი გოგონაა და მინდა...

(შემოდის როგბი).

როგბი — დავიღუპეთ! ბატონი მოდის.

კუიკლი — კაი დღეს არ დაგვაყრის! (როგბი გადის) აბა, შეძვერი, ყმაწვილ კაცო, ამ საკუქნაოში დაიმაღე, ჩქარა; მალე გაბრუნდება. (სიმპლს ოთაქში ჩაკეტავს) ჰეი, ჯონ როგბი! ჯონ! ჯონ-მეთქი, არ გეყურებ? აბა გაიქეცი და ბატონი მოიკითხე; ასე რატომ დაიგვიანა, ხომ არა შეემთხვა რა! (მღერის).

ქვემოთ, ქვემოთ, სულ ქვემოთ...

(შემოდის ექიმი კაიუსი).

კაიუსი — რასა მგერი? ქომ იცი, რომ არ მიკუარს ესეთი რამეები, ჩემი ოთაქიდან კუთი გამომითანე, მცვანე კუთი — un boitier vert. გაიგე რას გეუბნება? მცვანე კუთი.

კუიკლი — გავიგე, როგორ არა! ახლავე მოგართმევთ. — (თავისთვის) კიდე კარგი თვითონვე არ წავიდა მოსატანად. ის ბიჭი რომ ენახა, თავზე რქა-დადგმული ქმარივით გაცოფდებოდა.

კაიუსი — Fe, fe, fe, fe! Ma foi, il fait fort chaud. Je m'en vais à la coour — la grande affaire ¹.

კუიკლი — ეს ყუთი, ბატონო?

კაიუსი — Oui, mette la an mon ეიბე: dépêche ², მარდად! არაშადა როგბი სადგაა?

კუიკლი — ჯონ როგბი! ჰეი, ჯონ!

(შემოდის როგბი).

როგბი — გახლავართ, ბატონო...

კაიუსი — ჟან როგბი ქარ, თუ ჟანდაბა როგბი, ჩქარა ქმალი აიგე და ეზოში ფეჭდაფეჭ მომკევი.

როგბი — მზადა მაქვს, ბატონო, აქვე, დერეფანში.

კაიუსი — ვაი როგორ დამაგვიანდა ამ ზოზინში. — ჟანდაბას ჩემი თავი! Qu'aj' oublié! რა დამავიწყდა! რაგაც ცამლებიცა მაქვს ოთაქში, უსათუოდ უნდა ცავიგო.

კუიკლი — ღმერთო, იმ ბიჭს ნახავს ახლა და მორჩა, გაცოფდება!

კაიუსი — O, diable, diable! ვინა ქარ ჩემს ოთაქში? ავაზაკი! ქურდი! (სიმპლს გამოათრევს) ჩემი ქმალი, როგბი!

კუიკლი — დამშვიდდით, კარგო ბატონო.

კაიუსი — რატომ უნდა დავიმშვიდო?

კუიკლი — ეს ყმაწვილი პატიოსანი კაცი გახლავთ.

კაიუსი — პატიოსანი კაცი ჩემს ოთაქში რა ესაქმება? ჩემს ოთაქში პატიოსანი ქალქი არ დადიქარ.

კუიკლი — გემუდარებით, ნუ გაცხარდებით. ჯერ მომისმინეთ, სიმართლე გითხრათ: ეს ყმაწვილი კაცი მამაო ჰიუ ევანსის მოგზავენილია რალაც საქმეზე.

კაიუსი — მერე?

სიმპლი — ასეა, სწორედ ასეა, უნდა მეთხოვნა...

კუიკლი — გაჩუმდი, გეთაყვა.

¹ ფუ, ფუ, ფუ, ეშვავა დალაზეროს, როგორა ცხელა! სახალში უნდა წავიდე, დიდი საქმე მაქვს.

² მო, ჯიბეში ჩამიდე ჩქარა.

კაიუსი — შენი ენა გაჩუმდა!.. შენი თქვი.

სიმპლი — ამ ქალბატონისთვის უნდა გვეთხოვნა, რომ ჩემი ბატონისაა. ლით მის ანა პეჯთან ორიოდ ტკბილი სიტყვა მიეტანა; რადგანაც ჩემს ბატონს მის პეჯის შერთვა სწადიან.

კუიკლი — დიახ, მართალია, სწორედ ასეა. მაგრამ აუტყივარი თავი რად ავიტყვიო, რა ჩემი საქმეა!

კაიუსი — სერ პიუმ გაგიგზავნა? როგბი, baillez! ქაგალდი, შენ კი ცოტა-ქანს აქ მოითმინე.
(წერს).

კუიკლი — მადლობა ღმერთს არ აღელდა, თორემ მაშინ გენახათ ღრიალი და მალონხოლა! მაგრამ სულერთია, ყმაწვილო კაცო, რაც კი შემძლია, ყველაფერს გავაყვებ შენი ბატონისათვის, ოღონდ მთელი უბედურება ისაა, რომ ამ ფრანგ ექიმს — ჩემს ბატონს, — ჩემს ბატონს ვეძახი, რადგან ზომ ზედავ, მასთან ვეუშაობ, სახლს ვულაგებ, ვერეცხავ, ვუუთოვებ, ვუხარშავ, ვუცხობ, ვასმევ, ვაქმევ, ლოგინს ვუშლი, და ყველაფერს ჩემი ზელით ვაყვებ...
სიმპლი — ძალიან ძნელი საქმეა ერთი ხელისთვის ამდენი ჯაფა.

კუიკლი — ძნელი საქმეო?! თქვენც ზომ ზედავთ, აღრე ვლგები, გვიან ვიძინებ; მაგრამ, — ეს ჩვენ შორის დარჩეს, გასამჯელად არ გეუბნები, — ჩემს ბატონს თვითონვე უყვარს ანა პეჯი. შიში მაინც ნურა გექნებათ რა, ვიცი, რასაც ფიქრობს ანა პეჯი; ზედაც არ უყურებს.

კაიუსი — აბა, მიიმუნო, ეს ცერბილი სერ პიუს გადავსი, დუელში ვიცევე: კელს გამოვჩერი, ბაგში; უნდა ვასცავლო მაგ არამზადა მაიმუნ ქუცესს, როგორი უნდა სქეის საქმეში ჩაერევი. ახლა, ცადი, აქ ნუგარ ზოზინებ: — ისეთი გავხადო, ძაგლის საკბენი არ გამოდგეს.

(სიმპლი გადის).

კუიკლი — ცოდვაა, თავისთვის ზომ არ უნდა, მეგობრისთვის ზრუნავს!

კაიუსი — ეგ სულერთია: აქი შენ თვითონ მეუბნებოდა, ანა პეჯი თქვენი იქნებო? — თუ გეფისებით, მოგვლავ ამ არამზადა ქუცესს. სეკუნდან-დად სასტუმროს ფატრონი ავირჩიე. თავს გეფისები, მე თვითონ გინდა ანა პეჯი.

კუიკლი — ბატონო, იმ ქალს თქვენ უყვარხართ, მეტი რაღა გინდათ, რა ყურს უგდებთ ხალხის ლაქლაქს, რა გენაღვლებათ!

კაიუსი — როგბი, ეზოში გამომკევი. ანა პეჯი თუ ჩემი სოლი არ იქნები, თავს გეფისება, კინცის კვრით გაგაგდე, საქელოდან. — ვერავის დაუუთმობ ანის თავი! ფეჭებში მომკევი, როგბი!

(გადიან კაიუსი და როგბი).

კუიკლი — ანის თავი არა და ვირის გამოყვყენებული თავი კი შეგარჩება! არ ვიცოდე მაინც, ანი რას ფიქრობს: მთელს უინძორში ჩემსავით ვერავინ იცნობს ანას. და მადლობა ღმერთს, არც არავის შეუძლია ჩემებრივ გავლენა იქონიოს მასზე.

ფენტონი — (გარედან) პეი, შინ ვინ არის?

¹ მომარადე.

² სიტყვას ამხინჯებს — უნდა იქვას „მელანქოლია“.

კ უ რ ლ ი — ნეტა ვინ უნდა იყოს? შემოდით, შემოდით, გეთაყვა! (შემოდის ფურცლიანი ზიზღიერით).

ფ ე ნ ტ ი — როგორ გიყითხვით, კეთილსაქმე, როგორა ხარ?

კ უ ი ლ ი — მით უფრო კარგადაა ვარ, რომ თქვენი ბრწყინვალება ინებებს
ამბის კითხვას.

ფ ე ნ ტ ო ნ ი — ახალს რას მეტყევით? მშვენიერი ანა როგორ არის?

კ უ ი ლ ი — სწორედ რომ მშვენიერიც გახლავთ, ჩემო ბატონო, პატიოსანიცა და კეთილშობილიც; ამასთან უნდა გითხრათ, — მადლობა ღმერთს, თქვენს მიმართაც კეთილგანწყობილია.

ფ ე ნ ტ ი — ჰა, გემოვს ვითომ ეს საქმე, იმედი ვიქონიო? როგორა გგონია, უქმად არ ჩამივლის?

კ უ ი ლ ი — ყველაფერი ღვთის ნებით ხდება, ჩემო ბატონო, მაგრამ, თუნდა სახარებაზე დავიფიციებ, მისტერ ფენტონ, რომ ანას თქვენ უყვარხართ. აკი მექვეი გაქვთ, თქვენი ბრწყინვალეზაგ, თვალს ზემოთ!

ფე ნ ტ ო ნ ი — მეტეპი კი მაქვს, მაგრამ მერე რა?

კუიკლი — სწორედ მაქედან იწყება მთელი ამბავი: — მართალი გითხრათ მშვენიერი გოგოა, მაგისტანა პატროსანი ქალი მეორე არ არის დუნიაზე. მთელი საათი ვლაპარაკობდით თქვენს მექექზე. მართო მასთან ვიციანი ხოლმე, სხვაგან არსად არ გაეციენებ. — ოღონდ ესაა, ხშირად მოიწყენს და მალანხოლაში წავა. თქვენ მაინც ნურა გენადვლებათ რა — ყოჩაღად იყავით.

ფენტონი — დღეს უნდა მოვინახულო. აჰა, ფული გამომართვი; ზმაც
შემაწიე, ჩემზე აღრე თუ ნახო — შემაჩე.

კ. უიკლი — შემაქო? გეფიცებით, შეგაქებთ; მერე თქვენს მოწყალებას მე-
ქვეის ისტორიასაც მოვახსენებ საიდუმლოდ, სხვა მთარსიყეების ამბავ-
საც გიტყვით.

ფ ე ნ ტ ო ნ ი — ახლა, მშვიდობით, ძალიან მეჩქარება.

კუიკლი — მშვიდობა ნუ მოეშალოს თქვენს მოწყალებას; (ფენტონი გადის)
პატიოსანი კაცია, მაგრამ რა გინდა, ანას არ უყვარს. ჩემებრ ვინ იცნობს
ანა პეჯს?! — ვაი, სირცხვილო! ეს რა დამაიწყება?
(გადის).

მოკვლევა გეოგრაფიული

სურათი I. პეჯის სახლთან

(შემოდის მისის პეჯი. ხელში წერილი უჭირავს).

მისის პეჯი — სოცარია, როცა სილამაზით ეყვალდი, არაეინ მაწუხებდა წერილებით, ახლა დაიწყეს?! ენაზო მინც.
(ეითხელობს).

„ნუ შეიტხავე, რატომ მიყვარხარ: გონება მკურნალად გამოადგება სი-
ყვარულს, მრჩეველად კი, ვერაფერი მრჩეველია. შენ უკვე აღარა ხარ
ახალგაზრდა — არც მე ვარ ყმაწვილი კაცი. აჰა, მეტი რა გინდა? შესა-
ფერი ვართ; შენ მზიარულდება გიყვარს — მეც ჯულმზიარული კაცი ვარ!
ჰა, ჰა, ჰა! ნამდვილად შესაფერები ვართ; შენ ღვინის ყლაპვა გიყვარს, —

მეც კარგი მყლაპავი ვარ; მეტი შესაფერი გინდა? მისის პეჯე, მიჩნეოდა, ერთოდ ჯარისკაცის ტრფობას შეუძლია ქალი დააკმაყოფილოს. მინდო ჩემი სიყვარული. არ გეტყვი შემობრალე-მეთქი, ჯარისკაცს ასეთი სიტყვა არ შეჰფერის; მაგრამ შემოიყვარე-მეთქი, ამას გიმეორებ.

შენი რაინდი, შენთვის გულმკედარი,
გინდა დღე იყოს, გინდ ღამე წყნარი,
მუდამეამ იმის ნატვრაში არი,
რომ შენთვის შესძრას მთელი მთა-ბარი
მტერს დაატეხოს მრისხანე ზარი.

ჯონ ფოლსტაფი

ისრაელთა იროდს დამიხედეთ! — ო, უკუღმართო, უკუღმართო წუთი-სოფელი! ერთი შეხედეთ, დაჩაჩანაკებულ ბერიაკს თავი მოხდენილ ჰაბუკად მოაქვს! ნეტა გაუფრთხილებელი სიტყვა ზომ არ დამცინელა საუბარში ამ ფლამანდელმა ლოთმა. — შმაკსაც წაუღია მაგისი თავი! როგორ უტრფრადა მცდის?! სამჯერაც კი არ შევხვედრივარ! რა უნდა მეთქვა ისეთი? ღმერთო ნუ მიწყენ და, ვცდილობდი ჩემი მზიარული გუნება არ გამეშლავნებინა. არა, უსათუოდ უნდა შევიტანო პარლამენტში საკითხი და მსუქანი კაცების სინსილა უნდა გავაწყვეტინო. როგორ ვიძიო შური! შურისძიების გრძნობით კი ისევე ვარ სავსე, როგორც მისი ნაწლავები ხაქაპურებით.

(შეშოდის მისას ფორდი).

მისის ფორდი — ოჰ, მისის პეჯე, სწორედ შენთან მოვდიოდი.

მისის პეჯი — მე კიდე, შენთან მოვდიოდი. თითქოს რაღაც უქეიფოდ ხარ!

მისის ფორდი — რას ამბობ, რა ბრძანებაა, ახლავე დაგარწმუნებ, რომ ძალიანაც მზიარულადა ვარ.

მისის პეჯი — რა ვქნა, თუკი ასე მეჩვენები.

მისის ფორდი — შეიძლება, მაგრამ ზომ გეუბნები, ახლავე დაგარწმუნებ, რომ გახარებული ვარ-მეთქი. ო, მისის პეჯე, მიჩნეო, როგორ მოვიქცე.

მისის პეჯი — რა მოგივიდა, ქალო?

მისის ფორდი — ჰოი, რა პატივს ვეწეოდი, ერთი პატარა რაღაც რომ არ მიშლიდეს ხელს.

მისის პეჯი — „პატარა რაღაც“ ჯანდაბას გაუშვი, და იმ პატივს ჩასქმდე ხელი! — მაგრამ „პატარა რაღაც“ იქით იყოს და რა მოხდა?

მისის ფორდი — წამიერი ცოდვებისათვის ჯოჯოხეთში ჩავარდნისა რომ არ მეშინოდეს, რაინდის წოდებას მივიღებდი.

მისის პეჯი — როგორ? აღბათ მატყუებ! სერ ალის ფორდი! ეს რაინდები ისე მომრავლდნენ, რომ... ისევ ისა სჯობია შენი წოდება შეინარჩუნო.

მისის ფორდი — რაღა ღობე-ყორეს ვედები, ბარემ პირდაპირ გითხრა! აჰა, წაიკითხე და გაიგებ, რა გზით ვლებულობ რაინდის წოდებას. მანამ ჩემს თვალებს კარგისა და ავის გარჩევა შეუძლია, კარგს არაფერს ვიფიქრებ მსუქან მამაკაცებზე. თუმცა ერთხელაც არ შეუფინია; ქალის კდემამოსილებას აქებდა, ისე ბრძნულად და წესიერად გმოხდა ხოლმე ყოველგვარ უხამსობას, რომ შემედლო დამეფიცა — მისი სიტყვა და საქმე

ერთია-მეთქი; სინამდვილეში თურმე ისე ეთვისება ერთმანეთს მისი სიტყვა და საქმე, როგორც ასი ფსალმუნი „მწვანე სახელოსნო“¹ ნეტა რა ქარიშხალმა გამორიყა უნიმორში ეს ქონის კასრებით მუცელგამოტენილი ვეშაპი? აჰ, როგორ ვიძიო მასზე შური? მგონი აჯობებს იმედი არ მოვეშალო, მანამ ავხორციობს წყეული ცეცხლი თავისივე ქონში არ გადნობს. — არა, გაგონილა ასეთი რამე?!

მისი პეჯი — სიტყვა-სიტყვით იგივეა, მხოლოდ სახელებია შეცვლილი: იქ ფორდი სწერია, აქ კი — პეჯი. შენდა სანუგეშოდ, ამ ბილწ საიდუმლოებაში რომ გაგარკვეო, აი მაგ წერილის ტყუპი ძმა. ოღონდ მემკვიდრეობის უპირატესობას შენსას ვანიჭებ, რადგან ჩემი არასოდეს არ მიიღებს. მერწმუნე, რომ ათასი ასეთი წერილი აქვს მას გამზადებული: პირველი ბწყარი შეუვსები იქნება, — სახელის ადგილი, — ასეთი სახელები კიდევ უფრო მეტი ექნება. — ეს ალბათ, მეორე გამოცემაა უსათუოდ დაბეჭდავს ამ წერილებს. მისთვის ზომ სულერთია, რას ჩაყრის საბეჭდ მანქანაში, — ავიორივე ერთად შეგვყარა. ჯობდა გოლიათი ვყოფილიყავ და პელიონის ძირში ეწოდილიყავ. ეჰ, ოცი ავხორცი გვრიტის პოვნა უფრო ადვილია, ვიდრე წესიერი მამაკაცისა.

მისი ფორდი — ერთი შეხედვ, იგივე ხელი, იგივე სიტყვები. ნეტა ვიცოდე, ვინა ვგონივართ!

მისი პეჯი — აღარ ვიცი, რა ვიფიქრო: ლამის ჩემს პატიოსნებაშიაც ეჭვი შემეპაროს. ასე მგონია საკუთარ თავს ველარა ეცნობ-თქო. არა, თუკი რაიმე ჩემთვის უცნობი სისუსტე არ ნახა ჩემში, როგორღა გაბედავდა ასე გაცოფებით შემოტოპვას?!

მისი ფორდი — შემოტოპვასო, შენ ამბობ? თუ ასეა, ჩემს ბანზე ამოსვლას ვერ ეღივება.

მისი პეჯი — ვერც ჩემსაზე ამოვა და თუ მაინც მოახერხა ჩემს ბანქვეშ შემოძრომა, მაშინ სულაც აღარ გავალ საცურავად ზღვაში. მოდი ერთი და შური ვიძიოთ, — პაემანი დავუნიშნოთ, ისე ვაჩვენოთ თავი, თითქმის მართლაც თანავუგრძნობდეთ; მანამ ვატყუილოთ, ვიდრე თავის ცხენებს არ დააგირავენ „წვივსაკრავის“ სასტუმროს პატრონთან.

მისი ფორდი — მე კი თანახმა ვარ ყოველგვარი სისაძაგლე მოეუწყო, ოღონდ ფრთხილად, რომ ჩვენი პატიოსნება არ შეიბღალოს. ჰოი, ჩემმა ქმარმა რომ ნახოს ეს წერილი! მთელი სიცოცხლე ეყოფა ეჭვიანობის საბაბად.

მისი პეჯი — აჰა, ისიც გამოჩნდა. — ჩემი კეთილი ქმარიც მოდის! იგი ისევე შორსაა ეჭვიანობისაგან, როგორც მე — მისთვის ეჭვის საბაბის მიცემისაგან. იმედი მაქვს იმოდენაა ეს მანძილი, რომ ვერც კი გაზომა.

მისი ფორდი — ეჰ, რა ბედნიერი ხარ!

მისი პეჯი — ახლა კი ერთად მოვიფიქროთ რაიმე ოინი იმ ქონით გაბერილი რაინდისათვის. წამოდი. (გაღია)

(შეშლიან ფორდი, პისტოლი, პეჯი და ნიმი).

ფორდი — არა, მე მაინც იმედი მაქვს, რომ ასე არ იქნება.

პისტოლი — იმედი ზოგჯერ სანადიროდ უეარგის კუდწაჭრილ ძაღლსა ჰგავს. სერ ჯონი შენს ცოლს ეარშიყება.

ფორდი — რასა ბრძანებთ, ბატონო, ჩემი ცოლი ზომ ახალგაზრდა აღარაა!

პისტოლი —

ის ყველას ეტრფის — მოხუცსაც და ახალგაზრდასაც, ლარებს და მდიდარს, მდაბალსა და სიმაღლით განთქმულს, ნარევი უყვარს — ფორდ, გახსოვდეს ჩემი სიტყვები.

ფორდი — ჰა, ჩემს ცოლს ეტრფის?

პისტოლი — ტრფობით ლამის ღვიძლი დაეწვას.

გაფრთხილდი, თორემ ძალი დაგგლეჯს აკტეონივით.

ო, რა ბილწია ეს სახელი!

ფორდი — რა სახელს ამბობ?

პისტოლი —

რქოსანი მეთქი. აწ, მშვიდობით, უნდა წავიდე; თვალს ნუ მოხუჭავ, ფრთხილად, ქურდი ლამ-ლამე დაძრწის.

ახლავ გაფრთხილდი, ვიდრე გუგულს დაუძახნია!

აბა წავიდე, კაპრალი ნიმ. — პეჯ, დაუჯერე,

რაც მაგან გითხრა, მართალია!

(გაღის).

II

ფორდი — ჯობს მოვითმინო.

ჯერ ყველაფერი კარგად უნდა გამოვარკვეო.

ნიმი — (პეჯს) მართალს ამბობს, ტყუილი როდი მიყვარს. ფოლსტაფმა მაწყენინა: სატრფიალო წერილის გატანება სურდა, მაგრამ მე მკიდა ხმალი რომელიც საჭიროების დროს მწარედ იჩხვლიტება. ფოლსტაფს თქვენი ცოლი უყვარს — აი ეს გახლავთ ამ ამბის თავი და ბოლო. მე კაპრალი ნიმი ვარ, და რასაც ვამბობ, მერწმუნეთ, სრული სიმართლეა — მე ნიმი მქვია! გეუბნები, რომ ფოლსტაფი თქვენს ცოლს ეკურკურება. მშვიდობით. პურმარილისთვის კაცს არ გაყვით. მაშა, ასეთი ბიჭი ვარ! მშვიდობით.

(გაღის).

II

პეჯი — „ასეთი ბიჭი ვარ!“ ძალიან კი ტრაბახობს!

ფორდი — წავალ, ფოლსტაფს მოვინახე.

პეჯი — ასეთი ენაბლიყინა და თაღლითი ჯერ არავინ მინახავს.

ფორდი — ერთი ეს მართალი აღმოჩნდეს და მერე მე ვიცი.

პეჯი — ამ ბაცაცს მაინც არ ვენდობი, თუნდა ქალაქის მოძღვარმა ამტკიცოს მართალი კაციაო.

ფორდი — რატომ, კარგი, მგრძნობიარე ყმაწვილი ჩანს, კეთილი.

(შემოდის მისი პეჯი და მისი ფორდი).

პეჯი — შენც აქა ხარ, მეგ?

მისის პეჯი — საით მიდიხარ, ჯორჯ? გამოგონე.

მისის ფორდი — რა მოგივიდა, ჩემო ტყბილო ფრენკ, რატომ მოგიწყენია?

ფორდი — მოგიწყენიაო? არა ვარ მოწყენილი. წადი, შინ წადი.

მისის ფორდი — არა, რაღაცამ მოგიხუსტურა, გეტყობა. წამოხვალ, მისის პეჯ?

მისის პეჯი — ახლავე გეახლები. ჯორჯ, სადილად არ მოხვალ? (მისის ფორდს გადაულაპარაკებს) ხედავ, ვინ მოდის? ეს გამოგვალგება ჩვენს უბადრუკ რაინდთან.

მისი ფორდი — (ჩუმად გადაულაპარაკებს მისი პეჯს) — ვფიქრობდი ახლა, დამერწმუნე. სწორედ ზედ გამოჭრილია ამ საქმისათვის.

(შემოდის მისი კუიკლი).

მისი პეჯი — ჩემს ქალთან მოხვედით, ალბათ?

მისი კუიკლი — დიას, თქვენს ქალთან გახლავართ. როგორ ბრძანდება მშვენიერი ანა?

მისი პეჯი — გამოგვეყვით და ნახეთ თანაც რალაც უნდა გითხრათ, ერთი საათით წავიმუსაიფოთ.

(გადას მისი პეჯი, მისი ფორდი და მისი კუიკლი).

პეჯი — პა, რას იტყვით, მისტერ ფორდი?

ფორდი — გაიგონეთ, რა მითხრა იმ არამზადამ? არა, გაიგონეთ?

პეჯი — როგორ არა. მაგრამ ისიც თუ გაიგონეთ, მეორე არამზადამ მე რა მითხრა?

ფორდი — როგორ გგონიათ, მართლს ამბობენ?

პეჯი — ჯანდაბას მაგ ყურმოჭრილი მონების თავი! არა მგონია ეს ფოლსტაფის საქმე იყოს. ბოლოს და ბოლოს, ვინ სწამებს ცილს — მისივე ყოფილი მონები! ახლა რაკი დაითხოვა და უსამსახუროდ დასტოვა, გამწარდნენ და ყოველნაირად თაღლითობენ.

ფორდი — როგორ, ესენი ფოლსტაფს ემსახურებოდნენ?

პეჯი — მაშა.

ფორდი — სულერთია, ჩემთვის მაინც ვერაფერი ნუგეშია. „წევსაკრავის“ სასტუმროში ცხოვრობს?

პეჯი — ჰო, იქა ცხოვრობს. მაგრამ თუ მართლაც განუზრახავს ჩემს ცოლთან მიცოცება, ავდგები და თვითონ ცოლს მიეუშვებ მასზე: თუ იმან ჩემი ცოლისაგან მწარე სიტყვების გარდა რამე მიიღოს, მაშინ მართლაც ჯანდაბას ჩემი თავი.

ფორდი — არც მე ვეპვიანობ ცოლზე, მაგრამ სიფრთხილეს მაინც თავი არ სტყევია; მასთან მიშვებას მაინც ვერ გავებდავ. ზოგჯერ კაცი მეტისმეტ ნდობას იჩენს ხოლმე. ჯანდაბას ვერ გავგზავნი ჩემ თავს. არა, ამით ვერ დავმშვიდდები.

პეჯი — აგერ, ჩვენი სასტუმროს პატრონიც; ისე მხიარულია, რომ უთუოდ ან არაყი აქვს თავში, ან ფული ქისაში.

(შემოდის სასტუმროს პატრონი).

როგორა ხარ, მეგობარო?

სასტ. პატრ. — სად დაიქარგე, თაღლითო, — აზნაური არა ხარ! პე, კავალერო მსაჯულო!

(შემოდის შელოუ).

შელოუ — აჰა, მოგყვები მოგდევ, კაცო. ოცჯერ მშვიდობა და კარგად ყოფნა, კეთილო მისტერ პეჯ. არ გამოგვეყვები, მისტერ პეჯ? სეირს გაყურებინებთ.

სასტ. პატრ. — უთხარი, კავალერო-მსაჯულო, უთხარი, ჩხუბისთავო.

შელოუ — ჩემო ბატონო, დუელია, დუელი — უელსელ მოძღვარ სერ პიუსა და ფრანგ ექიმ კაიუსს შორის.

ფორდი — ჩემო კეთილო სასტუმროს პატრონო, სიტყვა მაქვს თქვენთან.

ს ა ს ტ. პ ა ტ. — მითხარი, ჩხუბისთავო.

(გვერდზე მიღვებთან).

შ ე ლ ო უ — (პეჯს მიმართავს) არ გამოგყევები? არ ნახავ? ჩემი მზიარული სასტუმროს პატრონი სეკუნდანტია, იარაღების გასასინჯად აირჩიეს, — მაგრამ, როგორც ვიცი, მან სხვადასხვა ადგილას დაიბარა მოჩხუბრები. ხომ იცი, მღვდელს ზღმრობა არ უყვარსო, ამბობენ. ახლა მომყევი და გეტყვი, რა ოინს ვამზადებთ.

(გვერდზე მიღვებთან).

ს ა ს ტ. პ ა ტ რ — სარჩელი ხომ არაფერი გაქვს ჩემს სტუმარ რაინდ-კავალერის წინააღმდეგ?

ფ ო რ დ ი — აჰ, არა, არაფერი. მაგრამ ერთი ბოთლი კარგად დადუღებული ღვინო ჩემზე იყოს, ოღონდ ფოლსტაფს შემახვედრე და ჩემი თავი ბრაკად გააცან. ეს ისე, საღალბოდ.

ს ა ს ტ. პ ა ტ რ. — ასე იყოს, დაჰკა ხელი, ჩხუბისთავო. მაშ, შენი სახელი იქნება ბრაკი, როცა გინდოდეს შებრაყუნდი, როცა გინდოდეს გამობრაყუნდი. კარგა არა ეთქვი? — ო, რა მზიარული რაინდი! — არ წამოხვალთ, ბატონებო?

შ ე ლ ო უ — მზად გახლავართ, ჩემო მეგობარო.

პ ე ჯ ი — გამოგონია, ფრანგი ხმალს მარჯვედ ხმარობსო.

შ ე ლ ო უ — ეჰ, ეგ რა მოსატანია, თქვენ ჩემი უნდა გენახათ. ეს ახლა შემოიღეს მანძილის და წონასწორობის დაცვა სტოკატა და, რა ვიცი, ათასი ჯანდაბა და დოზანა. მთავარია გული, მისტერ პეჯ, გული, აი, აჰა, აჰ. მე უნდა გენახეთ, ჩემი გრძელი ხმლით, — ოთხ თქვენისთანა მოხდენილ ვაეკაცს სულ ვირთაგვებივით ავახტუნებდი.

ს ა ს ტ. პ ა ტ რ. — მომყეთ, ყმაწვილებო, მომყეთ. აბა, დავიძრათ.

პ ე ჯ ი — მეც მოვდივარ. იმათი ლანძღვა-გინების მოსმენა უფრო მაინტერესებს, ვიდრე ჩხუბისა.

(გაღიან სასტ. პატრონი, შელოუ და პეჯი).

ფ ო რ დ ი — პეჯი სულელია, თვითდაჯერებული. დიდი ნდობა აქვს ცოლისა; მე კი ასე ადვილად ვერაზინ შემაცვლევიანებს აზრს. იგი პეჯის სახლში შეხვდა ფოლსტაფს; ვინ იცის, იქ რა მოიმოქმედეს! არა, მე ჩემსას გავაკეთებ. გადავიცეამ და ფოლსტაფს ყველაფერს დავტყუებ. თუ ჩემი ცოლი პატროსანდა აღმოჩნდა — ხომ კარგი, ცუდად არ ჩამივლის შრომა; თუ არ აღმოჩნდა პატროსანი, მით უფრო ანაზღაურებული იქნება ჩემი შრომის ჯილდო.

(გაღიან).

სურათი II. „წვივსაკრავის“ სასტუმრო.

(შემოდინ ფოლსტაფი და პისტოლი).

ფ ო ლ ს ტ ა ფ ი — არა, ერთ პენსაც არ გაღირსებს.

პ ი ს ტ ო ლ ი —

ქვეყანა ჩემთვის მაშ ხამანწყად გადაქცეულა და ხმალით უნდა მოვიბოვოთ, ასე გამოდის!

ფ ო ლ ს ტ ა ფ ი — ერთ პენსაც არ მიიღებ. მეყო თქვენგან. ბევრჯერ აგილიათ ჩემი სახელით ვალი, სამჯერ გავაგრძელებინე გადახდის ვადა ჩემს საუ-

კეთესო მეგობრებს, თორემ შენცა და შენი ავან-ჩავანი ნიმიც გალიეში იქნებოდით გამოკეტილი, ტყუპი მაიმუნებივით. ჯოჯოხეთში ჩასაღდებად გამიწირავს თავი და ცრუ ფიცი მითქვამს მეგობარ აზნაურებისთვის — კარგი, გულადი ჯარისკაცები არიან-მეთქი; ხოლო მისის ბრიჯეტმა რომ მარაოს ტარი დაჰკარგა, სინდისი დაეფიცე, პისტოლს არ მოუპარავს-მეთქი.

პისტოლი — შენც ხომ გაგინაწილე? აკი შენც გერგო თხუთმეტი პენი!

ფოლსტაფი — მაშ როგორ გინდოდა, შე გაიძვერავე? თვითონვე დაუფიქრდი, რას ლაპარაკობ, მუქთად ხომ არ წავიწყებინდი სულს? რა გინდა, რას ჩამომეკიდე, შენი სახრჩობელა გგონივარ? — გამეცალე, წადი. — შენი საქმეა ჯიბის დანა და ერთად თავშეყრილი ხალხი! წადი შენს პიკ ჰეტჩის მამულში. გამეცალე. წერილის წაღება არ ინებებო ხომ, გაიძვერავე? აჰ, როგორ იქნება, სინდისმა არ მოგცა! აი შე უძირო სიმდაბლევ, შენ კი არა, ზოგჯერ მეც მიჭირს სინდისიერად მოქცევა. ზანდაზან მეც, მე თვითონ, ღვთის შიშს არ ვეპუებო, სინდისს საჭიროების საბურველში გავახვევ ხოლმე და იძულებული ვხდები ვიყალთაბანდო, ვითვალთმაქცო, ქურდივით გავძვრე-გამოვძვრე; შენ კი, თაღლითო, სინდისის საფარქვეშ გინდა და მალე შენი დაკონკილი ჩერები, კატასავით დაჰყუეტილი თვალები, მიკატნის სიტყვა-პასუხი — უტიფარი ლანძღვა-გინება?! ასეთი კაცი მეუბნები უარს?!

პისტოლი — მიტომაც ვნანობ ახლა: მეტი რალა გინდა?

ფოლსტაფი — მორჩა, წადი, გამეცალე, გაშვორდი.

(მეზოდის რობინი).

რობინი — ბატონო, ვილაც ქალს თქვენი ნახვა სურს.

ფოლსტაფი — შემოვიდეს.

(მეზოდის მისის კუილი).

კუილი — მშვიდობის დილას ვუსურვებ თქვენს ბრწყინვალეობას.

ფოლსტაფი — დილაშვიდობისა, კარგო მანდილოსანო.

კუილი — ასე ნუ მომმართავს თქვენი ბრწყინვალეობა.

ფოლსტაფი — მაშ, კარგო ქალიშვილო.

კუილი — თავს გეფიცებით, ისეთივე ვარ, როგორიც დედაჩემი იყო ჩემი დაბადების დროს.

ფოლსტაფი — მჯერა თქვენი ფიცისა. ჩემთან რა საქმე გქონდა?

კუილი — ნებას მიბოძებს თქვენი ბრწყინვალეობა ორი სიტყვა მოვახსენო?

ფოლსტაფი — ორი ათასი იყოს, ტურფა ქალო, სიამოვნებით მოგისმენ.

კუილი — ერთი მისის ფორდი გახლავთ, ბატონო... — ცოტა იქით მივდგეთ თუ შეიძლება, — მე თვითონ მისტერ კაიუსთანა ვცხოვრობ, ექიმთან...

ფოლსტაფი — მერე, მერე, განაგრძეთ — მისის ფორდიო, ასე სთქვით არა?

კუილი — დიახ, თქვენო ბრწყინვალეობა, სწორედ ბრძანებთ; თქვენო ბრწყინვალეობა, თუ შეიძლება ცოტა იქით მივდგეთ.

ფოლსტაფი — ფიქრი ნუ გაქვთ, არავინ გვისმენს, — აჰ ჩემი ხალხია, სულ ჩემი ხალხი.

კუილი — მაშ ღვთის კურთხევა ნუ მოგკლებოდით ქრისტეს მოსავი ყოფილიყვენ!

ფოლსტაფი — ჰო, რაო, მისის ფორდო? — მერე, მერე? ერეკლე
 კუიკლი — ოჰ, ჩემო ბატონო, რა სათნო ქმნილებაა! ღმერთმა ღმერთმა
 თქვენო ბრწყინვალეზე, კაი მუსუსი ბრძანდებით! ღმერთმა შეგინდოთ!
 ყველას შეგვინდოს ღმერთმა!

ფოლსტაფი — მისის ფორდი! — ახლა მისის ფორდი...

კუიკლი — ჰო, ამ ამბის თავი და ბოლო ეს გახლავთ. რა საშინლად აფორიაქეთ! ყველაზე წარჩინებული უინძორელი კარისკაციც კი ვერ შესძლებდა იმის ასე აფორიაქებას. მერე რამდენი რაინდი, ლორდი და თავადია მათ შორის, რომელთაც საკუთარი კარეტები აქვთ. დამერწმუნეთ კარეტა კარეტაზე მოდიოდა, წერილი წერილზე, ნობათი ნობათზე. მერე როგორი სურნელოვანი! — სულ მუშკის სუნი ასდიოდა, ოქროსა და აბრეშუმის ჩხრიალი და შარიშური გაჰქონდა; ტკბილ სიტყვებს ნულარ იკითხავთ; რა ღვინო ვარო, რა შაქარი ვარო, უკეთესი და უმშვენიერესი — მთელს ქვეყანაზე ვერცერთი ქალის გული ვერ გაუძღებდა; მაგისგან კი, მენდეთ, თვალის ჩაკვრასაც ვერ ელირსნენ. მეც შემომთავაზეს ამ დილას ოცი ანგელოზგამოსახული ოქრო, მაგრამ რად მინდა ასეთი ფული — მე პატიოსნებით მოპოებული ფული მწამს; — ჰო, დამიჯერეთ-მეთქი, რომ ტუჩიც კი არ დაუკარებია ყველაზე უფრო წარჩინებული ვაჟბატონის მორთმეულ ღვინოზე. მერე რა ხალხი იყო: ლორდებიც ერია მათში, უფრო ზევით-ზევითაც — უმდიდრესი კარისკაცებიც, მაგრამ მისთვის ყველა ერთია.

ფოლსტაფი — ჩემთან რა დაგაბარა, ჩემთან? მოკლედ მითხარი, ჩემო კეთილო მერკურო.

კუიკლი — მიიღო თქვენი წერილი და ათას მადლს გიძღვნი, თან შემოგიტვალათ ათიდან თერთმეტამდე ჩემი ქმარი შინ არ იქნებაო.

ფოლსტაფი — ათიდან თერთმეტამდე?

კუიკლი — დიახ, ნამდვილად ასე თქვა. მობრძანდით და იმ სურათს გაჩვენებთ, თქვენ რომ გაინტერესებთო. მისტერ ფორდი, ქმარი, შინ არ იქნება. ეჰ, რა ბედნიერება უნდა იგრძნოს მასთან ტკბილმა ქალბატონმა! მეტისმეტად ექვიანი კაცია; საბრალო ქალს პირდაპირ მოსვენება არა აქვს.

ფოლსტაფი — ათიდან თერთმეტამდე! მომიკითხე და თან უთხარი, უთუოდ მოვა-თქო.

კუიკლი — კეთილი, კარგადა ბრძანებთ. ახლა სხვა საქმეცა მაქვს თქვენს ბრწყინვალეებასთან: მისის პეჯიც გულითად სალამს გიძღვნის, ბატონო. თანაც — ამას ყურში გეტყვით — ისეთი სათნო და კვდომამოსილია¹, ისეთი რომ, მთელს უინძორში მხოლოდ ეს ერთი ქალი არ გამოსტოვებს არც მწუხრის, არც ცისკრის წირვა-ლოცვას. ასე შემოუთვალა თქვენს ბრწყინვალეებას, ჩემი ქმარი შინიდან იშვიათად გადისო, მაგრამ მაინც იმედი მაქვს, როცა იქნება დროს ვიხელთებო. ჯერ არ მინახავს, ქალი ასე გაგიყვებულიყოს მამაკაცისთვის. თქვენ უთუოდ ჯადოს ხმარობთ, ჰა? ხომ მართალს ვამბობ?

¹ სიტყვას დამახინჯებით ამბობს.



ფოლსტაფი — აჰ, არა, მერწმუნე. ჩემი მომავადობელი ღირსებების გარდა, არაფერია ჯადოს არა ვხმარობ.

კუიკლი — მაშ ღმერთმა გადღეგრძელოთ.

ფოლსტაფი — ახლა ეს მითხარი, გეთაყვა, ფორდის და პეჯის ცოლებმა ერთმანეთს ხომ არ გაუშხილეს თავიანთი სიყვარულის ამბავი?

კუიკლი — ო, რა სერიი იქნებოდა! ასე უღირსნი როდი არიან. მართლაც რა ოინი იქნებოდა! ჰო, მისის პეჯმა შემოგიფარათ, თქვენი პატარა ფარეში გამომიგზავნეთ, მის ქმარს რაღაც საოცარი სიმპოტიკა აქვს პატარა ფარეშია. მართალი თუ გინდათ, მისტერ პეჯი პატიოსანი კაცია. მთელს უინძორში არცერთი ცოლი არა ცხოვრობს მისის პეჯზე უკეთეს; რაც უნდა, იმას გააკეთებს, რასაც უნდა, იტყვის, რასაც უნდა, იყიდის, როცა უნდა, დაწვება, როცა უნდა, ადგება, — თავის ნებაზეა მიშვებული. ღირსიც არის. თუკია ვინმე უინძორში კვდომამოსილი ქალი, ეს მისის პეჯია. უნდა გაუგზავნოთ თქვენი ფარეში, მეტი რა ჩარაა.

ფოლსტაფი — რატომაც არა, გაუგზავნი.

კუიკლი — მაშ ასე, გაუგზავნეთ; ვინ იცის, იქნებ შუამავლადაც გამოგადგეთ. ყოველ შემთხვევისათვის, მაინც გამოიგონეთ სანიშნო სიტყვები, ისე რომ თქვენ ყველაფერი გაუგოთ ერთმანეთს, ბიჭი კი ვერაფერს ზღუდოდა. ხომ იცით, ბავშვებს თვალთმაქცობა არ უნდა აჩვენოთ; ზანდაზმულ ზალსს, — ეს თქვენც მოგეხსენებათ, — თვითონვე აქვთ საჭირო სიფრთხილე და კარგი და ავი ესმითო, ამბობენ!

ფოლსტაფი — მშვიდობით, ორივეს სალაში ჩემგან. აჰა, ქისა და დანარჩენიც ჩემზე იყოს. აბა, ბიჭო, ეს მანდილოსანი გააცილე.

(გაღიან მისის კუიკლი და როზინი)

თავგზა ამბინია ამ ამბავმა.

პიხტოლი —

მაშ ეს როსკიბი, კუპიდონის მოგზავნილია? —

აუშვი აფრა, დაედევნე, ესროლე ჩქარა!

მე ვიღებ ნადავლს, — თუ არა და, ზღვამ შთანთქმას ყველა.

(გაღიან).

ფოლსტაფი — ჰა, ასეა საქმე, ბებერო ჯეე?! მიდი, მიდი, მიჰყე! რა დრო დამიდგა! — ახლა ჩემმა დაჩაჩანაკებულმა სხეულმა იმაზე მეტი უნდა მომაგებინოს, ვიდრე ოდესმე მიმიღია. ჰა, კიდევ მოსწონხარო? აქამდე ამდენ ფულს ხეთქავდი, ახლა კი მოხვეჭა დაიწყო? მაღლობელი ვარ, ჩემო კარგო ღიბო. რამდენიც სურდეთ იყბედონ, ულაზათოაო! საქმე ისაა, მაგარი იყო.

(მემოდის ბარდოლფი. ზღში ღვინით სასვ თასი უჭირავს).

ბარდოლფი — სერ ჯონ, ვილაც მისტერ ბრაკი იცდის ქვემოთ, ძალიან უნდა თქვენი გაცნობა და თქვენთან საუბარი. — თან ერთი ყლუპი ღვინო მოართვა თქვენს ბრწყინვალეობას.

ფოლსტაფი — ბრაკი ჰქვიან?

ბარდოლფი — დიახ, სერ.

ფოლსტაფი — შემოვიდეს. (ბარდოლფი გადის) — სიამოვნებით, ყველა მისტერ ბრაკებს, თუკი ასეთ მშვენიერ სიტხეს ჩამირაგებენ, მისის ფორდ და მისის პეჯ, ხომ მიგჩინეთ, მაშ ასე, მიდი! *via!*

(შემოდის ბარდოლფი და გადაცმული ფორდი).

ფორდი — ღმერთმა გადღეგრძელოთ, ბატონო.

ფოლსტაფი — ასევე თქვენც, ჩემო ბატონო. ჩემთან საუბარი გნებავდათ?

ფორდი — ისე გაცვადნიერდი, რომ მოუბოდიშებლად გეახელით.

ფოლსტაფი — სიამოვნებით მოვისმენთ. რა გნებავდათ? — მარტო დაგეტოვებ, ბიჭო.

(ბარდოლფი გადის).

ფორდი — სერ, მე ბევრი ფული გამიფლანგავს ცხოვრებაში. ჩემი სახელია ბრაკი.

ფოლსტაფი — კეთილო მისტერ ბრაკ, გულით მწადიან, უფრო ახლოს გაგიცნოთ.

ფორდი — მეც მაგის მოსურნე ვარ, კეთილო სერ ჯონ, ოღონდ არ გეგონოთ ტვირთად აკიდება მინდოდეს; უნდა მოგახსენოთ, რომ, მგონი თქვენზე მეტი შესაძლებლობა მაქვს ფულის გაცემისა. სწორედ ამან გამაბედინა უდროო დროს შემეწუხებინეთ. ხომ გაგიგონიათ — ქრთამი ჯოჯოხეთს ანათებსო.

ფოლსტაფი — ფული კარგი ჯარისკაცია, ბატონო ჩემო, ყველგან უშიშრად მიდის.

ფორდი — ქეშმარიტად. ჰოდა, მთელი ერთი ტომარა ფული მაქვს და მაწუხებს. იქნებ ტარება მიშველოთ, სერ ჯონ; სულ თქვენი იყოს, გინდა ნახევარი წაიღეთ, შემიმსუბუქეთ ტვირთი.

ფოლსტაფი — რომ არ ვიცი, სერ, როგორ გავხდე თქვენი მეკურტნეობის ღირსი!

ფორდი — ამას ახლავე მოგახსენებთ, ჩემო ბატონო, თუ მომისმენთ.

ფოლსტაფი — ბრძანეთ, კეთილო მისტერ ბრაკ, მოხარული დავრჩები, თუკი შემეძლება თქვენი სამსახური!

ფორდი — ყველაფერს მოკლედ მოგახსენებთ. როგორც ვიცი, თქვენ სწავლული ბრძანდებით, ჩემო ბატონო, — დიდი ხანია შორიდან გიცნობთ, მაგრამ დღემდე არ მომეცა ახლოს გაცნობის ხელსაყრელი შემთხვევა, თუმცა ამისი დიდი სურვილი მქონდა. მინდა ერთი ჩემი ცოდვა გაგანდოთ; მაგრამ, კეთილო სერ ჯონ, ცალი თვალით რომ ჩემს სისუსტეს გადმოხედავთ, მეორე თვალი თქვენს საკუთარსაც გადაავლეთ; მაშინ მიხვდებით, რომ ასეთი ცოდვა ადვილი მისატყვებელია, და მეც იმდენად ალარ გამეიცხავთ.

ფოლსტაფი — კეთილი, ბატონო, განაგრძეთ.

ფორდი — ერთი მანდილოსანი გახლავთ ჩვენს ქალაქში, მის ქმარს ფორდი ჰქვია.

ფოლსტაფი — დიახ, დიახ, ბატონო.



ფორდი — დიდი ხანია ვეტრფი იმ ქალს, და, უნდა გამოგიტყდეთ, მკერდი დაეხარჯე, გაგეხებული დავდევი ყველგან, მასთან შესაყდრად ხელსაყრელ შემთხვევას ვეძებდი, მისთვის უბრალოდ თვალის შესავლებადაც კი ფულს არ ვზოგავდი; მარტო იმ ქალისთვის კი არ ვყიდულობდი უთვალავ საჩუქრებს, — იმათზედაც ბლომად ვხარჯავდი, ვინც მეტყოდა — ესადეხ საჩუქარი უფრო გაახარებსო; ერთი სიტყვით, სიყვარული მე არ მაძლევდა მოსვენებას, მე კი — იმ ქალს; ყოველ ხელსაყრელ შემთხვევას ფრთხილად მოვახტებოდი. მაგრამ რა გამოვიდა? ჩემი გრძნობებისა და წვალების ჯილდოდ რა მივიღე? — არაფერი, თუკი გამოცდილებას არ ჩავთვლით ძვირფას მარგალიტად, რომელიც საზღაპრო ფასად დამიჯდა და რომელმაც აი ეს სიბრძნე მასწავლა: სიყვარული ჩრდილსა ჰგავს — უსმინე ამ ცნებას, — მისდე — გაგირბის და გაყენებს ვნებას, მაგრამ თუ გაეჭედი, თვითონვე დაგედევნება.

ფოლსტაფი — ერთხელაც არ დაგამივდათ?

ფორდი — არასოდეს.

ფოლსტაფი — მერე, თავი არ მოაბეზრეთ ასეთი იმედის მისაღებად?

ფორდი — არა.

ფოლსტაფი — ეს რასა ჰგავს, რა სიყვარულია?

ფორდი — ეს ჰგავს სხვის მიწაზე აგებულ კოხტა სახლს. რაკი ადგილი შეცდომით ავიჩიე, შენობაც დაეკარგე.

ფოლსტაფი — მე რატომღა გამანდეთ თქვენი გულისპასუხი?

ფორდი — მოგახსენეთ და ამით ყველაფერი გაგაგებინეთ. როგორც მითხრეს, ის ქალი თურმე მე მაჩვენებს თავს პატიოსნად, თორემ სხვასთან გულგამლილად ლაღობს და კაი გაქნილი ვინმეც ბრძანდება. ახლა, სერჯონ, აი რა არის ჩემი განზრახვის ნამდვილი არსი: თქვენ ჩინებულად აღზრდილი ჯენტლმენი ბრძანდებით, — მკვერამეტყველი, დიდად მიღებული, თქვენი მდგომარეობითა და პიროვნებით ყველასთვის სანუკვარი, საქვეყნოდ განთქმული მხედრული ღვაწლით, კარისკაცული სიქველითა და განსწავლულობით...

ფოლსტაფი — ო, სერ!

ფორდი — მერწმუნეთ ასეა, — ეს ხომ თვითონვე მოგეხსენებათ. — აჰა, ფული! დახარჯეთ, დახარჯეთ, კიდევ დახარჯეთ; თუნდა სულ გაფლანგეთ, ოღონდ სამაგიეროდ მეც მაჩუქეთ ცოტადენი დრო და ჩიხში მოიმწყვდიეთ იმ ფორდის ცოლის პატიოსნება. გამოიყენეთ მთელი თქვენი ხელოვნება ამიკობისა, დაიპყარით: ბოლოს და ბოლოს, თუკი ვინმეს შეუძლია მისი დაპყრობა, თქვენ ხომ მით უფრო!

ფოლსტაფი — მერედა, მე რომ დავიპყრა ის, ვისი დაპყრობა თქვენ თვითონვე გწადიათ, ამით ვითომ დაგიაძღებათ ავზნებული გრძნობები? მე მგონი, ძალიან უცნაური წამალი გამოგიწერიათ.

ფორდი — ჯერ ჩემი განზრახვა გაიგეთ, სერ. ისე იცავს თავს ის ქალი პატიოსნების საბურველით, რომ ვერც კი გამიხედავს ჩემი შმაგი გრძნობები გაუმჟღავნო. მეტისმეტად ელვარება და თვალსაც ვერ ვუსწორებ. მაგრამ რომ გამაგებინა მისი საიდუმლოებანი, მაშინ ჩემს ჟინს გზა გაეხს-

ნება და ჭომაგი გაუჩნდება. მე მინდა ჩამოვაშორო ეს საფარი ცდემამთ-
სილებისა, სახელისა, ჭორწინების ფიცისა, და ათასი ასეთი თავდაცვის
ხერხი, რომლებიც ახლა მეტისმეტად მტკიცედ მიტევენ. თქვენ რას
იტყვით, სერ ჯონ?

ფოლსტაფი — მისტერ ბრაჟ, უპირველესად ყოვლისა თქვენს ფულს უნდა
დავეუფლო, სრულიად მოუბოდიშებლად; მერე მომეცით ხელი; ბოლოს
კი, თუკი მოისურვებთ, ვაჟკაცურ სიტყვას გაძლევთ, რომ ისიამტკბილებთ
ფორდის მეუღლესთან.

ფორდი — უკეთილშობილესო ბატონო!

ფოლსტაფი — მისტერ ბრაჟ, გეუბნებით, რომ ასე იქნება.

ფორდი — მამ ფულს არ დაზოგავთ, სერ ჯონ; ფული არ მოგაკლდებათ!

ფოლსტაფი — მისის ფორდს არ დაზოგავთ, მისტერ ბრაჟ, მისის ფორდი არ
მოგაკლდებათ! უნდა მოგახსენოთ, რომ მალე ვინახულებ, — თვითონვე
დამინიშნა შეხვედრის დრო. თქვენ რომ მოხვედით, სწორედ მაშინ წავი-
და აქედან მისი მოციქული, თუ მაჰანკალი. ათიდან თერთმეტამდე მასთან
ვიქნები, რადგან სწორედ ამ დროს გადის შინიდან მისი არამზადა და
თაღლითი ეკვიანი ქმარი. მობრძანდით ღამე და გაიგებთ, რა წარმატებებს
მივაღწიე.

ფორდი — ო, სწორედ ღმერთმა მომივლინა თქვენი თავი. ფორდს იცნობთ,
სერ?

ფოლსტაფი — ჯანდაბას მისი უბადრუკი რქოსანი თავი! არ ვიცნობ: —
თუმცა, კაცმა რომ თქვას, რა უბადრუკია! უთვალავი ფული ჰქონია იმ
ექვიან ცოლგაქცეულ არამზადას. მიტომაჲ მეჩვენება მისი ცოლი ასე
კდემამოსილად. მე მას გამოვიყენებ იმ გაიძვერა რქოსანი ქმრის სკივ-
რის გასაღებად; მერე ნახეთ, რას მოვიმიკი.

ფორდი — ნეტა იცნობდეთ, სერ, იმ ფორდს, სადმე რომ შეხვდეთ, მოერი-
დებით მაინც.

ფოლსტაფი — მოეშვით ერთი მაგ დოყლაპია თაღლითს! ერთს ისე შეეუ-
ბღვერ, რომ სულ დავეუფანტავ ჭკუას, ჩემი ჯოხით დაეთრებს ავურეც, —
მეტეორივით დაეუტრიალებ რქებთან, მისტერ ბრაჟ; თვითონვე ნახავთ
როგორ ყურმოჭრილ მონად გავიხდი მაგ გლუხაჭკუას, თქვენ კი მის ცოლს
მიუწეკით. — მოდით საღამოს, ნუ დაიგვიანებთ; ფორდი არამზადაა,
ახლა კი სხვა სახელებსაც შევმატებ; თქვენ თვითონ ნახავთ მისტერ
ბრაჟ, რომ იგი არამზადა და რქოსანია.

აბა, მოსალამოვდება თუ არა, მოდით.

(გაღის).

ფორდი — აჰ, წყევული ეპიკურელი არამზადა! საღამომდე რა გასძლებს,
ლამის გული გამისკდეს! კიდევ იტყვის ვინმე, უსაფუძლო ეკვიანობაო?
ჩემმა ცოლმა მას კაცი მიუგზავნა, დრო დაუნიშნა, საქმე გაჩაჩხულია.
აბა ამას ვინ იფიქრებდა? ო, რა ჯოჯოხეთი ყოფილა მოღალატე ცოლის
ყოლა! სარეცელი უნდა შემიბღალონ, სკივრი გამიცალონ, სახელი შე-
მიტყვევონ! საშინელ შეურაცხყოფასაც რომ არ მაქმარებენ! უნდა ვიდ-
გე და ჩემი შეურაცხყოფელისაგან უწმაწური ლანძღვა-გინება ვისმი-
ნო. რა ლანძღვა! რა სახელები! ამიამონი უფრო კარგადა ეღერს, ლუცე-

ფერიც ჯობს, ბარბასონიც ჯობს! ესენი, ბოლოს და ბოლოს, აქედან სულელები არიან, ეშმაკები! ჩემი სახელი კი რქოსანი! ცოლგაქცეულს რქოსანის მძეს ვშმაკაც არ კადრებენ. პეჯი ვირია, ყურწაგდებული ვირი! ექვიანობას არ ინებებს, ცოლს ენდობა! ის მიჩვენებია ფლამანდელს კარაქი ვანდო, მღვდელ ჰიუს — ყველი, ირლანდიელს — არყით ბოთლი, ქურდს — ჩემი იორლა, — ცოლს კი თავის ნებაზე ვერ მივეუშვებ. ხან რალაც მოუხუსტურებს თავში, ხან რალაც ოინს მოიგონებს, ხანაც უხამს გეგმას დააწყობს. ხოლო ქალმა თუ რაიმე ამოიჭრა გულში, — მორჩა, უსათუოდ შეასრულებს, ქიქინაზე გასკდება, და შეასრულებს. ღმერთო, შენ გმადლობ, რომ ექვიანი გამაჩინე! თერთმეტ საათზე! ჩაეუშლი! ცოლს ვამხილებ, ფოლსტაფზე შურს ვიძიებ, პეჯს სასაცილოდ ავიგდებ. ახლავე გავსწევ, რომ მივეუსწრო. ისა სჯობია, სამი საათით აღრე მივიდე, ვიდრე ერთი წუთით დავიგვიანო. ფუი, ფუი, ფუი, სირცხვილო; რქოსანი! რქოსანი! რქოსანი!

(გადას).

სურათი III. მინდორი უინძორთან ახლოს.

(შემოდან კაუსი და როგბი).

კაიუსი — ექვ როგბი...

როგბი — დიახ, სერ?

კაიუსი — რომელი საათია ექვ?

როგბი — უკვე გავიდა, ბატონო; სერ ჰიუს მოსვლის დრო გავიდა.

კაიუსი — გეფისები, თავის სულს უშველა ამითი, რომ არ მივიდა. ეტკობა ბევრი ილოსა ბიბლიაზე და მიტომ არ მივიდა; გეფისები, ექვ როგბი, აქამდე მაგას მოგვლავდი, რომ მოსულეყო.

როგბი — ეშმაკი გახლავთ, სერ, იცოდა, რომ თქვენი ბრწყინვალეობა მოვლავდა და მიტომაც არ მოვიდა.

კაიუსი — გეფისები, ქაშაკიც კი არ იქნება ისე მკვდარი, როგორც მე ის მოვლავ, აბა, ქმალი იშვლელე, ექვ, უნდა გაჩვენო როგორას მოვლავ.

როგბი — ვაიმე, ბატონო, ხმლის ხმარა რომ არ ვიცი!

კაიუსი — არამზადო, იშვლელ-მეთქი ქმალი!

როგბი — შეჩერდით; მოდიან.

(შემოდან სასტ. პატრონი, შელოუ, სლენდერი და პეჯი).

სასტ. პატრონი — ღმერთმა გაკურთხოს, ჩხუბისთავო ექიმო!

შელოუ — ღმერთმა გიშველოს, მისტერ ექიმო კაიუსო!

პეჯი — რასა იქმთ, კეთილო ბატონო ექიმო?

სლენდერი — მშვიდობის დილა ნუ მოგშლოდეთ, სერ!

კაიუსი — რა ამბავი, ერთი, ორი, სამი, ოთქი, ქუთი, რად მოსულქართ?

სასტ. პატრონი — მოვედით, რომ შენი ბრძოლა ვნახოთ, შენი ღარტყმები, შენი შემოკვრა, აქეთური, იქითური. ვნახოთ შენი პუნტო, შენი რევერსო, სტოკადო... უკვე მოჰკალი ჩემი ეთიოპელი? უკვე მოჰკალი ჩემი ფრანცისკო? ჰა, ჩხუბისთავო? ხმა ამოიღე, ჩემო ესკულაქუსო, ჩე-

მო გალენო. ჩემო დიდგულას გულო? პა, მოჰყალი-მეთქი? მოკედა-დე-
ლო ჩხუბისთავო? მოჰყალ?

კაიუსი — გეფისებით, მაგისტანა მქდალი არამზადა ქუცესი მეორე არა
ქვეყანად. დღეს აგარ გამოშენილა მისი საჭე.

სასტ. პატრონი — ყოჩად კასტილიელო, მეფე ურინალო! ბერძენო ჰექტო-
რო, ჩემო ბიჭუნა!

კაიუსი — გთქოვთ დამიმოცმით რომ დგეს ექვსი-შვიდი, ორი-სამი საათი
ვისადე და ის არ მოქვედი.

შელოუ — ის უფრო ჰქვიანი გახლავთ, ბატონო ექიმო. იგი სულის მკურნა-
ლია, თქვენ კი სხეულისა; თქვენ რომ ბრძოლა დაიწყოთ, ხომ თქვენნივე
ხელობის აბუჩად აგდება იქნება? მართალს არ ვამბობ, მისტერ პეჯ?

პეჯი — ეჰ, მისტერ შელოუ, თქვენც კაი ჩხუბისთავი იყავით, — ახლა კი მომ-
რიგებელი მოსამართლე ბრძანდებით.

შელოუ — ღმერთმა დალაზეროს, მისტერ პეჯ, ახლაც კი, ამოღებულ ხმაღს
რომ დავინახავ, ხელი მექალება. რა ვუყოთ რომ მსაჯულები, ექიმები და
ლეთისმსახურები ვართ, მისტერ პეჯ, — სიკვამულის ცეცხლი მაინც შე-
გვრჩა. რას იზამ, ჩვენც ქალის გაჩენილები ვართ, მისტერ პეჯ.

პეჯი — მართალსა ბრძანებთ, მისტერ შელოუ.

შელოუ — ასეც უნდა იყოს, მისტერ პეჯ. — ბატონო ექიმო, თქვენს წასაყვა-
ნად მოვსულვარ. მე ნათიცი მსაჯული ვარ, ხალხი ერთმანეთში უნდა
მოვარიგო: თქვენ ბრძენი მკურნალი ხართ, სერ ჰიუ კი ბრძენი და სულ-
გრძელი ლეთისმსახურია. უნდა გამომყვეთ, ბატონო ექიმო.

სასტ. პატრონი — ბოდიშს ვიხდი. ჩემო სტუმარო-მსაჯულო. თქვენ კი აჰ
რას გეტყვით, მუსიო ნაგვისყუთო?

კაიუსი — ნაგვისყუთო? რა არის ნაგვისყუთო?

სასტ. პატრონი — ნაგვისყუთი ჩვენებურად, ინგლისურად, მამაცობას
ნიშნავს, ჩხუბისთავო.

კაიუსი — მაშ, გეფისებათ, მეც იმდენი ნაგვისყუთი ქარ, რამდენიც ინგლი-
სელი. ქოფაკი-არამზადა ქუცესი გეფისება, ჩემი მაგას კურები და-
ჯანა!

სასტ. პატრონი — ერთს მაგრა მიგასულმკედარებს იგი, ჩხუბისთავო.

კაიუსი — მიგასულმკედარებს! რა არის მიგასულმკედარებს?

სასტ. პატრონი — ესე იგი, ბოდიშს მოგიხდის.

კაიუსი — მაშ გეფისება, ნახე ერთი თუ არ მიმასულმკედაროს, ამას ვაიზუ-
ლებ, გეფისებათ.

სასტ. პატრონი — მეც წავაქეზებ ამისთვის, თუ არა და ჯანდაბამდის გზა
ჰქონია.

კაიუსი — დიდი მადლობელი შენი ვიქნება.

სასტ. პატრონი — ამას გარდა, ჩხუბისთავო — (ჩუმად მიმართავს დანარ-
ჩენებს) მაგრამ ჯერ თქვენ, ბატონო მსაჯულო, მისტერ პეჯ და თქვენც
კავალერო სლენდერ, ღროგმორში წადით, ქალაქზე გავლით.

პეჯი — სერ ჰიუ იქ იქნება?

სასტ. პატრონი — იქ იქნება. ნახეთ როგორ გუნებაზეა. ექიმს კი მინდორი
მინდორ გამოვატარებ და მოვიყვან ასე არა სჯობს?

შელოუ — მაშ წავედით.

პეჯი. შელოუ და სლენდერი — მშვიდობით, ბატონო ექიმო.

(გადასვლა პეჯი, შელოუ და სლენდერი).

კაიუსი — გეფისება, ის ქუცესი უნდა მოჰკალი, თორემ ანა პეჯს იმ მაიმუნს
თავი უჭებს.

სასტ. პატრონი — ჯანდაბას, მოკვდეს. შენ კი ახლა შენი მოუთმენ-
ლობა ქარქაშში ჩააგე, გახურებულ გულს ცივი წყალი გადაასხი
და მე გამომყევი, ფროგმორის მინდვრებში წაგიყვან. სოფელში ლხინი
აქვთ, შენი ანა პეჯიც იქ არის და ეკურკურე. ხომ პირდაპირ მოვარტყი?
ა, კარგად არა ვთქვი?

კაიუსი — გეფისება, შენ მადლობელი დიდი ვარ მაგაზე: გეფისება, მიკუარ-
ქარ, ნაქე სასტუმროში მოგიტანო კარგი მუშტარი გრაფი, რაინდი, ლორ-
დები, კეთილშობილები — ჩემი პაციენტები.

სასტ. პატრონი — მაგიერში შენი ხათრით მეც შევეუტევ ანა პეჯს, ხომ
კარგა ვთქვი?

კაიუსი — გეფისება, კარგია, კარგა ამბობს.


სასტ. პატრონი — მაშ ახლა მოვეუსვათ.

კაიუსი — ფექებში მომდიე, ჟეკ როგბი.

(გადასვლა).

თარგმანი ინგლისურიდან, შახტანოვი პეტიშვილი.

(დასასრული ჟანრი)



სიმონ ჩიქოვანი

აბაკი წერეთლის პოეზია

★

(ა. წერეთლის ბარდაცვალებიდან 40 წლის შემსრულების გამო)

რუსული პოეზიის სიამაყემ, ალექსანდრე პუშკინმა ერთხელ განაცხადა, რომ „Никто более Баратынского не имеет чувства в своих мыслях и вкуса в своих чувствах“. ამ შესანიშნავი სიტყვებით შეიძლება დაგვეწყო ნიკოლოზ ბარათაშვილისა და აკაკი წერეთლის პოეზიის დახასიათებად.

მეცხრაშედეგ საუკუნეში პირველად „მერანის“ ავტორმა გამოავლინა ქართული პოეტური აზრის ელვარება, მძაფრი პოეტური აზრები გრძნობებად აქცია და გრძნობებში მაღალი და ფაქიზი გემოვნება გამოამჟღავნა. როგორც მრავალგზის ყოფილა აღნიშნული, ნიკოლოზ ბარათაშვილმა გაუყვლია გზა მესამოცე წლების ქართული სიტყვის ოსტატებს და აკაკი წერეთლის პირველი წინამძღოლიც იგი იყო. აკაკი წერეთელს ზიზღავდა ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზია და მისი სტრიქონები: „მინდა, რომ ვიყო ვარსკვლავი, განთიადისა მორბედი, რომ ჩემ აღმოსვლას ელოდნენ ტყეა ფრინველნი და ვარდი, მინდა მზე ვიყო, რომ სხივნი ჩემთ დღეთა გარსა მოვავლო, საღამოს მისთვის შთავიდე, რომ დილა უფრო ვაცხოვლო“ წინასწარმეტყველურ სიტყვებად მიაჩნდა,

თავისი პოეტური მოვალეობაც ამ სტრიქონების დედააზრის მიხედვით ჰქონდა შემუშავებული. „განთიადის“ ავტორმა შეითვისა ნიკოლოზ ბარათაშვილის იდეური სამყარო და თავისებურად განაგრძო მისი პოეზიის გზა. მაინც აკაკი წერეთლის პოეტური ბუნება სხვაგვარია, ვიდრე ნიკოლოზ ბარათაშვილისა. თუ „მერანის“ ავტორის პოეზიაში აზრის სიმძაფრით, დრამატისმით და ნაწილობრივ იქვეთიაც გაყვნილია პოეტური სამყარო, „განთიადის“ ავტორისათვის მთავარია უშუალო გრძნობა და სამშობლოზე თქმული პოეტური სიმღერა.

აკაკი მომავლის იმედიანი მომღერალი იყო, მის პოეტურ სიმღერებში ხალხის ზრახვები საოცარი ბუნებრივობით თავსდებოდა. პოეტს უნდოდა, რომ განთიადის წინამორბედი ყოფილიყო და თავისი პოეტური შედეგებიც საქართველოს განთიადის მშვენიერებას მიუძღვნა. აკაკი წერეთლის პოეზიიდან უშუალო გრძნობები გავრცელდა ქართველ ხალხში, ეს გრძნობები, მიმზიდველ მელოდიებში გამოთქმული სახალხო აზრებად გადაიქცა და მთელ საქართველოში ფესვები გაიდგა. აკაკი წერეთლის პოეზია თითქმის ქართველი ხალხის ხასიათის გამოვლენაა და მისი



ბუნების თანდაყოლილი თვისება. აქაი წერეთლის ლექსები ისე უშუალოდ შესულია ქართველი ხალხის სულიერ ცხოვრებაში, რომ იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს ეს ლექსები ავტორის დაბადებამდე არსებობდა საქართველოში და აქაი წერეთლის სიტყვებზე შეთხულებულ სიმღერებს ყოველთვის მღეროდა ქართველი ხალხი; თითქოს მისი პოეზია ისტორიის მანძილზე მოჰყვებოდა საქართველოს.

ეს არის აქაის პოეზიის ხალხურობის საფუძველი და ეროვნულობის მაჩვენებელი. ხალხურობა აქაი წერეთლის პირად ცხოვრებაშიც შემაჯავლი თვისება იყო, იგი როგორც სახალხო მომღერალი, გაუბრუნდა სახელმწიფო სამსახურს, მან პოეტური სიმღერა და პოეტური ქადაგება საკუთარი სიცოცხლის მთავარ მიზნად დაისახა და პოეტური შრომა სახალხო საქმედ აქცია.

აქაი და პოეზია, აქაი და ლექსის თქმა, ქართველი ხალხის წარმოდგენაში სინონიმები გახდა. აქაი წერეთელმა ოლიმპური სიდიდით მიიღო საქართველოს ბუღბუღლის სახელწოდება, კეთილშობილი არტისტულობით ჩაატარა სახალხო პოეტის და სამშობლო ქვეყნის მომღერლის ხანგრძლივი შემოქმედებითი ცხოვრება. სამარის კარამდე მას სიმღერა არ შეუწყვეტია.

აქაი წერეთლის საუკეთესო ლექსების კეთილშობიანებამ ხალხის სმენა დაიმორჩილა, მაგრამ თვითონ აქაისთვის ბუღბუღლობა დამაკმაყოფილებელი არ იყო. შეიძლება სიკაბუკეში ბუღბუღლის სახელი იტაცებდა საიდუმლო ბარათით გულგამთბარ პოეტს, მაგრამ რაც უფრო ხანში შედიოდა პოეტი, რაც უფრო ძლიერდებოდა მალალი მოვალეობის შეგნება, მით უფრო იზიდავდა მას სახალხო მქადაგებლის როლი თუ წინასწარმეტყველის სახე. ეს არ იყო რაიმე რელიგიური რწმენით გამოწვეული სურვილი. ეს იმავე ხალხურმა ფანტაზიამ შთააგონა პოეტს.

„ამირანის“ მეხოტბეს უნდოდა, ^{ქალაქში} ჩამდგარიყო, მისთვის შეეტყობა ^{ქალაქში} ღონე და ხალხისათვის იდეალი შეექმნა, ხალხის ოცნება განეკერძა და მომავლის იმედი ჩაენერგა სამშობლოსათვის. მისი რომანტიკული ფრთებიც ხალხის ფანტაზიიდან იზადებოდა და პოეტს მქადაგებლის, მომწოდებლის როლს ანიჭებდა. ამგვარი ხალხურობის გამო სახელი — „აქაი“ — საკმარისად მიჩნეულ იქნა მისი პოეტური პიროვნების აღსანიშნავად. მანაც მიიღო წინასწარმეტყველის პოზა და დაიწყო პოეტური ქადაგება. ეს პოზა სრულიად არ ყოფილა ნაძალადევი, ეს იყო ნამდვილი კეთილშობილი პატრიოტული გრძნობით ნაკარნახევი პოეტური ცხოვრების ფორმა.

პოეტი მართლა მაღალი სისადადით და გულწრფელობით ღალატებდა ხალხის მომავალ გმირზე და ბოროტყაყრელ ამირანზე. კახეთში გამოდიოდა იგი, თუ რაქა-ლენხუშში, გორში მეგობრებთან სკუბობდა, თუ ქუთაისში მისი პოეზიის პატრისაცემად შეკრებილთ მიმართავდა, ყველგან მეტყველებდა, რომ თვითონ აჩრდილია მომავალი გმირისა და რომ მომავალი გმირი ქართველი ხალხის წიაღში დაიბადება. საქართველოს ისტორიულ წარსულში მოქმედი სახელმწიფო მოღვაწეები და ოდიშგან ქართველი ხალხის დრამატული ცხოვრება უფლებას აძლევდა პოეტს ეფიქრა: საქართველოს წიაღიდან გამოსული გმირი სხვა ხალხების ტყვილებსაც კარგად გაიგებდა და საყოველთაო გმირი გახდებოდა. პოეტი ფიქრობდა, რომ თვითონ წინამორბედი იყო იმ განთადისა, რომელიც ახალი გმირის მოსვლის გამო სამშობლოს მთებზე გაიშლებოდა. სხენებულ წინასწარმეტყველებას იგი განსაკუთრებული დაქინებით იმეორებდა და საოცარი უშუალოდობით არწმუნებდა მსმენელს ნათქვამის სიმართლეში. მომავალი გმირის შესახებ ქადაგებამ და ღალადისმა

აკაის ლექსების ინტონაციაზე განსაკუთრებული გავლენა მოახდინა. მის ლექსებში მრავლად გაბნეულია ძველი და ახალი აღთქმიდან ამოღებული მხატვრული სახეები, სიმბოლოები, იგავები და ფრთიანი ფრაზები. სასულიერო მწერლობის სახეები პოეტს არ ავიწყდებოდა 1905 წლის რევოლუციის ჩანაშიშ, როდესაც იგი საბრძოლველად გამოსულ მუშათა კლასს აღტაცებით მიმართავდა, თავის პიროვნებას ადარებდა ბიბლიურ სიმეონს, რომელმაც ახლადდაბადებული ქრისტე მიირჩევა და ძმობა-ერთობას და სიყვარულს წრფელი სიხარულით უმღეროდა. თითქმის იგი ახალი თომას მიუნცერი ყოფილიყოს, სახარების სახეებს თავისებურად რომ თარგმნიდა და ქრისტიანული მწერლობის სამოსელში რევოლუციურ შინაარსს სდებდა. ხსენებული თქმები და სიმბოლოები მან გამოიყენა მხოლოდ ლექსის სამკაულად და ხალხს საუკეთესო მომავლისათვის ბრძოლის სურვილი იდეურად მოწინავე ლექსებით ჩაუნერგა. პატრიოტული გრძნობების გამომჟღავნებაშიც იგი იშველებოდა სასულიერო მწერლობის სიმბოლოებს და მათი საშუალებით მკითხველზე დიდ ემოციურ ზეგავლენას ახდენდა. „ჩემი ხატია სამშობლო, სახატე მთელი ქვეყანა და რომ ვიწვოდე, ვდნებოდე არ შემძლია მეც ჭანა?“ ამბობდა იგი და სამშობლოს, როგორც ხატს, ისე შეჰყურებდა.

საგალობლებისა და ჰიმნების ინტონაციის საერო პოეზიაში ამგვარი გამოყენება პირველად დავით გურამიშვილმა სცადა თავისი ტრაგიკული სახეებით აღსაქმე პოეტურ აღსარებაში. გურამიშვილის პოეზიის სიყვარულმა ერთგვარად შთააგონა აკაი თავისი ლექსებისათვის ამგვარი ინტონაცია და ამგვარი გარეგნული სამკაულები მიეცა. შორს გადახვეწილი დავით გურამიშვილის და შინ, თავის მამულში, მყოფი აკაი წერეთლის სიყვარული სამშობ-

ლოსადმი თითქმის ერთნაირად გულწრფელად და ორივე სამშობლოს წინაშე ერთგვარად ხელაპყრობილი იწვოდა. აკაი წერეთელი დავით გურამიშვილივით, როგორც „ჩემი თავგადასავალიდან“ ჩანს, ბავშვობაშივე განსწავლული ყოფილა საღვთო წერილებით და ძველი ქართული მწერლობით. მის პოეტურ სულში ამ წიგნების მხატვრული სამყარო ყოფილა აღბეჭდილი და არა მათი რელიგიური ქადაგება. ხსენებული სახეების გამოყენება აკაი წერეთლის იდეური ჩამოარჩენილობის მაჩვენებელი არ იყო.

მუშათა კლასი და ღარიბი გლეხობა რაც უფრო ძლიერდებოდა და გამოდიოდა ბრძოლის ასპარეზზე, მით უფრო აკაი პოლიტიკურად აქტიური ხდებოდა და ხალხის მებრძოლ ფენებს უახლოვდებოდა. თუ მისი სახეები და მხატვრული თქმები, პოეტური ფანტაზია ძველი და ახალი აღთქმიდან ნაწილობრივ ღებულობდა საზრდოს, ეს, როგორც ვთქვით, ნაწილობრივ დავით გურამიშვილის პოეტურ ინერციას უნდა მიეწეროს, ხოლო ნაწილობრივ იმ მხატვრულ სრულყოფილობას, რომელიც, აკაის და ჰაინეს აზრით, ბიბლიას ახასიათებდა. ესეც რომ არ იყოს, აკაი წერეთელს სჭირდებოდა ქადაგებისა და პოეტური მოწოდებისათვის ახალი ინტონაცია, რომ ლექსი დამგვანებოდა ზეგარდმო მადლით მონიჭებულ ღაღადისს და სახალხო მოწოდებას.

მაქსიმ გორკი ამბობდა: ხალხურობა რუსულ მწერლობაში მაშინ დაიბადა, როცა პოეზიაში პუშკინის აღმზრდელი ქალი გამოჩნდა. მეცხრამეტე საუკუნის ქართულ პოეზიაშიც აგრე დაიბადა ხალხურობისაკენ მიდრეკილება. ძიძას მიერ თქმული იაენანა პირველი ხალხური სიმღერა იყო, რომელიც ბავშვობაში ჩაწვდა აკაის სმენას და მის სულში ხალხურობისათვის ნიადაგი მოამზადა. აკაი წერეთელი ბავშვობაში შეეთვისა გლეხკაცის სულიერ ცხოვრ-

ბას და მისი ჳირ-ვარამი თავისებურად გაიზიარა, გლეხკაცის ცხოვრების ათვისებაში ჩაისახა მისი მომავალი ესთეტიკური კულტურის პირველი ფესვები. თავისი საყვარელი ძიძის მეშვეობით მომავალმა პოეტმა სოფელში შეიძინა სიყვარული ხალხური შაირებისადმი, ხალხური სიმღერებისა და საკრავებისადმი.

აკაკი წერეთელს სიყრმიდანვე შეჰყვარებია და თავისი პოეზიის თანამგზავრებად გაუხდია სტვირი, ჩონგური, სალამური, ჩანგი. აკაკი, როგორც თავად ამბობს, დიდი მუსიკალური სმენით არ ყოფილა დაჯილდოებული, მაგრამ პოეტური სმენა მას განსაკუთრებით ჰქონდა გაფაჩიზებული. ხალხური მელოდიების სიყვარული აღრიდანვე ჩაენერგა და მისი მახვილი პოეტური სმენა თითქოს ხალხურ სიმღერებთან და საკრავებთან შეთანხმებით იქნა გამომუშავებული. მისთვის, როგორც სახალხო საიდუმლოება, ჩონგურში ინახებოდა სამშობლო ქვეყნის კეთილხმოვანება, ხალხური პოეზია გახდა მისი შთაგონების წყარო და ჩონგურმა შეუღნახა პოეტს სამშობლო ქვეყნის „მოთქმანი, კაეშნის ხმანი, ხანცა ოხვრანი, ხანცა ამოსკენანი“, რომელნიც „წარსულთა დროთა მოგონებითა სულს აფიქრებენ“. ნიკოლოზ ბარათაშვილმა ეს სიტყვები თითქოს ანდერძად დაუტოვა „განთიადის“ შემოქმედს. აკაკიმაც ჩონგურის ღელუნში გამოხატა უმძაფრესი გრძნობა სამშობლოს სიყვარულისა. მაგრამ თუ ნიკოლოზ ბარათაშვილის ჩონგური „წარსულთა დროთა მოგონებითა სულს აფიქრებდნენ“, აკაკის ჩონგური უმთავრესად სამშობლოს მომავალს ემსახურებოდა და პოეტის გულში სიკვდილის შიშს აქარავდა. „ჩანგურო, ჩემო ჩანგურო, ოცნების ზღვაში მცურავო, შენი კრიმანტი წყრილი ხელახლა მომეწყურაო... მიმოფრენ, მეც თან დაგყავარ, წამის-წამ, კილის-კიდესო, ველარ მერევა სიკვდი-

ლი მე, შენსა გადამციდესო... დიდება შენსა მოვლენას, ღირსო ტებლო ძალაო!.. დააღნა გული შენს სიმებს და სული დაიკალაო“.

ამგვარად, აკაკის მრავალი ლირიკული ლექსი უმთავრესად სასიმღერო ლექსია და წინასწარ გულისხმობს რაიმე საკრავზე ხმის აყოლებას და შეთანხმებას. ძიძასთან გატარებულმა წლებმა შთაგონეს აკაკის ასეთი მელოდიები და მისი შედეგური „იმერული იაენანა“ აგრე ამოზრდილია გლეხკაცის დუხპირი ცხოვრების წიაღიდან. ხოლო ლექსები: „ყანა“, „სიმღერა მკის დროს“, „მუშური“ და მრავალი სხვა მშრომელი ხალხის ცხოვრების და მისი შინაგანი სამყაროს გამომსახველი ლექსებია. ხსენებულ ლექსებში ავტორი თითქოს იმალება და პოეტის ნაცვლად ჩვენ წარმოგვიდგება ყანის მუშა, მომკელი, აკვანთან დახრილი დედა და ბრძოლის ველისაკენ მიმავალი ვაჟკაცი. ესენი ასრულებენ ხსენებულ სიმღერებს და პოეტის ლირიკული გმირი მკითხველს მრავალი სახით ევლინება. ლექსის მთქმელი თუ შემსრულებელი აკაკის ლექსებს აჩრდილივით დაჰყვება და აკაკის ნაცვლად თითქოს იგი აკავშირებს პოეტის სტრიქონებს ხალხის სულიერ მოთხოვნილებებთან. ლექსის შემსრულებელი ხან ჩონგურება და ხან მესტირე, ხან მწყემსი აწკრიალებს სალამურს ცხვრის ფარაში და ხან მებრძოლი დაფდაფზე მხედრული მოწოდებით გვეხმადურება. ზემოთ დასახელებული საკრავები ქართული ხალხური საკრავებია და ისინი შეუწელებლად წკრიალდნენ პოეტის სულში და განსაკუთრებულ შთაგონებას ანიჭებდნენ მას. მისი წარმოდგენით, ხსენებულმა საკრავებმა შეინახეს და შთაბერეს მას ხალხის ჳირ-ვარამი, მისი გმირული სული და მისი სიბრძნის გამომხატველი ხმები.

ტარას შევჩენკოს დარად, აკაკი წერეთელსაც ხალხის მგოსანი რაიმე სა-

ხალხო საკრავზე დამკვერელის სახით ჰქონდა წარმოდგენილი. შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, თითქოს აკაკი წერეთლის პოეტიკის ეს მხარე ტარას შევჩენკოს გავლენით გამომუშავდა. ჯერ კიდევ ბავშვობაში შეთხზული ლექსები აკაკისა მესტირულია და პოეტის რაობაზე ამგვარი წარმოდგენა მან ქართული პოეტური კულტურის თვისების შედეგად შეიძენა. აკაკი წერეთლის ეს თეატრული კულტურის პირველი წყარო ქართული ხალხური პოეზია და ქართველთა ყოვალური ოსტატობა იყო. ამიტომ ხალხური საკრავების ხმები მისი სულის მღელვარებაში ორგანულადაა შექრილი.

ცნობილია, რომ ქართულ პოეზიაში ლექსის თქმის ზალხურობა პირველად დავით გურამიშვილმა დაამკვიდრა. „დავითიანის“ ავტორმა პირველმა მიუახლოვა დამწერლობითი პოეზია ხალხურ მეტყველებას და ფოლკლორულ პოეტურ ფორმებს. მაგრამ სწორედ პოეტური რიტმის გამდაბიურებამ და ხალხისათვის ადვილად მისაწვდენი სალიტერატურო ენის საპირობებამ უპარნახა დავით გურამიშვილს ახალი და ახალი პოეტური ზომების შექმნის საპირობება და ხალხური დაბოლოებებიანი რითმების შემოღება. გურამიშვილის ლექსების ფორმის დემოკრატიული იერი და კეთილშოვნება აკაკისათვის დიდად მიმზიდველი უნდა ყოფილიყო. მისი შინაგანი პოეტური ზრახვა ამგვარი მუსიკალობისაკენ მიილტვოდა და მისი ჩანგი გურამიშვილის მთრთოლვარე ჩანგის მსგავსად წკრიალებდა. აკაკიმ გურამიშვილის სახით უთუოდ იპოვა თავისი სულის მონათესავე და წინამორბედი.

აკაკი წერეთელი ანთოლოგიური ხასიათის პოეტი არ ყოფილა. იგი ბევრს წერდა და ბევრის წერა აუცილებელ საპირობებად მიაჩნდა. მაგრამ მისი საუკეთესო ლექსებისათვის დამახასიათებ-

ლია ფაქიზი გემოვნება, ძალადოქრობა და დავით გურამიშვილის მიმართება. აკაკი წერეთლის პოეტურ ფრაზას ახასიათებს სილალე და საოცარი ბუნებრიობა. მისი ლექსების რიტმი თითქოს ჩვეულებრივი და ნაცნობია და, ამავდროს, ახალიც. აკაკი წერეთელმა პოეზიაში თავისუფალი სუნთქვა შემოიტანა, პოეტური ფრაზა ყოველგვარი არტახებისაგან გაათავისუფლა და სტრიქონებს ბუნებრივი ფრენა ასწავლა. არც ერთი პოეტი არ ყოფილა, რუსთაველისა და გურამიშვილის შემდეგ, რომლის სტრიქონები და პოეტური თქმები ხალხში ასე გადასელის და ხალხურ მეტყველებაში ასე დამკვიდრებულიყოს. აკაკის პოეზიამ დიდი მონაწილეობა მიიღო არა მარტო ახალი სალიტერატურო ენის, არამედ ახალი სასაუბრო ენის ფორმირებაშიც. იგი მომჯადოებელი უშუალოდ მეტყველებდა მომხიბლავ მელოდირულ ლექსებს და თითქოს სტრიქონები ზეგარდმო მაღლით გადმოდიოდა პოეტის მეხსიერებაში, მისი საუკეთესო სტრიქონები თითქოს მას კი არ შეუთხზავს, არამედ ბუნებამ დაბადა და ქალღმერთმა გადასატანად ადამიანის ხელს არ მიუღია მონაწილეობა. თითქოს ეს ლექსები ხალხმა უპარნახა პოეტს და მან არტისტული შთაგონებით გაიმეორა ისინი.

აკაკის ლირიკის შედევრებია: „საიდუმლო ბარათი“, „სალამერი“, „სულიყო“, „ალ. ქაქავაძის საფლავზე“, „აღმართ-აღმართ“, „ზღვაო, აღელდი, აღელდი“, „ხანჯალი“, „ავადმყოფი მგოსანი“, „ქუთაისი“ და მთელი ქართული პოეზიის ერთ-ერთი მწვერვალი „განთიადი“. თვითუღი ლექსი პოეტის გულის ამონაცენები იყო და ხალხის გულის ამონაცენებიც გახდა. იგი მუდამ ანთებული იყო სამშობლო ქვეყნის წინაშე და დიდხანს, ძლიერ დიდხანს იწვოდა, რადგან იცოდა, რომ.

რაც არ იწვის, არ ანათებს. მისი ლექსები საგალობლებისა და ლოცვების დარად იფრქვეოდა ხალხში, ოღონდ ეს საგალობლები და ლოცვები მიმართული იყო არა ღმერთისადმი, არამედ სამშობლო ქვეყნისადმი.

ცა ფირუზ, ხმელთ ზურმუხტო,
სულის ჩამდგმელო მხარეო.
შენი ვარ, შენთვის მოვედები,
შენადრე მგლოვიარეო.
ნურც მედარს გამწირავ, ნურც ცოცხალს,
ზე კალთა დამოფარეო,
და რომ მოვედები, გახსოვდეს,
ანდერძი დავიზარეო.
დუდა შეილობამ, ბევრს არ გთხოვ,
შენს მიწას მიმბარეო.
ცა ფირუზ, ხმელთ ზურმუხტო,
ზემო სამშობლო მხარეო.

სამშობლო მხარე პოეტს მრავალი სახით ჰქონდა წარმოდგენილი: ხან წარმოუდგებოდა როგორც ხატი და ხან სწეულების მკურნალად ეჩვენებოდა; სამშობლო ზოგჯერ მიჯაჭვულ ამირანს ჰგავდა და ზოგჯერ — ქაჯეთში დატყვევებულ ნესტან-დარეჯანს. ხშირად უძნელდება მკითხველს გაიგოს, რომელია ნამდვილი პატრიოტული ლექსი და რომელი სატრფიალო ლირიკა. მკითხველი ხშირად ვერ ხედება, ვინ არის ციცინათელა — პოეტის ტურფა იგი, თუ უცხოეთის მიერ დაპყრობილი სამშობლო მხარე, სულიკოს საფლავი დაკარგული მიჯნურის სამარეა, თუ წარსულში სასიკვდილოდ განწირული ქართველი ხალხის სული; მშრომელი და გამრჯე ფუტყარი პატარა საქართველოა, თუ ხალხის სამსახურისათვის თავდადებული მგოსანი. აკაკის პოეტურ სამყაროში საქართველო მრავალი სახით გვევლინება. სამშობლოს შეუძლია ციცინათელასავით გაიეღოს, ხან სულიკოსავით სამ ადგილას გაიკეთოს ბინა, ხან ამირანივით დაამსხვრიოს ბორკილები და თავი აიშვას, ხან კი ტარიელის, ავთანდილის და ფრიდონის თავდადებით ნესტანივით ტყვეობიდან

განთავისუფლდეს. ზემოხსენებული სახეები სამშობლო ქვეყნის დღევანდელს გამომსახველია, ისინი ქართველი ხალხის ეპყაციობაზე, მშვენიერებაზე და შეუდრკელობაზე მეტყველებენ. თუ მკითხველს აკაკის მიერ სატრფოს შესამკობად დაწერილი ლექსიც პატრიოტულ ნაწარმოებად მიუღია, ესეც თავისებური სიმართლეა და თავისებური ქეშმარიტება.

აკაკი წერეთელი თითქმის ერთი თემის პოეტი და ეს ერთი თემა მას ბიოგრაფიულად შეთვისებული ჰქონდა... ეს ერთი თემა — სამშობლოს სიყვარულია და მისთვის წვა და სანთელივით ლაბლაპი. პოეტი ეძებდა ისეთ სიმბოლოს, რომელიც პოეტის გულში სამშობლოსადმი დასადგურებულ ინტიმურ დამოკიდებულებას და ფაქიზ ტრფილებას ზუსტად გამოხატავდა. აღექსანდრე ბლოკმა ერთ-ერთ თავის უაღრესად პატრიოტულ ლექსში სამშობლოს სიყვარულს თავისი მეუღლისადმი სიყვარულს შეადარა. ამ სიტყვებით მას უნდოდა ეთქვა, რომ რუსეთი არის მისი ჯახლოესი, ცხოვრების გზაზე განუყრელი და თავდავიწყებამდე საყვარელი არსება. აკაკი წერეთელსაც საქართველო თავდავიწყებამდე უყვარდა, მაგრამ იგი შინაგანი ბუნებით უფრო რომანტიკოსი იყო და თავისი სამშობლო მხარე შორს დატყვევებულ ნესტან-დარეჯანს აგონებდა. აკაკი წერეთელმა პატრიოტული გრძნობა რომანტიკულ სამოსელში გახვია და მისი ხალხურობის სული ჩაჰბერა, თითქმის მთელი საქართველო ფეხით მოიარა და ეს კეთილშობილური გრძნობა თვითველ ოჯახში მოამინათრა.

მას უნდოდა, რომ მე-16, მე-17, მე-18 საუკუნეებში სახელმწიფოებრივად დაქუცმაცებული ქართველი ხალხი და დარღვეული საქართველო მე-19 საუკუნეში სულიერად გაეერთიანებინა და მომავალი მთლიანი საქართველოს სურათი დაეხატა. აკაკი წერეთლის მი-

ერ შექმნილი მხატვრული სახეები გაბნეულია მთელ საქართველოში და პოეტის ამღერების საგანია საქართველოს ყველა კუთხე. როგორც თავის დროზე დავით აღმაშენებელმა საქართველო გააერთიანა სახელმწიფოებრივად, აკაკი წერეთელმაც ილია ჭავჭავაძესთან ერთად მე-19 საუკუნეში სულიერად დააკავშირა და შეადულა მთელი ქართველი ხალხი. იგი ერთგვარი სიყვარულით ხატავდა თბილისს, გორს და ქუთაისს, შუამთის მონასტრის და ზობის ნაპირებს, სვანეთის მთებს და აფხაზეთის სანაპიროებს, მესხეთის ძეგლებს და გურიის მიდამოებს. პოეტი თავისი პატარა სამშობლოს სულიერი მთლიანობისათვის იბრძოდა, საქართველოს კუთხეებს სიმბედიით აერთებდა და ათანხმებდა, თავდადებულ ქართველებს საქართველოს ყოველ კუთხეში პოულობდა, და მთლიანი საქართველოს ბედნიერებისათვის იღწვოდა პოეტური სიტყვით. აკაკი წერეთელმა დააჩვენა ქართველი ხალხი, რომ მისი იდეალი არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს. მანვე შთააგონა საქართველოს, რომ მოვა დრო და თავს აიშვეებს მიჯაჭვული ამირანი და სიხარულად შეიცვლება ამდენი ხნის გასაჭირი. მე-19 საუკუნეში და მე-20 საუკუნის დასაწყისში ქართული პატრიოტიზმი აკაკი წერეთლის სტრიქონებით მეტყველებდა და ხალხს მომავლისაკენ მოუწოდებდა.

სამშობლოსათვის თავდადებული გმირები აკაკის ლირიკაში და პოეტურ ეპოსში ორ წყებად არის წარმოდგენილი. პირველ წყებაში ნამდვილი ისტორიული გმირებია ნაჩვენები და ამღერებული, ესენი არიან: ვახტანგ გორგასალი, თორნიკე ერისთავი, თამარ მეფე, კოტე დადიანი, გიორგი სააკაძე, ქეთევან წამებული, ერეკლე მეორე და მთლიანი საქართველოს სიმბოლო, კავკასიონზე მიჯაჭვული ამირანი. ამირანისაგან, როგორც გმირობის პირველი

სათავიდან, ლებულობდნენ შთაგონებას სამშობლოსათვის თავდადებულ მკაცრელები. ამირანის სახეში პოულობდნენ სულიერ საზრდოს ახალი საუკუნის გმირებიც.

ისტორიული გმირების მხატვრული დახასიათების მეშვეობით აკაკი წერეთელს უნდოდა თავისი დროის ქართველებზე მოეხდინა გავლენა და ახალ საქართველოსთვის მებრძოლი სული შთაებერა. ხსენებული მხატვრული ამოცანის გამო აკაკიმ ისტორიული შინაარსის პოემებსაც თავისებური მიმართება მისცა. თავისი ისტორიული პოემებისათვის იგი იღებდა არა დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის აღმავლობის ეპოქას, არამედ უმთავრესად ეხებოდა საქართველოს დაცემისა და სახელმწიფოებრივი რღვევის ხანას. პოეტს უფრო იზიდავდა გაჭირებაში ჩავარდნილი საქართველოს გმირული ეპიზოდების გამოხატვა. სწორედ ასეთ ისტორიულ ფონზეა გამოკვეთილი „ბაგრატ დიდი“, „თამარ ცხიერი“, „ნათელა“, „პატარა კახი“ და „კიკელას ნამბობი“. საქართველოს განვლილი ისტორიის ხსენებულ დრამატულ ეპიზოდებში მოქმედი პირები და მათი იდეალი საქართველო აკაკის პოეტურ წარმოდგენაში ეხმაურებოდა თვითმპყრობელობით დაჩაგრული საქართველოს სინამდვილეს. წაოსულში ქართველი ხალხის საუკეთესო შვილებს გამოუჩენიათ უდიდესი გამძლეობა და საოცარი გმირობა. ხსენებულმა გმირებმა იცოდნენ, რომ „ჭირსა შიგან გამაგრება ისე უნდა, ვით ქვითკრისა“. ამიტომ მათი ცხოვრება და ღვაწლი მაგალითის მიმცემი უნდა ყოფილიყო მისი თანამედროვე ქართველი გმირებისათვის. ქართველი ხალხის ისტორიაში გამოჩენილ ძველ გმირებს ახალ საქართველოსთვის გზა უნდა გაუვლიათ და თანამედროვე ქართველებისათვის სამშობლოს სამსახური და თავდადება უნდა ესწავლებინათ.

ასე აერთიანებდა აკაკი თავის პოე-

ზიამი ძველ და მეცხრამეტე საუკუნის საქართველოს. პოეტი ივენანას უმღეროდა მომავალ გმირს და წინასწარმეტყველის დარად ქადაგებდა ახალი გმირის მოსვლის აუცილებლობას. ჰერში და ვარაშში ჩავარდნილი საქართველო უნდა გადაერჩინა ამირანის შთამომავლობას. თავისი საკრავით იგი უმღეროდა გარდაცვლილ გმირთა აზრდობებს და მომავალ ახალ საქართველოს. პოეტი ხშირად უმღეროდა ქართველი ხალხის სიდიადეს, ადიდებდა თამარსა და ქეთევანს. ამ ქალების პიროვნებაში მას ხიბლავდა მათი სახელმწიფოებრივი გამჭირვალეობა და დაუშრეტელი ბრძოლის უნარი. თეიმურაზ პირველის ლექსის „თამარის სახე დავით გარეჯის მონასტერში“ და გრიგოლ ორბელიანის „თამარის სახე ბეთანიის ეკლესიაში“ მხატვრული სამყარო მისთვის მიუღებელი იყო. ისტორიული თემების ბიზანტიური ფრესკების ყაიდაზე გაშუქება აკაკის არ აკმაყოფილებდა. მართალია, ისიც ხშირად წერდა ხოტბებს ძველი გმირების შესახებ, მაგრამ მას ხოტბის ობიექტი ყოველთვის მოქმედებაში უნდა ეჩვენებინა და გარდასულ გმირთა საქმიანობა მისი თანამედროვეებისათვის აქტუალური უნდა გაეხდა. აკაკი წერეთელი ცოლ მოქმედებისა და ბრძოლის პოეტი, მას ჰერეთითა რომანტიზმი არ იტაცებდა.

ნამდვილი ისტორიული გმირები — გიორგი სააკაძე, თამარი, ვახტანგ გორგასალი, ერეკლე მეორე, ცოტნე ღაღიანი, ქეთევანი და რუსთაველის მიერ შექმნილი — ტარიელი, ავთანდილი, ფრიდონი, ნესტანი, თინათინი და ასმათი აკაკის წარმოდგენაში თანაბარი სიცოცხლის მატარებლები იყვნენ. შოთა რუსთაველის მიერ შექმნილ სახეებს იგი, ისტორიული გმირების დარად, მაგალითის მიმცემ ადამიანებად სთვლიდა. თამარ მეფეს და ნესტან-დარეჯანს თანაბარი აღტაცებით მიმართავდა. ისტორიულ სინამდვილესა და შოთას მი-

ერ შექმნილ პოეტურ რეალობას შორის მისთვის საზღვარი წაშლილი იყო და იგი თითქმის ორივეს ერთნაირ ისტორიულ სინამდვილედ აღიარებდა. ეს იმით აიხსნება, რომ აკაკი წერეთელს „ვეფხისტყაოსნის“ გმირები მარადიულ, მაღლოდ გამოკვეთილ ქართულ ხასიათებად წიაჩნდა. მისთვის „ვეფხისტყაოსნის“ ქართული სამყარო მატიაწეებში აღზევდილ სინამდვილეზე უფრო ზუსტი და სიმართლის შემცველი იყო. აკაკის უნდოდა „ვეფხისტყაოსნისათვის“ უცხო იერი მოეშორებინა და რუსთაველის პოეტური სამყარო ქართული ნიადაგიდან ამოეყვანა, მაგრამ სახეებისათვის მიეცა არა ეთნოგრაფიული ახსნა, არამედ პოემაში ზოგადი ქართული თვისებები გამოემჟღავნებინა. აკაკის წარმოდგენით, რუსთაველი იყო ნაციონალური გენია, რომელიც ქართულ ხასიათებს ძერწავდა და ქართული ხასიათების საშუალებით საკაცობრიო ჰუმანურ იდეებს ქადაგებდა, ზოლო მხატვრულად გამოძერწილი ქართული ხასიათი ზოგად ადამიანურ სულიერ სამყაროს ამდიდრებდა და ამშვენებდა. აკაკი წერეთლის სხენებული დებულება უსათუოდ ზუსტია და მაშინ ამ შეხედულებას დიდი ეროვნული მნიშვნელობა ჰქონდა.

შოთა რუსთაველის გმირებზე წაკითხულ ლექციებში გამოთქმული შეხედულებები აკაკის თავის ლექსებშიც დადამტკიცდა და ავთანდილს, ტარიელს, ფრიდონს, ნესტან-დარეჯანს და ასმათს როგორც მარადიულ, სრულყოფილ ქართულ ხასიათებს მიმართავდა. იგი საოცარი გონებაშახვილობით და შთაგონებით ჩაწედა „ვეფხისტყაოსნის“ პოეტურ სამყაროს და თავისი შეხედულება დამაჯერებელი გახადა. რუსთაველის გმირები ეხმარებოდნენ აკაკი წერეთელს სამშობლოს აღორძინებისა და ამაღლების საქმეში. ესეც პატრიოტული გრძნობის თავისებური გამოვლენა იყო.

აკაკი წერეთელი ისტორიული წარსულის სურათებს საკვირველი რეალისტური დამაჯერებლობით გვიხატავდა. თითქმის პოეტი მის მიერ მოთხრობილ ისტორიულ ეპიზოდებს თვითონვე დასწერბოდეს და მოგონების სახით მიეწოდებინოს მკითხველისათვის. იგი ვაჟასავით ყოფა-ცხოვრების სურათებზე, ზოგად ფილოსოფიურ და მორალის საკითხებზე ნაწარმოებს იშვიათად წერდა. აკაკი წერეთელმა მხოლოდ „გამზრდელში“ დავაგოთვა არაისტორიულ მასალაზე აგებული მხატვრული ნაწარმოები, სადაც მაღალი ზნეობრივი აღზრდის საჭიროება იქადაგა და მერიმესებური შეკრული სიუჟეტით შესანიშნავი პოეტური ნოველა გამოძერწა. აკაკი ისტორიული ქრონიკების მოყვარული იყო და ზედმიწევნით იცნობდა საქართველოს წარსულს. მისი პოემების უმრავლესობა „ქართლის ცხოვრების“, ქართული ქრონიკების, პავიოგრაფიული მწერლობისა და გუჯარ-სიგელების მასალაზეა აგებული. მის ისტორიულ პოემებში დრამატული ელემენტი დაფუძნებულია არა გმირების პირადი ცხოვრების მოვლენებზე და რაიმე ზნეობრივ თუ სოციალურ კონფლიქტზე, არამედ გარეშე მტერთან შეჯახების მასალაზე. აკაკის პოემების გმირებს პირადი ცხოვრება თითქმის არ გააჩნიათ და პოემების სიუჟეტის მამოძრავებელი ძარღვია თვითონ ქართველი ხალხის „ბედის ტრიალი“. აკაკის მიერ გამოძერწილ თვითონვე გმირს მხოლოდ საზოგადოებრივი ზრახვები ამოძრავებს და პოემებში მძაფრი დრამატული ელემენტი ქართული ხალხის ისტორიულ ბედით არის გამოწვეული.

მართალია, აკაკი წერეთელი ისტორიულ წარსულში მოღვაწე ქართველებს რომანტიკულ ფერებში ხატავდა, მაგრამ მისი რომანტიკული სული მაინც მომავლისაკენ იყო მიმართული, სამშობლო ქვეყნის წარსული, აწმყო და

მომავალი, ე. ი. სიტუა, სიმწარე და ოცნება პოეტის გულს ექიფებოდა. მათი სიმწვავე უმოკლებდა დღევანდლობას. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „განთიადის“ გულდამწვარი ავტორი საქართველოს მომავალს იმედიანი თვალით უყურებდა და სახალხო გმირის დაბადებას მოელოდა. მომავალი გმირის სულიერი ცხოვრების გასამდიდრებლად წერდა იგი ხალხური სულით გაფლენილ იავნანას და ქართველთა მხარეკლავების სადიდებელ ხალხურ სიმღერას. „წარსულთა დროთა“ მოგონებით აკაკი წერეთელმა მომავალ საქართველოს გმირული სული შთაბერა, კეთილშობილება და თავდადება სახალხო ცნებებზე აქცია. აკაკი წერეთლის სულში დასადგურებული იყო მშრომელი ხალხის შინაგანი ძალისადმი უდიდესი რწმენა.

პოეტს სწამდა, რომ საქართველოს მომავალი უნდა გამოეყვანა მშრომელ ხალხს და ეს მშრომელი ხალხი აძლევდა მას დაუშრეტელ სულიერ ძალას. ისტორიულ თემებზე დაწერილ პოემებში და მოთხრობებში აკაკი წერეთელმა ქართველი ხალხის ხასიათის საუკეთესო თვისებების გამომჟღავნებელ სახეებად ხალხის დაბალი ფენებიდან გამოსული ბაში-აჩუკი, კიკოლა, გელა და ცირა გამოიყვანა. ზოლო ლირიკაში დიდი სიყვარულით და შთაგონებით ააშლერა მან პროლეტარი და ყანის მუშა, მომკელი და გამრჯელი დედა, მეომარი გლეხი და, საერთოდ, სიცოცხლით სავსე ქართველი მშრომელი ადამიანი. აკაკი წერეთელი უმღეროდა ბუნების წილში მოღვაწე მშრომელებს და საქართველოს მომავლის სახეს მათი შემწეობით ძერწავდა. ხსენებული ძალების განმტკიცებაში ხედავდა პოეტი საქართველოს აღორძინების საფუძველს, სამშობლოსადმი სიყვარულს ხალხის წიაღიდან გამოსული ხასიათები კიდევ უფრო უძლიერებდა პოეტს და აკაკის

ჩონგურის სიმები იმედთან ხმად წყრი-
ალებდა.

აკაკი წერეთლის ნაციონალურ-განმა-
თავისუფლებელ იდეაში პატრიოტული
გრძნობა და შრომის განთავისუფლების
სურვილი ერთგვარი პათოსით თავსდე-
ბოდა.

მე ჩონგური მისთვის მინდა,
რომ სიმართლეს მსახურებდეს,
განამტკიცოს აზრი წმინდა,
გულს სიწმინდით ახერხებდეს,
რომ დაჩაგრულს ამ სიშვერთით
თვალთ ცრემლები ეშრობოდეს
და მზავვრულს კი გულში ძვრით
ასარივით ესობოდეს.

ამგვარად, აკაკის მიერ გამოქვეყნე-
ბული ლარიზი გლეხობისადმი სიყვარუ-
ლი არის, ამავე დროს, პატრიოტული
გრძნობის საფუძველი და მისი გამარ-
თლება... შეიძლება აკაკის სამშობლო-
სადმი სიყვარულს ხალხური პატრიო-
ტიზმი ეწოდოს. ამგვარი საზოგადოებ-
რივი გრძნობით იგი სამშობლო ხალხის
სულიერ ცხოვრებას ეხმარება და
თითქმის მისი იდეური თანამგზავრი
ხდება. ყოველივე ზემოხსენებულის
შემდეგ სრულიად ბუნებრივად და კა-
ნონზომიერად გვეჩვენება 1905 წლის
რევოლუციასთან აკაკის სულიერი კავ-
შირი და მისი მეგობრული გაბაასება
ბრძოლის ველზე გამოსულ მუშათა
კლასთან. ცხრაასხუთი წლის რევოლუ-
ციაში ხანდაშემულმა პოეტმა თავისი
წვლილიც დაინახა და ამღელვარებულ
ხალხს გულწრფელი პათოსით უმღერა,
სასწრაფოდ ახალი პანგები შეთხზა და
მისმა პოეტურმა გაქანებამ ახალი ფრთე-
ბი შეისხა. თვითებული პატრიოტული
და სოციალური თემა მაშინ ხდება პოე-
ზიაში ემოციური და მიმზიდველი, რო-
დესაც იგი ბიოგრაფიულად განცდილია
და ავტორის სულიერ ცხოვრებაში დი-
დი ხნიდან შემზადებულია. აკაკი წერეთ-
ლის გულშიც ადრე მომწიფდა რევო-
ლუციის აუცილებლობის რწმენა.

„დღეს მერცხალი შემოფრინდა“,
„მუშებს“, „იავნანა“ და მრავალ მტრინ-
დელ ლექსით პოეტი იმედთან სწრაფ-
გადა და ხალხს მომავალი ბრძოლებისა-
კენ მოუწოდებდა. ცხრაას ხუთი წლის
რევოლუციის მოხეტიალეში მოესწრო
„ხანჯალის“ ავტორი და იგი ამ სახალხო
მოძრაობის მოწამე და მონაწილე გახდა.
ქალაქა-მოსილმა და ახოვანმა სიმღერა
ინტერნაციონალის ქართული ვარიანტი
წამოიწყო. აკაკი წერეთელს პოეტური
აღტაცება, სიხარული და სიყვარული
ხალხისადმი არასდროს არ შენელებია.

აკაკი წერეთელი და ვაჟა-ფშაველა
ამოიზარდნენ, თვითებული თავისებუ-
რად, ქართული ხალხური პოეზიიდან,
ძველი ქართული მწერლობიდან და
მთლიანად ქართველი ხალხის ესთეტი-
კური კულტურიდან. მიუხედავად ამი-
სა, აკაკი წერეთელი ტარას შევჩენკოს
თავის მასწავლებლად აღიარებდა და
ადამ მიცკევიჩის თვლიდა თავის შთაგო-
ნების წყაროდ, რომელმაც სიმღერა
დააწყებინა. მართლაც, არ შეიძლება
აკაკი წერეთელს გულწრფელად არ
ჰყვარებოდა ადამ მიცკევიჩისა და
ტარას შევჩენკოს დიდი პატრი-
ოტული პოეზია, მაგრამ ეს გან-
ცხადება გაზვიადებულია. ხსენებულ
პოეტების გავლენა აკაკის ადრინდელ
ლექსებზედაც უმნიშვნელოა და ძნე-
ლად შესამჩნევია. აკაკი წერეთლის მიერ
გამოთქმული აზრი არ მიეწერება ქარ-
თველი პოეტის თავმდაბლობას. ეს მისი
პოლიტიკური გამჭირავრობის მაჩვენებ-
ლი მოსაზრებები იყო. ქართველ
პოეტს უნდოდა ცარიზმის მიერ და-
მონებულ ხალხებთან სულიერი დანა-
თესავე და მათთან ერთად მეფის ტახ-
ტის წინააღმდეგ ბრძოლა, ხოლო ამ
ხალხებთან დამოყვარებისათვის საჭი-
რო იყო მათი ეროვნული სიამაყის შეგ-
რძნობა და მათი ღვაწლის ღირსეულად
დაფასება. აკაკის მიერ წარმოთქმულ
სიტყვებში მკაფიოდ ჩანდა პოლონელი
და უკრაინელი ხალხების ეროვნული

სიამაყის მიმართ წრფელი სიყვარული და მაღალი პატივისცემა. ამ სიტყვებით ქართველმა პოეტმა ორივე ხალხის გულთან ხიდი გადგა და ხალხთა ძმობის იდეაში თავისი წვლილი შეიტანა. აკაკი წერეთელი დიდი სიყვარულით იყო გამსჭვალული რუსი ხალხისადმი, რუსული პოეზიისადმი. აკაკი წერეთლის სიყვარული რუსეთის მიმართ გამოთქმულია შესანიშნავ ლექსში „თერთმეტი ენკენისთვე“, სადაც კრწანისის ველზე დაღვრილი ქართველი ხალხის სისხლით დაწერილია რუსი და ქართველი ხალხების ძმობა. ამ სისხლით დაწერილ ძმობას აკაკი წერეთელი მთელი სიწრფელით უმღეროდა და აღუღაბებდა. დიდ რუს მწერალს გოგოლს უძღვნიდა ლექსს თუ „იგორის ლაშქრობის“ შესახებ საუბრობდა, ყველგან რუსი ბაღის სიყვარულს გამოხატავდა და მასთან ძმობის ისტორიულ აუცილებლობას ქადაგებდა. იგი მეგობრულ ხელს უწედიდა სომხეთისა და აზერბაიჯანის მოწინავე სიტყვის ოსტატებს.

„განთიადის“ შემოქმედის პოეტური ბუნება რომ სრულყოფილად იქნეს წარმოდგენილი, საჭიროა მისი ეპიკური ნაწარმოებებიც განვიხილოთ. აკაკი წერეთელი პოეტურ ეპოსში ისეთივე ძლიერი იყო, როგორც ლირიკაში. მისი პოემები: „იკოლას ნაამბობი“, „გამზარდელი“, „ნათელა“, „თორნიკე ერისთავი“, „თამარ ცბიერი“, „პატარა კახი“ მეცხრამეტე საუკუნის ქართული პოეზიის შედევრებია. ამ ეპიკურ ნაწარმოებებში გაბნეულია მრავალი ლირიკული მარგალიტები, რომლებიც ქართველი მკითხველის გულში სათუთად ინახება.

ზემოთ აღნიშნული გეგმონდა, რომ აკაკი წერეთელი თავისი შესანიშნავი პოემების მასალად საქართველოს ისტორიის ტრაგიკულ ეპიზოდებს იყენებდა და ასეთ ხანაში პოულობდა თავდადებულ ქართველებს. პოემა „თორ-

ნიკე ერისთავი“ აკაკი წერეთელმა ეს ტრადიცია დაარღვია და აღმაფლობისკენ მიმავალი საქართველოს ისტორიის ერთი ფურცელი გადაშალა.

აკაკი ალბათ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა საქართველოს ისტორიაში დავით კურაპალატის ხანას და მის სახელმწიფოებრივ-მოღვაწეობას. ეს იმიტომ, რომ დავით კურაპალატის შვილობილი, ბაგრატ მესამე, დიდი მშენებელი იყო და საქართველოს გაერთიანების დამწყებები, დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის ეპოქის წინამორბედი. ხოლო ბიზანტიელების ბრძოლა ბარდა სკლიაროსის წინააღმდეგ და ამ ბრძოლაში ქართველთა გამარჯვება მაშინდელი მსოფლიოს თვალში ქართველთა სახელმწიფოებრივი ავტორიტეტის გაძლიერების მომასწავებელი უნდა ყოფილიყო. ამ ომიდან მიღებული ნადავლით ერთგვარი მატერიალური სახსარი უნდა გასჩენოდა ათონის მონასტერში მოღვაწე ქართველ ბერებს და, მართლაც, გიორგი მთაწმიდელის გადმოცემით, ხსენებული ომის შემდეგ „ესე განიზრახეს, თავისუფლად თავისი მონასტერი აღაშენონ... და აღაშენეს მონასტერი და ეკლესიანი წმიდისა ღვთისმშობლისა სახელსა ზედა“. მათ შექმნეს ათონზე ქართული კულტურის ახალი კერა და საქართველოს მრავალი ახალი წიგნი შესძინეს. „ქართლის ცხოვრება“, „იოანე და ექვთიმე მთაწმიდელთა ცხოვრება“ და ზარზმის წარწერა თორნიკეს ლაშქრობის შესახებ უთუოდ ის მასალა იყო, რომლითაც ისარგებლა აკაკიმ პოემა „თორნიკე ერისთავის“ დამუშავებისას, როგორც პოემის ისტორიულ ცნობებს ეტყობა. აკაკის ხელში ჰქონია ვახუშტის საქართველოს ისტორია და დ. ბაქრაძის კომენტარიები ხსენებული ომის შესახებ. აკაკი გასცნობია ბიზანტიურ ქრონიკებს და, როგორც პოემაში შესული სახეებიდან ჩანს, მას ანა კომნენის ნაწერებთანაც უსარგებლია.

ამ მასალის შესწავლის შედეგად აკაკიმ პოეტური გამჭრიახობით აღადგინა დავით კურაპალატის ხანა, თორნიკეს პიროვნება და საქართველოს ისტორიის ამ შესანიშნავ ფურცელს თავისებური განათება მისცა. მისი გარკვევით, ამ ომში გამარჯვებამ ქონებრივი საშუალება მისცა ათონელ ბერებს გაეფართოვებინათ თავიანთი მოღვაწეობა და მწიგნობრობა გაეცრცლებინათ საქართველოში. საქართველოს სახელმწიფოებრივი ავტორიტეტის გაძლიერებისა და ტერიტორიული გაფართოების მოწმე გახდა საქართველოს შესანიშნავი სახელმწიფო მოღვაწე — ბაგრატ მესამე, საქართველოს გაერთიანებისა და მშენებლობის ერთი პიონერთაგანი. შესწავლილი მასალის მიხედვით, უნდა ვთქვათ, რომ აკაკის დიდმნიშვნელოვან ეპიზოდად მიიჩნდა ქართველთა ბრძოლა ბარდა სკლიაროსის წინააღმდეგ. ზემოთ დსახელებული მასალა საკმაო ცნობებს გვაწვდის ბერად შემდგარი თორნიკე სარდლის (იგივე თორნიკე ჩორჩანელის) მოღვაწეობის შესახებ. აკაკი წერეთელმაც ამ მასალის ნიადაგზე გამოძერწა თორნიკე ჩორჩანელი, ამოიყვანა ისტორიის ფურცლებიდან და მისცა მას ცხოველი და მიმზიდველი სახე. თორნიკეს გარეგნობა თავისი მშვენიერებით აკაკის გარეგნობის დარად აღიმართება მკითხველის წინაშე, ეს რაინდი და ღვთის მსახური თავისი ხმლის ელვარებით ანათებს საქართველოს გამარჯვებული ისტორიის ფურცლებს. განსაკუთრებული მონუმენტურობით და მხატვრული სიზუსტით გამოკვეთილია მთელი პოემა „თორნიკე ერისთავი“. ქართულ მწერლობაში ასეთი რეალისტური მხატვრული თვალთ არასდროს არ ყოფილა აღდგენილი ისტორიული წარსული.

პოემას თითქმის შეკრული ფაბულა არა აქვს. პოემა ვითარდება როგორც ისტორიული ქრონიკა და თით-

ქოს იგი ისტორიული ქრონიკის ილუსტრაციაა. მაგრამ აღებულო ისტორიული დრო, მძაფრი ისტორიული შემთხვევა, პოეტის მიერ შერჩეული, თავისთავად იპყრობს მკითხველს და პოემა შეუწელებელი ყურადღებით იკითხება. აქ ისტორიის ნამდვილი მასალა და მოგონილი მასალა პოეტური ხერხით ისეა შერწყმული და შეთანხმებული, რომ მკითხველისათვის ძნელი ხდება გაარკვიოს, სად თავდება ისტორია და სად იწყება პოეტის შთაგონებით შეთხზული და აღდგენილი სურათები. პოემის შინაგანი დრამატიზმი თვითონ თორნიკეს პიროვნულ ბიოგრაფიაშია მოცემული. ბერად შემდგარ თორნიკეს განსაკუთრებული შემთხვევის გამო უხდება ღვთის მსახურებას თავი მიანებოს და სამხედრო ხელოვნებას დაუბრუნდეს. ასეთი შემთხვევა თორნიკეს პიროვნებაში ჰქმნის სულიერ დრამას. ქვეყნის პატრიოტი და ღვთის მსახური შინაგანი კიდილით შეპყრობილია.

იოანე მთაწმიდელის ცხოვრებაში თორნიკე ერისთავის პიროვნება საკმაოდ მკაფიოდ არის გამოხატული: ბერად შემდგარ თორნიკეს ძალიან ჰყვარებია განვლილი ომებისა და მის მიერ გამოვლილი საბრძოლო ეპიზოდების მოყოლა, ბერები თურმე გატაცებით უსმენდნენ თორნიკეს და სულიერ სიმშვიდეს ჰპარავდნენ. ეტყობა, თორნიკე შესანიშნავი მთხრობელი იყო, რადგან მონასტრის წინამძღოლი შეშინებულა და თორნიკესთვის აუკრძალავს ამ ამბების მოყოლა, რათა ბერებზე ცუდი გავლენა არ მოეხდინა მთხრობელის მხედრულ თავგადასავლის გაცნობას. სწორედ იოანე მთაწმიდელის ცხოვრებაში აღწერილ ამ დახასიათებას უნდა მიეცა აკაკისათვის მასალა, რომ შეექმნა თორნიკე ერისთავის, როგორც სარდლის და ღვთის მსახურის, დრამატული სახე. ავტორის გადმოცემით, ბერი თორნიკე გაურბის სამხედრო სამსახურში დაბ-

რუნებას, თუმცა იგი ნამდვილი მხედარია და ბრძოლის ველზე კიდევ შეუძლია სამშობლოს სარგებლობა მოუტანოს.

თუ დასახელებულ მასალებში საკმაო ცნობები მოგვეპოვება თორნიკე ჩორჩანელის პიროვნების შესახებ, სკლიაროსის გამოსვლისა და, საერთოდ, მდინარე ჰალისთან დაწყებული ომის მიზეზებზე, თვით ომის მიმდინარეობაზე აკაკის ბელთ თითქმის არავითარი მასალა არ უნდა ჰქონოდა. პოემის სიუჟეტური ღინამიკა სწორედ ომის სამზადისშია მოცემული. განსაკუთრებულ მძაფრ დრამატულ ეპიზოდებს წარმოადგენენ ბრძოლის სურათები და შეუდარებელი ვირტუოზობით დახატული ბატალური სცენები. პოემაში „თორნიკე ერისთავი“ აკაკი წერეთელმა დაგვიმტკიცა, რომ იგი შესანიშნავად იცნობდა ვალტერ სკოტისა და ალ. პუშკინის მიერ დახატულ ბრძოლის სურათებს და, რაც მთავარია, შოთა რუსთაველის პოემაში გამოვლენილ სამხედრო ხელოვნებას. მისთვის ცნობილი იყო შუა საუკუნეების მხედრული კულტურა. მართლაც, „თორნიკე ერისთავში“ სამხედრო ძალები დიდი ოსტა-

ტობით არის განლაგებული და თითქმის ამ ომის დამსწრე სარდალთა გვიყვება და გადმოგვცემს ჰალისის ნაპირებზე გამართული ბრძოლის ეპიზოდებს.

აკაკი წერეთელი ლირიკაში უფრო მელოდიურია, ვიდრე პლასტიკური სურათების მხატვარი. ამ პოემაში „განთიადის“ ავტორმა დიდი პლასტიკური ხატვის ოსტატობა გამოიჩინა და შესანიშნავად დაგვისურათა ბრძოლის მსვლელობა, გაშალა რეალისტური სურათები ბრძოლის ველზე და მხედრული ჰილილის მაღალი პოეტური სიმღონია შექმნა. მართლაც, როგორც ხელის გულზე, ისე ხედავს მკითხველი მთელი ომის მიმდინარეობას. ამ პოემის კითხვისას თითქმის არსად არ შორდება მკითხველს აღტაცება. პოემის სტრიქონებიდან თუ მეათე საუკუნის წიაღიდან მოისმის გატყორცნილი ისრების წივილი, გაქანებული ცხენების ჰიხინი და ელვარე ხმლების ჩახახუხი. ხოლო გამარჯვებული ჭარბველი ჯარის ჰიმნი, ბორჯილაყრილ ამირანისადმი მიძღვნილი, მოუწოდებს აკაკისდროინდელ საქართველოს ახალი გმირობისა და გამარჯვებისაკენ.

ლიტერატურული სახის ზოგიერთი საკითხი



ლიტერატურული სახის ბუნება ესთეტიკურია. მისი ერთ-ერთი ძირითადი და არსებითი ნიშანია მკითხველზე ესთეტიკური ზემოქმედება. ხელოვნებასა და ლიტერატურაში მხატვრულად წარმოსახული სინამდვილე მკითხველამდე მოდის ესთეტიკური განცდის სახით.

ლიტერატურული სახის ესთეტიკური ბუნება დამოკიდებულია როგორც სახის შინაარსზე, ისევე ფორმაზე. ლიტერატურული სახის შინაარსისა და ფორმის მთლიანობა ქმნის სახის ესთეტიკური ბუნების მთლიანობას, რადგან შეუძლებელია შეცვლილი იქნეს ფორმა ისე, რომ ეს არ დაეცუოს შინაარსის და პირიქით. ფორმა შინაარსის ზედმიწევნითი სრულყოფილობით გადმოცემას ემსახურება და რაკი ყოველი მოცემული შინაარსი ლიტერატურაში არსებობს მოცემული ფორმით, ცხადია, მათი გათიშვაც შეუძლებელია. რომ სახის არსებასა და ბუნებას ჩაეწედოთ, რომ მასზე დაყრდნობით და მასში სინამდვილე დავინახოთ და აღვიქვათ, — საჭიროა თვით ლიტერატურული სახის შემეცნება, მისი გარკვევა. ცნობილი დელისტური აზრს, რომ ესთეტიკური საგანი და ესთეტიკური ტკბობა თავისუფალია ყოველგვარი ინტერესისა, მიზანდასახულებისა და საგნის არსების შემეცნების მოთხოვნისაგან, უარყოფს არა მარტო ცხოვრების ლოგიკა, არამედ იმ მწერლების შემოქმედებაც, რომელთა პირადი, კერძო შეხედულებები გარკვეულად ეთანხმებოდა ზემოთმოტანილ დებულებას. ამ დებულების არსებიდან გამომდინარეობს მეორე მცდარი შეხედულება, რომელიც ჰქადავს ფორმის პრიმატს — საგნის

შინაარსის, მისი არსების, შინაგანი აზრის უგულვებელყოფის საფუძველზე.

მატერიალისტური ესთეტიკისათვის ხელოვნების ერთერთი დამახასიათებელი თავისებურება მდგომარეობს ადამიანის გემოვნების ამაღლებასა და აქედან — მისი ხასიათის ფორმირებასა, აღზრდასა და გარდაქმნაში. მარქსის ცნობილი გამოთქმით, ხელოვნება სამყაროს მხატვრული ათვისებაა, ამიტომ ხელოვნისაგან სინამდვილის ასახვა და შემეცნება პირობაა კარგი, მხატვრული ნაწარმოების შექმნისათვის.

ლიტერატურული სახის ესთეტიკურ ბუნებაში შემადგენელ მომენტად შედის სახის ჰუმანიტეტა, რაც ნიშნავს მის დამაჯერებლობას და მხატვრული სიმართლის კატეგორიას განეკუთვნება, აგრეთვე მწერლის მიერ ასახული სინამდვილის სიზუსტეს, სახისა და სინამდვილის სიახლოვეს, იმას, რომ სახე გამოხატავს სინამდვილეს მთელი მისი კანონზომიერებით, რომ სახეში არის მოცემული სინამდვილის მართალი სურათი. ამის მაგალითად დავსახლოთ ბალზაკის გობსეკი, რომელსაც უდიდესი შეფასება მისცეს მარქსიზმის კლასიკოსებმა. აღნიშნულ სახეში მოცემული იყო მეფაზე ბურჟუაზიის ყველაზე ძირითადი და არსებითი ნიშნები, გობსეკი გამოხატავდა ბურჟუაზიის გარკვეული ფენის სოციალურ არსს, ის იყო სინამდვილის სწორი და ღრმა შემეცნების შედეგი.

დიდი მნიშვნელობა აქვს მხატვრულ სიმართლეს, რაც გულისხმობს ლიტერატურული სახის ბუნებრიობას, სახის შინაგანი ლოგიკით განვითარებას, მისი

ყოველი ფიქრის, მსჯელობის, მოქმედების მოტივირებას. პროსპერ მერიმემ მატეო ფალკონეს მოაქვლევინა ღვიძლი შვილი. ასევე მოიქცნენ გოგოლიცა და ყაზბეგიც. მაგრამ მკითხველს სჯერა, რომ მატეოც, ტარასიცა და გოჩაც მოიქცეოდნენ სწორედ ისე, როგორც ისინი მოიქცნენ. აქაა სწორედ მხატვრული სიმართლის ძალა, გმირთა მოქმედების კანონზომიერი გამოწვევა და ლოგიკური განვითარება.

ხშირად მწერლის პერსონაჟები მოქმედებენ ავტორის ახირებული ნება-სურვილით და არა ისე, როგორც მათი ბუნების ადამიანები სინამდვილეში და არსებულ გარემოცვაში იმოქმედებდნენ. წიგნის ერთ-ერთი გვერდის დასაწყისში შემოყვანილი ზარმაცი იმავე გვერდის დასასრულს გმირი ხდება, ბოროტი კეთილად იქცევა და ბურჟუაზიული მორალის მატარებელი ადამიანები ქადაგებას იწყებენ კომუნისტური მორალის შესახებ. ასეთი გარდაქმნა შეიძლება მოხდეს, მაგრამ მას მოტივირება, ფსიქოლოგიური დასაბუთება სჭირდება. აქავეის რომანში „მოსკოვიდან დაშორებით“ მთლიანად გარდაიქმნება ძველი ინჟინერი ტაბოლევი, ქიაჩელის რომანში „გვადი ბიგვა“ ორ დღე-ღამეში გამოიცვლება მთავარი გმირის პიროვნება. და ეს თქვენ სავსებით გვერათ, არავეის და არასდროს ამაში ეჭვი არ შეჰპარვია. ეს იმიტომ, რომ მათი გარდაქმნა გამართლებულია სიტუაციით, მათი ხასიათითა და ფსიქოლოგიით, მწერლის მიერ შექმნილი ობიექტური და აუცილებელი პირობებით. მაგრამ სერგო კლდიაშვილის პიესაში „დობრუნება“ (ცემოაფილდებით ერთი მაგალითით) გაუპართლებელია დათას ქცევა. მან ჯერ მიატოვა ოჯახი და სამი წლის შემდეგ ისევ დაუბრუნდა მას. ავტორმა არ აჩვენა ის ფაქტორები, რომლებმაც პერსონაჟი განაწყვეს. ასეთი მოქმედებისათვის.

დარღვეული და უგულვებელყოფილი მხატვრული სიმართლის პრინციპი; დათას ხასიათი პირდაპირ ეწინააღმდეგება მის მოქმედებას. ჯერ კიდევ არაა ხელოვნება, — აჩვენო გმირი მოქმედებაში, უნდა გააძვარო ეს მოქმედება, ახსნა იგი, ამ მოქმედების აუცილებლობა გამოიწვევი მიზეზებით. მხელეტრისტიანთვის ყველაზე ძნელად ამოცანა თავისი გმირების მოქმედებისა და საქციელის ახსნა, თანაც ეს ისე უნდა იყოს ახსნილი, რომ მკითხველი დარწმუნდეს, ამა თუ იმ მოქმედ პირს სხვა არა დარჩენია რა, რომ სწორედ ისე მოიქცეს, როგორც იგი ამ შემთხვევაში „იქცევა“ (სალტიკოვ-შჩედრინი. ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ, 1953. გვ. 386).

ასეთივე აზრი გამოთქვა პუშკინმა, ხოლო შჩედრინის შემდეგ ტოლსტოიმ და მათზე ადრე და გვიანაც მრავალმა სხვამ, რომლებიც მხატვრულ სიმართლეს განუყრელად უკავშირებდნენ ცხოვრებისეულს, მოითხოვდნენ ლიტერატურული სახეების ობიექტური ბუნებისათვის უდიდესი ანგარიშის გაწევას. მხატვრული და ცხოვრებისეული სიმართლისადმი ერთგულება და მათი უდიდესი მნიშვნელობის გრძნობა მწერალს აზღვევს მოსალოდნელი სუბიექტივიზმისაგან. როცა ტოლსტოის უსაყვედურეს იმის გამო, რომ მან მატარებლის ქვეშ „ჩააგდო“ ანა კარენინა, მან უბასუხა: „ეს მაგონებს ამბავს, რომელიც პუშკინს შემთხვევით ერთხელ მან ერთ-ერთ თავის მეგობარს უთხრა: „წარმოიდგინე, რა ამბავი მოუვიდა ტატიანას. იგი გათხოვდა. ამას მე მისგან სრულიად არ მოველოდი“. იგივე შემთხვევა მე ვთქვა ანა კარენინას შესახებ. საერთოდ ჩემი გმირები ისეთ რამეებს სჩადიან, რასაც არასდროს არ ვისურვებდი: ისინი აკეთებენ იმას, რაც უნდა გააკეთონ ნამ-

დვილ ცხოვრებაში, და როგორც ეს ხდება ნამდვილ ცხოვრებაში, და არა იმას, რაც მე მინდა“.

სწორედ ის გმირი, ხასიათი, ტიპი და პორტრეტი ახდენს დიდ ზემოქმედებას მკითხველებზე, რომლებიც გამთბარნი და გამტკიცებულნი არიან დიდი მხატვრული სამართლით, რომელთა მოქმედებასაც მიიჩნევენ დამაჯერებლად, აუცილებლად და გამართლებულად.

ზემოთქმულიდან შეიძლებაოდა გვეფიქრა, რომ ლიტერატურული სახის მხატვრული სიმართლე, ცხოვრებისეულთან ერთად არის ერთ-ერთი პირობა მკითხველზე ესთეტიკური ზემოქმედების მისაღწევად. კიდევ მეტი, მხატვრული სიმართლე და დამაჯერებლობა, ბუნებრივობა ლიტერატურული სახის ესთეტიკური ბუნების განმსაზღვრელი მომენტატანია.

ხელოვნებას აქვს თავისი სინამდვილე, იგი არის რეალური სინამდვილის მხატვრული ათვისების შედეგი და როგორც ასეთი, — რეალურად არსებობს. გარდა ამისა, იგი არის საზოგადოებრივი მოვლენა, ადამიანთა საზოგადოებრივი პრაქტიკის ერთი მხარე, სფერო. ეს არ ნიშნავს, რომ ხელოვნებისაგან და კერძოდ ლიტერატურისაგან არ მოვითხოვოთ სინამდვილის მძაფრი, სრულყოფილი ასახვა. სწორედ ეს უკანასკნელი — ცხოვრებისა და სინამდვილის ა მ ა ლ ლ ე ბ უ ლ ი და ს რ უ ლ ყ ო ფ ი ლ ი წარმოასხვა იძლევა იმის საშუალებას, რომ მხატვრულმა ნაწარმოებმა და ლიტერატურულმა სახემ მიაღწიოს მკითხველზე ზემოქმედებითი, აღმზრდელობითი და გარდამქმნელი ძალის მნიშვნელობამდე.

ლიტერატურული სახის ხელოვნებით სიცოცხლეს განსაზღვრავს მწერლის ნიჭი და ოსტატობა, ერთი მხრით, სინამდვილესთან ადექვატურობა და ამ უკა-

ნასკნელის ძლიერი წარმოსახვითი მხრით. კლასიკური ლიტერატურის სახეობა უკვდავება და წარუვალი მნიშვნელობა აიხსნება მათი სიცოცხლისუნარიანობით. მწერალი, მოქანდაკე, ფერმწერი სიცოცხლეს აძლევს არა მარტო ადამიანთა ტიპებს, ხასიათებსა და პორტრეტებს, არამედ ცალკეულ მხატვრულ დეტალებსაც. რაც უფრო ცოცხალია სახე, მით უფრო დიდია მისი მკითხველზე ესთეტიკური ზემოქმედება. სიცოცხლე პირველი ფუძეა საგნის სილამაზისა და მშვენიერებისათვის.

სახე რომ ცოცხლობდეს, ის უნდა იყოს დინამიკური, ქმედითი, უალრესად ინდივიდუალიზებული, როგორც ბელინსკი იტყოდა, „ნაცნობი უცნობი“. არსებობენ უმოქმედო, უსიცოცხლო ადამიანები და ასეთებადვე შედიან ისინი ლიტერატურაშიც. მაგრამ მხატვრობის სპეციფიკა იმაში მდგომარეობს, რომ გარკვეულად განავითაროს და ქმედითი გახადოს ისინი. ლიტერატურაში ისინი უნდა იყვნენ ცოცხალნი თავიანთ უსიცოცხლობაში. გარდა ამისა, მათი ჩვენებით მწერალი ხაზს უსვამს სიცოცხლისადმი მისწრაფებისა და მოქმედების აუცილებლობას. ასეთები არიან, მაგალითად, ბელიკოვი, ლუარსაბ თათქარიძე, და მრავალნი სხვანი, რომლებიც გამოხატავენ გადაგვარებულ, უმოქმედო და გაბრწინილ საზოგადოებრივ ელემენტებს მებატონეთა და მოხელეთა წრიდან. დიდი მწერლები, მხატვრული სიტყვის ნიჭიერი ოსტატები იმდენად ცოცხლად წარმოიდგენდნენ მათ მიერ შექმნილ ადამიანთა ლიტერატურულ სახეებს, რომ ცხოვრობდნენ, გრძნობდნენ და ფიქრობდნენ მათთან ერთად, როგორც ცოცხალ პიროვნებებთან. დოსტოევსკი სტავროგინის შესახებ ამბობდა: „იგი ჩემს გულის სიღრმიდან არის ამოღებული“, ილია ჭავჭავაძე „კაცია ადამიანის!“ შესავალში ესაუბრებოდა ლუარსაბ

თათქარიძეს. ბალზაკი დასტიროდა გო-
რიოს. დიკენსი მწუხარებას განიცდიდა
ბაწაწა-დორითის სიყვდილის გამო. სწო-
რედ ეს თანაცხოვრება მწერლისა და
ლიტერატურული სახისა აძლევს ამ
უკანასკნელს სიცოცხლეს.

სახე, როგორც საზოგადოების სოცია-
ლურ ძალთა განპიროვნება, წარმოად-
გენს ამ სოციალური ძალის წარმოსახ-
ვას მისი განვითარების სხვადასხვა სა-
ფეხურზე. ისეთი სახეები, როგორიცაა
ფაუსტი და ჰამლეტი, გობსეკი და დონ-
კიხოტი, ონეგინი და პეჩორინი, კარე-
ნინა, ლევინი, ბოლკონსკი, მასლოვა,
კორჩაგინი, ტიორკინი, მელეხოვი, გო-
ლუა, დავიდოვი, საგანელიძე და მრავალი
სხვანი ქმნიან გარკვეულ, შეიძლება
ითქვას, შემეცნებითს წარმოდგენას ამა
თუ იმ ეპოქაზე, საზოგადოების ამა თუ
იმ ფენაზე, სოციალურ არსზე. ამასთანა-
ვე იხილი შეიცავენ ეპოქის და საზო-
გადოების ესთეტიკური იდეალების ნიშ-
ნებს. სახის ეს არსებითი და უძირითადე-
სი თავისებურება ქვეყნთხედად ედება
ლიტერატურული სახის ესთეტიკურ
ბუნებას, განსაზღვრავს, ამაღლებს და
წარმართავს მას.

ლიტერატურული სახის ღირსებას
მუდამ განსაზღვრავდა ის, თუ რა იდეას
ატარებდა იგი, ან მწერლის რა და რო-
გორი იდეის გამოსახვას, განსხეულებას
წარმოადგენდა. სახის არსებიდან გამო-
მდინარე იდეის პროგრესულობა, ან
ავტორის პროგრესული იდეის განსხეუ-
ლება სახეში განსაზღვრავს ლიტერატუ-
რული სახის იდეოლოგიურ მნიშვნე-
ლობას.

როგორც კი იდეა იქცევა მშრალ,
უსხეულო თვითმიზნად, ირღვევა ლი-
ტერატურული სახის ორგანული მთლი-
ანობა, მცირდება მისი მხატვრული ღი-
რებულება და საქმე გვაქვს არა ცოც-
ხალ ტიპთან თუ ხასიათთან, არამედ
იდეურ სქემებთან.

ლიტერატურული სახის ღირსებისა-

თვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს
მის ინდივიდუალიზაციას. ზმირად ჩვე-
ნი მხატვრული ნაწარმოებების პერსო-
ნაჟები არიან უსახურნი, ერთფერო-
ვანნი, არა აქვთ ინდივიდუალური თავ-
ისებურებანი, კონკრეტული მე. სა-
ხეთა მძაფრი ინდივიდუალიზაციის გა-
რეშე კი წარმოდგენილია ტიპის, ხა-
სიათის და პორტრეტის შექმნა. ცნობი-
ლია, რომ ყველა დროის მწერლები და
ხელოვნების მუშაეები ერთ-ერთ ურთუ-
ლეს და პასუხსაგებ ამოცანად თვლი-
დნენ სახის ინდივიდუალიზაციის სა-
კითხს. გოგოლის თქმით, იგი სახეს
ცნობდა და ეუფლებოდა მხოლოდ მა-
შინ, როცა წარმოდგენდა უმცირეს
წერილმანებასაც კი მისი გარეგნობის შე-
სახება. გორკი ახალგაზრდა შემოქმე-
დებს უსაყვედურებდა, რომ ზმირად
ისინი ვერ ზედავენ ადამიანს, არ იციან,
როგორია ის, — ქერაა თუ შავგერმანი,
როგორ მოძრაობს, როგორ ჯდება, რო-
გორ დადის, როგორი ხელები აქვს, მა-
ღალია თუ დაბალი, ლაპარაკობს აჩქა-
რებით თუ ნელა, ექსტეზით თუ ღინ-
ჯად.

ყოველ ადამიანს, გარდა იმისა, რომ
რალაც საერთო აქვს სხვა ადამიანებთან,
რალაცთ ჰგავს მეორეს, აქვს მხოლოდ
და მხოლოდ მისთვის დამახასიათებე-
ლი, სპეციფიკური „რალაც“. ეს „რა-
ლაც“ არის მისი პიროვნებისათვის ორ-
განული, უაღრესად ინდივიდუალური
თავისებურებანი, დაწყებული ფიზიკუ-
რი მონაცემებითა და დამთავრებული
მომიკით, ექსტეზით, ზმით, მეტყველების
თავისებურებით, სულიერი განცდების
მრავალფეროვნებით. დიდ მწერლებთან
სახის გარეგნობისა და შინაგანი ბუნე-
ბის ყოველი ნიუანსი ხასიათის მკვეთ-
რად გამოხატვას ემსახურება. ლიტე-
რატურა გამოხატავს ადამიანის ამ უაღ-
რესად ინდივიდუალურ და მხოლოდ
მისთვის დამახასიათებელ თვისებებს,
რის გამოც იგი, თუ შეიძლება ასე
ითქვას, „არავისში არ აგერევა“.

მწერლის მიზანია არა მარტო ის, რომ მოქმედოს ადამიანებისათვის საერთო, მრავალისათვის დამახასიათებელი თვისებები, როგორც ტიპური, არამედ ძიება ფორმისა, რომელშიც ეს საერთო გამომჟღავნდებოდა, როგორც უაღრესად კონკრეტულსა, ინდივიდუალურსა და განუმეორებელში. როცა ეს ცალკეული დეტალები შესრულებული იქნება გმირის სულიერი სამყაროს, მისი ფსიქოლოგიის, მისი იდეების, ვნებების, განცდების და ინტერესების, მისი შინაგანი არსების შესაბამისად, მათ ამოსაცნობად და ზედმიწევნითი სიზუსტით გამოსახავად, ჩვენ ვამბობთ, რომ შინაარსს მოქმენილი აქვს ადექვატური ფორმა. მაშინ მკითხველისთვის ნათელი ხდება, რომ კაცი, რომელიც ასეთი ხასიათისა და ბუნებისაა, ასეთი იდეებისა და შეხედულებების მატარებელია, მოიქცეოდა და ილაპარაკებდა სწორედ ასე, ასე ჩაიკვამდა, ასეთი სიცილი, ხუმრობა და მოწყენა და სხვა ამგვარი ეკოდინებოდა. ამ შემთხვევაში ჩვენ ვამბობთ, რომ გმირის შინაგანი ბუნება და გარეგანი გამოხატულება ჰარმონიულია ერთმანეთთან. უნდა ითქვას, რომ ეს ინდივიდუალურობა, კონკრეტულობა და აგრეთვე გმირის შინაგანი ბუნებისა და გარეგანი ნიშნების ჰარმონია ქმნიან და განსაზღვრავენ ლიტერატურული სახის ესთეტიკურ ბუნებას, იწვევენ მკითხველზე ესთეტიკურ ზემოქმედებას.

ლიტერატურული სახე ყოველთვის გამოხატავს ავტორის სინამდვილესთან დამოკიდებულებას. ეს დამოკიდებულება განისაზღვრება მწერლისაგან სინამდვილის იდეოლოგიურ, ეთიკურ და ესთეტიკურ შეფასებასა და ახსნაში.

საზოგადოებრივ მოვლენათა წარმოსახვის დროს ირკვევა მწერლის, როგორც შემოქმედის, იდეოლოგია, მისი მსოფლმხედველობა. იმის მიხედვით, თუ საზოგადოების რომელ ელემენტებში პოულობს მწერალი პერ-

სპექტივის შესაძლებლობას, თუ რა მიზნია მას პროგრესულად და რეალურად ციულად, რა მშვენიერად და რა მახინჯად, თუ რა იდეალებს, იდეებს ემსახურებიან და ქადაგებენ მისი გმირები და პერსონაჟები, ირკვევა ავტორის იდეოლოგიური დამოკიდებულება სინამდვილისადმი.

ძალიან ხშირად ნაწარმოების ობიექტური აზრი და იდეა ეწინააღმდეგება ავტორის, როგორც მოქალაქის, პირად შეხედულებებსა და სურვილებს. ამისი მაგალითი მრავალია მსოფლიო ლიტერატურაში. დიდი და ჭეშმარიტი ხელოვანი ბოლომდე ერთგული რჩება ცხოვრებისეული სიმართლისა, თუნდაც ეს სიმართლე მისი პირადი, სუბიექტური ინტერესებისა და იდეების საწინააღმდეგო იყოს. ჭეშმარიტი შემოქმედის მოწოდებაა, როგორც ტურგენევი ამბობდა, „ზუსტად და ძლიერად წარმოსახოს ჭეშმარიტება, ცხოვრების სინამდვილე... მაშინაც კი, როცა ეს ჭეშმარიტება არ ემთხვევა მის საკუთარ სიმპათიებს“.

არაფერი არ ენებს მხატვრულ ლიტერატურასა და, საერთოდ, მხატვრობას ისე, როგორც შიშველი ტენდენციურობა. როდის გვაქვს საქმე შიშველ ტენდენციასთან? როცა ავტორი იღვას იღებს მზა სახით და თავზე ახვევს საგანს, მოვლენას, ადამიანს ისე, რომ მათი ნამდვილი ბუნებიდან ეს არ გამოდინარეობს. როცა წინასწარ ალებული იდეის მიხედვით ალაგებს და აგებს მოვლენებსა და ხასიათებს; როცა სახეები მოქმედებენ ავტორის აზირებული ნება-სურვილით და არა შინაგანი ბუნების კანონზომიერი განვითარებით. ხელოვანის ნამდვილი, აუცილებელი და სასარგებლო ტენდენცია — ეს არის სინამდვილის, ცხოვრების ნამდვილი ტენდენციის გაგება, ჩაწდომა და მისი წარმოსახვა, მხატვრული ხორცშესხმა. სინამდვილეში არსებულ ყოველ მოვლენას აქვს განვითარების თავისი ტენ-

დენცია. ამ ტენდენციის აღმოჩენა, მისი შესწავლა, მისი გამომწვევი ობიექტური მიზეზების შემეცნება, კანონზომიერება და პერსპექტივა ამ ტენდენციის განვითარებისა და შემდეგ მისი აყვანა ესთეტიკური ფენომენის სიმალღემდე აზღვევს ავტორს შიშველი ტენდენციურობისაგან.

თუ ავტორს უნარი არა აქვს თვით ცხოვრებაში აღმოაჩინოს და შეიცნოს დადებითი და უარყოფითი, თვით ცხოვრებაში დაინახოს მათი ბრძოლა, ცხადია, მისი სახეები და დეტალები ნაწარმოებში იქნებიან მშრალი, თავის პირველწყაროს — ცხოვრებას მოწყვეტილი.

ლიტერატურული სახე გამოხატავს მწერლის სინამდვილისადმი ზნეობრივ დამოკიდებულებას, ცხოვრებისადმი ეთიკურ მსჯავრდებას, ადამიანთა მოქმედების, ჩვევების, საქციელის ზნეობრივ შეფასებასა და თვით მწერლის მორალურ სახეს. ხელოვნებისა და ლიტერატურის ისტორია გარკვეულად არის საზოგადოებრივი ზნეობის ისტორია. საზოგადოების ზნეობას განსაზღვრავს ისტორიული პირობები, საზოგადოების ეკონომიურ-პოლიტიკური წყობა. ყოველ ეპოქას, ყოველ საზოგადოებასა და ყოველ კლასს აქვს თავისი მორალური პრინციპები. ლიტერატურული სახე გამოხატავს იმ საზოგადოების მორალურ პრინციპებს, რომლის პირშმოც იგია, იმ კლასის თუ საზოგადოებრივი ფენის მორალურ შეხედულებებს, რომლის მხატვრული წარმოსახვის შედეგიც ისაა.

ბალზაის ნაწარმოებებში ყველაზე კარგი, კეთილშობილი და პატიოსანი ადამიანები გამოსული არიან მუშათა და ღარიბთა წრიდან. ისინი გამოხატავენ საზოგადოების ზნეობის პროგრესულ ელემენტებს. როცა ახალგაზრდა გამოგონებელი დავით სეშარი დაღუპვის პირასაა მისული ბურჟუაზიის წარმომადგენელთა გახრწნილებით, მას

მხარში ამოუდგებიან საკუთარი ხელქვეითები და მსახურნი, გულხასელი გლეხი და შემდეგ სტამბის მუშა კოლბი, მისი მეუღლე მარიონი. ისინი შესთავაზებენ თავიანთი შრომით დაგროვილ გროშებს, მეგობრობის ხელს გაუწვდიან მას. სწორედ იმის გამო, რომ ბალზაი იცავდა ცხოვრების დიდსა და ყოვლისმძლე სიმართლეს თავის შემოქმედებაში, რომ იგი ბოლომდე ერთგული დარჩა მხატვრობის რეალისტური პრინციპისა, მკითხველზე დიდ ესთეტიკურ ზემოქმედებას კოლბი და მარიონი ახდენენ. მკითხველი ალტაცებულია მათი ადამიანურობით და კეთილშობილებით.

ასეთივეა მიშელ კრეტიენი, რომელიც სახალხო აჯანყების გმირია ივლინის მონარქიის პერიოდში. მიშელ კრეტიენი მაღალი მორალური თვისებების, უმწიკვლო პატიოტული გრძნობების და კეთილსინდისიერების ცოცხალი განსახიერებაა. აქაც სტიქიურად გამომვლენდა ბალზაის, როგორც მხატვრის, მსჯავრდება სინამდვილისადმი, მისი მორალური და ზნეობრივი შეფასება, მისი შემოქმედების რეალისტური პრინციპი და ცხოვრებისეული სიმართლისადმი ერთგულება, — დამოუკიდებლად მისი პოლიტიკური მრწამსისა...

ლევ ტოლსტოის, როგორც ხელოვანისა და მოქალაქის, სიმპათიები ყოველთვის ღარიბი, მაგრამ მორალურად სპეტაკი და ძლიერი რუსი გლეხობის მხარეზე იყო. ტოლსტოის ყველა ნაწარმოებში ჩანს გლეხებისადმი განუზომელი სიყვარული, პატივისცემა და უდიდესი სურვილი მათი ბედნიერებისა და კეთილდღეობისა. როცა ტოლსტოი კონსტანტინე ლევინის გლეხებთან დაახლოების და მათთან ერთად მუშაობის სურათებს ხატავს, იგი ლაპარაკობს იმ მორალური სიწმინდისა და სულიერი სილამაზის შესახებ, რაც რუს გლეხობაში იყო შემონახული. და იმაში, რომ

პერანგის ამარა მოხუცი გლეხი, გაოფლილი მკერდით, ოდნავ წელში მოხრილი, თავისუფლად და ოსტატურად ცელავს, რომ გაღვითქული ახალგაზრდა გლეხები შესვენებისას პირდაპირ მდინარეში ცვივიან და გრილდებიან, რომ ნიაფი აქეთ-იქით ფანტავს მათ უხეშ, მაგრამ ალტაცებით სავეს ხმებს, სიცოცხლე, ზუმრობას, რომ ლევინს უჩვეულოდ გემრიელი ეჩვენება გლეხური ბურაბი და მკაფე პური მომქანცველი და გამაცოცხლებელი შრომის შემდეგ, რომ გამოუცდელ მომკვლევს შეაში იყენებენ ძველი მცელავეები, — ისევ და ისევ იგრძნობა ტოლსტოის მორალური და ესთეტიკური სიმპათიები გლეხებისადმი, იგრძნობა, რომ, ტოლსტოის აზრით, ნამდვილი, ლალი და ჯანმრთელი სიცოცხლე გლეხობაშია და რომ მომავალი მას ეკუთვნის. ტოლსტოი მშვენიერს, სიცოცხლისადმი ღრულვას თავისი ბუნებრივი სახით ნახულობს იქ, სადაც იგი მართლაც არის, — ხალხში, შრომელ გლეხობაში.

ტოლსტოის ნაწარმოებთა მკითხველზე ესთეტიკური და ეთიკური ზემოქმედების ძალას განსაზღვრავს მისი უნარი — მისცეს სიცოცხლე და ქმედითობა შესანიშნავად გადმოცემულ ხალხის ფიქრსა და ენებებს, მათს ხასიათებსა და პორტრეტებს, მოსძებნოს უტყუარი საფუძველი და გარემო ყოველი გმირისათვის, მისი ხასიათის განვითარებისა და გახსნისათვის, ყოველი პირის მოქმედება ახსნას სოციალური, პოლიტიკური და ფსიქოლოგიური წინამძღვრებით.

ვინაიდან ლიტერატურული სახის მკითხველზე ზემოქმედება უმთავრესად ესთეტიკური განცდის ფორმაში ვლინდება, ამდენად სახე გამოხატავს როგორც ბელოვანის მიერ სინამდვილის ესთეტიკურ შეფასებას და მის პირად ესთეტიკურ კრედოს, ისევე განსაზღვრულ ეპოქის, საზოგადოების, კლასის ესთეტიკურ იდეებსა და იდეალებს. სინამდვი-

ლის ესთეტიკური შეფასება, *как таковая* მხოლოდ საგანთა დახატულობისა და მშვენიერის სახელებით. სინამდვილის ესთეტიკური მსჯავრდება განუყოფელია მისი იდეური და ეთიკური შეფასებისაგან.

ლიტერატურა ადამიანს ასწავლის ერთი საგნის სიმშვენიერის გაგებას და მის სიყვარულს, მეორე საგნის სიმარცხის შეცნობას და მის სიძულვილს. ავტორის სინამდვილესთან ურთიერთობის ხასიათში, რაც სახეში მელანდება, ესთეტიკური მომენტი მიეკუთვნება ლიტერატურის სპეციფიკას.

ყოველ ლიტერატურულ სახეში შეინიშნება ის შემოქმედებითი პრინციპები, რომელთა მიხედვით ავტორმა იგი შექმნა. მწერლის შემოქმედებითს მეთოდს, მის მხატვრულ პრინციპებს, მისი პიროვნება, მისი მსოფლმხედველობა, კულტურა, გემოვნება, ოსტატობა განსაზღვრავს, შემდეგ მის მიერ ობიექტურად არსებული სინამდვილის (როგორც სუბიექტის, ასევე სუბიექტის მიღმა) განცდის ხასიათი. მთავარი აქ ისაა, რომ სახე უშუალოდ და აუცილებლად გამოხატავს ავტორის შემოქმედებითს მეთოდს, იქნება ეს რომანტიზმი, სიმბოლიზმი, კრიტიკული თუ სოციალისტური რეალიზმი.

ლიტერატურის ძირითადი საგანი ადამიანია, რაც იმას ნიშნავს, რომ ადამიანთა ტიპების, ხასიათების და პორტრეტების შექმნას ენიჭება გადაწყვეტი მნიშვნელობა ლიტერატურისათვის. რარიგ ღრმავაროვანიც არ უნდა იყოს ცალკეული დეტალი თუ მოვლენა, ყველაზე ფართო და ყოვლისმომცველი მაინც ადამიანის სახეა, რომელიც იძლევა ეპოქის სურათს, და ამას გარდა ყოველი დეტალი თუ მოვლენა უნდა ემსახურებოდეს მხოლოდ და მხოლოდ ადამიანთა ხასიათების გახსნას. ტიპის ღირსებას საფუძვლად უდევს სინამდვილესთან მისი სიახლოვე. რამდენადაც სახე ახლოა ცხოვრებასთან,

რაოდენი სიღრმითაც არის გახსნილი სახეში სინამდვილე, ცხოვრება, საზოგადოების მამოძრავებელი ძალები და იდეალები, — იმდენად მეტია ლიტერატურული სახის ღირსება, მისი მნიშვნელობა.

ტიპის ღირსება განიზომება მისი ძირითადი, დამახასიათებელი და არსებითი ნიშნების ცხოვრებისეულობით; იმით, რომ ეს ნიშნები თვით ცხოვრებაშიც იქნება არსებითი, ძირითადი და დამახასიათებელი საზოგადოებისათვის, კლასისათვის, ფენისათვის.

ტიპიურობის პრობლემა არის ესეთ-ტიკის ერთი უძირითადესი და უმნიშვნელოვანესი საკითხი. ყველაზე ძვირფასი, მარად ცოცხალი და გადამწყვეტი ზელოვანისათვის ტიპია. თუ მწერალს შთამომავლობისათვის ორი-სამი, ეპოქის ამსახველი ცოცხალი ტიპი დაუტოვებია, იგი უკუდავებასაა ნაზიარები.

ტიპიურობის პრობლემა ამასთანავე ყოველთვის არის სოციალური და პოლიტიკური პრობლემა.

არ არის თითქმის არც ერთი დიდი მწერალი, რომელთაც აზრი არ გამოეთქვათ ტიპისა და ტიპიურობის შესახებ. ტოლსტოი ამბობდა: „მე ასე ვფიქრობ: პირდაპირ რომ ნატურიდან გადმოვიღო რომელიმე ადამიანი, ეს სრულიადაც არ იქნება ტიპური, — გამოვა რაღაც ცალკეული, განსაკუთრებული და არასაინტერესო... საჭიროა მრავალი ერთგვაროვანი ადამიანი შეისწავლო, რომ შექმნა ერთი რომელიმე განსაზღვრული ტიპი“ (იხ. გუდზიი — „როგორ მუშაობდა ტოლსტოი“ გვ. 244 — 245). აქ ტოლსტოი ხაზს უსვამს ტიპის შექმნის პროცესს, სინამდვილის შემეცნების აუცილებლობას, ტიპის განზოგადების, გავრცელებულობის საკითხს. ამასთანავე, ტოლსტოის მოთხოვნა, რომ ტიპი გამოხატავდეს მრავალ ერთგვაროვან ადამიანებს, მიუთითებს იმაზე, რომ მას შესანიშნავად ესმოდა მწერ-

ლის ამოცანა, — მოეცა ერთი უმნიშვნელო ტიპში საზოგადოების გარკვეული კლასი, რომ ტიპი არის საზოგადოებაში არსებულ კანონზომიერებათა განპიროვნება. დადებითი ტიპი, მაგალითად, შეიძლება იყოს დღეს გაუფრთხილებელიც, მაგრამ მის გავრცელებულობას ზეალისათვის უნდა ჰქონდეს ნამდვილი პერსპექტივა, თორემ ისე ტიპიურს კი არა, — შემთხვევითსა და გამონაკლისს მივიღებთ.

ლიტერატურული სახე სინამდვილის მხატვრული წარმოსახვის, გრძნობად — კონკრეტული ფორმის, მაგრამ ეს არ ნიშნავს, თითქოს სახის შინაარსი იყოს ჩვენგან დამოუკიდებლად არსებული სინამდვილე. ასეთი განმარტება უხეში, ვულგარული შეცდომა იქნებოდა. ლიტერატურული სახის შინაარსი არ არსებობს მისი შემქმნელი მწერლის დამოუკიდებლად. სახის შინაარსი იქმნება მწერლის მიერ სინამდვილის კანონზომიერებათა მხატვრული წარმოსახვის შედეგად.

მეტად გავრცელებულია, აგრეთვე, მცდარი დებულება ლიტერატურული ნაწარმოების და ლიტერატურულ სახის შინაარსის იდეასთან სრული გაიგივების შესახებ. მაგრამ განა არაა ანგარიშგასაწყვეი ხალხში დაკანონებული ჩვეულება შინაარსის თხრობისა? განა შეიძლება იდეების თხრობა, ან იდეის თხრობა? განა ჩვენ გადმოვცემთ ფადეევის „ახალგაზრდა გვარდიის“, სიმონოვის „დღეებისა და ღამეების“, კორნეიჩუკის „ფრონტის“ შინაარსს, თუ ვიტყვით, რომ ყველა ამ ნაწარმოების იდეა საბჭოთა პატრიოტიზმის და მტერზე გამარჯვების იდეაა?! ასევე ითქმის ლიტერატურულ სახეზე. ვინ იტყვის, რომ ტარიელ გოლუას, როგორც ლიტერატურული სახის, შინაარსი არის მხოლოდ იდეა და არა მისი საზოგადოებრივი ცხოვრება, ძლიერი განცდები,

ენებები, დარდი და გულისტკივილი, სიხარული და აღმაფრენა, სიყვარული თუ სიძულვილი. ლიტერატურული ნაწარმოების თუ სახის შინაარსად იდეის გამოცხადება არასწორი, ყალბი და არამარქსისტული დებულებაა. სწორედ საკითხის ასე გადაწყვეტა გვაყენებს იმ საველალო ფაქტის წინაშე, რომ ხშირად ჩვენი მხატვრული ნაწარმოებები წარმოადგენენ მშრალ პუბლიცისტიკას, ხოლო ლიტერატურული სახეები მხოლოდ სქემებს, დაცლილ ყოველგვარი ცოცხალი, ემოციური შინაარსისაგან.

ლიტერატურული სახის შინაარსი მწერლის მიერ მხატვრულად წარმოსახული სინამდვილეა, წარმოსახული, რადგან მხატვრული წარმოსახვა თავის თავში გულისხმობს სინამდვილის განმეორებას ხელოვნების ენაზე. მრავალადამიანზე (და საკუთარ თავზე) დავკირვებით, მათი მოქმედებების, რაობის, ჩვევების, ხასიათების, სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობის შესწავლით მწერალი აგროვებს ცოდნას, ცხოვრების მასალას, რომელიც შემდეგ ლიტერატურული სახის შინაარსად იქცევა.

ლიტერატურული სახის შინაარსსა და ფორმას სინამდვილის შესწავლა და მისი ესთეტიკურ ხარისხში აყვანა უდევს საფუძვლად. სინამდვილის მხატვრული დამუშავება განსაზღვრავს სახის შინაარსის რაობას, ეს უკანასკნელი კი — თავის ფორმას. შინაარსის ცვლილება მაშინვე იწვევს ფორმის შეცვლასაც. ფორმის შეცვლა შეუძლებელია ისე, რომ ამან არ გამოიწვიოს შინაარსის საგრძნობი შეცვლაც.

*
* *

სტალინის განსაზღვრით, ხელოვნება და ლიტერატურა საზოგადოებას ემსახურება „ესთეტიკური იდეებით“.

ეს ესთეტიკური იდეები საზოგადოებასთან მიიქვს ნაწარმოებს, როგორც სახეთა სისტემას. აქედან კი ცხადია,

რომ ლიტერატურული სახეები, როგორც ტიპი, ხასიათი თუ პორტრეტი, ემსახურება ახალგაზრდებს საზოგადოებისადმი ესთეტიკური იდეებით მომსახურების ფუნქციას. აქ ზედმეტი არ იქნება გავიხსენოთ ლენინის ცნობილი წერილი გრაფ გეიდენის შესახებ.

ახასიათებდა რა გრაფ გეიდენის რეაქციულ, კონტრარევოლუციურ და ექსპლოატატორულ ბუნებას ლენინი ხაზს უსვამდა მისი გარეგნული „კეთილი“ ნიშნების, „ჰუმანური“ ექსტეზისა და ნიანგის ცრემლების სიყალბეს, მოითხოვდა ხალხისათვის ეჩვენებინათ გეიდენის, როგორც რეაქციონერი მებატონის, ნამდვილი სახე. აქ ლენინი შესანიშნავად სვამდა საკითხს გეიდენის პიროვნების — მისი მოქმედებებითა და საქმეებით განსაზღვრის შესახებ, გეიდენისათვის ტიპიური, დამახასიათებელი თვისებების არა ტიპიურისა და გარეგნულისაგან მკაცრად გამოყოფის შესახებ. ლენინი მოითხოვდა, რომ გეიდენზე ემსჯელათ არა „მისი სიტყვების, მისი გულზე ხელის ცემის და ნიანგის ცრემლთა ღვრის მიხედვით“, არამედ „საზოგადოებრივ სარბიელზე მისი ნამდვილი მოღვაწეობის მიხედვით“, რომ გრაფი გეიდენის პიროვნების შეფასებისათვის მთავარია მისი გამოარკვევა, თუ „რა არის დამახასიათებელი, რა არის ტიპიური გეიდენის პოლიტიკური მოღვაწეობისათვის?“¹ მიმართავს რა ლიტერატურულ პარალელს ლენინი აქ იყენებს ნეკრასოვის, სალტიკოვ-შჩედრინის და ტურგენევის შემოქმედებას.

„ჯერ კიდევ ნეკრასოვი და სალტიკოვი ასწავლიდნენ რუს საზოგადოებას ბატონყმობის მოტრფიალე მემამულის განათლებულობის შელამაზებული და მოკაზმული გარეგნობის ჭიკჭიკუნა მისი მტაცებლური ინტერესები, ა ს წ ა ვ ლ ი დ ნ ე ს ი ძ უ ლ ვ ი ლ ს

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 13, გვ. 52.

ასეთი ტიპების ფარისევლობისა და უსულგულობისადმი¹. ხალხში ამ ფარისევლობისა და უსულგულობისადმი ზიზღის გამოწვევაშიც მდგომარეობს საზოგადოების ესთეტიკური იდეებით მომსახურება. საზოგადოების მომსახურება გულისხმობს ამ საზოგადოების აღზრდას ახალი, სოციალისტური ზელოვნების ესთეტიკური იდეალებით. ყოველ საზოგადოებაში არსებულ კლასებს აქვთ თავიანთი ესთეტიკური იდეალები, თავისი წარმოდგენა მშვენიერ და ამაღლებულ საგნებზე.

ექსპრესიონისტი მწერლის ფრანც კაფკას² რომანში „მეტამორფოზები“ წამოჭრილია საკითხი ადამიანის ხოცოდ გადაქცევის შესაძლებელ „სილამაზეზე“. კაფკა გულდასმით ავითარებს „იდეას“, რომ ადამიანები იმდენად ჰგავან ხოცოებს, რომ არაერთარი მოულოდნელობა არ იქნება, თუ ისინი ერთ მშვენიერ დღეს მართლაც იქცევიან ხოცოებად. ასეთი პერსპექტივა არსებობს თურმე „შესაძლებლობაში“. აქ საქმე

გვაქვს ავტორის საზოგადოებისადმი ზიზღის „მხატვრულ ხორცშენახთან“, საზოგადოების ერთი ფენის, კერძოდ, ბურჟუაზიის მორალური და ესთეტიკური იდეალების რაობასთან.

ჩვენი ლიტერატურა მოწოდებულია თავისი იარაღით — დიდი, ჰუმანური, რეალისტური მხატვრობით აღზარდოს ადამიანები. კომუნისტური სულისკეთებით, სინდისისა და პატიოსნების, შრომისა და შემოქმედების სიყვარულის გრძნობით, კულტურით და დახვეწილი გემოვნებით ჩამოაყალიბოს მათი ზასიათები.

საბჭოთა ლიტერატურა ქაღაგებს ყველაზე პროგრესულ ესთეტიკურ იდეებსა და იდეალებს, რადგან ეს იდეები და იდეალები ორგანულად გამომდინარეობენ ჩვენი სოციალისტური სინამდვილიდან, ჩვენი საზოგადოების ეკონომიურ-პოლიტიკური წყობიდან, რადგან ეს იდეები და იდეალები ასახავენ სოციალისტურ საზოგადოებაში, საბჭოთა ხალხში არსებულ ღირსებებსა და მათს სილამაზეს. საბჭოთა ლიტერატურის მუშაკები დღითი-დღე იმაღლებენ ოსტატობას, აღწევენ სახეთა შექმნის დროს ქემმარიტად მშვენიერის სიმაღლეს.

¹ ე. ი. ლენინი, თხზ., ტ. 13. გვ. 54. (ხაზი ჩვენია).

² მოტანილია პოვარდ ფაუტის წერილიდან: „ლიტერატურა და სინამდვილე“, „Новый мир“, № 12, 1952 წ.

1905 წლის რევოლუცია იორიონ ევროპიკის შემოქმედებაში



ირ. ევდოშვილის სამწერლო მოღვაწეობა მრავალფეროვანი იყო. მან ლიტერატურის თითქმის ყველა ჟანრში სცადა თავისი კალამი.

1905 წლის რევოლუციის პერიოდში მეტად საინტერესო იყო. ირ. ევდოშვილის სატირა, რომელსაც იგი იყენებდა როგორც საუკეთესო საშუალებას თვითმპყრობელობასთან ბრძოლაში.

ცნობილია, რომ ირ. ევდოშვილის კალამს ეკუთვნის მრავალი პუბლიცისტური ხასიათის წერილი და ფელეტონი, გამოქვეყნებული ქართულ პრესაში. ისინი ხასიათდებოდნენ პოლიტიკური სიმახვილითა და აქტუალობით, მათ ჰქონდათ დიდი მნიშვნელობა მაშინდელი საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის.

ირ. ევდოშვილის შემოქმედებაში პოეზიის შემდეგ უმთავრესი ადგილი პროზას უკავია. მიუხედავად ამისა, ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში ირ. ევდოშვილს, როგორც პროზის ოსტატს, ნაკლები ყურადღება ექცევა.

ქართული კლასიკური ლიტერატურის ტრადიციებზე აღზრდილი ირ. ევდოშვილი მცირე ფორმის ქართული მხატვრული პროზის ღირსეულ ოსტატად გვევლინება. სამწერლო ასპარეზზე გამოსვლის შემდეგ მან მრავალი მოთხრობა, ნოველა, ფელეტონი და ესკიზი გამოაქვეყნა.

ცხოვრების სინამდვილიდან გამოძეწილი სახეებით მწერალი გადმოგვცემდა მშრომელ ადამიანთა ღრმა განც-

დებს, მათ ტკივილებს, მწუხარებას, მისწრაფებას.

პროზაშიაც მას იგივე საკითხები აქვს დასმული და განხილული, რაც პოეზიაში. ირ. ევდოშვილს აქაც იგივე მშრომელი ხალხის — ღარიბი გლეხობის და მუშათა კლასის ინტერესებისათვის ბრძოლა ამოძრავებდა.

ირ. ევდოშვილმა მოგვცა რევოლუციური პროზის კარგი ნიმუშები. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია 1905 წლის რევოლუციის მომზადებისა და მისი აღმავლობის პერიოდში დაწერილი მოთხრობები, ნოველები და ესკიზები: „დანგრეული კერპი“ (წარსულიდან), „თოვლის ქვეშ“ „ვისია ეს საფლავი“, „შეშლილის წერილებიდან“ „ანტიკრისტე“, „ევპრობამ იყო“, „ციხეში“, „გველების ყორე“, „სამი წერილი“, „მიცვალებულთა აჩრდილებს“, „სხივი... სინათლე“, „ძმა ბიქები“ (სურათი ნამდვილიდან), „დანგრეული კერპი“, „წერილი ქალაქიდან“ და სხვა. ყველა ამ მოთხრობისათვის, მეტნაკლებად, დამახასიათებელია სოციალური და პოლიტიკური სიმახვილე. სიუჟეტი აგებულია არსებული საზოგადოებრივი წყობილების კლასობრივ წინააღმდეგობათა ფონზე.

ავტორი 1903 წელს დაწერილ მოთხრობაში — „დანგრეული კერპი“ სათაურის ქვეშ წარწერას — წარსულიდან — უკეთებს მხოლოდ ცენზურული პირობების გადალახვისათვის. ხალხის შეგ-

სოფელმა გადასწყვიტა მათი სიკვდილი, თავიდან მოშორება.

შესაზარი სანაპივე იყო ამ დროს ეს საუკუნოებში სიკვდილივით წყნარი და გვამივით გაბრწყინილი წუმბე, ზოგი ქვემპროში აქა-იქ სიროში იმალეზოდა, ზოგი უკანასკნელ ძალას იკრეფდა და იკბინებოდა საშინელის სიმწარით. ტბა იღებებოდა სისხლით. ბევრმა მუშამ, გველის ისრით გაბასრულმა, უკანასკნელად დაიკვნესა, მაგრამ ათი ათასი წერაქვ-ნიჩაფი ელვის სისწრაფით აესებდნენ სამარეს და იმარხებოდა სოფლის ქირი, სოფლის გამათახსირებელი ტბა“.

ხალხმა მიზანს მიაღწია, გაიმარჯვა. მოისპო „სიბინძურე, შხამი და გესლი, გაიწმინდა ჰაერი, მოისვენა სოფელმა, ჩაჩუმდა ტირილი და გოდება. ხალხი... განიკურნა და ძალ-ღონე მოცემული შეუდგა თავისუფალ შრომას თავის საბედნიეროდ. მას ეხლა აღარ ეშინიან აღარც სულშემსუთავი ჰაერისა, აღარც შხამიანი გველებისა“.

ირ. ევდოშვილმა 1905 წლის 25 მარტს დაწერა მოთხრობა „შეშლილის წერილებიდან“. ავტორმა მეფეს უწოდა შეშლილი, რომლის თავშიაც ჭიები ირეოდნენ და შიგ გულში შავი გველი უჯდა. მას ყველგან სისხლი, ჩამოხრჩობა ელანდებოდა და იძლეოდა ბრძანებას, რომ ზღვის ღელვა შეეჩერებინათ. მაგრამ რევოლუციის აბოზოქრებული ზვირთები უკვე მოდებული იყო კიდიოტიდემდე და დაღუპვას უქადდა თვითმპყრობელობის მოშლილ გემს.

•
••

ირ. ევდოშვილის მხატვრულ პროზაში განსაკუთრებით აღსანიშნავია ნოველა — „ციხეში“, რომელიც გამოქვეყნდა 1905 წლის რევოლუციის ქარიშხლიან დღეებში.

ნოველის გმირი — ციხეში გამოკედილი თავისუფლებსა და სიკვდილს შორის რკინის თანჯარიდან გააყურებდა მის თვალწინ გადაშლილ ქალაქს. ამ დროს ქალაქის „ქუჩებში ხალხი სანთლებით ხელში მიდი-მოდიოდა“ და „ყველანი ერთმანეთს ულოცავდნენ“ აღდგომის „დიდებულ დღესასწაულს“. ამ საზეიმო სურათის შემხედვარე ღრმა ფიქრებში წასული ტუსალი ხედავდა ხალხის „მოტყუებულ ოცნებას“. მან იცოდა, რომ ხალხს სწყუროდა ნამდვილი ძმობა, ერთობა, სიყვარული, თავისუფლება და არა ყალბი მოჩვენებითი ქვემარტება „ქრისტეს აღდგომისა“.

„დახედეთ, თქვენს ბორკილებს. შეხედეთ თქვენს კარებზე აყუდებულ დარაჯს, სულ-შეხუთულ თავისუფლებას, სისხლში ამოსერილს! დაუგდეთ ყური თქვენს ქვითინს, მოიგონეთ თქვენკენ გამოწვდილი ხელები დედამამისა, შვილებისა, სატრფოსი, ძმებისა! გადახედეთ შიშვლის, როგორ იცინის ოცნებით გატაცებულ ხალხის ქრიალულზე. გადახედეთ როგორ უფლარუნებს ბორკილი ამ წუთით გატაცებულ ბაღსზე! გადახედეთ მძინარე ღოშს — თავისუფლებას, — როგორ დასჩხავის მას თავზე ყვავ-ყორანი. აჰა, ეს ჯვარიც, ეს ჩვენი ციხეც, რამდენია ჩვენში ბარაბა, რამდენისთვის აღმართულა ჯვარი და კიდევ რამდენს მოელის! მაშ ალსდგა ქრისტე? სტყუის ზარი, სტყუის სამარეკლო!

ოცნებაა ხალხის ლიტანია, სტყუიან ზარები! — დაიძახა მან უკანასკნელად და მოჰხარა სარკელის რკინები!

— შესდგე! — შეუყვია დარაჯმა — და ტყვიით განგმირულმა გულმა მაინც კიდევ ამოიკვნესა: — სტყუიან ზარები!.. მხოლოდ მჩქეფარე სისხლმა გასცა უბედურს პასუხი“...

ამ ნოველაში ირ. ევდოშვილმა დაგვიხატა გამოჩენილი რევოლუციონერის ლადო კეცხოველის უკვადავი სახე, რო-

მელოც მეტების ციხეში 1903 წლის 31 აგვისტოს მეფის ჟანდარმებმა მხეცურად მოკლეს. დიდი რევოლუციონერის კეთილშობილური სახე ნოველის მხატვრულ ღირსებას უფრო მეტად ზრდის და განუზომელ მნიშვნელობას ანიჭებს მას.

ლადო კეცხოველის მოღვაწეობით შთაგონებულ ირ. ევდოშვილს შექმნილი აქვს თითქმის უცნობი ნოველა „მიცვალებულთა აზრდილებს“ (რუსულიდან) ¹. სათაურის ქვეშ ფრჩხილებში მინაწერი, რომ ის თითქმის რუსულიდან იყოს თარგმნილი, მხოლოდ ცენზურის თვალის ასახვევად არის მოგონილი. სინამდვილეში ნოველა ორიგინალურია.

ირ. ევდოშვილმა ამ ნოველაშიც მოგვცა ახალგაზრდა ლადო კეცხოველის მხატვრული სახე: — „იღებოდა და იხურებოდა კარები, შემოდდიოდნენ და გადიოდნენ ადამიანები. მოვიდა ერთი, ის იყო ახალგაზრდა და ამაყი, ღონიერი და უშიშარი: ის თავგამოდებით, ერთადერთი ეომებოდა სიბნელეს, ძალმომრეობას, ბატონობას. ის თავის მძლავრის მკლავებით აქანებდა ოქროს ბურჯს, მის წინ ხრიდნენ თავს შერცხვენილები, ისინი, ვინც თავის დასაცველად გარს სიკრუეს, სიყალბეს, სიმხეცესა და ჭორს ირტყავდნენ გალანად. ის მოვიდა საპყრობილეში, მაგრამ თავისთავს დამარცხებულად არა სთვლიდა: ის ცოცხლობდა ერთის ოცნებით, ერთის იმედით, ერთის სურვილით, გაიქცეს, დაამარცხოს ეს მაღალი კედლები, მიღეწოს ეს რკინის ჩარჩოები, ეს უღანაშუალო დარაჯები, რომლებიც ყარაულობენ მას.

გადიოდა დრო და იმედი მართლდებოდა. დარაჯები ემორჩილებოდნენ მის ამაყ ხმას, უსიტყვო კედლებს უკვირდათ ადამიანის ძალ-ღონე, სიტყვის ძლიერება და განთავისუფლების წამი აღოვლდებოდა...

მოკვდა ეს ამაყი, თამაში ადამიანი და ციხე უფრო დანალელიანდა, დაიღვრინა“.

ასეთი იყო მაშინდელი მწარე სინამდვილე. რევოლუციის ერთგულ მებრძოლ ჯარისკაცთა რიგები დაუსრულებელი იყო. უამრავი მსხვერპლი მსხვერპლს მისდევდა. „წყრიალებდა ხმალი, ჩხარუნებდა თოფები, ფეხის ხმა ყრუდ კედებოდა ციხის პაერის და ადამიანები სასიკვდილოდ მიდიოდნენ. არავინ უყურებდა მათ ნაღვლიანის სიყვარულით, და არც ერთი სიტყვა თანაგრძნობისა არ მოხვედრია მათ გულს.

ისინი მიდიოდნენ სასიკვდილოდ. თავის ტანჯვით მათ უნდა გამოესყიდათ ტანჯვა და ცრემლი ათი-ათას და მილიონ ადამიანებისა. იღუპებოდნენ ისინი!“.

ი. ევდოშვილმა თავის ნაკლებად ცნობილ მხატვრულ ესკიზში „სხივი... სინათლე!“ ² მოგვცა ძველი ცხოვრების უკულმართობის მიერ საზოგადოებისაგან გარიყული და განადგურებული ადამიანის სახე. ცხოვრებაში გამოსვლისთანავე ახალგაზრდა სანდრომ ბევრგან სცადა თავისი ბედი: იყო სოფლის მასწავლებელი, ფოსტის დაბალი მოხელე, გამოიცვალა მრავალი სხვა სამსახურიც. მაგრამ ყველგან, როგორც უფროსების ურჩი, დაითხოვეს, ყველგან შეუფერებელი გამოდგა. „ცხოვრება არ აყენებდა მას არც ერთს თავის ნავთ-საყუდელში, მისი ტალღები ატეოქებდა მას აქეთ-იქით, ათამაშებდა, როგორც უღუზო გემს და შლიდა მასში ადამიანის ელფერს.

ცხოვრებისგან უკვე გარიყული, გათელილი, გულამოგლეჯილი, სხეულით გახრწნილი, ის ახლა ეგდო ჭილობზე ღვინის სარდაფის ბნელ ოთახში“ და სიცოცხლის უკანასკნელ დღეებს ითვლიდა. მასაც ენატრებოდა ცხოვრება, სხივი, სინათლე, მაგრამ ვერ მოესწრო,

¹ მ. გაზ. „ივერია“, 1905 წ., № 110.

² გაზ. „ივერია“, 1905 წ., № 120.

სარდაფის ბნელ კუთხეში მიგდებულს სული ამოხდა.

• •

1905 წლის რევოლუციის პერიოდში სხვადასხვა დროს დაიბეჭდა აგრეთვე ირ. ევდოშვილის რევოლუციური შინაარსის შემცველი ფელეტონები. ეს ფელეტონები — „მამ საით?“, „დიდიდან დილამდე“, „ბოდინი ძნელია“, „უკანასკნელი ზვირთი“ „სადღესის“, „თვალთ ნანახი“, „სადღესის ტალღებზე“, „არკი სტვენიათ!“, „პატარა ფელეტონი“ და სხვა ეხმაურებოდა აგრეთვე რევოლუციური მოძრაობის მსვლელობაში წამოჭრილ აქტუალურ საკითხებს და ხელს უწყობდა მასების საბრძოლო განწყობილების აღმავლობას.

დასახელებული ფელეტონები დღემდის თითქმის უცნობია, მწერლის შემოქმედების შესწავლისათვის კი მათ დიდი მნიშვნელობა აქვთ.

ფელეტონი — „მამ საით?“¹ ირ. ევდოშვილი ლაპარაკობს რევოლუციური მოძრაობის მსვლელობაზე, როდესაც მუშათა მასები უკვე ქუჩაში არიან გამოსულნი. მხატვარს, ხელოვნების წარმომადგენელს, იგი მიმართავს: ჯერ აღმაინი იყავ, მერე მხატვარიო. პოეტის რწმენით მხატვარი, ხელოვანი პირველ რიგში ხალხის მსახური უნდა იყოს, მის მწუხარებას და სიხარულს, მის მისწრაფებას და ბრძოლას უნდა გამოხატავდეს.

ფელეტონში ჩართულ ლექსში იგი მგოსანს ასე მიმართავს:

მომღერალი ზარ? ტუბლ პანგებს შენას
მოშაპავს გლოვის ხმა სამწუხარო,
სეულიან ლილის ზაზადილავს ქუჩის
საშინელება და ცრემლის წყარო.

პოი სიმღერავ, გმირთა სიმღერავ!
ნახევი არის ეგ შენი კილო,
სედა, სიგმირე, შეუპოვრობა
იქ გადაგბამს ცხოვრების შეილო!

პოეტი გვეუბნება, რომ მედიკოს-მონღერი ცხოვრების დუხჭირ პირობებში მყოფ მშრომელ ხალხს ტკბილად არასოდეს არ უმღერია. კლასობრივი ბრძოლის პრისთანე დღეებში მოქმედება ქუჩაშია გადასული, მგოსანი, ხელოვანი, ხალხთან უნდა იყოს, მასთან ერთად უნდა იბრძოდეს. „და შენც მგოსანო, — მიმართავდა მას პოეტი, — თუ გსურს იმღერო, მხოლოდ ქუჩაზე, მხოლოდ ქუჩაზე!“...

ავტორი აცეთებს გარკვეულ დასკვნას: „დიად, ტკბილია, თბილი, მყუდრო კაბინეტი, კარგია ოცნება, ოცნებით წერა. უხიფათოა სცენა მახვილის წინ მედგარი ბრძოლა. კარგია და ლამაზი ტილოზე მიმდგრებული ამირანი. აღმაფრთოვანებელია სიმღერა მომღერალისა. ამაზვირთებელია სიტყვები მგოსნისა, მაგრამ ამაოა აწ ყველაფერი, ლანდია იგი სინამდვილისა. ქუჩა სცენაა უსაშინელები დრამისა, ქუჩაა მხატვარი: იქა თრთის გული ნამდვილის ამირანისა. ქუჩაა მომღერალი, იქ გაქიმულა ცხოვრების სიმები, ქუჩაა მგოსანი შეუდარებელი: იქ წითელ ტალღებში დაკოდილ-განგმირულ გულზე იქარგება თაივული გაზაფხულისა... წითელ შარავანდედში ამოღის სიხვი სიმართლისა“.

პოეტი ფელეტონის სათაურში დასმულ საკითხს — მამ საით? ბოლოშიც სვამს და აქ საკითხი უკვე გადაჭრილია: მისთვის არ არსებობდა მეორე გზა, ნამდვილი ხელოვანი უნდა მასებთან იყოს, იქ, ქუჩაში, მშრომელ ხალხთან, მისი თავისუფლებისათვის ბრძოლას უნდა ემსახურებოდეს.

ირ. ევდოშვილს, როგორც მეტბრძოლ პოეტსა და მოქალაქეს, აღარ აკმაყოფილებს „მხოლოდ ფიქრი და სულისკვეთება“ ცხოვრებაში გამეფებულ სინწარჩეზე, კლასობრივი ჩაგვრის მძიმე უღელზე, რომლის ქვეშაც გმინავს მშრომელი ხალხი. და მაშინ, როდესაც ხალხის მოთმინებამ საზღვარს

¹ გაზ. „ივერია“, 1905 წ., № 111.

მიღწეა, რევოლუციურმა მოძრაობამ იფეთქა და მისი ტალღები აწვირთდა, საჭირო და აუცილებელი გახდა გმირული და შეუპოვარი მოქმედება, რომელსაც უნდა გადაეწყვიტა ხალხის ბედი ძველ სამყაროსთან ბრძოლაში.

1905 წლის პერიოდში იროდიონ ევდოშვილი რევოლუციური მოძრაობის შუაგულში იმყოფებოდა. იგი რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის დავალებით ჯარის ნაწილებში არაღვალურ მუშაობას აწარმოებდა. ამასთან ერთად ქართული პრესის ფურცლებზე იბეჭდებოდა რევოლუციური ბრძოლის წყურვილით გაჟღერებული მისი ფელეტონები, რომლებიც უპასუხებდნენ ყოველდღიურ მიმდინარე აქტუალურ პოლიტიკურ საკითხებს.

„ღღეს ქუჩა გველაპარაკება, — ამბობდა პოეტი ფელეტონში „ბოდიში ძნელია“¹ — ქუჩაა ღებეშა, ახალი ამბავი, ღრამა-ტრაგედია, სცენა, სადაც ყალბი გრძნობით აღელვებული მსახიობი კი არ იქნევს მახვილს გრაცხის როლში, არამედ ნამდვილი გმირი“ — რევოლუციური მასები საბრძოლოდ დარაზმულნი. „რით გათავდება ტრაგედია — ამას ქუჩავე გადასწყვეტს“, — აკეთებდა დასკვნას პოეტი.

ძველ სამყაროსთან ქუჩაში გამართულმა ხელჩართულმა ბრძოლებმა რევოლუციური მასიდან მრავალი მსხვერპლი შეიწირა. მაგრამ პოეტი არ დრკება. იგი ნამდვილი ვაჟკაციური შემართებით შესძახებს საბრძოლველად დარაზმულ მეგობრებს:

ნუ სტირით მსხვერპლებს, იმით სამარეს
გვირგვინი აღვა განთიადისა!
თითი ისტორია იქნება მთხრობლად
მათის გმირულის, ღიად ამბისა!
სატირალია მხოლოდ მონობის
მოტრფილად და მისი დამცველი,
იუდას ქველზე აღიბეჭდება
იმისი საქმე, მისი სახელი!

ირ. ევდოშვილის ~~ფელეტონი~~ „უკანასკნელი ზვირთი“² რევოლუციური მოძრაობის აღმავლობის მხატვრული სურათია. მასში ნაჩვენებია მშრომელი ხალხის მიერ გაღებული მძიმე მსხვერპლი, რომელიც თან მოჰყვა უთანასწორო ბრძოლების დაწყებას. რასაკვირველია, გაღებული მსხვერპლი პოეტს არ აკრთობს, პირიქით, მას ეს აუცილებლად მიაჩნია და მომავალში უფრო მეტსაც მოელის. ამის შესახებ იგი წერდა: „ღიახ, ცისკარზე ჩამოგვეკრა გლოვის ზარი და განთიადზე კი უფრო მეტს უნდა ველოდეთ. ველოდეთ, მაგრამ არა გულზელდაკრებით, არა ტირილით, ვაის მოთქმით უდროვო კუბოების წინ, არამედ გულში ჩატკობების იმედით, თავგასაწირავად მომზადებით“.

პოეტი უმღერის მასების რევოლუციურ აჯანყებას, მის ძლიერებას, დიადი მიზნის გამარჯვებას, თავისუფლების წითელ დროშას:

ღიახ, იქნებეს!.. საშობლოს ცაზე
უკვე ირვე შავი ღრუბელი,
და განთიადზე შეიღებება
წითლად მთის წვერი, ქალა და ველი.
ღიახ, იქნებეს, და ქარიშხალი
უკვე გიშვინებს შეუდრეველი:
შენც, მეზღაურო, მოუსვი საქვს
და მოიქნიე გმირულად ზელი!
ტალღა ტალღას სცემს, აფრა ფრიალებს,
ღრიალებს ზვირთი — მჭინვარე ლომი,
აჰ, იქნება სიკვდილსიციცხლის
გადასაწყვეტი ბრძოლა და ომი!
მაგრამ მოუსვი საქვს თამამად,
აქ არის შენი ხსნა და იმედი.
უკანასკნელ ზვირთს ნავსადგურისკენ
მიაქვს ზომალი და შენი ბედი!
უკანასკნელ ზვირთს, უკანასკნელ ზვირთს!
მიჰყევი მეღვრად, მოუსვი მკლავი,
აქ გადასწყვეტება... და განთიადზე
ამართავს დროშას თამამი ნავი!

მეფის მთავრობამ „რევოლუციასთან ანგარიშის გასასწორებლად მოაწყო

¹ გაზ. „ივერია“, 1905 წ., № 181.

² გაზ. „ივერია“, 1905 წ., № 192.

ბანდიტური პოლიციური ორგანიზაციები: „რუსი ხალხის კავშირი“, „მიხეილ მთავარანგელოზის კავშირი“. ეს ორგანიზაციები, რომლებშიც თვალსაჩინო როლს თამაშობდნენ რეაქციონერი მემამულეები, ვაჭრები, ხუცები, სისხლის სამართლის დამნაშავე ელემენტები მაწანწალებიდან, ხალხმა „შავი რაზმის“ სახელწოდებით მონათლა. შავრაზმელები პოლიციის დახმარებით აშკარად სცემდნენ და ხოცავდნენ მოწინავე მუშებს, ინტელიგენციიდან გამოსულ რევოლუციონერებს, სტუდენტებს, ცეცხლს უკიდებდნენ და ხერხდნენ მოქალაქეთა მიტინგებსა და კრებებს¹.

შავრაზმული ორგანიზაციები შექმნილ იქნენ აგრეთვე თბილისშიც სახელწოდებით: „წესიერების მომხრეთა პარტია“ ანუ „პატრიოტული პარტია“. ამ ორგანიზაციებს ხელმძღვანელობდა მღვდელი გოროდცევი. შავრაზმელები აშკარად თავს ესხმოდნენ რევოლუციონერებს, მოწინავე მუშებს, აწყობდნენ დარბევებს და ხერხდნენ მიტინგებს. ასე მაგალითად, 22 ოქტომბერს შავრაზმელებმა მოაწყვეს მანიფესტაცია, რომლის დროს გოლოვინის პროსპექტზე მრავალი მშვიდობიანი მოქალაქე მოკლეს.

ფელეტონში — „სადღეისო“² ირ. ევდოშვილი მოგვითხრობს 1905 წლის 22 ოქტომბერს თბილისში მომხდარ საზარელ ამბებს. აქ მხილებულია ის ვერაგობა, რაც ჩაიდინა იუნკრებისა და კადეტებისაგან შემდგარმა შავმა რაზმმა.

„ვინ არიან იუნკრები? — კითხულობს ავტორი და თვითონვე იძლევა პასუხს. — ესრედწოდებული „ნეუდაჩ-

ნიკთა“ და ბრწყინვალე მკერფიან მტრულია ბრბოდან შემდგარი. მტკიცე ბული რაზმი. აქ გახლავთ ის საზოგადოებრივებისაგან გზას ამცდარნი“, რომელთაც „მთელი კერსის განმავლობაში მათ მხოლოდ „მტკი“ უტრიალებთ თავში, მათ მხოლოდ ტყვია უჭირავთ ხელში და ესმით ერთი და იგივე: „Пальба шеренгой, шеренга пли“... ის 22 ოქტომბერს გამოიყვანეს ქალაქის უმთავრეს ქუჩაზე და, თუ ას ნაბიჯზე აყუდებულს ფიცარს ასში ერთს ტყვიას ვერ არტყავენ, აქ, უზარმაზარ შენობებსა და ოთახში შეკეტილ ხალხს, არა სცდებოდა მათი ნასროლი!

მათი თანამოაზრენი არიან კადეტებიც. განსხვავება მათ შორის მხოლოდ იმაშია, რომ კადეტები ეცუთვნიან უფრო სქელ ჯიბიან ბიუროკრატ მშობლებს, ღოღო აღზრდა და მიზანი აღზრდისა იგივეა“.

ავტორი დასძენს, რომ მათ „კარგადაც შეასრულეს თავისი დანიშნულება 22 ოქტომბერს. სიგმირე მათი აღიბეჭდება ისტორიაში! დიხა! აღიბეჭდება, მაგრამ აღიბეჭდება... სამარცხვინო ასობით!“

ირ. ევდოშვილმა სამარცხვინო ბოძზე გააკრა აგრეთვე მეფის რუსეთის სახელმწიფო რეჟიმი, რომელმაც აღზარდა შავი რაზმი.

შავრაზმელებთან ერთად ხალხის წინააღმდეგ მოქმედებდა მშრომელთა წრიდან გამოსული ზოგიერთი გადაგვარებული პირი. მათ შესახებ უზომოდ აღშფოთებული პოეტი წერდა: „იმდენად გულდასაწყვეტი არ არის ხელიგნობა ობერ-ხულიგან ტრეპოვისა,³ რამდენადაც გულდასაწყვეტია, როდესაც მუშას, ნამდვილ პროლეტარს ხედავ კაკარდიან ხულიგანთა ბაიარლის ქვეშ.

¹ საკავშირო კომუნისტური პარტიის ცენტრალური (ბოლშევიკების) ისტორია. მოკლე კურსი, 1953, გვ. 95.

² გაზ. „ივერია“, 1905 წ., № 205.

³ პეტერბურგის გენერალ-გუბერნატორი, რომელიც ხელმძღვანელობდა 1905 წლის რევოლუციის ჩახშობას.

არ არის სამწუხარო „კაზაკთა აბრაგობა“, რამდენადაც საწყენოა იმ მუშათა ავიაზაკობა, რომელნიც მათ მისდევენ უკან.

მერე რა აქვთ მათთან საერთო? მხოლოდ სიბნელე! მხოლოდ სიბნელე. სიბნელე, რომელიც ჯერ კიდევ საესებით ვერ გაუფანტია წმინდა მოწოდებას: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“.

სწორედ ასეთი გადაგვარებული მუშების შესახებ იყო ნათქვამი 1906 წლის თებერვლის ერთ-ერთ ბოლშევიკურ პროკლამაციაში „... იმ მუშებს — კი, რომლებს მოლორებაც მთავრობას არ უჭირდება და რომლებიც თავისი შეუგნებლობით და უხეობით ქურდობა-ცაცობენ და ლოთობენ, მთავრობა სრულიად არ სდევნის, ოღონდ — კი მათ თავის თავს პატრიოტები უწოდონ. ეს ძნელი გასაგებიც არ არის; მთავრობა და მდიდრები რას წააგებენ, ბნელი მუშები ორიოდ გროშს მოიპარავენ, და თითონ მათ — კი მილიონობით გამოსწოვენ. მთავრობას და ყველა ხალხის მტრებს მშვენიერად ესმით რომ ქურდი და ლოთი თავის დღეში არ აიმაღლებს სმას თავისი ინტერესების და ღამიანურ ფულბეზების დასაცეცად-ქურდი და ლოთი ყოველთვის ადვილად დაიმკირებს თავს, ფეხქვეშ გაეგება და შორჩილებით გაყოფს თავს უღელში, როგორც სამუშაო პირუტყვი“¹.

ირ. ევდოშვილი თავის ფელეტონებში უდიდესი მძულვარებით ააშკარავებდა მეფის თვითმპყრობელობის შინაგანი ძალების გაკოტრებას, მის უსუსურობას. იგი მას პირდაპირ თავს ესხმოდა, დასცინოდა და მასხრად იგდებდა. „ტვინის სიკოტრე ჩვენის მთავრობისა

კარგა ხანია გამომელანდა — წერდა იგი ფელეტონში — „სადღეისო ტალღებზე“. — მაღელა ის თავის ცარიელს ჯიბეს, მაგრამ მზემ იქაც შეაშუქა და გამოჩნდა, რომ ჯიბეც ისევე ცარიელი ჰქონია, როგორც თავი. თავს ჯანი გავარდეს მისი სიკოტრე არაგის უშლის, ერთის მხრივ ხელსაყრელიცაა; მაგრამ ჯიბის სიკოტრე კი ბევრს აატირებს. იმ ჯიბეში სხვისი ფული იდვია, იდვია და აღარა ძვესგაშა, გაიპარა, დაილია. აღარაა ქანქარი.

დარჩა რუსეთი უქანქაროთ. და საცა არაა იგი, იქ არცა პური არსებისა მოიპოვების... კუჭი კი თავისას მოითხოვს. ის არ გვაპატიებს, ერთს დღესაც არ მოგვიცდის, ახმაურდება! და დაიწყება კუჭის „რევოლუცია“. ეს იქნება პირველი ტალღები. მას მიჰყვება კეტი, თოფი, ზარბაზანი, ქუჩაში მოითხოვს ხალხი პურს! ქუჩაში მოითხოვს ხალხი სამართალს!“²

1905 წლის 19 ოქტომბერს ი. ბ. სტალინი პროკლამაციაში „ყველა მუშას“ წერდა: „რევოლუცია გრგვინავს! რუსეთის რევოლუციური ხალხი ყალყზე შედგა და საიერიშოდ შემოერტყა მეფის მთავრობას! ფრიალებს წითელი დროშები, შენდება ბარიკადები, იარაღს ისხამს ხალხი და იერიშით მიდის სახელმწიფო დაწესებულებებზე. კვლავ გაისმა მამაცთა ყვირინა, კვლავ ამღერდა მიყუჩებული ცხოვრება. რევოლუციის გემმა იალქნაი აუშვა და თავისუფლებისკენ გაეშურა. ამ გემს რუსეთის პროლეტარიატი ხელმძღვანელობს!“³.

ამ პროკლამაციის იდეურ საფუძველზე ირ. ევდოშვილმა იმავე წლის 11 დეკემბერს გაზეთ „ივერიამი“ გამოაქვეყნა ფელეტონი — „სადღეისო ტალღებზე“. ეს პატარა ფელეტონი პროზის მშვენიერი ნიმუშია, რომელშიც ავ-

¹ აზერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების პროკლამაციები 1904 — 1906 წ.წ., 1939, გვ. 207.

² გაზ. „ივერია“, 1905, № 223.

³ ი. სტალინი, თხზულებანი, ტ. 1, გვ. 189

ტორმა მოგვცა მხატვრული სურათი მეფის მთავრობის წინააღმდეგ დაწყებული რევოლუციისა. ეს რომ უფრო ნათელი გავხადოთ, სიტყვა თვით პოეტს დაეუთმოთ და ფელეტონი მთლიანად მოვიტანოთ. პოეტი წერდა: „უკვე ყრულ ისმის ზღვის წიაღიდან ზვირთების დუღუნო, ისინი აქეთ-იქით ერწყვიან. ატოკებენ ერთმანეთს, რომ შემდეგ, საერთო ხმით დაიგრგვინონ, ამოხეთქონ ზღვის ზედაპირი და მოშლილი გემი რომელიც ძლივსღა ამუშავებს მანქანას, მიღეწ-მიამტვრიონ.“

გემის უმთავრესი უფროსი შეკერილია შვინით ოთახში, მის ყურს ჩაზუზუნებს ქარიშხალი, ესმის გემის გვერდებზე ტალღების ცემა და თრთის შიშით.

მისი ხელქვეითნი, მისი დამქაშები, ნახშირს უმატებენ საორთქლე ქვაბს, სჭიმვენ ანძას, საქვს გამზეცებულები უსვამენ, მაგრამ გემი ძირს მიდის.

საქმარისია რამდენიმე მედგარი ზვირთი, რომ ის თვისის მმართველ მოგზაურებით ჩაიღუპოს ზღვის უფსკრულში.

მაღე დადგება ეს წუთიც. ამას გვიწინასწარმეტყველებენ უკვე ამოძრავებული ტალღები, რომელნიც სამშობლოს ყოველ მხარეს ახმაურებენ. ესენი წინამორბედნი არიან საშინელის ზღვის ლეღვისა.

ეს არის ხმა მოთმინებიდან გამოსულ ტანჯულის ხალხისა.

ეს ხმა უკვე იჩენს თვის სიმკაცრეს ჯერჯერობით პატარა მტარვალებზე.

ეს ნიშანია რევოლუციის მხატვრული საფეხურისა. ეს ნიშანია, რომ ის თანამედროვე ადამიანები და მალე მიადგება უმთავრეს ავიაკებს, უმთავრეს ჯალათებს.

და აჰა, ახლა დგება ეს წუთიც.

კიბის სათავეში მოქცეულ ავიაკებს უდგებათ განცითვის დღე. და როგორც წელში ქვა-დარტყმული გველი, ისინი ისარს იგრძელებენ, ასეელებენ შხამით, რომ თვით სამარეშიაც ბოროტი გულით ჩავიდნენ.

ღიაღ, საშინელია მათი ბოლო, საშინელია მათი სიკვდილი!

იწყება დიდ ავიაკების ჩაქოლვაც!“

როგორც ვხედავთ, ირ. ევდოშვილის შემოკმედებაში თვალსაჩინო ადგილი დაიკავა ქართული რევოლუციური ფელეტონის ეანრმა. ზემოთ განხილული რევოლუციური შინაარსის ფელეტონების სახით მწერალმა მოგვცა ამ ეანრის საინტერესო ნიმუშები.

შემდეგში, 1905 წლის რევოლუციის დაღმავლობისა და რეაქციის დაწყების პირველ წლებში (1906-1907), ირ. ევდოშვილმა ქართული ფელეტონის ეანრი უფრო გაამდიდრა და განავითარა. ეს ჩანს 1906-1907 წლის მანძილზე ქართული ლეგალური ბოლშევიკური პრესის ფურცლებზე დაბეჭდილ პოლიტიკურ-სატირულ ფელეტონებში.

ნიკო ნიკოლაძის არქივის მემორიული აღწერილობა



ოქტომბრის დღიშა სოციალისტურმა რევოლუციამ შექი მოჰდინა იმ საბუთებს, რომლებიც ათეული წლობით დაფარული იყო ისტორიკოსთა თვალთვან. ბევრი მწერლისა და მოაზროვნის სიტყვა განთავისუფლდა ცენზურისა და არქივების ჯაჭვებისაგან, შესაძლებლობა შეიქმნა წარსულის ნამდვილი ფაქტების გამოყენებისა და შესწავლისა, იმ ფაქტების, რომლებიც პირველი წყარო უნდა იყოს საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიისათვის. ჩვენში უკვე გამოვიდა არამდენიმე აღწერილობა საარქივო მასალებისა, მიმდინარეობს დამუშავება ქართულ მწერალთა ფონდებისა, იმეძლება საზოგადო მოღვაწეთა მიწერ-მოწერა.

სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკამ გამოსცა ერთი მტკად მნიშვნელოვანი წიგნი „ნ. ნიკოლაძის არქივის კატალოგი“ (პირველი ნაწილი), რომელიც მოიცავს მასალებს 1829 წლიდან 1917 წლამდე.

მდიდარი არქივი, რომლის ნაწილი ნ. ნიკოლაძეს უცხოეთში ჰქონდა და საქართველოში საბჭოთა ზღისუფლების დამყარების შემდეგ ჩამოიტანა, ახლა სახელმწიფო საკუთრებადაა ქცეული. არქივის აღწერილობა — კატალოგის პირველი ნაწილი — საქმის ცოდნით არის დამუშავებული თამარ მაჭავარიანის მიერ.

ნიკო ნიკოლაძის არქივში შენახულა რამდენიმე ათასი ფურცელი. მოღვაწეს მზრუნველი ხელით დაუცავს როგორც ლიტერატურული ხასიათის, ისე რეინიჭის ხაზების გაყვანის საბუთები, როგორც პოლიტიკური მრწამსის მაჩვენებელი, ისე საირიგაციო, ნავთსაძიებო, ტყისა და ქვანახშირის მრეწველობის მდგომარეობის მაჩვენებელი ჩანაწერები, როგორც თავისი ოჯახის ფურცლების შესახებ არსებული საბუთები, ისე წიგნის ნავსადგურისა და ხონის წყალსადენის შესახებ დაწერილი მოსაზრებანი, მოხსენებები და პროექტები.

არქივის მრავალი ათასი ფურცელი ამ მოღვაწის ლუბრატული ენერგიის მაჩვენებელია და

აღასტურებს იმას, რომ ნ. ნიკოლაძის ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე იშვიათი ყოფილა ისეთი დღე, რომ მას რაიმე საზოგადოებრივი მნიშვნელობის საქმე არ გაეცეთებინოს, ნაცნობათვის დახმარების ხელი არ გაეწეინოს, ქართული, რუსული და უცხოური პრესისათვის საკუთარი წერილი არ მიეწოდებინოს.

ნ. ნიკოლაძის არქივი იმ დიდი ძვრების ამსახველია, რომლებსაც საქართველოში ჰქონდა ადგილი ბატონყმობის გადაყარვის წინა პერიოდში და XIX საუკუნის მეორე ნახევარში. ამ მოღვაწის ირგვლივ რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში თავს იყრიდა ქართული მოაზროვნე საზოგადოების მოწინავე ნაწილი. საბუთებში დაცულია მასალები ქართული ჟურნალისტიკის, ქართულ წიგნთა გამოცემების, ჟურნალურ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ისტორიისათვის, წერილები ნიკოლაძისა, ქართველ და რუს მწერალთა, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, იაკობ გოგებაშვილის, ივანე მაზაბლის, დავით ერისთავის, იონა მეუნარკის და სხვათა ლიტერატურული შემოაბის მაჩვენებელი ჩანაწერები.

ნ. ნიკოლაძეს თავისი მდიდარი არქივი თვითონვე გაუნაწილებია 35 განყოფილებადა.

ყურადღებას იქცევს ბიოგრაფიული ნაწილი, სადაც ინახება იაკობ ნიკოლაძის (ნიკოს მამის) სხვადასხვა საფაქრო ჩანაწერი, ცნობები იაკობის დახმარებით ყმობიდან განთავისუფლებული გლეხების შესახებ, ნიკოს ოჯახის წევრთა მდგომარეობისა და საქმიანობის მაჩვენებელი მასალები. მნიშვნელოვანია მეორე განყოფილება, სადაც ნიკო ნიკოლაძის ნაწერებია აღწესებული, ამათშია ცენზურის მიერ შეჩერებული და დამაბინჯებული წერილები ქართულ-რუსული დღენი. არქივის ამ ნაწილზე თავის დროზე თვით ნ. ნიკოლაძის მითითებით და მოწინააღმდეგეობით მუშაობდა პროფ. ს. ზუნდაძე, რომელსაც განზრახული ჰქონდა გამოეცნა ნ. ნიკოლაძის რჩეულ თხზულებათა რამდენიმე ტომი და რომელმაც მხოლოდ ორი წიგნის გამოცემა მოასწრა.

შესანიშნავია მესამე განყოფილება — ლიტერატურული არქივი. მასში რიგზეა დალაგე-

* ნ. ნიკოლაძის არქივის კატალოგი. ნაწილი I. საქ. სსრ მეცნ. აკადემიის გამომცემლობა. 1954 წ.

ბელი წერილები ქართული, რუსი და უცხოელი ლიტერატორებისა. აქ არის წერილები ილია ჭავჭავაძისა, ავაკი და გიორგი წერეთლებისა, კ. ლორთქიფანიძისა, ივ. მაშხალისა, ი. მეუ-ნაჩავისა, ნ. ჩერნიშევსკისა, ა. შიშინისა, შ. ან-ტონოვიჩისა, გლ. უსანესკისა, ნ. მიხაილოვსკისა, ვ. გარშინისა, ალ. სემშაიშვილისა, ივ. თარხნი-შვილისა და სხვ. ეს წერილები ეხება ქართულ პრესას, რუსულ საზოგადოებრივ აზროვნებას, წიგნების, ჟურნალების, გაზეთების გამოცემას. არანაკლებ საინტერესოა მეოთხე განყოფილება, რომელშიც რუსული გაზეთის „Наше время“-ს გამოცემებით დაკავშირებული საბუთე-ბია აღწესებულია. აქ არის ცენტრირებული სპეცილი-სა, ოცხალი სიტყვისა და პრესის თავისუფლ-ებისათვის ბრძოლის მასალები. ქართული პრე-სის ისტორიისათვის მნიშვნელოვანია მეექვსე და მეშვიდე განყოფილებების საბუთები, სადაც ლაპარაკია ქართული მოწინავე საზოგადოებისა და მეფის მთავრობის ურთიერთობაზე ქართულ ჟურნალ-გაზეთების გამოცემის საკითხებთან და-კავშირებით, აგრეთვე მოთავსებულია 1873 წლის პარიზელი ქართული გაზეთის „დროშა“-ს მასალა. ეს „დროშა“ ასლაც ბრიტანეთის მე-ჩუფეში იწაბება, ნიკოლაძის არქივში კი შენა-ხელა პირები.

მეცხრე განყოფილებაში აღწერილია ის საბუთები, რაც ეხება ამიერკავკასიაში და მის გარეთ რეინგუზების გაყვანის საქმეს. დაინტერესებული პირი აქ ნახავს ნიკო ნი-კოლაძისა და ინჟინერ სპეციალისტთა მოსაზ-რებებს ბათუმ-მტკარაზე რელსის, ქუთაის-ტყბიუ-ლის, ფოთი-სოხუმის, ფოთი-პრაზლადნაის რეი-ნიგზის ხაზების შესახებ. ამასთან აქ დაცულია რეინგუზის ხაზის გაყვანასთან დაკავშირებული მხარის ეკონომიური მიმოხილვები, მეტერთმე-ტე და შემდეგი თავები დათმობილი აქვს ფო-თის ნავსადგურის მშენებლობას, ფოთის ქალა-ქის სტოვრებას, შავი ჭელს წარმოებას, სამთო-მადნო ქიების მიმდინარეობას, სატყეო, საირი-გაციო და სამელორატეო მუშაობას, პანკების მოღვაწეობას, ელექტროფიციისა და მეღვინე-ობის მდგომარეობის შემკველ საბუთებს.

